

# ენათმეცნიერების საკრებები

ISSN 1512-0473



2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
**Faculty of Humanities**

**ენათმეცნიერების საკითხები**  
**ISSUES OF LINGUISTICS**

2018



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

### **სარედაქციო საბჭო:**

ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე,  
პ. ფენრიხი, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

### **EDITORIAL COUNCIL:**

W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, J. Gippert,  
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

### **სარედაქციო კოლეგია:**

თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),  
ი. ლეჟავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ივანიშვილი,  
დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია, ლ. ქეცბა-ზუნდაძე, პ. ცხადაია, მ. ჯიქია

### **EDITORIAL BOARD:**

**Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),  
**I. Lezhava** (Deputy Editor-in-Chief),  
R. Asatiani, T. Bolkvadze, N. Gaprindashvili, M. Jikia, M. Ivanishvili,  
L. Ketsba-Khundadze, D. Melikishvili, E. Soselia, P. Tskhadaia

*ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და  
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

*The journal was founded in 1999 by **Thomas V. Gamkrelidze**  
and **Zurab Sarjveladze***

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობა, 2019

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2019

ISSN 1512-0473

## შინაარსი

<i>რუსუდან ასათიანი, ლაზური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა</i> .....	5
<i>Rusudan Asatiani, Structure of the Laz Verb Forms</i> .....	19
<i>რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, ეთერ სოსელია, ინდოევროპულ ყრუ სმულ თანხმევანთა გადმოცემა ქართულში</i> .....	21
<i>Rusudan Asatiani, Marine Ivanishvili, Ivane Lezhava, Ether Soselia, Georgian Transliteration of the Indo-European Voiceless Stops</i> .....	25
<i>ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ფრანგული და ინგლისური ოიკონიმური ფრაზეოლოგიზმები</i> .....	27
<i>Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, French and English Oikonymic Phraseologisms</i> .....	34
<i>თინათინ ბოლქვაძე, დაპირისპირება კონტრრევოლუციონერ ინდოევროპეისტებსა და იაფეტური თეორიის მიმდევრებს შორის თბილისის უნივერსიტეტში: 1920–1935 წლები</i> .....	35
<i>Tinatin Bolkvadze, Controversy between Counter-Revolutionary Indo-Europeanists and Followers of the Japhetic Theory in Tbilisi Univrsity: 1920–1935</i> .....	55
<i>ანა გოგოლაძე, ლინგვისტიკა და სტრუქტურული პოეტიკა: ოთარ ჭილაძის ლექსის – „შენა ხარ ჩემი ჯილდოც...“ – სტრუქტურული ანალიზი</i> .....	56
<i>Ana Gogoladze, Linguistics and Structural Poetics: Structural Analysis of Otar Chiladze’s Poem “You are my reward...”</i> .....	62
<i>მაკა თეთრაძე, კავკასიოლოგიის სათავეებთან საქართველოში საარქივო მასალის მიხედვით (1918-1933)</i> .....	64
<i>Maka Tetradze, The Origins of Caucasology in Georgia Accodring to Archival Data (1918-1933)</i> .....	74
<i>მარინე ივანიშვილი, ეტიმოლოგიური ძიებები: სოკო</i> .....	75
<i>Marine Ivanishvili, Etymological Issues: sok’o in Kartvelian Languages</i> .....	82
<i>გია კვაშილავა, საერთო-ქართველური *ფას<sub>1</sub>თ-/*ფეს<sub>1</sub>თ-/*ფჷას<sub>1</sub>თ-/*ფჷეს<sub>1</sub>თ- მიმდევრობის შესახებ</i> .....	83
<i>Gia Kvashilava, On Common Kartvelian Sequence *p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/*p<sup>h</sup>es<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/*p<sup>h</sup>was<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/*p<sup>h</sup>wes<sub>1</sub>t<sup>h</sup>-</i> .....	99
<i>თამარ მახარობლიძე, პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგია (PFM) და ქართული პოლიპერსონალური ზმნის სისტემა</i> .....	100
<i>Tamar Makharoblidze, Paradigm Function Morphology (PFM) and Georgian Polypersonal Verb</i> .....	106

<i>ნიკოლოზ ოთინაშვილი, ტოპონიმიკურ-ანთროპონიმიკური</i>	
<i>დიუბანი შიდა ქართლიდან .....</i>	108
<i>Nikoloz Otinashvili, Toponymic-Anthroponic Searches from Shida Kartli .....</i>	113
<i>მელა სალიანი, სიტყვათწყობის მუდმივი რიგის დადგენისათვის სვანურ</i>	
<i>ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში .....</i>	115
<i>Medea Saghiani, Towards the Determination of Word Order</i>	
<i>in Svan Phraseological Expressions .....</i>	122
<i>მელა სალიანი, ნატო შავრეშიანი, ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის</i>	
<i>ურთიერთმიმართების შესახებ სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში .....</i>	124
<i>Medea Saghiani, Nato Shavreshiani, The Interrelationship of Phraseologism</i>	
<i>and Proverb in Svan Dialect and Sub-dialect .....</i>	136
<i>ნატო შავრეშიანი, შერწყმული წინადადებისათვის სვანურში .....</i>	137
<i>Nato Shavreshiani, Towards the Sentence with Homogeneous Parts in Svan .....</i>	146
<i>ნინო შარაშენიძე, „უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაცია და</i>	
<i>მოღალური სემანტიკის განვითარება .....</i>	147
<i>Nino Sharashenidze, Grammaticalization of “unda” Form and</i>	
<i>Development of Modal Semantics .....</i>	155
<i>ლელა ჩოთალიშვილი, დამწერლობა, როგორც Φάρμακον .....</i>	156
<i>Lela Chotalishvili, Writing as Φάρμακον .....</i>	164
<b>თარგმანი</b>	
<i>ელჟარდ სეაბრი, ენის ბგერითი მოდელები .....</i>	165
<b>ახალი წიგნები</b>	
<i>ბაქარ გვიგინიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი</i>	
<i>(ა - მ), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „ვეფხისტყაოსნის“</i>	
<i>აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თეზაურუსის“ კომპილტი,</i>	
<i>389 გვ. (ვინფიდ ბოედერი).....</i>	184

## ლაზური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა

ლაზური ზმნის საკმაოდ რთული მორფოლოგიური სტრუქტურა, ძირითადად, აგლუტინაციურ პრინციპს ემყარება – სხვადასხვა კატეგორიის გამომხატველი პრეფიქს-სუფიქსები ძირითან ერთად ქმნიან მორფემათა საკმაოდ გრძელ ჯაჭვს (შდრ. ჰოლისკი 1991):

- (1) მტკიცებითი ნაწილაკი
- (2) ზმნისწინები
- (3) პირის ნიშნები
- (4) ხმოვანპრეფიქსები
- (5) ძირი
- (6) სერიების ფუძეთა მაწარმოებლები
- (7) უწყვეტლის მაწარმოებელი
- (8) კავშირებით და პირობით კილოთა მაწარმოებლები
- (9) SIII პირის ნიშნები
- (10) ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი

### (1) მტკიცებითი ნაწილაკი

მტკიცებითი ნაწილაკი გვხვდება ორი ალომორფის სახით: *ქ* (ხმოვნების წინ) და *ქა-ქო-* (სხვაგან). ეს<sup>1</sup> ნაწილაკი დამატებით განასხვავებს *აქეთ (ქა-): იქით (ქო-)* ორიენტაციასაც, დაერთვის ზმნის დადებით ფორმას და აძლიერებს მის მნიშვნელობას:

*ქო-დოდგიფ* (კი დადგამ, ნამდვილად დადგამ...), *ქო-მიმზორს* (კი შეჭამს, ნამდვილად შეჭამს...) და სხვა. შესაძლებელია, მას წინადადების საინფორმაციო სტრუქტურაში დამარწმუნებელი (ე.წ. Verum) ფოკუსის სტატუსიც მიენიჭოს. მტკიცებითი ნაწილაკი ზოგჯერ სრულ ასპექტსაც აწარმოებს, ძირითადად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზმნას არ დაერთვის ზმნისწინი.

### (2) ზმნისწინები

ზმნისწინთა სისტემა ლაზურში მეტად რთული და კომპლექსურია.<sup>2</sup> ქართული-საგან განსხვავებით, ზმნისწინი, მიმართულების გარდა, როგორც ჩანს, მოქმედების

<sup>1</sup> ხოფურში პარალელურად იხმარება *-ჰო//>ო-*ც (ასათიანი 1974).

<sup>2</sup> განსაკუთრებით ართულებს ვითარებას ზმნისწინებსა და ზმნურ ფორმათა გასაყარზე განვითარებული ფონეტიკური პროცესები.

ლოკაციასაც გამოხატავს (რაც ქართულში, ძირითადად, თანდებულების ფუნქციაა); ლაზურში ისევე, როგორც მეგრულში, არ ჩანს ქართულში მყარი, *მი-/ძო-* ორიენტაციის გამომხატველი სისტემური დაპირისპირება; სხვა ქართველური ენების მსგავსად, ზმნისწინი აქაც გამოხატავს სრულ ასპექტს, მაგრამ მომავალი დროის საწარმოებლად ლაზური უპირატესობას ანიჭებს არა ზმნისწინებით ნაწარმოებ ფორმებს, არამედ *ერე, მინონ-*ით აგებულ პარადიგმას, რომელსაც ხშირად მოდალური მნიშვნელობა აქვს (იხ. ქვემოთ, *სერიები და მწკრივები*).

ზმნისწინები არის ერთმარცვლიანი (=მარტივი) და ორმარცვლიანი (=როთული). მარტივები (*დო-/ო-* ზმნისწინის გარდა, რომელიც ქართული *და-*ს შესატყვისია) მიმართულებას გამოხატავენ; მათ დაერთვის ელემენტები, რომლებიც უმეტესად მოქმედების ბოლო წერტილის ლოკაციას აზუსტებენ და შედეგად ვიღებთ კომპლექსური სემანტიკის მქონე როთულ ზმნისწინებს. დიდი მიახლოებით (განსაკურთებით, როთული ზმნისწინების შემთხვევაში) ლაზურის ზმნისწინთა მნიშვნელობები შეიძლება განზოგადდეს – გამოიკვეთოს პროტოტიპული სივრცული მიმართებები – და შემდეგი ცხრილის სახით შევჯამდეს:<sup>3</sup>

	<i>ზემოთ</i> <i>-ჟა-/ჟე- /</i> <i>-ჟო-</i>	<i>უკან</i> <i>-კ(ნ)ა-</i> <i>/-კო-</i>	<i>ქვემოთ</i> <i>-წა-/წე-</i> <i>/-წო-</i>	<i>შენით</i> <i>-მა-/მე-</i> <i>/-შკა<sup>4</sup></i>	<i>კვერდით</i> <i>-ლა-/ლე-</i> <i>/-ლო-</i>
<i>ქვევიდან ზევით</i> <i>ე/დე-</i> (ხოფურში)	+	+	+	+	+
<i>იქითკენ</i> <i>მე-</i>	+	+	+	+	+
<i>აქეთკენ</i> <i>ძო-</i>	+	+	+	+	+
<i>ზევიდან ქვევით</i> <i>გე-</i>	+	+	+	+	+
<i>-დან, იქით-(აქეთ),</i> <i>გარეთ</i> <i>-გო-</i>	+		+	+	+
<i>ზედაპირზე</i> <i>დო-/ო-</i>		+			+


<sup>3</sup> საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს; ეს ცხრილი, ძირითადად, არნ. ჩიქობავას და ირ. ასათიანის (ჩიქობავა 1936, ასათიანი 1953) მონაცემების განზოგადებას წარმოადგენს. წარმოდგენილ ზმნისწინებს შეიძლება დაემატოს: *შე-, ა-მა-, გა-მა-, ო-ხო-, დე-ჟა-*, რომლებიც განკერძოებულად დგანან და სისტემურ კომბინაციებში არ მონაწილეობენ. დ. ჰოლისკი აფიქსირებს 42 ზმნისწინს (ჰოლისკი 1991).

<sup>4</sup> *-შკა-* ათინურის ფორმაა (დანელია 2006).

## ასპექტი

ასპექტი, ქართული გრამატიკული ტრადიციის მიხედვით, განასხვავებს მოქმედების დასრულებულობას. მის მიხედვით განასხვავებენ დასრულებულ (resp. სრული ასპექტი) და დაუსრულებელ (resp. უსრული ასპექტი) მოქმედებებს. ასპექტის სრული ფორმების გამოხატვის თვალსაზრისით, ზმნისწინიანი ფორმები ლაზურში იმავე რიგის პრობლემებს წარმოაჩენენ, რასაც ქართულში ვხვდებით ე.წ. უასპექტო ზმნების სახით. გარდა ამისა, აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, უწყვეტელი (ნამყო უსრული) : აორისტის დაპირისპირება და, მეორე მხრივ, სრული : უსრული ასპექტის დაპირისპირება. ეს კატეგორიები არ ფარავენ ერთმანეთს – მოქმედების შეწყვეტა (=აორისტი) აუცილებლობით არ გულისხმობს მის დასრულებულობას (შეიძლება დაუსრულებელი მოქმედებაც შეწყდეს), უწყვეტელი კი, როგორც წესი, უსრულია. ლაზურში ეს სხვაობა აისახება ზმნურ მორფოლოგიაში – მოქმედების დასრულებულობა გამოიხატება ზმნისწინებით, ხოლო მოქმედების უწყვეტობა/წყვეტილობა დრო-კილოთა სპეციფიკური მწკრივებით: უწყვეტელი (ე.წ. ნამყო უსრული) და წყვეტილი (ე.წ. აორისტი).

სრული ასპექტი ლაზურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, გამოიხატება ზმნისწინებით. ამავე ფუნქციით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებითი *ქო-* ნაწილაკიც. ზოგიერთ ზმნასთან (მაგალითად, მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში) ზმნისწინის დართვა მხოლოდ მიმართულებას აღნიშნავს და არ გამოხატავს სრულ ასპექტს; ასევე, შესაძლებელია, ზოგიერთი ზმნა, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, ვერ განასხვავებდეს მოქმედების დასრულებულობას. შესაბამისად, ასეთი ზმნა არც არასოდეს დაირთავს ზმნისწინს; ასეთ ზმნებს შეიძლება ეწოდოს უასპექტო:



## (3)-(9)-(10) პირის ნიშნები

ლაზური ზმნა, სხვა ქართველური ენების მსგავსად, მრავალპირიანია – გარკვეული პირის ნიშნებით მასში შეიძლება გამოხატული იყოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირი; ამასთანავე, ზმნური ფორმა შეიძლება ცალსახად მიგვანიშნებდეს შესამე პირზეც. ამდენად, პირთა კომბინაციების თვალსაზრისით, ზმნა



სტრუქტურულად შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი (resp. ერთვალენტიანი, ორვალენტიანი და სამვალენტიანი).

	სუბიექტი	პირდაპირი ობიექტი	ირიბი ობიექტი
ერთპირიანი	+	-	-
ორპირიანი <sup>5</sup>	+	+	-
	+	-	+
სამპირიანი	+	+	+

ზმნაში ყოველთვის არის წარმოდგენილი სუბიექტური პირის ნიშანი (გარდა SI-OII კომბინაციისა, იხ. ქვემოთ, *შეზღუდვის წესები*), ხოლო ობიექტური პირის ნიშნებიდან შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთ-ერთი – ან DO, ან IO.

სუბიექტური პირის ნიშნებია:

	მხოლოდითი	მრავლობითი
პირველი პირი	<i>ვ-</i>	<i>ვ-</i> <i>-თ</i>
მეორე პირი	-	<i>-თ</i>
მესამე პირი	<i>-ნ, -ს, -უ</i>	<i>-ან/-ნან/-ნ/-ეს</i>

ეს ნიშნები გარკვეული ვარიანტების (resp. ალომორფების) სახით რეალიზდებიან ლაზურის სხვადასხვა დიალექტსა თუ სხვადასხვაგვარ პოზიციაში:

სუბიექტური მესამე პირის ვარიანტები, ძირითადად, მორფოლოგიურად შეპირობებული (დრო-კილოთა მიხედვით განსაზღვრული) ალომორფებია (კარტოზია 2005):

- *-ნ* – აწმყოსა და ინვერსიულ I თურმეობითში
- *-ს* – კავშირებითებში
- *-უ* – ნამყო დროებში
- *-ან* – აწმყოში
- *-ნან* – აწმყოსა და I თურმეობითში
- *-ნ* – კავშირებითში
- *-ეს* – ნამყო დროებში

სუბიექტური პირველი პირის *ვ-* ხმოვნების წინ ვიწურ-არქაბულში გადადის *ბ-*ში; ხოლო თანხმოვნების წინ ყველა დიალექტში იძლევა: ან *ბ-*ს (მჟღერების

<sup>5</sup> ორპირიან ფორმებში პირთა კომბინაციის ორი შესაძლებლობის მიხედვით განასხვავებენ გარდამავალ (+პირდაპირი ობიექტი) და გარდაუვალ (-პირდაპირი ობიექტი, +ირიბი ობიექტი) ზმნებს. გარდამავლობის მიხედვით ერთპირიანი ზმნაც გარდაუვალი გამოდის, რამდენადაც აქაც გამორიცხულია პირდაპირი ობიექტი, ხოლო სამპირიანს (resp. გარდამავალს) დიტრანზიტიულს უწოდებენ.

წინ), ან **ფ**-ს (ფშვინვეიერებისა და ყრუ ნაპრალოვნების წინ), ან **ჰ**-ს (მკვეთრების წინ; ვიწურ-არქაბულში ეს **ჰ**- თავისუფლად მონაცვლეობს **ბ**-სთან); ცხვირისმიერთა წინ ის შეიძლება გადავიდეს **მ**-შიც; და, საერთოდ, შეიძლება დაიკარგოს კიდევ ბაგისმიერი თანხმოვნების წინ ან ზოგიერთი ზმნისწინის შემდეგ:

პოზიცია	ალომორფები <sup>6</sup>
-V	<b>ვ</b> -, <b>ბ</b> -
V-V	<b>ვ</b> -, <b>ბ</b> -, $\emptyset$
- C მჟღერი	<b>ბ</b> -
- C ფშვინვეერი	<b>ფ</b> -, <b>ბ</b> -, <b>ჰ</b> -, <b>ვ</b> -
- C მკვეთრი	<b>ჰ</b> -
- <b>ბ, ფ, პ, მ</b>	$\emptyset$ -, <b>ბ</b> -
- <b>წ</b>	<b>მ</b> -

პირის ნიშნების მიხედვით არ განსხვავდებიან პირდაპირი და ირიბობიექტური პირები:

	მხოლობითი	მრავლობითი
პირველი პირი	<b>მ</b> -	<b>მ</b> - <b>-თ/-S.3.PL</b>
მეორე პირი	<b>გ</b> -	<b>გ</b> - <b>-თ/-S.3.PL</b>
მესამე პირი	-	- <b>(-S.3.PL)</b>

ობიექტური პირის ნიშანთა ალომორფების განაწილება შემდეგ წესებს ემორჩილება:

- **გ->კ**- (გლოტალიზებულიების წინ) და **გ->ქ**- (სხვა ყრუების წინ);
- S და O კომბინაციებში, თუ III პირის სუბიექტი მხოლობითშია, მისი მრავლობითობის ნიშნები **-ან/-ნან/-ნ/-ეს** (ზემოთ წარმოდგენილი პირობებით) გამოიყენება ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად, სხვა კომბინაციებში კი გამოიყენება **-თ**;
- ცხრილში მესამე პირის ნიშნები მოცემულია ფრჩხილებში, რამდენადაც ისინი ჩნდებიან მხოლოდ გარკვეულ, ე.წ. ინვერსიულ, ზმნებთან ინვერსიული სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად. ასეთი ზმნებია გრძნობა-აღქმისა და ფიზიკური მდგომარეობის ამსახველი (resp. აფექტური ზმნები), რომელთა

<sup>6</sup> SI-პირის ალომორფთა განაწილება მოცემულია ლ. ეზუგბაიას ნაშრომის მიხედვით (ეზუგბაია 2010). ალომორფები დალაგებულია მათი გავრცელებულობის კლების მიხედვით. ზმონისწინა პოზიციაში ალომორფები განაწილებულია დიალექტების მიხედვით, სხვაგან ეს განაწილება დიალექტების მიხედვით სხვაობას არ გვიჩვენებს – პრინციპი ერთია ყველა დიალექტისთვის.

სუბიექტიც „მოქმედებს“ საკუთარი ნების გარეშე; მაგალითად, *ჰემუ-ს ანჯი-რენ* : *ჰემთეფე-ს ანჯირე-ნან* (იმას ეძინება : იმათ ეძინებათ), *სი(ნ)გო-გ-ოჭ-კუნდუ* : *თქვან გო-გ-ოჭკუნდ-ეს* (შენ დაგავიწყდა : თქვენ დაგავიწყდათ) *მა(ნ) მ-აშქურინ-უ* : *ჩქენ მ-აშქურინ-ეს* (მე შემეშინდა : ჩვენ შეგვეშინდა) და ა.შ. ასეთი ზმნები, სხვა ქართველური ენების მსგავსად, ლაზურშიც არაკანონიკურ სტრუქტურებს ქმნიან: მათი სუბიექტი დგას მიცემითში (სახელობითის ან მოთხრობითის ნაცვლად) და ზმნაშიც, შესაბამისად, აღნიშნება არა აქტიური (resp. სუბიექტური), არამედ პასიური (resp. ობიექტური) პირის ნიშნებით. სწორედ პირის ნიშანთა ფუნქციების ამგვარი შებრუნების გამო, ქართული გრამატიკული ტრადიციის მიხედვით, მათ ინვერსიულებს უწოდებენ.

რამდენადაც მორფემათა ჯაჭვში პირის ნიშნებისთვის მხოლოდ თითო-თითო პოზიცია ივარაუდება [პრეფიქსებისთვის (3), ხოლო სუფიქსებისთვის (9)], წარმოქმნილი „კონფლიქტური“ სიტუაციების დასაძლევად მოქმედებს პირის ნიშანთა წარმოდგენის შეზღუდვის შემდეგი წესები (ჰოლისკი 1991):

- მხოლოდობითი ობიექტური II პირი სჯობნის სუბიექტურ I პირს;
- ზმნაში გამოიხატება მხოლოდ ერთი პირის მრავლობითობა და სუბიექტის მრავლობითობა სჯობნის ობიექტისას;
- სუბიექტის III მხოლოდობითი პირის *-ს* ნიშანს (მაგრამ არა *-ნ-ს*) სჯობნის ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი *-თ*;
- სუბიექტის III მხოლოდობითი პირის *-უ* ნიშანს სჯობნის ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი *-ეს*.

ქვემოთ, ცხრილის სახით წარმოდგენილია ორპირიანი ზმნის („ზომავს“) უღლების ნიმუში პირთა ყველანაირი კომბინაციისათვის.

○ მხ.	მე – <i>მა</i>	შენ – <i>სი</i>	ის – <i>ჰეა</i>
S			
მე – <i>მა</i>	<i>–<sup>7</sup></i>	<i>გ-ზუმუმ</i>	<i>ბ-ზუმუმ</i>
შენ – <i>სი</i>	<i>მ-ზუმუმ</i>	–	<i>ზუმუმ</i>
ის – <i>ჰეა</i>	<i>მ-ზუმუმ-ს</i>	<i>გ-ზუმუმ-ს</i>	<i>ზუმუმ-ს</i>
ჩვენ – <i>ჩქენ</i>	–	<i>გ-ზუმუმ-თ</i>	<i>ბ-ზუმუმ-თ</i>
თქვენ – <i>თქვან</i>	<i>მ-ზუმუმ-თ</i>	–	<i>ზუმუმ-თ</i>
ისინი – <i>ჰემთეფექ</i>	<i>მ-ზუმუმ-ან</i>	<i>გ-ზუმუმ-ან</i>	<i>ზუმუმ-ან</i>


<sup>7</sup> „ – “-ით აღნიშნული კომბინაციები ლოგიკურად გამორიცხულია: I ან II არ შეიძლება იყოს ერთდროულად მოქმედების სუბიექტიც და ობიექტიც; ამ შემთხვევებში გვაქვს ეწინააღმდეგარე კონსტრუქციები.

S \ O მრ.	ჩვენ – ჩქუნ	თქვენ – თქვან	ისინი – ჰემთეფე
მე – მა	–	გ-ზუმუმ-თ	ბ-ზუმუმ
შენ – სი	მ-ზუმუმ-თ	–	ზუმუმ
ის – ჰეა	მ-ზუმუმ-ან	გ-ზუმუმ-ან	ზუმუმ-ს
ჩვენ – ჩქუნ	–	გ-ზუმუმ-თ	ბ-ზუმუმ-თ
თქვენ – თქვან	მ-ზუმუმ-თ	–	ზუმუმ-თ
ისინი – ჰემთეფეჲ	მ-ზუმუმ-ან	გ-ზუმუმ-ან	ზუმუმ-ან

**(4) ხმოვანპრეფიქსები**

ყველა ქართველურ ენაში, მათ შორის ლაზურშიც, ზმნის ძირთან უახლოეს პრეფიქსულ პოზიციაში ფიქსირდება ხმოვნები. ლაზურში ასეთი ხმოვანპრეფიქსები: ა-, ი-, ო-, უ-, რომლებიც გამოხატავენ ზმნის დერივაციულ კატეგორიებს: ქცევა, გვარი, კაუზაცია.

ხმოვანპრეფიქსების საერთო, ზოგადი ფუნქციაა ზმნასთან მორფოსინტაქსურად დაკავშირებული სახელების (resp. არგუმენტების – ან აგენსის (Ag), ან ადრესატის (Ad))<sup>8</sup> რაოდენობის (resp. ვალენტობის) ცვლის (ან გაზრდის, ან შემცირების) გამოხატვა:



იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა როლის მქონე სახელი იკარგება ან ჩნდება ზმნის ვალენტობით განსაზღვრულ არგუმენტულ სტრუქტურაში, განსხვავდება ქცევის (=ჩნდება ან იკარგება ადრესატი), კაუზაციისა (=ჩნდება აგენსი) და გვარის (=იკარგება აგენსი) კატეგორიები.<sup>9</sup>

<sup>8</sup> პაციენსი (P) ზმნის სემანტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული როლია; მისი დაკარგვა-გაჩენა იწვევს ზმნური სემანტიკის რადიკალურ ცვლას და, ამდენად, ზმნის ვალენტობის გაზრდა-შემცირების დერივაციულ მოდელებში ის არ მონაწილეობს.

<sup>9</sup> ამ კატეგორიების შესახებ იხ. რ. ასათიანის ნაშრომი (ასათიანი 2016).

## (5) ძირი

ზმნური ძირი ლაზურში მყარია – საერთოქართველურ ფუძედრეკად ზმნათა სისტემა აქ მეტად შერყეულია (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965). ფუძის ფლექსია მხოლოდ მცირე რაოდენობის ზმნებს ახასიათებთ დიალექტური სხვაობებით.<sup>10</sup>

### სუბლექტივიზმი

თავისებური უღვლილების მქონე ზმნების რაოდენობა ლაზურში საკმაოდ მცირეა. რამდენიმე ზმნა სუბლექტურია I და II სერიების ფუძეთა მიხედვით: **ქ-იფ** : **ყ** (ქმნა), **(ო)რ** : **ყ** (ყოფნა), **ზოპონ<sup>ბ</sup>/იტურს<sup>ბ</sup>** : **თქ** (თქმა), **მზორ** : **ჭკომ** (ჭამა), **ულუ** : **ხი/ხტ**(სვლა), **მერ** : **ღ** (მოტანა); დასტურდება, ასევე, რიცხვისა (**ზინ** : **ბღ** (ყრა-ცვენა)) და სახელის სულიერობის (**ყონ** : **ღუნ** (ყოლა-ქონა), **(ნ)ჯირ** : **დ(ვ)** (წევს-დევს)) მიხედვით განსხვავებული სუბლექტური ზმნური ფორმები.

## (6) დრო-კილოთა სერიები და მწკრივები

ზმნის მორფემულ ჯაჭვში სუფიქსურ მორფემათა რიგი: (6)სერიების ფუძეთა მაწარმოებლები + (7) უწყვეტლის მაწარმოებელი + (8) კავშირებით და პირობით კილოთა მაწარმოებლები ემსახურება დრო-კილოთა სხვადასხვაგვარი კომბინაციის ფორმალიზებას და ფორმალური თუ სემანტიკური ნიშნების გათვალისწინებით ქმნის სამ სერიასა და 22 მწკრივს.

სერიების გამოყოფის საფუძველია ზმნის ფუძე და ზმნური კონსტრუქციის ინვერსიულობა: პირველ სერიაში ფუძე გართულებულია ეწ. სერიის (resp. თემის – შანიძის ტერმინოლოგიით, შემდგომ მითითებებში: **სნ** – SM) ნიშნებით, რომლებიც მეორე სერიაში არ დასტურდება;<sup>11</sup> მესამე სერიაში კი გამოიყოფა ზმნურ ფორმათა ორი რიგი: ძველი (სუბიექტ-ობიექტის ბრუნვებისა და ზმნური პირის ნიშნების მიხედვით ინვერსიული) და ახალი (არაინვერსიული).<sup>12</sup>

მწკრივები გამოიყოფა კომპლექსური ფორმალური ნიშნების საფუძველზე, რომელთა ხასიათი უფრო ფლექსიურ პრინციპს მისდევს: ერთი და იგივე მარკერი გამო-

<sup>10</sup> სრული სია ასეთი ზმნური ფუძეებისა მოცემულია გ. კარტოზიას ნაშრომში (კარტოზია 2005).

<sup>11</sup> I-II სერიათა გამოჯენისათვის სინტაქსური ნიშანი (ზმნის არგუმენტთა ბრუნვათა ყალიბები) ლაზურისათვის ღირებული არაა (იხ. ქვემოთ, *სინტაქსი*).

<sup>12</sup> ნ. მარის (მარი 1910), არნ. ჩიქობავას (ჩიქობავა 1936) და სხვათა აზრით, ინვერსიული თურმეობითები ლაზურში მხოლოდ ნაშთის სახითაა შემორჩენილი, თუმცა ეს ფორმები, დიალექტური მცირედენი სხვაობებით, საკმაოდ გავრცელებულია და მათი არე გაფართოების ტენდენციას ავლენს (კარტოზია 2005). ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ეს არაინვერსიული თურმეობითები წარმოდგენილია არა ცალკე სერიის ფორმებად (რაც შესაძლოა უფრო გამართლებულიც იყოს), არამედ ამ თურმეობითების შესაბამისი ფუძის მორფოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, ან პირველი, ან მეორე სერიის ფორმებთან.

სატაგს რამდენიმე მნიშვნელობას და, პირიქით, ერთი მნიშვნელობა გამოიხატება მორფმათა გარკვეული კომბინაციით. საკითხს ართულებს დიალექტური სხვაობებიც.

ქვემოთ, ცხრილში ნიმუშის სახით წარმოდგენილია „წერა“ ზმნის უღლება:

სრ	მწ	დასახელება <sup>13</sup>	ნიმუში	ფორმა	ფორმის თარგმანი
I	1	აწმყო	ჭარ-უფ <sup>14</sup> -(რ)/მ/ს	ძირი+სნ+პნ	წერს
	2	ნამყო უსრული	ჭარ-უფ-ტ-ი/უ	ძირი+სნ+ტ+პნ	წერდა
	3	კავშირებითი-I	ჭარ-უფ-ტ-ა-ს	ძირი+სნ+ტ+ა+პნ	წერდეს
	4	ნანამყო უსრულარი თურმეობითი-I	ჭარ-უფ-ტ-ურენზ/ ჭარ-უმ-ტ-უ-ღორენზ	ძირი+სნ+ტ+დამზ. ზმნა+პნ/ძირი+სნ+ტ+პნ+დამზ. ზმნა	წერდა თურმე
	5	პირობითი-I	ჭარ-უფ-ტ-ი/უ-კონზ/ ჭარ-უმ-ტ-ი/უ-კონ(ნ)ზ <sup>15</sup>	ძირი+სნ+ტ+პნ+პირ.	რომ წერდა
	6	მყოფადი-I	(რ)ტასუნონზ/ (რ)ტასენზ/ ორტასენზ	დამხმარე ზმნისა და ძირითადი ზმნის აწმყო	წერს იქნება
	7	მყოფადი-I-ის ნამყო	(რ)ტასუნტუზ/ ტასტუზ/ორტასენზ	დამხმარე ზმნისა და ძირითადი ზმნის ნამყო	წერდა იქნებოდა
II <sup>15</sup>	8	აორისტი	(დო)-ჭარ-ი/უ	ძირი+პნ	(და)წერა
	9	კავშირებითი-II	ჭარ-ა-ს	ძირი+ა+პნ	წეროს
	10	ნაორისტალი თურმეობითი-I	ჭარ-ე(ლე(რ))ენზ/ ჭარ-უ-ღორენზ	ძირი+დამხმარე ზმნის აწმყო	წერა თურმე
	11	ნაორისტალი თურმეობითი-II	ჭარ-ე(ლე(რ))ეტუზ/ ჭარ-უ-ღორტუ(ნ)ზ	ძირი+დამხმარე ზმნის ნამყო	ეწერა თურმე
	12	ნაორისტალი კავშირებითი	ჭარ-ე(ლე(რ))ეტასზ	ძირი+ დამზ. ზმნა+ა+პნ	ეწეროს
	13	პირობითი-II	ჭარ-ი/უ-კონ(ნ)ზ <sup>15</sup>	ძირი+პნ+პირ.	რომ წერა
	14	მყოფადი-II	ჭარ-ა-ს-უნონზ/ ჭარ-ა-ს-(რ)ენზ <sup>15</sup>	ძირი+ა+პნ+დამზ. ზმნა	(უნდა) წეროს
	15	მყოფადი-II-ის ნამყო	ჭარ-ა-ს-უნტუზ/ ჭარ-ა-ტ-უზ <sup>15</sup> / ჭარ-ა-ს-ერტუზ	ძირი+ა+პნ+დამზ. ზმნა	უნდა (ეწერა)

<sup>13</sup> დასახელებები და ნიმუშები მისდევს გ. კარტოზიას მიერ ჩამოყალიბებულ მწკრივთა ცხრილს (კარტოზია 2005).

<sup>14</sup> ხოფურ-ჩხალურის -აფ-ის ნაცვლად ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართამენულში გვაქვს -ამ-. ქვემოთ ყველგან დიალექტურ სხვაობებს აღვნიშნავთ ინდექსური შემოკლებებით: **ხ** (ხოფურ-ჩხალური), **ვ** (ვიწურ-არქაბული), **ა** (ათინურ-ართამენული)

<sup>15</sup> მეორე სერიის ფორმები, როგორც წესი, აკლია იმ ზმნებს, რომლებიც, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, გამორიცხავენ მოქმედების წყვეტილობა-დასრულებულობას (ასეთი ზმნები, ძირითადად, პროცესუალური, სტატიკური ზმნებია).

	16	ნააორისტალი თურმეობითის პირობითი	<i>ჭარ-ე(ლერ)ე-ტ-უ-კონზ</i>	ძირი+დამზ. ზმნა+ტ+პნ+პირ.	რომ ეწერა თურმე
	17	მყოფადის ნამყოს თურმეობითი	<i>ჭარ-ა-ს-უნტერენზ/ ჭარ-ა-ტ-უდორენრქ</i>	ძირი+ა+დამზ. ზმნა	უნდა ეწერა თურმე
	18	მყოფადის ნამყოს პირობითი	<i>ჭარ-ა-ტ-უ-კონ(ზ)ზარქ</i>	ძირი+ა+პნ+პირ.	რომ უნდა ეწერა
III <sup>16</sup>	19	ინვერსიული თურმეობითი-I	<i>ი/უ-ჭარ-უნ</i>	ი/უ+ძირი+პნ	უწერია
	20	ინვერსიული თურმეობითი-II	<i>ი/უ-ჭარ-უ-ტ-უ</i>	ი/უ+ძირი+უ+ტ+პნ	ეწერა
	21	ინვერსიული კავშირებითი-III	<i>ი/უ-ჭარ-უ-ტ-ა-ს</i>	ი/უ+ძირი+უ+ტ+ა+პნ	ეწეროს
	22	ინვერსიული პირობითი-III	<i>ი/უ-ჭარ-უ-ტ-უ-კონ(ზ)</i>	ი/უ+ძირი+უ+ტ+პნ+პ ირ.	რომ ეწერა

ამ ფორმების ანალიზის შედეგად ნათლად გამოიყოფა უღლების პარადიგმები-სათვის დამახასიათებელი რამდენიმე კანონზომიერება:<sup>17</sup>

- არაინვერსიული თურმეობითები დამხმარე ზმნით შედგენილი კონსტრუქციებია და ფორმალურად უპირისპირდებიან მარტივი ზმნური ძირიდან ნაწარმოებ თხრობით და კავშირებით-პირობით კილოთა მწკრივებს;
- მყოფადის მწკრივები, ასევე, დამხმარე ზმნიანი კონსტრუქციებია – ან რთული (მყოფადი I და მყოფადი I-ის ნამყო) ან შედგენილი (სხვა ყველა);
- კავშირებითებში ყველგან დასტურდება *-ა-* სუფიქსი;
- პირობითი კილოს *კონ(ზ)* სუფიქსი ყოველთვის ზმნური ფორმის ბოლოშია პირის ნიშნების შემდეგ;
- ნამყო უსრულის (უფრო ზუსტად, უწყვეტლის – იხ. ასპექტი) მაწარმოებელია *-ტ-*, რომელიც დასტურდება ყველა იმ მწკრივის (ან მარტივი, ან რთული/შედგენილის) ფორმაში, სადაც ნამყო უსრულობის სემანტიკა შენარჩუნებულია;
- აწმყოს ფუძე გაცრცობილია ძირზე ე.წ. სერიის ნიშნების დართვით: *-უმ-/-ამ-/-ომ-/-იმ-/-ემ-* (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართამენულში) და *-უფ-/-აფ-/-ოფ-/-იფ-/-ემ-* (ხოფურ-ჩხალურში). ამათგან *ა* და *უ* ხმოვნიანი ალომორფები უფრო ხშირია; სპორადულად გვხვდება *ე* ხმოვნიანი ვარიანტებიც; ვნებითის I სერიის ფორმებისათვის დამახასიათებელი დაბოლოებებია: *-უ* და *-უ*. ტექსტებსა და ზეპირმეტყველებაში სპორადულად შეიძლება დაფიქსირდეს: *-უმერ(-უმელ)-/ონ-/-ან-/-ინ-/-ოლემ-/-Ø-* სერიის ნიშნებიც;

<sup>16</sup> ამ სერიის ე.წ. ინვერსიული ფორმები ახასიათებთ მხოლოდ (1) და (3) კლასის ზმნებს.

<sup>17</sup> კონკრეტულ ფორმათა ვარიანტულობისა და შესაძლო ასხნებისათვის იხ. გ. კარტოზიას ნაშრომი (კარტოზია 2005).

- I/II და III პირთა ფორმები დრო-კილოთა მიხედვით ქმნიან ზმნურ ფორმათა დიქტომიას (შდრ.: ჰოლისკი 1991):

	I/II პირი	III პირი	
		მხოლოდითი	მრავლობითი
აწმყოს რიგი	<b>-რ</b> (ხმოვანფუძიანებთან აწმყოში)/ <b>Ø</b>	<b>-ნ</b> (აწმყო, ინვ. თურმ. -I)/ <b>-ს</b> (კავშ.)	<b>-ან</b> (აწმყო)/ <b>-ნან</b> (აწმყო, თურმ.-I)
აორისტიისა და უწყვეტლის რიგი	<b>-ი</b> <sup>18</sup>	<b>-უ</b>	<b>-ეს</b>
კილოების რიგი	<b>-</b>	<b>-ს</b>	<b>-ნ</b>
ხმოვანპრეფიქსები	<b>ი-</b>	<b>უ-</b>	

### ზმნურ ფორმათა სრული ჯაჭვი

მორფემათა წარმოდგენილი ჯაჭვი კიდევ უფრო „გრძელდება“ მეშველი ზმნით ნაწარმოებ რთულ – უნახაობისა და მომავალი დროის გამომხატველ – ფორმებში; ასევე, პირობითობის მაწარმოებელი **-კონ-**ით, რომელიც ჩნდება მხოლოდ მარტივ ზმნურ ფორმებთან მე-11 პოზიციაში. ზმნური ფორმა შეიძლება გართულდეს, ასევე, გარკვეული კლიტიკებით, რომლებიც, როგორც ფუნქციური ელემენტები, დამახასიათებელია ლაზურის დისკურსისათვის. ამგვარი კლიტიკებია:

### სხვათა სიტყვის ნაწილაკები

სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ლაზურში გამოიყენება შემდეგი სპეციალური ნაწილაკები (ჩიქობავა 1936): **-ა/-მა**, **-დერი/დეი**, **-შო**, **-მა**. ამათგან:

- (1) **-ა/-მა** გამოიყენება, როდესაც მეტყველი (resp. პირველი პირი) სიტყვასიტყვით გადმოგვცემს შესაძე ან მეორე პირის ნათქვამს (ამავე მნიშვნელობით, უმეტესად ათინურში, გამოიყენება თურქულიდან ნასესხები **-დერი/ დეი**);
- (2) **-შო** ჩნდება, როდესაც მეტყველი თავის ნათქვამს გადასაცემად აბარებს მეორე პირს; ხოლო
- (3) **-მა** გამოიყენება, როდესაც მეტყველი გადმოგვცემს საკუთარსავე ნათქვამს ან ადრე ნაფიქრს.

ყველა შემთხვევაში იგულისხმება რომელიმე პირის ნათქვამის გადმოცემა და, ამდენად, ამ კონსტრუქციებში ხშირად (მაგრამ არა აუცილებლად, განსაკუთრებით თუ სხვათა სიტყვის ნაწილაკი წარმოდგენილია) ფიქსირდება მეტყველების გამომხატველი ზმნები, ან მეტყველის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების ამსახველი, ემოციურად შეფერილი სამეტყველო აქტის გამომხატველი ზმნები; მაგ.: **თქმა**, **დაბარება**, **მოხსენება**, **ბრძანება**, **საყვედური**, **გაცინება**, **გაბრაზება** და სხვ. ამდენად,

<sup>18</sup> მწკრივებისა და სერიების ამსახველ ცხრილში ეს სუფიქსური ხმოვანი პირის ნიშნის სახით არის მინიშნებული და აორისტიისა და უწყვეტლის გარდა გვხვდება I პირობითშიც.



იქმნება რთული კონსტრუქციები, სადაც ერთ-ერთ შემადგენლურ წინადადებაში წარმოდგენილია ეს მეტყველების გამომხატველი ზმნები, თავად სათქმელი კი, თავისი ნაწილაკებით, წარმოდგენილია მეორეში. ფორმალური კავშირი ამ ორ შემადგენლურ წინადადებას შორის თანწყობის პრინციპს მისდევს და, ძირითადად, უკავშიროდ ხორციელდება.

- (3) შემთხვევაში, ორივე შემადგენლური წინადადების ზმნა სუბიექტური პირველი პირის ფორმითაა წარმოდგენილი, ხშირად ობიექტური წყობისა (მაგალითად, *გეუბნები, კარგად ვარ-მეთქი; ვერ გაიგე, ვამბობ, კარგად ვარ-მეთქი*);
- (2) შემთხვევაში, თუ მეტყველი თავის ნათქვამს გადასაცემად აბარებს მეორე პირს, მეტყველის სიტყვები მესამე პირის ფორმითაა გადმოცემული და მას ემატება შესაბამისი ნაწილაკი, ხოლო მეტყველების ამსახველი ზმნა მეორე პირშია (მაგალითად, *ჩემან მოიკითხე და გადაეცი, კარგად არის-თქო*);
- (1) შემთხვევაში, მეტყველების გამომხატველი ზმნა წარმოდგენილია მესამე პირის ფორმით, ხოლო ნათქვამის ძირითადი ზმნა – ნებისმიერი პირის ფორმით, სათქმელის შესაბამისად (მაგალითად, *ასე მითხრა, კარგად ვარ-ო/კარგად ხარ-ო/კარგად არის-ო*).

ამ მიმართებების გამომხატველი კლიტიკული ნაწილაკები მეტ-ნაკლებად ყველა ქართველურ ენაში გვხვდება, სადაც კი ამგვარი ორი სალოკუციო აქტი ერთიანდება ერთ რთულ კონსტრუქციად. ლაზურში დადასტურებული ამგვარი კონსტრუქციების ნიმუშები:<sup>19</sup>

- *თილაქი-ქ ნეკნა ვა გო-შ-ა-წყ-ე-ნ=მა.*  
მელა-ERG კარი.NOM არ PR-SINVI-PASS-გალება-PASS-OINV3=IS.3  
მელამ (თქვა), კარს ვერ გავალებო.
- *თითო მარქვალი ქო-ღო-სქე-ო-თ დო ქო-პ-ჭკომ-ა-თ=შო, თქე-ი.*  
თითო კვერცხი.NOM AFF-PR-ღება-AOR-S2.PL და AFF-S1-ჭამა-SM-S1.PL=IO.2 S2.თქმა-AOR.S2.SG  
თითო კვერცხი კი დადეთ და ვჭამოთო.
- *გეულე ქო-პ-ჭკომ-ა-თ=მა, გ-ი-წუშერ-თ.*  
მერე AFF-S1-ჭამა-SM-S1.PL=IS.1 O.2-OV-თქმა-FUT-S1.PL  
მერე ვჭამოთ-მეთქი, გეტყვით.

### კითხვითობის ნაწილაკები

<კი/არა> ტიპის ზოგადი კითხვა ლაზურში გამოიხატება ან მხოლოდ სპეციფიკური (თხრობითისგან განსხვავებული) ინტონაციით ან კითხვითი ნაწილაკით *ი/მა*, რომელიც, ძირითადად, დაერთვის ზმნას (თუკი ასეთი არის) ან ნებისმიერ სიტყვას (ეს ხდება, ძირითადად, დიალოგებში, მეორეული კითხვის, ე.წ. ჩაკითხვის, შემთხვევაში). კითხვითი ნაწილაკი, როგორც წესი, ზმნური ფორმის ბოლოშია წარმოდგენილი და მას შეიძლება მოსდევდეს მხოლოდ სხვათა სიტყვის ნაწი-

<sup>19</sup> შეიმჩნევა ტენდენცია პირველ და მეორე პირთა ნაწილაკების ნაცვლად მესამე პირის ნაწილაკის ხმარებისა.

ლაკი და/ან მის მომდევნოდ კავშირი, რომელიც ლაზურში კლიტიკად არის ქცეული და ზმნურ ფორმას ერწყმის. მაგალითად:

- **ნანა-ს ზუა დო-ბონ-ი-ი-და-შა?**  
 დელა-DAT ტანი.NOM PV-ბანა-SM-AOR.S2.SG=QP=IS.3=CONJ

როცა დელას ტანი დაბანო?

კითხვითი და სხვათა სიტყვების ნაწილაკები ერთმანეთთან კომბინაციაში იცავენ კომბინატორიკის შემდეგ წესებს (კარტოზია 2005):

- კითხვითი *ი* + → სხვათა სიტყვის *და* → *იია* (ხოფურის სარფულ თქმაში);
- სარფულშივე, თუ ზმნური ფორმა *ი*-ზე ბოლოვდება, წარმოიქმნება *იიია* სეგმენტი (მაგალითად, *ძირი-ი-ა* → *ძიიია* (ინტერვოკალურ პოზიციაში *რ*-ს დაკარგვით): *ვა ძიიია?* „ვერ ნახეო“). ეს სეგმენტი შეიძლება გამარტივდეს და შედეგად სარფელთა მეტყველებაში გვხვდება *იიია/იია* პარალელური ფორმები.

თუ ამ ნაწილაკებსაც ჩავრთავთ ზმნური ფორმების ზემოთ წარმოდგენილ მორფემათა ჯაჭვში და მომავალი დროისა თუ თურმეობითის რთული ფორმების მეშვეობით წარმოებასაც გავითვალისწინებთ, მივიღებთ სხვადასხვაგვარი ზმნური ფორმის ამსახველ ამომწურავ სტრუქტურულ მოდელს:

- (1) მტკიცებითი ნაწილაკი
- (2) ზმნისწინები
- (3) პირის ნიშნები
- (4) ხმოვანპრეფიქსები
- (5) ძირი
- (6) სერიების ფუძეთა მაწარმოებლები
- (7) უწყვეტლის მაწარმოებელი
- (8) კავშირებით და პირობით კილოთა მაწარმოებლები
- (9) თურმეობითების მაწარმოებელი -*ერე*<sup>20</sup>
- (10) SIII პირის ნიშნები
- (11) ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი
- (12) მომავალი დროის მაწარმოებელი უღლებადი მეშველი ზმნა *უნონ* ან მაწარმოებელი -*ერე*<sup>21</sup>
- (13) პირობითობის -*კონ*
- (14) თურმეობითების მაწარმოებელი *დორენ/დორტუნ/დორტას*<sup>22</sup>
- (15) კითხვითი ნაწილაკი

<sup>20</sup> *ერე* ფორმანტი დასტურდება მხოლოდ ხოფურში; ის შეუთავსებელია მე-(12) და მე-(13) პოზიციაში წარმოდგენილ მორფემებთან.

<sup>21</sup> *უნონ* უღლებადი მეშველი ზმნა გვხვდება მხოლოდ ხოფურში, დანარჩენ დიალექტებში კი გავრცელებულია *ერე* ფორმაუცვლელი დამხმარე ელემენტი.

<sup>22</sup> ეს ფორმაუცვლელი სუფიქსები (14) გავრცელებულია ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში და გამორიცხავენ პირობითობის მაწარმოებელ სუფიქსს *კონ*-(14) – ზმნაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი: ან (13) ან (14).

- (16) სხვათა სიტყვის ნაწილაკი  
(17) მაკავშირებელი ნაწილაკი

### ლიტერატურა

- ანდერსონი 1963:** R. D. Anderson, *A Grammar of Laz*, Dissertation, University of Texas, Austin.
- ასათიანი 1953:** ირ. ასათიანი, *ზმნისწინები ლაზურში*, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
- ასათიანი 1974:** ირ. ასათიანი, *ჭანური (ლაზური) ტექსტები (ხოფური კილოკავი)*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ასათიანი 1997:** ირ. ასათიანი, *ზანური პრევერბი და მიქცევით-უკუქცევითობის საკითხი, საიუბილეო კრებული „ვიორგი როგავას“*, თბილისი.
- ასათიანი 2011:** რ. ასათიანი, *ლაზურის გრამატიკის კონსპექტი*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ასათიანი 2016:** რ. ასათიანი, *ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა და ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციები ლაზურში, სამეცნიერო კვლევები, წელიწადული*, № 5, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- დიუმეზილი 2009:** ე. დიუმეზილი, *ლაზური ზღაპრები და გადმოცემები*, თბილისი.
- ეზუგბაია 2010:** ლ. ეზუგბაია, *მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- კარტოზია 1961:** გ. კარტოზია, *მეშველზმნიანი მყოფადის წარმოებისათვის ჭანურში*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XII სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.
- კარტოზია 1970:** გ. კარტოზია, *ლაზური ტექსტები (ათინური კილოკავის ნიმუშები)*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, №4, თბილისი.
- კარტოზია 1972:** გ. კარტოზია, *ლაზური ტექსტები*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- კარტოზია 1976:** გ. კარტოზია, *არაინვერსიულ თურმეობითა წარმოებისათვის ლაზურში*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.
- კარტოზია 1993:** გ. კარტოზია, *ლაზური ტექსტები*, II, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- კარტოზია 1993:** G. Kartoziya, *Zum Problem der Wechselbeziehung der zanischen Dialekte*, “Caucasica”, vol. 1, Tbilisi.
- კაჭარავა 1950:** გ. კაჭარავა, *სხვათა სიტყვის ნაწილაკები ქართულსა და ზანურში*, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- მარი 1910:** Н. Я. Марр, *Грамматика чанского (лазского) языка*, СПб.

- მაჭავარიანი 1953:** გ. მაჭავარიანი, *ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში*, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
- მემიშიში 2005:** მ. მემიშიში, -ნა კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ლაზურში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის კრებული, IV, ბათუმი.
- ჟღენტი 1938:** ს. ჟღენტი, *ჭანური ტექსტები, არქაული კილოკავი*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტფილისი.
- როგავა 1988:** გ. როგავა, *ზანური ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში*, იკე, XXVII, თბილისი, 1988.
- ქირია 2003:** ჭ. ქირია, კავშირებითის ნაკვთების მაწარმოებელი ზანურში, *საენათმეცნიერო ძიებანი*, XV თბილისი.
- ქირია 2004:** ჭ. ქირია, -კონ(ნ) სუფიქსის ფუნქციისთვის ზანური პირობითის ნაკვთებში, *ქართველოლოგიური კრებული*, III, თბილისი.
- ყიფშიძე 1939:** ი. ყიფშიძე, *ჭანური ტექსტები*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტფილისი.
- ჩიქობავა 1936:** არნ. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ჩიქობავა 1944:** არნ. ჩიქობავა, *ჭანური მყოფადის წარმოებისათვის*, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, (I), თბილისი.
- ჯიქია 1954:** ს. ჯიქია, ე. ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ, იკე, VI, 1954.
- პოლისკი 1988:** Dee A. Holisky, On Hypotaxis in Laz, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადური [Annual of Ibero-Caucasian Linguistics]*, XV, თბილისი.
- პოლისკი 1991:** Dee A. Holisky, Laz, *The Indigenous Languages of the Caucasus: The Kartvelian Languages*, Vol. 1, ed. by A.C. Harris, Caravan Books, Delmar, New York.

Rusudan Asatiani

## The Structure of the Laz Verb Forms

### Summary

Verb forms in Laz are represented by various grammatical categories: Person, Number, Tense, Aspect, Mood, Causative, Voice, Version, Location, Direction. The principle of agglutination, along with inflexion, builds a string of morphemes and verb morphology mirrors the system of very complex and complicated verb categories. Structurally a Laz verb may incorporate the following elements:

- (1) **AFFIRMATIVE PARTICLE** (*ko-*)
- (2) **PREVEB(S)**
- (3) **S/O AGREEMENT PREFIX** (*-v-/-m-/-g-*)
- (4) **CHARACTERISTIC VOWEL** (*-a-/-i-/-u-/-o-*)
- (5) **ROOT**
- (6) **SERIES SUFFIX** (*-um-(-am-/-om-/-im-)/-up-(-ap-/-op-/-ip-)/-e-/-u-/-umer-(-umel-)/-on-(-an-/-in-)/-olem-/-em-(-ep-)/-Ø-*)

- (7) IMPERFECT MARKER (-t'-)
- (8) MOOD VOWEL (-i/-a/at'-)
- (9) S.3 AGREEMENT SUFFIX (-n/-s/-u/-nan/-an/-n/-es-)
- (10) PLURAL SUFFIX (-t/-an/-es-)

The string of morphemes might be “lengthened” by the auxiliary verb forms representing the future tense (in Khopa dialect of Laz) and/or the modality of “evidentiality”.

If those forms and also discourse particles, which have the function to express <Yes/No> questions, Indirect Speech, and/or Conjoining of clauses are involved in the above mentioned morpheme string, we can get an exhaustive structure of the Laz verb forms.

- (1) AFFIRMATIVE PARTICLE
- (2) PREVERB(S)
- (3) S/O AGREEMENT PREFIX
- (4) CHARACTERISTIC VOWEL
- (5) ROOT
- (6) SERIES SUFFIX
- (7) IMPERFECT MARKER
- (8) TENSE/MOOD VOWEL

*რუსულან ასათიანი, მარინე ივანიშვილი,  
ივანე ლეშავა, ეთერ სოსელია*

## ინდოევროპულ ყრუ ხშულ თანხმოვანთა გადმოცემა ქართულში

### შესავალი

ნასესხებ სიტყვათა და საკუთარ სახელთა გადმოცემისას მოქმედებს ორი პრინციპი: *ფონეტიკური* და/ან *გრაფიკული*. ფონეტიკური პრინციპის თანახმად, სიტყვა გადმოიცემა წარმოთქმის შესაბამისად, გრაფიკული პრინციპი გულისხმობს სიტყვის გადმოცემას *დაწერილობის* მიხედვით.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ფონემატური სისტემებით, ფონოტაქტიკის წესებითა და ფონოსტატისტიკით, არამედ ბგერათა *მულერობის*, *ასპირაციისა* და *გლოტალიზაციის* ხარისხის მიხედვითაც. მათი განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია უცხო ენებიდან სესხების კანონზომიერებების დადგენა, რადგან სესხების ტენდენცია გვიჩვენებს, რამდენად სპეციფიკურია ბგერა იმ ენის ბგერასთან მიმართებით, საიდანაც ხდება სესხება. მაგალითად, როგორ გადმოდის ქართულში უცხო ენათა ყრუ ხშულები – მკვეთრებით თუ ფშვინვიერებით? ამ ნიშანთაგან რომელი არის უფრო მარკირებული და რომელი დამაბრკოლებელი უცხო ენის ყრუ ხშულების გადმოცემისას?

საყურადღებოა, რომ ყოველ ნასესხებ სიტყვაში, რომელშიც არის უცხო ენის ბგერა, ჩანაცვლება ხდება მსესხებელი ენის მხოლოდ ერთი და იმავე ბგერით. ამ ფონეტიკურმა კანონმა გამონაკლისი არ იცის. ნასესხები სიტყვები თავისი ბგერებით ემორჩილებიან მოცემული ენის ფონეტიკური განვითარების კანონებს და არ ქმნიან რაიმე გამონაკლისს ფონეტიკური კანონიდან.

უცხო ენიდან შემოსული სიტყვების წარმოთქმა და დაწერილობა უნდა ექვემდებარებოდეს მსესხებელი ენის ფონემათა განაწილების, ფონოტაქტიკის წესებს, რათა არ დაირღვეს ენის საარტიკულაციო ბაზისის მთლიანობა.

ვნახოთ, რა ხდება ინდოევროპული p-t-k ყრუ ხშულების გადმოცემისას ქართულში, რა იყო ისტორიულად, როგორია დღევანდელი ვითარება. თემის აქტუალობას, ვფიქრობთ, კარგად გამოხატავს ჟურნალისტური ჟანრის დასახელების ქართულად გადმოტანისას ორთოეპიული და ორთოგრაფიული სიჭრელე. მასმედიაში, მხატვრულ ტექსტებში, ინტერნეტსივრცესა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი გავრცელებული ვარიანტების სიმრავლე განპირობებულია, ერთი მხრივ, სესხებისას ინგლისური ყრუ ხშულების ქართული ფონეტიკურ-ფონოლოგიური შესაბამისობების არაერთგვაროვნებით – ფიქსირდება ყველა შესაძლებელი ვარიანტი: *თოქშოუ*, *ტოქშოუ*, *თოკშოუ*, *ტოკშოუ* და, მეორე მხრივ, ამ ცნების ერთ- თუ

ორცნებიან კომპოზიტად გააზრებით – ამ შემთხვევაშიც წერილობით ტექსტებში წარმოდგენილია ყველა შესაძლო ვარიანტი: *ტოქშოუ* იწერება როგორც *ერთად*, ისე *ცალ-ცალკე* და *დეფისით*. მიუხედავად იმისა, რომ *ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ* ლექსიკონში (ოსლ 2002) სწორ ფორმად კვალიფიცირებულია *ტოქშოუ*, სამწუხაროდ, სხვა ლექსიკონებშიც ნორმა არ არის უნიფიცირებული და ფიქსირდება განსხვავებული „დაკანონებული“ ფორმები. ეს ვარიანტები თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება არა მხოლოდ პოპულარულ, არამედ სპეციალურ ლიტერატურაშიც, რაც, ძირითადად, ტექსტის ავტორის „ყურზეა“ დამოკიდებული.

პრობლემის გასააზრებლად და ერთიანი ნორმის დასადგენად არა ინდივიდუალურ აღქმას, იმპრესიას, არამედ ენის ფონეტიკურ კანონებს, ექსპერიმენტულ გამოკვლევებს უნდა მივმართოთ.

## საკითხის ისტორია

*ბერძნულიდან* ნასესხებ ლექსიკაში π-τ-κ გადმოდის ქართული პ-ტ-კ-თი, ხოლო ბერძნული φ-θ-χ – ქართული ფ-თ-ქ-თი. საინტერესოა კომბინატორული ცვლილებები, რომლებიც ხდება სესხებისას. ეს არის ორი მკვეთრიდან ერთის დისიმილაციური გამჟღერება, რომელიც ენაში გლოტალიზაციის მაღალი ხარისხის მაუწყებელია, მაგალითად: *ეპისკოპოსი/ეპისკოპოსი*, *ეპისტოლე/ეპისტოლე*, *ასპიდი/ასპიტი*, *ტიპიკონი/ტიპიკონი* და სხვ. (შდრ. ახვლედიანი 1999, თოფურია 1965). დისიმილაციური გამჟღერების წესები *სპარსულიდან* ნასესხებ ლექსიკაშიც მოქმედებდა, მაგალითად, *čarmak* > *ჭარმაგი*, *kundunūk* > *გუნდრუკი*, შდრ. სომხ. *კნდრუკ*, *tāpāk* > *ტაბაკი*. თუმცა, გვაქვს, მაგალითად, *hamxānak* > *ამხანაკი*, სადაც დისიმილაციის საფუძველი არ ჩანს (ანდრონიკაშვილი 1966). ბერძნული არაასპირირებული ყრუები ბგერათკომპლექსებშიც მკვეთრებით გადმოდის: kt > კტ, მაგალითად: *ნექტარი*, *ფაქტი*, *ინდიკტიონი*, *ელექტრონი/ილექტრონი/ილიკტრონი* „ქარვა“ და სხვ. საინტერესოა თვეების დასახელებათა ფორმები, რომლებიც ლათინურიდან არის ნასესხები: *სექტემბერი* (ლათ. September), *ოქტომბერი/ოქტომბერი* (ლათ. October), აქ ლათინურ /ct/-ს ძველ ქართულში /კლ/ შეესაბამება. ამგვარად, გვაქვს აქცესიური კომპლექსი /კლ/, რომელიც ახალ ქართულ ნასესხობებში მთლიანად შეცვალა /ქტ/ კომპლექსმა (შდრ. *სექტემბერი*, *ოქტომბერი*, *ელექტრონი*, *ფაქტი* და მრავალი სხვა). ქართული რუსულ ყრუებს, როგორც წესი, ასევე მკვეთრებს უთანადებს. ასეთ ჩანაცვლებას ვხვდებით XVIII-XIX სს.-თა დოკუმენტებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში – რუსულთან უკვე პირველი კონტაქტების დონეზე – გეორგიევსკის ტრაქტატში, იოანე ბატონიშვილის, გიორგი ავალიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის ნაწერებში (შდრ.: *ტოლსტოი*, *პუშკინი*, *პადვალი*, *პოლი*, *პრობკა* და სხვ.); ხოლო ფშვინვიერებით გადმოსული ლექსიკის უმეტეს ნაწილში გვაქვს მეზობლობა ფშვინვის მაღალი ხარისხის მქონე აფრიკატებსა და ნაპრალოვნებთან და შესაძლებელია, აქ ასიმილაცია ვივარაუდოთ. ასეთებია, მაგალითად: *ფერი*, *ფორტა/ფოშტა/ფოსტა*, *შკა-*

ფი, სტაქანი, ქაში, ჩოთქი, ჩულქი, ქუხნა/კუხნა, სუფი/სუპი და სხვ. ახსნის მეორე შესაძლებლობაა სესხება რუსული ენის ისეთი დიალექტიდან, სადაც ეს ფორმები ასპირაციას შეიცავდნენ. ამრიგად, ქართული ენის მასალაში უცხო ენათა ყრუები, ჩვეულებრივ, გლოტალიზებულით გადმოდის.

გლოტალიზებული თანხმოვნები ენათა მიხედვით ავლენენ როგორც საერთო, ისე განსხვავებულ თვისებებს. გლოტალიზებული თანხმოვნების სპეციფიკას ქმნის უსუნთქველი (ურესპირაციო) არტიკულაცია. სახმო სიმების მდგომარეობისა და ღიაობის მიხედვით განსხვავებულია გლოტალიზებული თანხმოვნების ორი სახე: ექსპირაციული (ეიექტივები) და ინსპირაციული (იმპლოზივები). გლოტალიზაციართული დიფერენციალური ნიშანია და რამდენიმე ფონეტიკურ მახასიათებელს აერთიანებს. გლოტალიზაციის ნიშნის კომპონენტები სხვადასხვაგვარად კომბინირებენ ენებში, ენათა მიხედვით განსხვავებულია ამ კომპონენტების გამოვლენის ხარისხიც. ასევე შეზღუდულია გლოტალიზებული ფონემების სინტაგმატური კომბინირების უნარი სხვა ნიშნებთან. ყოველივე ეს გამოწვეულია გლოტალიზებულთა წარმოების სირთულით, რაც განაპირობებს მათ მარკირებულ ხასიათს – შედარებით მცირე გავრცელებულობას ენებში. (მელიქიშვილი... 2011).

### თანამედროვე ვითარება

თანამედროვე ქართულ ზეპირმეტყველებასა და მართლწერაში მკვიდრდება ევროპული (ინგლისური, გერმანული) გვარ-სახელების, ტერმინოლოგიისა და სხვა ნასესხები ლექსემების ყრუ ხშულთა გადმოტანა ქართულის ყრუ ფშვინვიერებით – ასპირატებით. როგორ უნდა წარმოვთქვათ და დავწეროთ: *ტეტჩერი*, *ტეთჩერი* თუ *თეთჩერი*, *კლინტონი* თუ *ქლინთონი*, *სილქნეტი*, *სილქნეთი*, *სილკნეტი* თუ *სილკნეთი*, *ტუიტი* თუ *თუითი*, *კიტსი* თუ *ქითსი*?

ამ პრობლემას თუ ფონეტიკური თვალსაზრისით განვიხილავთ, ყრუ ხშულებში ჩქამის გრძლივობა, რასაც, ძირითადად, უკავშირდება ფშვინვის ხარისხი, ენათა მიხედვით განსხვავებულია, იხ. ცხრილი 1:

ცხრილი 1. თავკიდური p-t-k ყრუ ხშულების ჩქამის საშუალო გრძლივობები (მს).

ინგლისური	62* <sup>1</sup>
გერმანული	54
თურქული	53
ქართული	53
დანიური	45
რუსული	28
ფრანგული	26

<sup>1</sup> ინგლისური ყრუ ხშულ-მსკდომების შედარებით დიდ საშუალო გრძლივობას განაპირობებს თავკიდურ მახვილიან პოზიციაში მათი განსაკუთრებით ძლიერი ასპირაცია.



მიუხედავად ჩქამის ამ დროითი მახასიათებლებისა, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ ქართული ფშვინვიერები მეტად ასპირირებული არიან, ვიდრე, მაგალითად, ინგლისური და გერმანული ყრუები. შეინიშნება ტენდენცია, რომ ინგლისური და გერმანული ყრუ თანხმოვნები, რომლებსაც, გარკვეულწილად, პოზიციურად ასპირაცია ახასიათებთ, ქართული ფშვინვიერებით იყოს გადმოცემული. როგორც ჩანს, უცხო სიტყვათა გადმოტანისას, გარდა ბგერათა ფიზიკური მახასიათებლებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსესხებელი ენის თანხმოვანთა სისტემის პარადიგმატიკას, ქართულის შემთხვევაში – ხშულთა სამეულების არსებობას.

ერთი რამ არის უდავო – ნაპრალოვნების შემდეგ, რომელი ენიდანაც არ უნდა გვექონდეს სესხება, მკვეთრები გვაქვს. ეს შესაბამისობაშია თანხმოვანთკომპლექსებისთვის დამახასიათებელ უნივერსალურ კანონზომიერებასთან, კერძოდ, არაასპირირებული ხშულის გამოვლენასთან (მელიქიშვილი... 2011:116):

**სპ/სტ/სკ:** სპიკერი, სპანიელი, სტიკერი, სკანირება, სკულტერი;

**ხტ:** მუნტი, ტახტი, ლახტი, კოხტა, ვახტა;

**შტ:** შტატი, ტაშტი, მუშტი, კუშტი.

პარადიგმატიკის სრული გათვალისწინებით, ყრუ ხშულების გვერდით უნდა განვიხილოთ ყრუ სპირანტი ფონემებიც. ქართულში გვაქვს სიბილანტი, ველარი და ლარინგალი ყრუ სპირანტები, და არა გვაქვს ყრუ დენტალური სპირანტი (როგორცაა, მაგალითად, ინგლისური /θ/), აგრეთვე, არა გვაქვს ყრუ ლაბიოდენტალური სპირანტი (მაგალითად, /f/, რომელიც არის ინგლისურშიც, რუსულშიც...). სწორედ ეს სპირანტები გადმოდის ქართულში ყრუ ფშვინვიერების სახით, რაც სავსებით ბუნებრივია (/θ/ ორთოგრაფიულად th, გადმოდის როგორც /თ/, ხოლო /f/ – ორთოგრაფიულად ph და f – როგორც /ფ/). თუ ყრუ ხშულებიც გადმოვიდოდა ყრუ ფშვინვიერების სახით, მაგალითად, /ფ/-ს შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა სესხების წყაროში /f/ იყო თუ /p/; ან /თ/-ს შემთხვევაში, სესხების წყაროში /θ/ იყო თუ /t/. ამის გარჩევის შესაძლებლობა ჩნდება, თუ ყრუ ხშულები გადმოტანილი იქნება ყრუ მკვეთრების სახით, იხ. სქემა:

/f/ → ფ    პ ← /p/

/θ/ → თ    ტ ← /t/

## დასკვნა

ამდენად, ევროპულ ენათა ყრუ ხშული თანხმოვნები p-t-k ქართულში უნდა გადმოვიდეს **პ-ტ-კ** მკვეთრებით ანუ აბრუპტივებით, ქართული ფონოტაქტიკური წესების გათვალისწინებით. ეს იყო ქართული მართლწერის ტრადიციული ნორმა, რომელიც უნდა დავიცვათ დღესაც.

## ლიტერატურა

- ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- აფრიდონიძე 2009:** შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი.
- ახვლედიანი 1999:** გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ახვლედიანი, ლეჟავა, ყუფარაძე 2017:** ც. ახვლედიანი, ი. ლეჟავა, გ. ყუფარაძე, ენათა შეპირისპირებითი ფონეტიკა ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების მასალაზე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები I 1986:** გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- თოფურია 1965:** ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.
- მელიქიშვილი 2011:** ი. მელიქიშვილი, ნ. გამყრელიძე, ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, ქ. მარგიანი, ი. ქობალავა, გლოტალიზაციის ნიშანი ქართველურ ენებში აკუსტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ოსლ 2002:** ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი.
- საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი 1989:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი.
- უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი 1989:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი.
- ქუთელია 2000:** ნ. ქუთელია, ორთოეპიულ და ორთოგრაფიულ ნორმათა რეგულირებისათვის ქართულ სალიტერატურო ენაში, კრებულში: *ფონეტიკა და ნორმა*, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი.

Rusudan Asatiani, Marine Ivanishvili,

Ivane Lezhava, Ether Soselia

## Georgian Transliteration of the Indo-European Voiceless Stops

### Summary

The paper deals with the problems of transmission of Indo-European voiceless stops into Georgian.

The transmission of borrowed words, especially proper names, is based on two principles: *phonetic* and/or *graphic*. According to the phonetic principle, the word is transmitted according to the *pronunciation*, and the graphic principle implies the transmission of the word according to its *written form*.

Languages differ not only with respect to the phonetic systems, phonotactic rules or phonostatistics, but also according to the degree of *voicing*, *aspiration* and *glottalization* of the sounds. In order to reflect the differences, it is important to establish the regularity of transmission of loan words, since the tendency of borrowing shows how the specific sounds of the borrower language are related to the sounds of the source language. For example, how should voiceless stops of foreign languages be transmitted into Georgian – as glottalized stops or as aspirated ones? Which sounds are more marked and which are troublesome for the transmission of voiceless stops of the foreign language?

It is noteworthy that any X sound of the source language is replaced by one and the same Y sound in any loan word. This law of phonetic correspondence has no exceptions, i.e. every loan word strictly obeys the above-mentioned phonetic law, without any exceptions.

The pronunciation and spelling of the loanwords should be consistent with the rules of phonological distribution and phonotactics of the borrower language in order not to violate the wholeness of the articulation basis of the language.

The analysis of the given sounds shows that, according to the Georgian phonetic rules, voiceless stops *p-t-k* of the Indo-European languages should be transliterated in Georgian as glottalized *p'-t'-k'* (*p̣-ṭ-ḳ*) consonants. This was a traditional Georgian spelling norm for the loan words, and it should be kept today as well.



სიტყვით: ზარდახშა ნიურნბერგიდან), **saucisson de Bologne** (სასაუბ.) „მსუქანი, მოკლეფეხებიანი ადამიანი“ (სიტყვასიტყვით: სოსისი ბოლონიიდან), **avoir des nerfs à Berlin** „უკიდურესი ნერვული აღვზნების მდგომარეობაში ყოფნა“ (სიტყვასიტყვით: ნერვების ქონა ბერლინში).

ამასთანავე, სხვა ფრაზეოლოგიური ერთეულები ფლობენ მოტივირებულობას მეტაფორული ხატის წყალობით. მაგალითად, ინგლისურ გამონათქვამში **carry coals to Newcastle** (სიტყვასიტყვით: ნახშირის წაღება ნიუკასლში) „უსარგებლო საქმის კეთება“, ტოპონიმის – **Newcastle** – იმპლიკაციური შინაარსის განსაზღვრულობასთან კავშირით, რომელიც აღნიშნავს ნახშირის მრეწველობის ცენტრს; გამონათქვამი **to turn (put) the best side to London** „საკუთარი თავის უკეთესი მხრით წარმოჩენა“ ასევე ფლობს განსაზღვრულ სემანტიკურ დანაწევრებას იმ შიდა ფორმის აღქმით, რომელიც აქვს ოიკონიმ ლონდონს – დედაქალაქს, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს და ა.შ.; ან: **Bunbury man** „პურიტანი“ (ქალაქი **Bunbury** ცნობილია პურიტანი მაცხოვრებლებით), **Paddington fair** – „საჯარო დასჯა სიკვდილით“ (ცნობილია, რომ ძველად ყველაზე საშიშ დამნაშავეებს სჯიდნენ პადინგტონში); **Camberwell beauty** „პეპლის სახეობა“; **Keswick codlin** „ვაშლის ჯიში“. ამ უკანასკნელ ჯგუფს ახასიათებს მოტივირებულობის მაღალი ხარისხი, თუმცა სრული სემანტიკური დანაწევრება ამ შემთხვევებშიც არ შეინიშნება.

მრავალი ფრანგული ოიკონიმური ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობაც ასევე შეიძლება გამოვლინდეს ეტიმოლოგიის აღქმის შედეგად, რომლითაც დატვირთულია ოიკონიმი; მაგალითად: **représenter les armes de Bourges** „ვირით სულელი, ყვეჩი“ (სიტყვასიტყვით: „ბურჟის გერბის ჩვენება“; ბურჟი – ქალაქი ცენტრალურ საფრანგეთში, მდინარეების – ერენისა და ორონის შესაყართან. ქალაქ ბურჟის გერბზე გამოსახული იყო დივანზე მჯდომი ვირი. ზოგი მკვლევრის მტკიცებით, ვირი ასახიერებდა იმპერატორ ცეზარის მიერ დანიშნულ რომაელ მმართველს. ვიიტარის ლექსიკონში (1842 წ.) მითითებულია, რომ ეს არის მინიშნება ამ ქალაქის უნივერსიტეტის ერთ-ერთ, იერთ საპატო, მაგრამ სულელ პედაგოგზე; **berger de Mantoue/cygne de Mantoue** „მწყემსი/გედი მანტუდან (ვირგილიუსის შესახებ)“. (ქალაქ მანტუს ახლოს, ჩრდილო იტალიაში, არის ადგილი პიეტოლე, რომელიც ითვლება ვირგილიუსის სამშობლოდ); **il vient de Marseille** „გადამეტება, ცრუობა, ზღაპრების შეთხზვა“ (სიტყვასიტყვით: „ის მოდის მარსელიდან“). (საფრანგეთის სამხრეთში მცხოვრები ადამიანები ცნობილნი არიან გადამეტებული და ყოველგვარ სინამდვილეს მოკლებული ამბების თხრობით).

ოიკონიმიანი ფრაზეოლოგიური ერთეულების განხილვა გვარწმუნებს, რომ მათთვის დამახასიათებელია განსაზღვრული მეტასემიოტიკური თვისება, სახელდობრ, სტილისტიკური ნეიტრალურობის არარსებობა. ზოგჯერ მათი უპირატესი გამოყენება შესაბამისი, სინონიმური თავისუფალი სიტყვათშეერთებების ნაცვლად მოწ-

მობს, რომ მათ უეჭველად აქვთ ექსპრესიული შეფერილობა, ანუ არა მხოლოდ აღნიშნავენ მოვლენას, არამედ რაღაცნაირად გამოხატავენ კიდევ ამ მოვლენასთან მოლაპარაკის ურთიერთობასაც. ზოგიერთ მათგანს ახასიათებს ემოციური „აგზნებულობა“ (ინგლ. **London ivy** „ლონდონური ნისლი“; ფრანგ. **homme de Sedan** „სედანის გმირი“, ნაპოლეონ III-ის შესახებ; **ventre de Paris** „პარიზის მუცელი“, ბურჟუაზიული საზოგადოების ძალთა და ვნებათა დუღილის ადგილი), უმეტესობას კი ახასიათებს „შემცირებული“ სტილისტიკური შეფერილობა. ეს უკანასკნელები უპირატესად ზეპირმეტყველებაში გამოიყენება (ხშირად პროფესიულ ან ვიწრო სფეროში), ფამილარობის, დაცინვისა და ა.შ. ელფერებით (ინგლ. **Yarmouth mittens** (სასაუბ.) „ტკივილიანი ხელები“; **Jack of Dover** „ზღვის ენა, თევზი“; ფრანგ. **il est venu à Paris en sabots** „ის ღარიბი იყო, როცა პარიზში ჩამოვიდა, სადაც გამდიდრდა კიდევ“ (სიტყვასიტყვით: ის ჩამოვიდა პარიზში საბოტებით); **envoyer qn. à Pontoise** „ვინმეს გაგზავნა დასაკარგავში, ჯანდაბაში“; **il a été à Saint-Malo (les chiens lui ont mangé les mollets / les os)** (ხუმრ.) 1. „იგი ძალიან გამხდარია“; 2. „მას ძალიან წვრილი ფეხები აქვს“ (სიტყვასიტყვით: ის იყო სენ-მალოში, ძაღლებმა კანჭები/ძვლები მოაჭამეს). ამასთანავე, მოვლენის გადმოცემის ხატოვანება მუდამ თანმხლებია (ჟაკარი 2017).

ოიკონიმები იყოფიან ასტიონიმებად (ქალაქთა სახელწოდებები) ჰორიონიმებად (სოფლების სახელწოდებები). ამა თუ იმ ასტიონიმის ხმარების სიხშირე დამოკიდებულია იმ როლზე, რომელიც ქალაქმა შეასრულა სახელმწიფოს ცხოვრებაში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში და, ასევე, ამ ეტიმოლოგიის შენარჩუნებაზე ფრაზეოლოგიზმის შიდა ფორმაში. ჰორიონიმები უფრო იშვიათად გვხვდება; ეს ჯგუფი ინგლისურ ენაში შეადგენს დაახლოებით 6 %-ს, ფრანგულში კი – 8.5 %-ს. ეს აიხსნება იმით, რომ რაც უფრო მსხვილია დასახლებული პუნქტი, მით უფრო მდიდარია მისი ისტორია და მრავალფეროვანია ოიკონიმის შიდა ფორმა, ანუ ასტიონიმებს (უფრო მსხვილ დასახლებულ პუნქტებს) გაცილებით მეტი ასოციაციები აქვთ, ვიდრე ჰორიონიმებს. ჰორიონიმის ფრაზეოლოგიზაციისათვის სოფელი უნდა იყოს რაიმეთი ცნობილი, მაგალითად: ინგლ. **to run away to Gretna Green** „გაქცევა საიდუმლო ჯვრისწერისათვის“ (სიტყვასიტყვით: გაქცევა გრეტნა-გრინში). (გრეტნა-გრინი სოფელია შოტლანდიის საზღვართან, სადაც გაპარულ შეყვარებულებს შეეძლოთ ჯვრისწერა, ინგლისური კანონებით დადგენილი ფორმალურობების დაცვის გარეშე); **a wise man of Gotham** „გულუბრყვილო, მიაძიტი ადამიანი“ (სიტყვასიტყვით: ბრძენი გოტამიდან). (თქმულების მიხედვით, სოფელ გოტამის მაცხოვრებლები ცნობილი იყვნენ თავიანთი ალაღმართლობით, მიაძიტობით); ფრანგ. **c 'est le greffier de Vaugirard qui ne peut écrire quand on le regarde** „მის შესახებ, ვისაც არ შეუძლია მუშაობა სხვების თანდასწრებით“ (სიტყვასიტყვით: ვოჟირარის მდივანს არ შეუძლია წერა, როდესაც მას უყურებენ). (ძველი ანეკდოტის მიხედვით, სოფელ ვოჟირარის მდივანი ასრულებდა თავის მო-

ვალეობებს ცუდი განათების პირობებში, დახშული ჰქონდა რა პატარა სარკმელიც კი); **ahuri (abrupti) de Chaillot** (ზეპირ.) „გაუთლელი ხეპრე“ (სიტყვასიტყვით: განცვიფრებული, გაშტერებული შაიოდან). (შაიო ყოფილი სოფლის სახელია, რომელიც მდებარეობდა მდინარე სენის მარჯვენა ნაპირზე. იგი ძალიან ახლოს იყო პარიზთან, მაგრამ მის საზღვრებში არ შედიოდა. 1784 წლიდან, ლუდოვიკო XVI-ის დროს, შაიო შევიდა პარიზის საზღვრებში. თქმულების მიხედვით, ერთ მშვენიერ დღეს შაიოს მაცხოვრებლები „გაშტერდნენ“, შეიტყვეს რა, რომ ისინი უკვე პარიზელები გახდნენ. მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს ამ ვერსიას და მიუთითებენ ძველ თქმულებაზე, რომელიც ადასტურებს ამ ფრაზეოლოგიზმის უფრო ადრეულ წარმოშობას და ასახავს ქალაქელთა დამოკიდებულებას პროვინციის მაცხოვრებლებისადმი, მიიჩნევდნენ რა მათ ჩამორჩენილ ადამიანებად. ფორმამ – **folle de Chaillot**, რომელიც წარმოქმნილია 1945 წელს ჟან ჟიროლდუს იმავე პიესის სახელწოდებიდან, ხელახლა გააცოცხლა ეს ფრაზეოლოგიზმი; შდრ. გამონათქვამები: **venir de Chaillot; envoyer à Chaillot**).

აღსანიშნ ობიექტთა ლოკალიზაციის მიხედვით, ოიკონიმის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიძლება დავეთ შედგე ქვეჯგუფებად:

1. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ოიკონიმები ასახელებენ ობიექტებს კონკრეტული ლინგვოკულტურული ერთობის ტერიტორიაზე, მაგალითად: ინგლ. **New York, London**; ფრანგ. **Paris, Grenoble**;
2. ოიკონიმიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ოიკონიმები აღნიშნავენ განსახილველი ენის ფუნქციონირების საზღვრებს გარეთ მყოფ ობიექტებს, მაგალითად: ინგლ. **Bombay, Rome**; ფრანგ. **Athenes, Berlin**.

კულტურებს შორის განსხვავებანი აყალიბებენ ეთნიკურ ცრურწმენებს ადამიანთა ცხოვრების მრავალ სფეროში, მკვეთრად ავლენენ რა ზღვარს „საკუთარ“ და „უცხო“ კულტურებს შორის. კულტუროლოგიურ ნიშანთა ოპოზიცია („საკუთარი – უცხო“) ისტორიულად დამკვიდრებულია როგორც მკვიდრ, ასევე ნასესხებ ფრაზეოლოგიურ ტოპონიმთა სემანტიკაში. სახელდობრ, ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობის მიერ „უცხო“ სამყაროს ფსიქოლოგიური თავისებურებების აღქმა განაპირობებს კულტურულ-მარკირებული ტოპონიმებიანი ფრაზეოლოგიზმების შემფასებელ კონოტაციათა სპეციფიკას (ჟანდრონი 2008).

ფრაზეოლოგიზებული ასტიონიმები, ენის ფუნქციონირების განსახილველი სფეროს საზღვრებში და საზღვრებს გარეთ, ფრანგულშიც და ინგლისურშიც, რაოდენობის მხრივ, ტოლია და უდრის 50%-ს. განვიხილოთ ფრაზეოლოგიური ერთეულები საკუთარი ასტიონიმებით; ფრანგული ენისათვის – საფრანგეთის დასახლებულ პუნქტებში, ინგლისური ენისათვის – დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში.

ინგლისურ ასტიონიმთა სიაში ერთადერთი ფრაზეოლოგიზმია ავსტრალიური ოიკონიმი: **all behind in Melbourn** (ავსტრალ. სლენგი) „სქელგავიანი“. ლოკალურ ინგლისურ ფრაზეოლოგიზმთა 10% ამერიკანიზმებია, დანარჩენი 90% – ბრიტანიზ-

მები. ამერიკანიზმები გაცილებით ნაკლებია, რადგან ამ ქვეყნის ისტორია არ არის მრავალსაუკუნოვანი და, შესაბამისად, ამერიკელებს ცოტა დრო ჰქონდათ თვითრეფლექსიისათვის. ამერიკულ ასტიონიმურ ფრაზეოლოგიზმებში, უპირატესად, მსხვილ ქალაქთა დასახელებები შედის: ჩიკაგო – **Chicago overcoat** „კუბო“ (სიტყვასიტყვით: ჩიკაგოური პალტო). (ჩიკაგო – ქალაქი აშშ-ში, ილინოისის შტატში, წარმოადგენს მკვეთრ სოციალურ დაპირისპირებათა და კონტრასტთა ქალაქს, ასოცირდება კრიმინალურ, ბანდიტურ ქალაქთან); ცინცინატი – **Cincinnati oysters, Cincinnati quail** „ლორის ხორცის პროდუქტები“ (სიტყვასიტყვით: ხამანწყები, მწყრები ცინცინატიდან). (ცინცინატი – ქალაქი აშშ-ის აღმოსავლეთში, ოჰაიოს შტატში. ცინცინატი ოდესღაც უმსხვილესი მსოფლიო ცენტრი იყო ლორის ხორცის დამზადებაში); სან-ფრანცისკო – **Frisco speedball/San Francisco bomb** „ვენაში ჰერონის, კოკინის და ა.შ. შეყვანა“; გეინსვილი – **Gainesville green** „მარიხუანის განსაკუთრებით ძლიერი სახეობა გეინსვილიდან, ფლორიდის შტატი“; პეორია – **that won't play in Peoria** „ეს არ დამკვიდრდება არსად ქვეყანაში“ (სიტყვასიტყვით: ეს არ დაიდგება პეორიაში). (პეორია – ქალაქია ილინოისში, აშშ-ში. ის ამერიკელებისათვის იგივეა, რაც ტანბრიჯ-უელსი ბრიტანელებისათვის: საშუალო ფენის სტაბილურობისა და ტრადიციათა სიმბოლო. ადრე პეორია იყო ახალ პიესათა დადგმის გამოსაცდელი მოედანი; თუ პიესას იქ არ ექნებოდა წარმატება, მაშინ არასოდეს დაიდგებოდა ბროდვეიზე); ფილადელფია – **enough to puzzle a Philadelphia lawyer** „დახლართული საქმე; ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს“ (სიტყვასიტყვით: საკმარისია, რომ საგონებელში ჩააგდო ფილადელფიელი იურისტი). (წარმოებულია ამერიკული გამონათქვამიდან **a Philadelphia lawyer** „მასხვილგონიერი იურისტი“); ნიუ-იორკი – **New York's finest** (ირონ.) „ნიუ-იორკის მარიფათიანი ვაჟბატონები“ (ნიუ-იორკელ პოლიციელთა მეტსახელი); უოლტემი – **as wise as Waltham's calf** „ძალიან სულები“ (სიტყვასიტყვით: ბრძენი როგორც უოლტომელი ხბო). (უოლტემი – ქალაქი აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში, სამრეწველო ცენტრი).

ბრიტანულ ლოკალურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფრაზეოლოგიზებულია შემდეგი ასტიონიმები: **Bath, Bridport, Berwick, Dover, Brighton, Bristol, Birmingham, Bunbury, Cambridge, Canterbury, Chester, Colchester, Coventry, Dunmow, Dunstable, Durham, Hull, London, Manchester, Newcastle, Ripon, Scarborough, Stafford, Trumplington, Watford, Yarmouth**. ამ ჯგუფის ფრაზეოლოგიზმთა უმრავლესობაში ხაზგასმულია ქალაქთა საწარმოო მახასიათებლები, მაგალითად: **Bridport dagger** „ჯაღათის თოკი“, **to be stabbed with a Bridport dagger** (ლიტ.) „ჩამოხრჩობილი“ (ეს ქალაქი დღემდე ცნობილია თოკებისა და ბაგირების წარმოებით); ბრისტოლი – **Bristol milk/cream** „ხერესი“ (ხერესი შემოდის ესპანეთიდან ქ. ბრისტოლის გზით. გამონათქვამი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ბრისტოლში მდებარეობდა არყისსახდელი ქარხნები); **as true as Ripon steel** „მართალი, საიმედო“ (რიპონი – ქალაქი ინგლისში, სადაც არსებობს ფოლადსახმელი ქარხნები).



ფრანგულ ლოკალურ ასტიონიმურ ფრაზეოლოგიზმებში წარმოდგენილია შემდეგ ქალაქთა სახელწოდებები: **Angoulême, Antibes, Beaune, Bercy, Bourges, Cachan, Cambrai, Corbeil, Grenoble Lagny, Landerneau, Lyon, Marseille, Meaux, Melun, Nanterre, Niort, Orléans, Paris, Pontoise, Rueil, Rouen, Sedan, Saint-Malo, Saint-Michel, Toulouse, Versailles, Vatan.** მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: **il vient de Marseille** „გაზვიადება, სიცრუის გამორევა, ზღაპრების თხზვა“ (საფრანგეთის სამხრეთში მცხოვრები ადამიანები ცნობილი არიან გაზვიადებითა და დაუჯერებელი ამბების მოგონებით); (**Tartarin de Tarascon**); **fuite de Varennes** (ისტ.) „შეუმჩნევლად წასვლის ცდა“ (ლუდოვიკო XVI-ის მცდელობა, გაპარულიყო ოჯახთან ერთად 1791 წლის 20 ივნისს, ჩაშალეს რევოლუციონერებმა, დააკავეს რა მეფე ვარენში – ქალაქი ლიტვაში).

ოპოზიცია „საკუთარი ~ უცხო“ მნიშვნელოვანი შემადგენელია სტერეოტიპები. ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, დიდად საინტერესოა ფრაზეოლოგიური ავტოსტერეოტიპები (აზრები, განსჯა, შეფასება, რომლებიც ეხება საკუთარ ეთნიკურ ერთობას მისი წარმომადგენლებისაგან) განსახილველ სახელმწიფოთა დედაქალაქების სახელწოდებებით – **London, New York, Paris.**

ინგლისურ ფრაზეოლოგიაში დედაქალაქების სახელწოდებები იშვიათად გვხვდება და სუსტად ახასიათებენ ლინგვოკულტურული ერთობის ქალაქისადმი დამოკიდებულებას. ტოპონიმი „ლონდონი“ წარმოდგენილია ოთხ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: **to turn (put) the best side to London** „თავის წარმოჩენა საუკეთესო მხრით“ (სიტყვასიტყვით: საუკეთესო მხრით შებრუნება ლონდონისაკენ); **London ivy** „ბურუსი, ნისლი“ (შდრ. **London particular** „სქელი ნისლი“ (სიტყვასიტყვით: ლონდონური სურო, სახელწოდებით მადერა, შემოზიდული ლონდონში); **Is that the way to London?** „წარმოითქმის ცხვირის მოწმენდის დროს“ (სიტყვასიტყვით: ეს გზა ლონდონისკენა?); **the lungs of London** „ლონდონის ფილტვები“ (ლონდონის სკვერები და პარკები). ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მონაცემებით, გამოვლინდა, რომ ინგლისელებისათვის ლონდონი ასოცირდება ცხოვრების დედაქალაქურ წესთან, ნისლიანთან, ცივთან, ნესტიანთან, ავადმყოფურთან, მაგრამ მწვანე ქალაქთან.

ინგლისელების დამოკიდებულება საკუთარ დედაქალაქთან შეიძლება გამოვლინდეს ისეთი ფრაზეოლოგიზმებიდანაც, რომლებიც არ შეიცავენ ტოპონიმ ლონდონს; მაგალითად: **people north of Watford** (ზიზლით) „პროვინცილები“ (სიტყვასიტყვით: ადამიანები მცხოვრებნი უოტფორდის ჩრდილოეთით). (უოტფორდი – ქალაქი ჰართფორდშირის საგრაფოში, ლონდონიდან ჩრდილო-დასავლეთით. ეს გამონათქვამი მიანიშნებს უოტფორდის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხის პროვინციულ მანერებზე და მათ შეზღუდულ თვალსაწიერზე, განსხვავებით ლონდონისა და მის გარშემო არსებული საგრაფოების მცხოვრებთა დარბაისლური მანერებისაგან. ისინი, ვინც ცხოვრობენ ლონდონში ან სამხრეთ ინგლისში, ტრადიციულად, უკეთესებად მიიჩნევენ საკუთარ თავს ბრიტანეთის სხვა ადგილებში მცხოვრებთა-

გან განსხვავებით). ეს ფაქტი ვლინდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულში: **middle England** „საშუალო ინგლისი“. (ეს გამონათქვამი ეხება იმ ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ინგლისის საშუალო კლასს და რომლებიც ითვლებიან ტრადიციული საზოგადოებრივი შეხედულებების, ფასეულობების, პროვინციალური ჩვევების ან კონსერვატიული პოლიტიკური რწმენების გამოხატველად. გამონათქვამი **middle England** ნაწარმოებია **Middle America**-ს მიხედვით).

ოიკონიმი „ნიუ-იორკი“ მხოლოდ ერთი ფრაზეოლოგიური ერთეულის შემადგენლობაში შედის: **New York's finest** (ირონი.) „ნიუ-იორკის მარიფათიანი ვაჟბატონები“ – ნიუ-იორკელ პოლიციელთა მეტსახელი.

ოიკონიმი „პარიზი“ ფართოდაა წარმოდგენილი ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: **Paris est le paradis des femmes et l'enfer des chevaux** „პარიზი სამოთხეა ქალებისათვის და ჯოჯოხეთი – ცხენებისათვის“; **Paris ne s'est pas fait en un jour** (ანდაზ.) „საქმე უცებ არ კეთდება“ (სიტყვასიტყვით: პარიზი ერთ დღეს არ აშენებულა); **Jean de Paris** „გადაცმული პრინცი, ფულის მფანტველი“ (სიტყვასიტყვით: ჟანი პარიზიდან); **monsieur de Paris** „ჯალათი“ (სიტყვასიტყვით: ბატონი, ადამიანი პარიზიდან); **Paris vaut bien une messe!** „პარიზი მესად ღირს!“ – იმ ადამიანების შესახებ ამბობენ, რომლებიც პირადი გამორჩენისთვის მზად არიან, მოიქცნენ სინდისიერად. ისტორიკოსების უმეტესობა ამ გამოთქმას მიაწერს ჰენრიხ IV ნავარელს (1553-1610), რომელმაც 1593 წელს შეიცვალა რწმენა პროტესტანტულიდან კათოლიკურზე, რითაც ტახტზე ასვლის საშუალება მიეცა; **Paris appartient à ceux qui se lèvent tôt** „ვინც ადრე დგება, ღმერთი წყალობს“ (სიტყვასიტყვით: პარიზი მას ეკუთვნის, ვინც ადრე დგება); **avec des “si” et des “mais” on mettrait Paris en bouteille** (ანდაზ.) „ჰოს“ და „არას“ ძახილით (ყველაფერი რომ ახდებოდეს) პარიზს ერთ ბოთლში მოათავსებდნენ; **avoir un oeil à Paris, l'autre à Pontoise** „ელაში თვალების ქონა“ (სიტყვასიტყვით: ერთი თვალი პარიზს უყურებს, მეორე პონტუაზს); **il est venu à Paris en sabots** (სასაუბ.) „ღარიბი ჩამოვიდა პარიზში და იქ გამდიდრდა“; **ventre de Paris** „პარიზის მუცელი“, ბურჟუაზიული საზოგადოების ძალთა და ვნებათა დუდილის ადგილი); **prendre Paris pour Corbeil** „დიდი შეცდომის დაშვება, დაუდევრობა“ (სიტყვასიტყვით: პარიზი მიიჩნია კორბეილ); **Il y a des lieux où il faut appeler Paris Paris, et d'autres où il la faut appeler capital du royaume** „არის ადგილები, სადაც პარიზს პარიზი უნდა ეწოდოს და არის სხვა ადგილები, სადაც მას სამეფოს დედაქალაქი უნდა ეწოდოს“.

ამგვარად, დედაქალაქის სახელწოდებიანი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობათა და რაოდენობათა მიხედვით, პარიზს ფრანგებისათვის მეტი ასოციაცია აქვს, ვიდრე ლონდონს ინგლისელებისათვის და ნიუ-იორკს – ამერიკელებისათვის. ფრანგები განადიდებენ თავიანთ დედაქალაქს ფრაზეოლოგიზმებით, წარმოაჩენენ მას კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად, უძველეს, ცოცხალ და აქტიურ ქალაქად, რომელიც იძლევა მრავალ შესაძლებლობას თვითრეალიზაციისათვის, იგი არის ადგილი ვნებათა დღევისა, ლოცვისა და თაყვანისცემისა.

## ლიტერატურა

ჟაკარი 2017: H. Jaccard, *Essai de toponymie*, Paris.

ჟანდრონი 2008: S. Gendron, *L'origine des noms de lieux en France: Essai de toponymie*, Paris.

## ინტერნეტრესურსები

<https://englishlive.ef.com/.../15-common-english-idioms...>

<https://voxy.com/.../top-10-most-common-idioms-in-eng...>

[www.smart-words.org/quotes.../idioms-meaning.html](http://www.smart-words.org/quotes.../idioms-meaning.html)

*Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze*

## **French and English Oikonymic Phraseologisms**

### Summary

The oikonyms are the names of inhabited areas (cities, towns, villages and other types of settlements). These words, which denote populated territories from one city to an isolated house, represent one of the most important groups of toponymic spaces. Settlements, as the designated objects, are definitely and completely separated from the surrounding landscape.

Oikonyms are divided into astionyms (names of cities and towns) and horionyms (names of villages). As a result of the largest extra-linguistic condition (compared to other names), oikonyms are easily combined with different types of firm word combinations.

The peculiarity of oikonyms (lexico-grammatical composition, meaning etc.) allows them to be singled out as a separate group. Names of cities, towns, villages and all other types of settlements represent the main address and for this reason they are the most prominent among other toponyms. Consequently, oikonymic fraseologisms prevail among other types of toponymic fraseologisms in French and English.

The analysis of oikonymic phraseological units has assured us that they are characterized by meta-semiotic properties, namely, the absence of stylistic neutrality. In some cases, their predominant use, instead of synonymic free word combinations, demonstrates that they definitely have expressive colouring or, in other words, they not only denote a phenomenon, but also, in some way, express the speaker's relation to it. Differences between cultures form ethnic superstitions in various spheres of human life, clearly distinguish between the "own" and "alien" cultures.

The opposition of the cultural signs – "own ~ alien" is historically established in the semantics of native as well as borrowed phraseological toponyms. Namely, the perception of psychological peculiarities of the "alien" world by a particular linguo-cultural unity causes the specifics of evaluation of the connotations of culturally-marked toponymic phraseologisms.

The number of phraseological astionyms in the scope of the analyzed frame and beyond the boundaries of language functioning is equal – 50% both in French and English. We have discussed phraseological units with their own astionyms for the French language on the examples of settlements in France and for the English language, on the examples of settlements in Great Britain and the United States.

**დაკირისკირება კონტრამოლუციონერ  
ინფორმაციისთვისა და იაფმეტრი თეორიის  
მიმღებებს შორის თბილისის უნივერსიტეტში:  
1920–1935 წლები<sup>1</sup>**

ცნობილი ენათმეცნიერი ნიკო მარი, რომელმაც სათავე დაუდო იაფმეტურ თეორიას, წინ აღუდგა თბილისში ქართული უნივერსიტეტის შექმნის იდეას, რადგან ეს საფრთხეს უქმნიდა მის სკოლას პეტერბურგის უნივერსიტეტში. თბილისში უნივერსიტეტის დაარსება სწორედ ნიკო მარის ცნობილმა მოწაფეებმა ჩაიფიქრეს, რაც იაფმეტური თეორიის დასუსტებასაც ნიშნავდა, რადგან ისინი არ იზიარებდნენ მასწავლებლის წარმოდგენებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ისინი არ ეთანხმებოდნენ ნიკო მარს, რომელსაც მათთვის მიუღებელი ადგილი უნდა ჰქონოდა მიჩენილი იაფმეტურ თეორიაში (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩერჩი, მენინგი 2002). ნიკო მარს ქართული უნივერსიტეტის გახსნა არ გახარებია ორი მთავარი მიზეზის გამო: მის სამეცნიერო სკოლას დაშლის საფრთხე ემუქრებოდა და იაფმეტურ თეორიას ინსტიტუციური ოპოზიცია ექმნებოდა. ოფიციალურად კი იგი უნივერსიტეტის დამფუძნებლებს შოვინისტურ ნაციონალიზმში სდებდა ბრალს. როცა ძველი ქართული ხელნაწერების პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნების საკითხი დადგა, ნიკო მარმა კიდევ ერთხელ გამოამყვანა უკიდურესად მტრული დამოკიდებულება ყოფილი მოწაფეების მიმართ: „მე გამოუთქმელი აღშფოთებით ვაცხადებ პროტესტს უგუნური ნგრევის წინააღმდეგ. უგუნურებაა, როცა ვარაუდობენ, რომ ეს საქმე ძალდატანებით გადაიტანონ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ ნიადაგზე, რომელიც უნაყოფოა მეცნიერული შემოქმედებისათვის მოცემულ მომენტში უმდაბლესი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობების ბატონობის გამო“ (ამირანაშვილი 1978:5-6).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტი განიხილებოდა ანექსიის შედეგად შექმნილი მოძალადე ხელისუფლების საშიშ ოპოზიციად, რომლის თვალთვალი და კონტროლი აუცილებელი იყო ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით. ფაქტობრივად, ნიკო მარი და საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირ ბრალდებებს უყენებდნენ თბილისის უნივერსიტეტს, რომლის საბჭოთა პრინციპებზე გადაყვანა ვერ მოხერხდა. მიუხედავად მრავალი „წმენდისა“,

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო კონფერენციაზე „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“, 2015 წელს (ბოლქვაძე 2015).

სტუდენტების „სწორ გზაზე დაყენებას“ კიდევ ბევრი დრო დასჭირდებოდა, როგორც ამას აჩვენებს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (უშიშროების სამსახურის) უფროსის, ლავრენტი ბერიას 1928 წლის 5 აპრილის მოხსენებითი ბარათი: მიუხედავად სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები კონტინგენტის „წმენდისა და შეზღუდვისა, სახუნის (სახელმწიფო უნივერსიტეტის) სტუდენტთა თითქმის ნახევარი ჩვენი არ არის. სახუნის გასაჯანსაღებლად გატარებული ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა და სასურველი შედეგები არ გამოიღო... სტუდენტთა უმრავლესობა იდეოლოგიური თვალსაზრისით შოვინისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი მოსახლეობის გავლენას განიცდის. სტუდენტთა არცთუ მცირე ნაწილი ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობაში მონაწილეობს. სტუდენტებს შორის კვლავ დიდი გავლენით სარგებლობს შოვინისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი პროფესურა...“, „ასეთ სტუდენტობასთან კიდევ ბევრია სამუშაო და კაცმა არ იცის, რას უნდა ელოდოს ადამიანი, ქვეყანაში რაიმე სერიოზული გართულების დროს“ (წერილი დამოწმებულია ვ. გურულის წიგნის მიხედვით (გურული 2011)).<sup>2</sup>

უნივერსიტეტს აკრიტიკებდა საბჭოთა პრესა. გაზეთები – „კომუნისტი“, „მუშა“ და „ზარია ვოსტოკა“ – ასეთ ბრალდებებს უყენებდნენ მას: თბილისის უნივერსიტეტი ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლებას, იგი კარს უკეტავს მარქსისტული იდეოლოგიის სწავლებას, შოვინისტური პოლიტიკის გამო ებრძვის რუსულ ენას და „არ აფასებს მეზობელი ერების ენასა და მიღწევებს“, უნივერსიტეტის პროფესურა რუსულად არ აქვეყნებს ნაშრომებს და არ მონაწილეობს რუსულენოვან სამეცნიერო კონფერენციებში; უნივერსიტეტი მხოლოდ მეცნიერებით ერთობა და „ცხოვრების მოთხოვნილებებს ვერ ამჩნევს, ან არ ამჩნევს. ამ მიმე ბრალდებებზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უხდებოდა პასუხის გაცემა. ეს კარგად ჩანს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში დაცულ ჩვიდმეტგვერდიან დოკუმენტში „უნივერსიტეტის საკითხის გარშემო (მოხსენება)“.<sup>3</sup> მოხსენებაში უარყოფილია ყველა ის ბრალდება, რომელთაც ხელისუფლება ამ უძალეს სასწავლებელს უყენებდა: „ბრალდება, თითქოს უნივერსიტეტს რაღაც თავისი „პოლიტიკა“ გააჩნდეს და „აპოლიტიკოსობის“ ნიღაბ ქვეშ არსებულ წყობილებისა და ძალაუფლების საწინააღმდეგო იდეოლოგიურს თუ სხვა ჯურის საქმიანობას ეწეოდეს, გამგეობას დაუმსახურებლად მიაჩნია. დღიდან გასაბჭოებისა უნივერსიტეტს არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი, რომელიც ან პირდაპირ ან შემოვლით საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ იყოს მიმართული და გამგეობას უფლება აქვს მოითხოვოს,

<sup>2</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, აღწერა №4, საქმე №82, ფურცლები 59-60).

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, ანაწერი №3, საქმე № 248.

აღნიშნული ექვსი წლის გასწვრივ თუნდაც ერთი ასეთი ნაბიჯი.“ მოხსენებაში მოცემულია უნივერსიტეტის პროფესორთა რუსულად დაბეჭდილი შრომების ჩამონათვალი და ის რუსულენოვანი კონფერენციები, რომლებშიც ქართველი მეცნიერები მონაწილეობდნენ. „გვეუბნებიან, რატომ რუსებისთვის რუსულად არ ვსწერთ დასკვნებს, – ნათქვამია მოხსენებაში, – ხანდახან რუსულად იწერება, განსაკუთრებით სამკურნალო დარგში, მაგრამ ყოველთვის ეს საჭირო არაა, რადგან მეცნიერული ურთიერთობა შეიძლება ერთსა და იმავე დროს ევროპის მეცნიერებასთან და რუსულთან სწორედ იმავე ევროპიულ ენებზე, რადგანაც ყველა მეცნიერებმა და მათ შორის რუსებმაც იციან დასავლეთ ევროპის ენები“. მეზობელ ხალხთა ენებისა და კულტურების პატივისცემის დასტურად მოხსენებაში დამოწმებულია ის ფაქტი, რომ „უნივერსიტეტში ისწავლება თითქმის ყველა ჩვენი მეზობელ ერის და საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა ენა, ისტორია და ლიტერატურა. ეს ფაქტია და მისი დაუნახველობა და მით უმეტეს უარყოფა გაუგებარია. უნივერსიტეტში არსებობს ინდურისა და ბერძნულის გარდა კათედრები სომხური ენისა, ლიტერატურისა და ისტორიისა, თურქულისა, არაბულისა, სპარსულისა, ოსურისა, აფხაზურისა. აგრეთვე ისწავლება მეგრულ-ჭანური, სვანური და წოვათუშური /ანუ ბაცბური/. ამ ენებში სწარმოებს არა მარტო მეცნიერული კვლევადიება, არამედ პრაქტიკული ვარჯიშობაც. გამგეობა ფიქრობს, რომ ამაში კარჩაკეტილობისა და შოვინიზმის დანახვა ისევე არ შეიძლება, როგორც იმ გარემოებაში, რომ ადერბაიჯანის და სომხეთის უნივერსიტეტებში ქართული ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება ობიექტიურ პირობების გამო ჯერ-ჯერობით სათანადოდ ვერ მოწყობილა. ან ეგების ის იყოს კარჩაკეტილობისა და მეზობელთა უყურადღებობის მაგალითი, რომ 1924 წელს ჩვენი უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი იყო საგანგებო სამეცნიერო ექსპედიცია /პროფესორ გ. ჩუბინაშვილისა, ა. შანიძისა, დოცენტ ლ. მელიქსედ-ბეგისა და არქიტექტორ ნ. სევეროვის შემადგენლობით/ სომხეთში იქაური სახუროთმოძღვრო ძეგლებისა, ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული მასალების შესასწავლად; ან იქნებ ის გარემოება, რომ ჩვენივე უნივერსიტეტის მოამბეში დაიბეჭდა ასეთი გამოკვლევაანი „გლახთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“ პროფეს. ივ. ჯავახიშვილისა /ტ. II/, „სომხები ანთროპოლოგიური თვალსაზრისით“ პროფეს. ლ. ჯავახიშვილისა /ტ. 4/, მთელი რიგი წერილებისა ოსური ენის შესახებ პროფესორ გ. ახვლედიანისა /ტ.ტ. 3, 5, 6/, ან ეგების ის, რომ უნივერსიტეტმა გამოსცა სომხური ქრესტომათია /1920 წ./ და ამზადებს დასაბეჭდათ სომხურ ლექსიკონსა და დისერტაციას სომხური მწერლობის ისტორიიდან“.<sup>4</sup> უნივერსიტეტის ცხოვრებასთან ყოველდღიური კავშირის საჩვენებლად დამოწმებულია სამკურნალო ფაკულტეტთან დაკავშირებული საავადმყოფო-

<sup>4</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, ანაწერი №3, საქმე №248:14-15.

ფოები, ასევე მიწათმოქმედების კომისარიატის ურთიერთობა უნივერსიტეტთან და პოლიტექნიკური ფაკულტეტის მუშაობა. რუსულის სწავლების საკითხი მრავალჯერ დასმულა ფაკულტეტების სხდომებზე. ქვემოთ დამოწმებულ დადგენილებაში ჩანს, რომ რუსული ენის მნიშვნელობისა და ფუნქციონირების არეალის გაზრდის გარდა, ყურადღება ექცევა ენათმეცნიერების მიმართულების სტუდენტთა პარტიულ კუთვნილებას.

**„ბედაგოგიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს ა.ლ.კ.კ. ბიუროების და პარტიის კომკაგშირის აქტივის გაერთიანებული სხდომის ოქმი №13 16/6 – 1929 წელი“<sup>5</sup>**

1930 წლის საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმის განხილვის შემდეგ დაადგინეს:

- ა) სავალდებულოდ იქნეს ცნობილი ყველა სტუდენტთა დასწრება რუსული ენის მეცადინეობაზე;
- ბ) გადადებულ იქნას თანხა ფაკულტეტის მიერ რუსული ენის საათების გასადიდებლად და საერთოდ მიღებულ იქნას ზომები ამ საგნის საუკეთესოდ დასაყენებლად.
- გ) დასმულ იქნას სათანადო ორგანოებში საკითხი ლენინიზმის კათედრის ჩამოყალიბების შესახებ.
- დ) მიექცეს სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების დროს ყურადღება, რათა ენათმეცნიერების დარგზე იქნეს მოზიდული პარტიის და კომკაგშირის წევრების საკმაო რაოდენობა.“

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის გამგეობა ასეთ მოხსენებებს უგზავნიდა ხელისუფლებას, ეს სასწავლებელი მაინც არ ითვლებოდა პოლიტიკურად სანდო ორგანიზაციად. უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა სოციალური წარმოშობის, მათი მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ინტერესების მუდმივი კვლევა იყო თსუ-ის პარტიული მუშაკების ერთ-ერთი მთავარი საქმე. ამ თვალსაზრისით უამრავ მასალას იძლევა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში დაცული დოკუმენტები. მაგალითად, 1928 წლის 6 იანვრის თსუ-ის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროს სხდომის ოქმში (ოქმი №8) ჩაწერილი ერთ-ერთი დადგენილება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აჩვენებს, რომ მოწმდებოდა და განიხილებოდა სტუდენტებისა და პროფესორის პოლიტიკური სანდოობის საკითხი. დადგენილება მიღებულია რამდენიმე სტუდენტისა და თანამშრომლის პარტიიდან გარიცხვის თაობაზე. თსუ-ის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიუროს 1928 წლის 11 იანვრის სხდომაზე (ოქმი №9) მიიღეს დადგენილება პარტიიდან გარიცხულ ოპოზიციონერებზე თვალყურის დევნების შესახებ, ხოლო ს. კ. პ. /ბ./ ბიურო სახ. უნივერსი-

<sup>5</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №13.

ტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა 1928 წლის 26 ოქტომბრის საერთო სხდომის ოქმში (ოქმი №10) ხაზგასმით არის აღნიშნული უჯრედის ბიუროს დამსახურება ოპოზიციის გამოვლენისა და კომკავშირლების გააქტიურების საქმეში.

პროფესორთა თვალთვალის შედეგების გასაანალიზებლად სპეციალურად იმართებოდა სხვადასხვა სახის შეკრებები. მაგალითად, თსუ-ის პარტიბიუროს 1929 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე განხილულია საკითხი მუშა-გლეხებისა და სხვების სოციალური წარმოშობის შესახებ, „რისთვისაც იქნა მოწვეული სტატისტიკოსი ცესუ-დან“.<sup>6</sup> სახელმწიფო ხელს უწყობდა უღარიბესი და ღარიბი მოსახლეობიდან გამოსულ ახალგაზრდებს ერთადერთი მიზნით, რომ მათ დაეყრდნობოდა პოლიტიკურად. სტუდენტთა წმენდის შესახებ სპეციალური მოხსენება კეთდება „სახ. უნივერსიტეტის ბიურო კოლექტივის სხდომაზე 1929 წლის 3 მარტს, ოქმი №14.<sup>7</sup> „წმენდა“ ეხება პოლიტიკურად არასანდო და შედარებით შეძლებული ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდებს.

თანდათანობით დაამკვიდრეს ტერმინი „კონდრატიევიშჩინა“, რომლითაც აღნიშნავდნენ საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი მეცნიერების თითქოს შეთანხმებულ მოქმედებებს საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდნენ ამ მიმართულების მკვლევრის ან უნივერსიტეტის ლექტორის გამოვლენასა და დევნას. სწორედ კონდრატიევიშჩინის შესახებ გაიმართა დისპუტი საქ[ართველოს] პედინსტიტუტში 1930 წლის 13 დეკემბერს, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი ივ. ვაშაყმაძე. მისი გამოსვლის ტექსტი დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1930 წლის 16 დეკემბრის ნომერში. „ინსტიტუტის პროფესორის 80 პროცენტი არამარქსისტული სოფლმხედველობის ხალხია, ნაწილი მარქსიზმს მტრულად უცქერის, ხოლო პროფესორის ერთი ნაწილი არც კი იცნობს, რა ხილია მარქსიზმი. ამის გამო ზოგიერთ პროფესორსა და მეცნიერების სხვა მუშაკს ჰგონია, რომ მარქსიზმი არის მარტო პოლიტიკური სოფლმხედველობა და მისი გამოყენება არ შეიძლება ბუნების მეტყველების, მეცნიერების რომელიმე სხვა დარგში. მარქსიზმისადმი ასეთ უყურადღებობას ბოლო უნდა მოედლოს. მარქსიზმი ფართოდ უნდა შეიჭრას მეცნიერების ყოველ დარგში, უნდა დაისვას საკითხი მეცნიერების დისციპლინათა რეკონსტრუქციის შესახებ“.

სწორედ ასეთი მიზანდასახულობის სხდომაზე გამოსულა სიტყვით იოსებ მეგრელიძე, როგორც თვითონ აღწერს საკუთარ დღიურში. ეს არის „საერთო რვეული“, რომელსაც აწერია „დღიურის მაგიერ და წითელი ფერის ფანქრით მითითებულია წლები. „1930 წლის 14.XII-ს გამოვედი საქ. პედ. ინსტიტუტის საჯარო კრებაზე კონდრატიევიშჩინის წინააღმდეგ, კრებაზე იყო ათასამდე კაცი და ჩიქობავა,

<sup>6</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №7.

<sup>7</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №14.



თოფურია და ქართველი ენათმეცნიერების უმრავლესობა დავახასიათეთ, როგორც ინდოევროპეისტები. წინ დღით 13.XII30-ს გამოვედი ენა ლიტ. ფაკულტეტის საწარმოო თათბირზე და მოვთხოვეთ ჩიქობავა-თოფურიას მარქსისტული მეთოდით ესწავლებინა ჩვენთვის ენათმეცნიერების საგნები... ფორმალიზმს ებრძვის ახალი თაობა. მარქსისტულად დამუშავებული საგანი ყველგან იქნება მიღებული (თოფურიას რეპლიკა: მარქსისტული გრამატიკა არ არსებობს!). საქმე მეთოდშია და იმ მეთოდით, რომლითაც ახლა იკითხება, ვერ დარჩება იგი“.<sup>8</sup>

როგორც უკვე ვაჩვენეთ, უნივერსიტეტს ბრალად ედებოდა რუსული ენის იგნორირება. 1930 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე ამ საკითხს სპეციალურად ეხება ივ. ვაშაყმაძე. იგი მსჯელობს უცხო ენების ცოდნაზე პროფესორთა და სტუდენტთა შორის და შეუწყნარებლად მიაჩნია რუსულის გარდა რომელიმე სხვა უცხო ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დასახელება, ხოლო ნაშრომების უცხო ენებზე გამოქვეყნებას დანაშაულად თვლის: „იყო შემთხვევები, როდესაც პროფესურა სტუდენტობას უსახელებდა არამარქსისტულ ნაშრომებს. ამავე დროს ნაციონალისტურ სულისკვეთებით გაჟღენთილი პროფესურა მოწადინებული იყო, რომ სტუდენტებისათვის შეეძახებია რუსული ენა. ამის გამო მეცნიერულ ნაშრომებს ასახელებდნენ მხოლოდ ევროპულ ენებზე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წიგნები რუსულადაც მოიპოვებოდა. ამავე დროს ზოგიერთი პროფესორები თავის ნაშრომებს ბეჭდავენ უცხო ენებზე“.

რუსული და სხვა ევროპული ენების ცოდნისა და მათი ფუნქციური მიმართების საკითხზე პარტიის ზახის გამტარებლები სხდომებზე იმოწმებენ შალვა ნუცუბიძის სიტყვებს: „პროფესორი ნუცუბიძის აზრით, ჩვენი ასპირანტები არაფრად არ ვარგა, ისინი არიან კარგი ბიჭები, ვინც უცხო ენებს სწავლობს, დანარჩენი კი ფინაჩები არიანო. /ზმა პრეზიდენტიდან: ეს ძველი ამბავია/. მართალია, წითელ პროფესორებს არ ჰქონიათ დრო, რომ მდიდარი იყვნენ ენით, ამის საშუალება არ გვქონდა, რომ ენები შეგვესწავლა, 20-30 წელი კაბინეტებში ჩავკეტილიყავით და მრავალი წიგნი წავგვეკითხა, ამის საშუალება არ ქონდა წითელ პროფესორებს. ჩვენ გავიზარდეთ ყანაში, წარმოებაში, ჩვენ ვართ წარმოების სიდრმის გულიდან გამოსული, დიდ რევოლუციაში და სამოქალაქო ომში გამობრძმედილი, რომელიც უფრო კარგად ითვისებს ჭეშმარიტებას, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას“.<sup>9</sup> ამ გამოსვლაში ჩანს, რომ, რუსულის გარდა, სხვა ევროპული ენების ცოდნა არის პოლიტიკური არასანდლობის ნიშანი, რადგან ეს მიუთითებს სტუდენტისა და პროფესორის მატერიალურ კეთილდღეობაზე. ენების უცოდინრობა კი, მატერიალური გაჭირვების გარდა, პოლიტიკური სანდლობის ნიშანია.

<sup>8</sup> დამოწმებულია იოსებ მეგრელიძის საოჯახო არქივში დაცული დღიურის მიხედვით.

<sup>9</sup> სტენოგრაფიული ანგარიში სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრებისა, 7 იანვარი, 1935 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი №1, საქმე №54:51.

ივ. ვაშაყმაძის 1930 წლის 13 დეკემბრის გამოსვლა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩანს, რას ედავებიან უნივერსიტეტის პროფესორებს. ყველა საკითხი უნდა გატარებულიყო მარქსიზმის პრიზმაში და ამას ითხოვდა ის ხალხი, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ესმოდა მარქსიზმი. ზოგჯერ ძნელი ასახსნელია, რატომ არის დაწუნებული ცნებები: „სინდისი“ და „მისტიციზმი“, ან რატომ არის საშიში გეოგრაფია და საქართველოს სილამაზე. ვფიქრობთ, ღირს, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ქართველ ბოლშევიკთა წუხილს, რომელიც აისახა ივ. ვაშაყმაძის გამოსვლაში: „პროფ. ს. დანელია სუბიექტურად ცდილობს, ჩვენთან იყვეს, მაგრამ ობიექტურად პირიქით გამოუდის. მისი ნაშრომები ანტიმარქსისტულია. ამ პროფესორის მსოფლმხედველობა ნათლად გამოსჭვავის მის წიგნში „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, სადაც იგი სწერს: „სად ქართველი და სად მისტიციზმი. განა საქართველოს მზის სხივებს მისტიციზმი გაუძღვება“, სად სჩანს აქ მარქსიზმი, რა შუაშია მზე, სად არის კლასიკური მიდგომა? იმავე წიგნში იგი ანვითარებს ანტიმარქსისტულ აზრებს: „ქრისტემ მოაბრუნა კაცობრიობა და წარმართა იგი მომავლისაკენ.“ რაც მთავარია, მისი წარმოდგენით „სინდისი უდრის საწარმოო ურთიერთობას“ – ნასესხები სინდისით ისტორია არ შეიქმნებაო“ – სწერს დანელია იმავე წიგნში.

გამოურკვეველია ს. ყაუხჩიშვილის პოზიცია, იგი ჩვენთანაც არის და მემარჯვენეებთანაც. საბოლოოთ ჯერ-ჯერობით მემარჯვენეებისგან თავი ვერ დაუხწვია. პროფ. დ. უხნაძე სუბიექტურად ცდილობს ჩვენთან იყვეს, მაგრამ თეორიულად და იდეოლოგიურად დაშორებულია მატერიალისტურ სოფლმხედველობისაგან. იგი გულმოდგინეთ უმტკიცებს სტუდენტობას, რომ არ არის მარქსისტული ფსიქოლოგია. დოც. ვ. კოტეტიშვილს იტაცებს ნაციონალისტური სულისკვეთება, ლაპარაკობს ქართველი ხალხის შესახებ და არა საქართველოს მშრომელებზე. მის ნაშრომებში არ სჩანს მარქსიზმი. იდეოლოგიურად უახლოვდება ფედერალიზმს (რომლის წარმომადგენელიც იყო წარსულში). პროფ. გ. ნიკოლაძე წარსულში ხელმძღვანელობდა გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც იყო ნაციონალისტური საზოგადოება, ეხლა რას ფიქრობს, გამოურკვეველია. **ლექტორი კეცხოველი გატაცებულია საქართველოს სილამაზით და ნაციონალიზმის ჭკობში ვარდება. ასეთივე განწყობილებით არის აღჭურვილი გ. ქიქოძე...** პროფესორთა მემარცხენე ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელია პროფ. გ. ნათაძე რომელიც ყოველმხრივ ცდილობს ჩვენთან მოსვლას. დოც. მოსე გოგობერიძე – ჩქარი ნაბიჯით გვიანლოვდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოსულა მთლიანად. დოც. კ. ბაქრაძე პოლიტიკურად პასიურია. პროფ. კ. კეკელიძე ცდილობს მარქსისტული ენით ალაპარაკდეს. პროფ. შალვა ნუცუბიძე საბჭოთა ხელისუფლების 1-ლ დღიდანვე სდგას ჩვენს პლატფორმაზე, მაგრამ მეთოდოლოგიურად არ არის განთავისუფლებული იდეალისტური სოფლმხედველობისაგან. პროფ. თვალჭრელიძე ენტუზიაზმით მუშაობს, რაც ჩვენც გვახალისებს“ (ივ. ვაშაყმაძის წერილის სრული ვერსია იხ. გურული 2011). პროფე-

სორთა „აბსტრაქტული კამათი და მსჯელობა“ განსაკუთრებით აღელვებდათ ბოლ-შევიკებს: „ავიღოთ რუსთველის შესახებ დისკუტი... ამ დისკუტზე ერთ-ერთი ტენ-დენცია იყო ცნობილი რუსთველი და რუსთველოლოგები ცდილობდნენ ამ დიდ სოციალურ შინაარსთან პოლიტიკა გამოეყენებიათ სულ სხვაფორმად. ამან გამოიწვია ერთგვარი აბსტრაქტული კამათი. უარყოფით მოვლენებს ქონდა ადგილი. ამასთან დაკავშირებით ვეფხვის ტყაოსანის შესახებ, რომელიც სულ სხვანაირათ უნდა გამოიყენონ ძველმა პროფესორებმა. ამისათვის ჩვენი კომუნისტური ძალები მეტათ უნდა შეიარაღდნენ ამ საკითხის გარჩევაში“.<sup>10</sup> ეს ნაწყვეტი დავიმოწმეთ იმის საჩვენებლად, თუ რა პირობებში უხდებოდათ უნივერსიტეტის პროფესორებს ცხოვრება.

ყოველთვის იღვა ძველი პროფესორის შეცვლის საკითხი და ეს მართლდებოდა აკადემიურ-იდეოლოგიური მიზნებით, თუმცა იდეოლოგიური მიზანი უფრო მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის კომკავშირული და კომუნისტური უჯრედებისათვის. განსაკუთრებულ გაავებას იწვევდა ის გარემოება, რომ პროფესურა თითქმის არ ერიდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფარავად კრიტიკას. 1935 წელს უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრების სტენოგრაფულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ჩვენ ვგაქვს მაგალითები იმისი, რომ ეს ხალხი თავისთავად გამოდიან დერეფნებში, თავისუფლად ლაპარაკობენ პროფესორის შვილები. ისინი იმახიან დიალექტიური მატერიალური მოძღვრება, ეს არის ძნელი მძიმე მოძღვრება, რომ ადამიანს თავისუფლად აზროვნება არ ძალუძს. ეს მაჯლაჯუნასავით აწევს ადამიანის გონებასო. აი ასეთი მდგომარეობა თავიდანვე უნდა იყოს დევნილი. მე საჭიროდ მიმაჩნია, თვითეული ასეთი კუნჭული გამოენახოთ. დარტყმა იმ ადგილას, სადაც არ გრძნობენ პროლეტარიატის გეგემონიის უალრეს ჭეშმარიტობას“.<sup>11</sup>

ასეთ სხდომებზე ზოგჯერ ერთი და იმავე სტუდენტის ან პროფესორის შესახებ სხვადასხვაგვარი დადგენილება გამოტანილი. მაგალითად, საქ. სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის 1931 წლის 13 იანვარს პარტბიურო კოლექტივის სხდომაზე (ოქმი №10) პროფესორის დახასიათებისას აღნიშნულია: კარბელაშვილი აკადემიკოს მარის მოწაფეა, მატერიალისტურ თვალსაზრისზე ცდილობს დგომას ენათმეცნიერებაში, პოლიტიკურად ლოიალურია“, თუმცა იმავე კარბელაშვილს შემდეგ სხდომაზე (16 თებერვალი, 1931 წელი, ოქმი 31) ახასიათებენ როგორც ანისაბჭოთა ელემენტს.<sup>12</sup>

<sup>10</sup> სტენოგრაფიული ანგარიში სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრებისა, 7 იანვარი, 1935 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი №1, საქმე №54:31.

<sup>11</sup> სტენოგრაფიული ანგარიში სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრებისა, 7 იანვარი, 1935 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი №1, საქმე №54:15.

<sup>12</sup> ორივე ოქმი იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №21.

ერთ-ერთი მიმართულება იყო უნივერსიტეტის პირველი თაობის სტუდენტების გადმობირება მარქსიზმისაკენ. მას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, რადგან უნივერსიტეტის პირველი თაობა უნივერსიტეტში მომდევნო თაობის სტუდენტებს ზრდიდა. ნაწყვეტი ერთ-ერთი კრების ოქმიდან: „ამხანაგებო, ეხლა ენათმეცნიერების ფრონტის შესახებ. მე უკმაყოფილო ვარ ნიკო მარის სამგლოვიარო საღამოთი, სადაც ლაპარაკი იყო, რომ ნიკო მარი ინდო-ევროპის წარმომადგენელი იყო. ის მათი წარმომადგენელი არ არის. ჩიქობავამ განაცხადა, რომ ნიკო მარი ინდო-ევროპის წარმომადგენელიაო და მისი წიგნი ინდო-ევროპული არიო /არ ისმის, რადგან ხმაურობა არის დარბაზში/. ამის შესახებ მოსკოვის „პრავდაში“ იყო დაწერილი. მარის აზრი იყო მარქსისტული პარტიის პოლიტიკა. აქ საჭირო არის ძალიან დიდი სიფრთხილე. აქ არის ცოტა დათმობა იდეოლოგიურ ფრონტზე. არ გვინდა აშკარა ბრძოლა. კომუნისტები არ გვყავს, ჩიქობავა კი არ გვინდა გამოვიყენოთ, არამედ ის გამოვიყენოთ მარქსისტულ ერთ მეცნიერ მომუშავეთ“.<sup>13</sup>

უნივერსიტეტის პარტკომის 1934 წელი 21 მაისის სხდომა მთლიანად ეძღვნება პროფესურის დახასიათებას სანდობის მიხედვით (ყველა ფაკულტეტის შესახებ ცალკე-ცალკეა მოხსენებები). სწორედ ამ სხდომაზე გამოაცხადეს არნოლდ ჩიქობავა და გიორგი ახვლედიანი ინდოევროპული ენათმეცნიერების წარმომადგენლებად. ჭკუასელს ჰქონდა მოხსენება მომავალი სასწავლო წლის მომზადების შესახებ. მან სპეციალურად დაახასიათა პროფ. ახვლედიანი და პროფ. ჩიქობავა: „[ისინი] არიან ინდოევროპეისტიკის წარმომადგენლები დღევანდლამდე, ამკარად არ უარყვიათ თავისი შეხედულებები, პასივობას იჩენენ მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერებისათვის ბრძოლის საქმეში, ხშირად თავსაც ესხმიან მარქს-ლენინურ ენათმეცნიერების მიმდევართ ახალგაზრდა კადრებს.

**26 დაადგინეს:** იმის გამო, რომ სათანადო მარქსისტულ-ლენინურ შემცველი კადრები არ მოგვეპოვება ამიტომ დატოვებულ იქნას პროფ. ახვლედიანი და ჩიქობავა და გაძლიერდეს მათზე კონტროლი და გაიშალოს ბრძოლა მათი საბოლოო განიარაღებისათვის.

**27 მოისმინეს:** დ. (იგულისხმება დოც., – თ.ბ.) თოფურია ინდოევროპეისტიკის წარმომადგენელია, მართალია აქტიურად არ გამოდის მარქსისტ-ლენინური ენათმეცნიერებისათვის გაშლილ ბრძოლის წინააღმდეგ, მაგრამ ჩიქობავა-ახვლედიანის გავლენით არავითარ აქტივობას არ იჩენს. ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში ცდილობს ინდო-ევროპიულ ტიპის მიმდევარ ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას. პრაქტიკულ მუშაობაში უფრო ენერგიულია, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში.

<sup>13</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი, №947, ანაწერი №1, საქმე №58:50.

27 დაადგინეს: პარტკომს შესაძლებლად მიაჩნია მისი მუშაობა უნივერსიტეტში, საჭიროა სისტემატური ყურადღება და ხელის შეწყობა, რომ თოფურიაძე დაძლიოს ძველი შეხედულებები და დადგეს მარქს-ლენინურ ენათმეცნიერების საფუძველზე.<sup>14</sup> ამავე სხდომაზე განხილულია პროფ. ჯავახიშვილისა და პროფ. გრ. წერეთლის სახელობის საკითხი.

ინდოევროპეისტიკისა და მარქსისტული ენათმეცნიერული იდეების დაპირისპირების შესახებ სპეციალურად მსჯელობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (კპ /ბ/) თბილისის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მომხსენებელი იყო აღნიაშვილი, რომელმაც იმსჯელა ლინგვისტურ ფრონტთან დაკავშირებით.<sup>15</sup> როგორც ჩანს, მარქსისტული ორიენტაციის პროფესურა და სტუდენტები ლინგვისტურ დისკუსიებში ჩამორჩებოდნენ „კონტრრევოლუციონერ ინდოევროპეისტებს“. აღნიაშვილი უკმაყოფილოდ აღნიშნავდა, რომ ამ სერიოზული საკითხის განხილვა არ მომზადდა შესაბამისად და ინდოევროპული ენათმეცნიერების დაგმობის ნაცვლად ცალკეული პიროვნებების დაგმობა გამოვიდა, რაც იდეოლოგიური თვალსაზრისით სულ არ იყო სასურველი. აღნიაშვილის გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერი ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს: „ჩიქობავა შანიძისა და თოფურიას მსგავსად გარკვეული ხარისხით ინდო-ევროპული სკოლის მომხრეა, მაგრამ ვთვლი, რომ ამ დისკუსიის ჩატარება ახლა მიზანშეუწონელია იმდენად, რამდენადაც ჩვენ არა ვართ მომზადებული ამისთვის. ეს განსაკუთრებით სერიოზული ფრონტია, რომელსაც მოსკოვსა და ლენინგრადში ვერ გაუმკლავდნენ. თქვენი მარი არ არის აზრთა მპყრობელი არც მოსკოვში და არც ლენინგრადში და ახლა ენათმეცნიერებას ასწავლიან სოსიურის და არა მარის სახელმძღვანელოს მიხედვით. მე მას ვეუბნებოდი, რომ ამ დისკუსიისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. არიან ამხანაგები, რომლებიც ამას დაადასტურებენ. მე მათ ვეუბნებოდი, რომ არ შემიძლია მათ დაეუპირისპირო ახალგაზრდა, ჯერ სრულიად მოუმზადებელი ჩხენკელი და ჩხენკელის ბაგეებით დავცხო თოფურიასა და ჩიქობავას (ადგილიდან: ჩვენს აკადემიკოსებად გახდომას დაველოდოთ?). საჭირო იყო სოლიდურად მომზადება, და არა სრულიად მოუმზადებელი ახალგაზრდა კაცის გამოყვანა... დისკუსიის დროს ჩიქობავა აღმაშფოთებლად იქცეოდა (ადგილიდან: და მთელი მისი ჯგუფი). გამოვიდა მხოლოდ თოფურია, თანაც ძალიან წა-

<sup>14</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი, ს.კ.პ. /ბ/. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის სხდომის 1934 წლის 21 მაისის ოქმი №13, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №49.

<sup>15</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის (კპ /ბ/) თბილისის კომიტეტის სხდომათა სტენოგრაფიული ჩანაწერები, საქმე 2184 (37), სახუნივერსიტეტის საკითხებთან დაკავშირებული კრების სტენოგრაფია Тифлийский Комитет Коммунистической партии (ТККП(б) Грузии/Дело 12184 (37), Стенограмма совещания по вопросам Госунта, I и II заседания, 3. 07, 1934 года (Фонд 17, опись. 1 дело 2184). Утреннее заседание. Выступает Агнияшвили: Относительно лингвистического фронта: 13.

რუმატებლად. იმის ნაცვლად, რომ პრინციპულ საკითხებზე ესაუბრა, მან ჩიქობავას დაცვა დაიწყო... მე კატეგორიულად ვითხოვდი, რომ კრება არ ასცდენოდა სამეცნიერო პოზიციებს, გვეჩვენებინა, რაში მდგომარეობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია და კონტრევოლუციური ინდო-ევროპული მოძღვრება, რომელსაც გარკვეული ხარისხით ემხრობა ჩვენი პროფესურა. და რა მოხდა რეალურად?... ამხ. მინდაძემ შეადგინა დადგენილების პროექტი, რომელშიც ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებას კი არ უწოდებს კონტრევოლუციურს, არამედ ჩიქობავას უწოდებს კონტრევოლუციონერს. **პარტკომს უნდა ჰქონდეს ელემენტარული ალღო, პარტიული ეთიკა და არ უნდა გვითითებდეს ჩიქობავას, ნუცუბიძისა და თოფურის მოხსნისაკენ. თქვენ არავის არ ნიშნავთ და ვერც ვერავის გაათავისუფლებთ. ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაცია, რომელიც ხელმძღვანელობს დაწესებულებას**<sup>16</sup>. ჩიქობავას დასაცავად გამოდის ერმილე ბეღია, რომელიც აცხადებს: რაც შეეხება ჩიქობავას, აქ ამტკიცებდნენ, რომ იგი არალეგალურ სამსახურს ეწეოდა. მე ამაში ეჭვი მეპარება. ნება მომეცით, კრიტიკულად შევხედო განცხადებას, თითქოს იგი კლასობრივ ბრძოლაში იყო ჩართული, განსაკუთრებით იატაკქვეშა საქმიანობაში... ჩვენ ამ ფაქტს შევამოწმებთ. მე ეჭვი მეპარება იმაში, რომ მან სპეციალური ოთხეული ჩამოაყალიბა.<sup>17</sup>

აღნიშნულ გამოსვლაში საყურდლებოა ის, რომ პარტიული ორგანოებისაგან დევნილ არნ. ჩიქობავას ისევ პარტიული ორგანოს წარმომადგენელი იცავს. ეს იშვიათი გამონაკლისი შემთხვევა იყო, რადგან არნოლდ ჩიქობავას ყოველთვის აკვირდებოდნენ, როგორც არასანდო ენათმეცნიერს. მაგალითად, 1934 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის 25 მაისის სხდომაზე განიხილება ერთი ინციდენტი: „არნ. ჩიქობავასა და „ელზი“ს (ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის ინსტიტუტის) პარტორგანიზაციის მდივანს, ამხ. ცინცაძეს შორის მოხდა დაპირისპირება. როგორც ჩიქობავა აღნიშნავს, ცინცაძე მას დაემუქრა, მაგრამ პარტკომი ცინცაძე ჩიქობავას ამტყუნებს. თავად სხდომაც იხრება იქითკენ, რომ ჩიქობავას არავინ არ დამუქრებია და ყოველთვის ჰქონდა მუშაობის კარგი პირობები“.<sup>18</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში ინახება უნივერსიტეტის პარტკომის მდივნის, ამხ. ხუბუას სახელზე დაწერილი განცხადება, რომელშიც ჩივიან „ჩიქობავასგან დევნილი მარქსისტ-ლენინისტი სტუდენტები“.<sup>19</sup>

<sup>16</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №17, ანაწერი №1, საქმე №2184.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №49:28.

<sup>19</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №92:9-10, 68.

როგორც დამოწმებული საარქივო მასალა აჩვენებს, დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული ინდოევროპეისტი კონტრრევოლუციური ენათმეცნიერების წინააღმდეგ, რომლებიც იყვნენ ისტორიულ-შედარებით მეთოდს და არა მარისეულ პალეონტოლოგიას ან ოთხელემენტოვან ანალიზს. ნიკო მარის თეორიის დამწუნებელი ენათმეცნიერები განიხილებოდნენ არასანდო პოლიტიკურ ძალად და გათანაბრებულნი იყვნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებთან. ალ. ლლონტი, ნიკო მარის მოწაფე და იაფეტური თეორიის მიმდევარი, ასე იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მარისტები და „ინდოევროპეისტები“: „გაჩაღდა დაუსრულებელი მწვავე დისკუსია, რომელშიც თითქმის იმ პერიოდში მოღვაწე ყველა ცნობილი ენათმეცნიერი მონაწილეობდა. დისკუსია წლების განმავლობაში გრძელდებოდა როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში, რაც სრულიად არ უშლიდა ხელს იმას, რომ მეცნიერებათა აკადემიის სისტემასა და ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებდნენ ორივე სკოლის, ნ. მარის მოძღვრების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა წარმომადგენელი. წინა პოზიცია ზოგან ერთ მხარეს ეჭირა, ზოგან კი – მეორე მხარეს. რაც შეეხება ენის ახალ მოძღვრებას /იაფეტურ თეორიას/ ის უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელ, სავალდებულო დისციპლინად ისწავლებოდა. ნ. მარის იაფეტური თეორია – ენის ახალი მოძღვრება – ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია მოძღვრება საკუთრივ იაფეტურ ენათა შესახებ – იაფეტოლოგია ვიწრო გაგებით, მეორე კი მოძღვრება საერთოდ ენაზე, ადამიანის მეტყველების წარმოშობის, განვითარების, ენათა სისტემების – ოჯახების ვითარების საკითხებზე – ზოგადი ენათმეცნიერება, იაფეტიდოლოგია, ფართო გაგებით. საყოველთაო ინტერესის საგანს მეორე ნაწილი შეადგენდა, რადგან სწორედ ის უპირისპირდებოდა გაბატონებულ ინდოევროპეისტიკას – ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას, რომელიც თავისი განშტოებებით და სხვადასხვა მიმართულებებით მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებულ-აღიარებული და უსიტყვოდ მიღებული“. მარის თეორიის დებულებათა სიახლეს ბევრი აღიარებდა და ზოგი სიცოცხლის ბოლომდე ავითარებდა, მაგალითად, აკად. ი. მეშჩანინოვი, მეორე შეხედულება ცნობდა ნ. მარის თეორიული დებულებების აქტუალობას, მაგრამ უარს ამბობდა პალეონტოლოგიური მეთოდის მიღებაზე, მესამე კი – მას სრულიად უარყოფდა (ლლონტი 1998:16-18).

მართალია, ყველა უმაღლეს სასწავლებელში იყვნენ იაფეტური თეორიის მიმდევრები და კომპარატივისტები, მაგრამ მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ხელისუფლება ღიად უჭერდა მხარს მარისტებს, რადგან იაფეტური თეორია ითვლებოდა მარქსისტულ ენათმეცნიერებად და კომუნისტური პარტიის ხაზად მეცნიერებაში. ეს დაპირისპირება ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიშ ვითარებასაც კი ქმნიდა, რადგან მეცნიერის ან სტუდენტის მოხვედრა არასანდოთა რიცხვში მისთვის შეიძლებოდა ცუდად დასრულებულიყო.







168 - 7 -

24. დადგენა: გუთებაში ერისაბედ იუდევის ახელი მოიხსნას თანაბრებობიდან.

25. პირობა: შეროვი შრიგორ აბოქსანდრეს ძე, დღიდან " აღიას მონაწილე" რიგების დაარსებისა უშუალოდ ან კონსტაბლე სხვა და სხვა თანაბრებობაზე. ობეროვი არის ძველი ბიუროკრატიული ჩინოვნიკური ფიქსის განსაზღვრება საზოგ. შემაღობას არ ენევა და არც სურს, ვადებებურებას ეკიდება გულგრილად, ბიუროკრატიულად ობეროვი წინააღმდეგი წაუბრდა გოლაჩის უხსნივ შესახებ და საკითხს კომუნისტების დანიშვნის შესახებ აუშავებდა "ასწავლებელთა კონსტრუქციული წინაგონი და ჩაუბრუნებელი სფუდერალთა შორის შათი დარბაზის პიზნიით ახიად დანიშნული ბერძონური კომუნისტების წინააღმდეგ.

25. დადგენა: შეროვი გრიგორ აბოქსანდრეს-ძე, როგორც შეუწერებელი მოიხსნას თანაბრებობიდან.

26. პირობა: ისტ. რიგ. მაკულტურის პროფ. ავდაგოვიური პერსონალის გადასინჯვის შესახებ / ყიზილთაში /.

აბი გაბოსთქე: შანელიძე, ჭკუასელიძე, ჭყონია, უინდაძე.

პროფ. გ. აბ ჯღედიანი პროფ. ჩოქობავა. არიან ინფორმაციის ფიქსის წარმოადგენენ იტყვანდღაშეფ ამჟამად არ უარყვიათ თავისი შედეგებები. პასუხობას იჩენენ შარქსის ფიქს-რეინერის ენათმეცნიერებისათვის ბრძოლის საქმეში, ბშირად თავსაყენებშიან შარქს-რეინერ ენათმეცნიერების უბრევიან ახალგაზრდა კადრებს.

26. დადგენა: იურის გაბო რაშ სათანადო შარქსის ფიქს-რეინერ შეშედეგი კადრები არ მოგვეპოვება აქიყო დამოუკიდებელი იქნას პროფ. გ. აბ ჯღედიანი და ჩოქობავა საპროშაოზე და გაძლიერდეს შათ-ბე კონსტრუირი და გაიშაროს ბრძოლა შათი საბოლოო განიარაღებისათვის.

27. პირობა: დ. შოთურია ინფორმაციის ფიქსის წარმოადგენელი, შანთარია აქტიურად არ ვაპირებს შარქსის ფიქს-რეინერის ენათმეცნიერებისათვის გაძლიერ ბრძოლის წინააღმდეგ, შანთარია ჩოქობავა-ან ჯღედიანის ვადრენით არუითარ აქტიუობას არ იჩენს. ახალგაზრდა კადრების უბრევიან შესახებ, ყიბოებს ინფორმაციის უბრევიან ასწავლებელთა კადრების დანიშნებას. ახალგაზრდა მუშაობაში უფრო ენერგიულია, აქტიურად აქტიურად უბრევიან საზოგადოებრივ მუშაობაში.

27. დავაღიგნვის: პარტკომის შეხადრებლად პიანინა პისი პრეზობა უნივერსიტეტში, სავიზიტო ნიშნუმიანური ვერადრება და ბერის შეწყობა რაი თოფურიათ დასროს ძველი შეხედვლებით და დადგენ პარტის-ღენიზური უნივერსიტეტის სავუძვერბე.

28. მშობიგნვის: პრფ. ივ. შავახიშვილი პრფ. შრ. ნერეხელი, ისევე ძველ შეხედვლებებში დგანს, კომპლექტის რეშეობის, ან კომპარებინ სავუძვერბე უპაღრეს სავსავლებებში რიღებურ სწავლებლის რეკლებს, ან აწარმოებინ შიშღინარე აღრისებვას და სხვ.

28. დავაღიგნვის: პარტკომის აბრით პათი უნივერსიტეტში პრეზობა პიანინა-ნორელია, პავრიათ დღეს დღეობით პათი შეხედვლები სავსავლებ სავუძვერბის უფრობის ვაშო შეხადრებლად კრწას მწობილი პათი ვაშოყენება, შით უპიყენად, რაი თავის დაწეში დიდი უფიადისებში არიან.

29. მშობიგნვის: პრფ. ივ. შანიძე, თითქოს ან კომპარებინ რიქობავა-აბვერებინ წინ შეხედვლებს, პავრიათ ურეს ბედავს აშის სავსავლებში ვაშოყენება. რეგონე შეხედვები ყვერგან შეხედობი კრწება ვა რიწივთა თავისი პიყად პრეფექციური მწობით და ყვერადე ურ რა აბრე სეგან სავსავლებ ბერისუბლებასთან.

29. დავაღიგნვის: პრფ. შარბიძე დაყუბებური კრწებს სავ. უნივერსიტეტში თავის თანაპრებობაში.

30. მშობიგნვის: სავსავლებლების პ. სავსავლებ, პ. კომპარებინ, უნივერსიტეტში თავისუფლად. სავსავლები რეხებუ ეწას. რწა პისიყუბებობის ვაშოყენებ რიღებინ სავსავლებ უნივერსიტეტის აპ შეხადრ აშეხადრ სავსავლებ სავსავლებში. ვაშოყენებობი სავსავლებ სავსავლებ უნივერსიტეტში აშეხადრ შეხადრებობი სავსავლების უწარს თითქმის ყვერადე-ყვერადე ში აშეხადრებინ რაშის რეშეობებში ვაშოყენებობა უსავსავლები პა სავსავლებობის სისუხუბის ვაშო. კომპარებინ ურ შეხედვ უპაღრეს სავსავლებლებს პიანინა-ნორელია სავსავლები პიანინა-ნორელია





სწორედ ასეთ ფონზე ნიკო მარმა მონიღომა თბილისში ჩამოსვლა. ძირითადი მიზეზი იყო მისი ვაჟის, ცნობილი ირანისტის, იური მარის ავადმყოფობა, მაგრამ, ვაჟთან ახლოს ყოფნის გარდა, თბილისის უნივერსიტეტში ლექციების კითხვაც ისურვა. ეს ძალიან გაუხარდათ ნიკო მარის უნივერსიტეტულ მიმდევრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ნიკო მარის სახელობის იაფეტიდოლოგიურ წრეში და ნიკო მართან შეთანხმებული გეგმით მუშაობდნენ. ამ ინფორმაციის სისწორეს ადასტურებს ალექსანდრე ლლონტი, რომელიც სპეციალურად იხსენებს ნიკო მარის თბილისში ჩამოსვლას. ეს ამბავი აგრეთვე ასახულია იოსებ მეგრელიძის ხელნაწერ დღიურებშიც, რომელიც ინახება მის საოჯახო არქივში.

ალ. ლლონტი იგონებს: „1931 წელს წრის წევრებმა გადავწყვიტეთ, ჩვენს მეცადინეობაზე დასასწრებად ბ-ნი ნიკოს მოწვევა, რასაც ნიკო მარი დიდი მოწონებით შეხვდა. შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, დიდძალი ხალხი დაესწრო და როცა ალექსანდრე ლლონტმა აუდიტორიას დიდი მეცნიერი წარუდგინა, მას ფეხზე ადგომითა და მხურვალე ოვაციით შეხვდნენ. ლლონტის მოკლე მოხსენების შემდეგ მეცნიერს მიმართა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. კორნელი კეკელიძემ. დაუვიწყარი იყო მარის გამოსვლა. ლაპარაკობდა ქართულად, გურული აქცენტით. წრის საქმიანობა და ჩემი მოხსენება მოიწონა და ვრცლად შეჩერდა იაფეტური თეორიის ახალ მიღწევებზე. რამდენიმე ხანში შეიქმნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ნ. მარი. ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის მთავრობამ გამართა დიდი დარბაზობა, რომელსაც ესწრებოდნენ მეცნიერები, საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავრობის წევრები, პარტიული მუშაკები, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ორიანტის დიდი სააქტო დარბაზი გადაჭედილი იყო. თამაღობდა ნიკო მარი, რომელმაც გონებაამხვილობით, საოცარი ხალხური იუმორით, სხვადასხვა ენაზე საუბრით ყველა გააოცა. ლაპარაკობდა ის რუსულად, ქართულად, სომხურად, თურქულად, აზერბაიჯანულად, აფხაზურად, სვანურად, ლაზურად, მეგრულად, გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად, ბასკურად. თანაც ამ ენებით საუბარში ურთავდა ხოლმე ცოცხალ ხალხურ ანდაზებს, ფრთიან სიტყვებსა და აფორიზმებს, რაც დარბაზობის მონაწილეთა აღტაცებას იწვევდა... მეორე დღეს „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“ იუწყებოდნენ, დარბაზობას გრანდიოზული სახე ჰქონდაო... ნიკო მარმა გადაწყვიტა, დარჩენილიყო თბილისში ავადმყოფ შვილთან. მაგრამ აზრთა ფუნდამენტურმა სხვადასხვაობამ უნივერსიტეტის პროფესურასთან ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე“. როგორც ალ. ლლონტი იხსენებს, „გაზეთში წინასწარ გამოცხადდა ლინგვისტთა თათბირი, რომლის თაობაზე ნიკო მარი არავის გაუფრთხილებია. გაზეთი თათბირის დამსწრეთა ვინაობასაც იუწყებოდა: ნ. მარი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, დ. კარბელაშვილი, ასპირანტი ალ. ლლონტი

და სხვები. მარი გაცეცხლდა, მე ლავრენტი ბერიას სტალინთან შეხვედრის მოწყობა ვთხოვე და არა ეს თათბირი, რომელზეც ალბათ ჩემი გალანძღვა უნდა-თო“. ალ. ლლონტი დააკავშირა ტელეფონით ნიკო მარი უნივერსიტეტის რექტორთან, რომელსაც აღელვებული ელაპარაკა: ამხანაგო ორაგველიძე, ეს თათბირი წინასწარ ჩემთან არავის შეუთანხმებია, რა მიზანი აქვს, არ ვიცი, ასეთ თათბირს არ დავესწრები, არ მოვალ, სულ წავალ საქართველოდანო. მიუხედავად რექტორისა და მისი მოადგილის დიდი მცდელობისა, ნ. მარი არ დაესწრო თათბირს. თათბირი ჩაიშალა, იმ დღესვე გაემგზავრა აკად. ნ. მარი საქართველოდან... რამდენიმე ხანში მოვიდა ცნობა პეტერბურგიდან, რომ ნ. მარს ენისა და აზროვნების ინსტიტუტში მოხსენების კითხვისას გადააწოდეს დალუქული პაკეტი. ეს აღმოჩნდა ლავრენტი ბერიას ბარათი: როდესაც მოსკოვში იქნებით, ი. სტალინს დაურეკეთ. ის თქვენ მიგიღებთ (ბარათი ინახება არქივში, – ალ. ლლონტი არ წერს, რომელ არქივს გულისხმობს). მარმა მოხსენების კითხვა განაგრძო, მოულოდნლად შეტორტმანდა, ჩაიჩოქა, მარჯვენა კიდურების დამბლა მოუვიდა, დაეცა და საავადმყოფოში მკურნალობსო. ალ. ლლონტი სპეციალურად ჩავიდა პეტერბურგში მოძღვრის მოსახსენებლად. ნიკო მარი 1934 წელს გარდაიცვალა (ლლონტი 1998:17-18, 41-43). დაპირისპირება მისი თეორიის მომხრეებსა და მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეებს შორის კვლავ გაგრძელდა, რადგან საბჭოეთში იაფეტური თეორია კვლავ რჩებოდა ოფიციალურად აღიარებულ ერთადერთ ლინგვისტურ მოძღვრებად 1950 წლის ცნობილ ენობრივ დისკუსიამდე.

### **ლიტერატურა**

**ამირანაშვილი 1968:** შ. ამირანაშვილი, *საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება*, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი.

**ბოლქვაძე 2015:** T.Bolkvadze, *Ideological Enemies in Linguistics: Soviet and Anti-Soviet Linguistic Theories*, *International Conference: Ideology and Linguistic Ideas*, *Georgi Akhvlediani Society for the History of Linguistics*, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 4-6 October, Tbilisi.

**გურული 2011:** ვ. გურული, *ჯვარცმულის უკვდავება და ჯვარცმელთა სირცხვილი* (ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების ფურცლები), 1930-1936, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**ლლონტი 1998:** ალ. ლლონტი, *მოძღვრები, მეგობრები, შევირდეები*, ს.-ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, რედაქტორები: ვ. სართანია, ლ. კვაჭაძე, თბილისი.

**ჩერჩი, მენინგი 2002:** Marcello Cherchi and H. Paul Manning, *Disciplines and Nations: Niko Marr vs. His Georgian Students on Tbilisi State University and Japhetidology / Caucasology Schism*, *The Carl Beck Papers*, No 1603, The Centre of Russian and East European Studies, University of Pittsburgh.

## **Controversy between Counter-Revolutionary Indo-Europeanists and Followers of the Japhetic Theory in Tbilisi University: 1920-1935**

### Summary

After the sovietization of Georgia, the new power structure viewed Tbilisi University as a threat. Therefore, the Soviet regime spied on Tbilisi University in order to avoid anything unexpected. N. Marr did not support the establishment of Tbilisi University for two main reasons: his scientific school in St. Petersburg was in danger of collapse, because his Georgian students were returning to the newly created University of Tbilisi and the Japhetic Theory faced an institutional opposition, which paved the way for its undermining. In fact, Niko Marr and the Soviet regime shared similar accusations against Tbilisi University, which never converted to the Soviet principles regardless of the many attempts by the new regime to “cleanse” the students and guide them in the “right” direction.

The University was criticized by the Soviet Press, including the newspapers *Communisti*, *Musha*, and *Zaria Vostoka*. These newspapers accused Tbilisi University of being against the Soviet power, stating that: it closes doors to the teaching of Marxist ideology, and that because of anti-Soviet politics, it fights against the Russian language, and “does not value neighbors’ languages and achievements”. The newspapers also claimed that: University professors do not publish their work in the Russian language and do not participate in academic conferences; the University is entertained only with academic activities and “would not or could not notice the necessities of life.” The University’s administration had to answer these severe accusations and did so in a very important 17-page document kept in the former archive of the Communist Party bodies. “Regarding the Subject of the University [Correspondence],” denies every accusation made against this higher educational institution (Fund #14, Record #3, Case #248, Archival Division of the Ministry of Internal Affairs, the former archive of the Communist Party bodies). “Regarding the accusation that the University has its own ‘political’ agenda, is putting on airs as a ‘politician,’ and has acted to influence others’ ideas and actions against the existing power and regime, the Board considers such accusation to be undeserved. From the first day of the Soviet regime, the University has not taken any steps to directly or indirectly oppose the Soviet power. Moreover, the Board has the right to demand proof of any such steps made over the past six years. To analyze the outcome of spying on the professors, different kinds of special meetings were held. For example, during a TSU Party-Bureau Collective meeting dated August 24, 1929, they reviewed the matter of lower class workers and the origins of others’ social class. “For that, they invited a statistics specialist from the CESU”. The government was helping youths from the poorest families for one reason: so that it could depend on them politically. It made a special report regarding cleansing of the student body. (State Bureau collective meeting, March 3, 1929). The “cleansing” is specifically directed toward the politically untrustworthy and youths from wealthy families.

Slowly, the term “Condratievshina” gained permanent use. This term was used to identify scholars working against the Soviet ideology. In linguistics enemies of the Soviet Ideology where the linguists who used the historical-comparative method and did not believe in the method of Japhetic Theory. The paper deals with the data of the Archival Division of the Ministry of Internal Affairs, the former archive of the Communist Party bodies related to the struggle for Marxism Ideology in Tbilisi University during the years 1920-1935.



**ლინგვისტიკა და სტრუქტურული კომტიკა:  
ოთარ ჭილაძის ლემსის – „შენა ხარ ჩემი ჯილდოც...“ –  
სტრუქტურული ანალიზი**

ნაშრომის მიზანია გაირკვეს, თუ რა მიმართებები არსებობს ჰუმანიტარული მეცნიერების ორ დარგს, ლინგვისტიკასა და პოეტიკას, შორის; ასევე, ამ ორი მიმართულების ურთიერთკავშირებსა და თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით გამოიკვეთოს კონკრეტული ტექსტის – ოთარ ჭილაძის ლექსის „შენა ხარ ჩემი ჯილდოც...“ – სტრუქტურული მახასიათებლები და თავისებურებები.

მსჯელობა ეფუძნება რომან იაკობსონის ნაშრომს – „ლინგვისტიკა და პოეტიკა“ (resp. „გრამატიკის პოეზია და პოეზიის გრამატიკა“), სადაც ავტორი გრამატიკულ პარალელიზმებზე მსჯელობისას გვთავაზობს მორფოლოგიური და სინტაქსური კატეგორიების მეშვეობით პუშკინის რამდენიმე პოეტური ტექსტის სტრუქტურულ ანალიზს.

მეოცე საუკუნეში ჰუმანიტარული მეცნიერების დარგები – ლინგვისტიკა და პოეტიკა – ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეისწავლიდნენ თავისი კვლევის ობიექტს – პოეტურ ტექსტს. ენათმეცნიერთა მიერ კარგა ხანს იყო უგულებელყოფილი ენის პოეტური ფუნქცია და, ამის პალარელურად, ლიტერატურათმცოდნეებიც ეჭვის თვლით უყურებდნენ იმ ფაქტს, რომ ენათმეცნიერი პოეზიას იკვლევდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსული ფორმალური სკოლის წარმომადგენლები ცდილობდნენ, ლიტერატურათმცოდნეობა გადაექციათ ზუსტ და სისტემურ მეცნიერებად, მაგრამ მათ ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მხატვრულ ტექსტებს აქვთ შინაარსის თავისებური პლანი, რომელიც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური ბუნებისაა, რაც ლინგვისტური ან სხვა მეთოდის მეშვეობით ზოგადი ცოდნის მოპოვებას ართულებს.

პოეტიკისათვის ღირებული თემების ანალიზისას კვლევის ერთადერთი ობიექტია გამოხატულების პლანი, ანუ ფორმალური ნიშან-თვისებანი, რომელთა ანალიზი მოითხოვს ლინგვისტური ცოდნის გათვალისწინებას (ლომიძე 2008:9).

„პირველად ლინგვისტთა მეცხრე კონგრესზე იმუშავა სტილისტიკისა და პოეტიკის გაერთიანებულმა სპეციალურმა სექციამ. როცა რომან იაკობსონი ამ სექციის მუშაობას აჯამებდა, თქვა: თანამედროვე ლინგვისტთა პოეტიკისადმი ცხოველი ინტერესის რაოდენობრივი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ამ აუდიტორიაში, სადაც პოეტიკის სექცია მუშაობდა, კიბეებზე არ იყო არცერთი თავისუფალი ადგილი... უფრო და უფრო ნათლად გაიარება, რომ, თუ რომელიმე ენათმეცნიერს შე-

უძლია შემოიფარგლოს ენის იერარქიის გარკვეული საფეხურის კვლევით, ლინგვისტიკას მთლიანად არ აქვს უფლება გამოთიშოს ან გამოტოვოს რომელიმე საფეხური.

გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ რომან იაკობსონი გადაჭრით ამბობდა, რომ ის დრო, როცა ლინგვისტები ავლენულად უყურებდნენ პოეტიკის საკითხებს ან, პირიქით, ლიტერატურის მკვლევარნი – ლინგვისტიკას, აღარ მობრუნდებოდა“ (ბოლქვაძე 2012:15).

საბოლოოდ, აშკარა გახდა და საჭიროებაც მოითხოვდა ტექსტების კვლევითი ანალიზისას ორივე დარგის გამოყენებას. დაპირისპირებაც ლიტერატორებსა და ენათმეცნიერებს შორის მალევე მოიხსნა.

„სანსკრიტული პოეტიკის ავტორის ბჰამაჰას განსაზღვრების თანახმად, „პოეზია – ეს არის ენა“, სწორედ ამ ფორმულამდე დადის ძველი ინდური პოეტური თეორია, რომელიც თავისი არსით ლინგვისტურია“ (ბოლქვაძე 2012:16).

პოეტიკის ძირითადი ამოცანაა იმის გარკვევა, თუ რა აქცევს სამეტყველო ქმედებას ხელოვნების ნიმუშად. რამდენადაც პოეტიკას საქმე აქვს განსაკუთრებული ტიპის ენობრივ სტრუქტურებთან, ხოლო ენობრივი სტრუქტურების შემსწავლელი ზოგადი მეცნიერება არის ლინგვისტიკა, პოეტიკა მის შემადგენელ ნაწილად შეიძლება იქნეს განხილული (გამყრელიძე 2008:443).

აქედან გამომდინარე, პოეტიკა პირდაპირ არის დაკავშირებული ლინგვისტიკასთან, ვინაიდან მისი კვლევის ობიექტია მხატვრული ტექსტისთვის ნიშანდობლივი სტრუქტურული მახასიათებლები.

სწორედ ამიტომ პოეტური ნიმუში ენობრივი ფორმებისგან გამოცალკევებით კი არ უნდა ვიკვლიოთ, არამედ სწორედ რომ ენობრივ ფორმებში უნდა ვეძიოთ მისი არსი.

პოეტიკა აღწერს ლიტერატურულ ქმნილებათა შინაგან (თავისთავად) ღირებულებებს. იგი მოწოდებულია, დაადგინოს საზოგადოდ მხატვრული ნაწარმოების შექმნის შინაგანი კანონზომიერებები. პოეტიკის კვლევის საგანია არა კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები, არამედ გამონათქვამთა განსაკუთრებული ტიპის, მხატვრული ტექსტის, განმასხვავებელი ნიშანი – ლიტერატურულობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტიკა არკვევს იმ მიზეზებს, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ ეპოქაში ამა თუ იმ ტექსტის მხატვრულ ტექსტად აღიარებას. პოეტიკის ამოცანაა ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურისა და ფუნქციონირების გარკვევა (გამყრელიძე 2008:444).

ენის საკომუნიკაციო ფუნქციები, კერძოდ, მისი პოეტური ფუნქცია არის სტრუქტურული პოეტიკის საგანი. იგი XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს და მისი წარმომადგენლები არიან: კლოდ ლევი სტროსი, რომან იაკობსონი, იური ლოტმანი და სხვები.

სტრუქტურული პოეტიკა სტრუქტურული ლინგვისტიკიდან მომდინარეობს, რომლის ფუძემდებელია ფერდინანდ დე სოსიური. მისი განსაზღვრებით, ენა არ

არის სუბსტანცია, საგანი, არსი; იგი მიმართებაა. ეს თეორია გადმოტანილ იქნა პოეტიკაში. ლექსი არის სტრუქტურა, რომელიც შეიცავს დიდსა და მცირე ელემენტებს. მათ შორის არსებობს გარკვეული ურთიერთმიმართებები. სტრუქტურის არცერთი ელემენტი არ შეიძლება განვიხილოთ ცალკე, ერთმანეთთან კავშირ-ურთიერთობის გარეშე. სიტყვა კონტექსტში ცოცხლობს, რითმა – ლექსის სტრუქტურის სხვა ელემენტებთან მიმართებაში.

სტრუქტურული პოეტიკის თვალსაზრისით, ხელოვნებაში (პოეზიაში) არ არსებობენ სუფთად ფორმისეული და შინაარსისეული ელემენტები. ლექსის ყველა ელემენტი აზრობრივია. მხატვრული ნაწარმოები არის სტრუქტურაში განხორციელებული იდეა. სტრუქტურა იგივე ფორმაა (ხინთიბიძე 1992:5).

ლიტერატურული ტექსტი გარკვეული წესების მიხედვითაა აგებული და იგი დამორებულია ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეტყველებისგან. პირველად, რასაც კი მკითხველი ამჩნევს პოეტური ტექსტის კითხვისას, ეს არის სალიტერატურო ენის ნორმათა რღვევა. ეს იმიტომ ხდება, რომ მხატვრულ ნაწარმოებში გრამატიკული წესების დაცვა ნაკლებად მკაცრია, რასაც ამართლებენ პოეტური ლიცენციით.

„... „ენობრივი ალლო“, რომელსაც ყველაზე კარგად პოეტი ფლობს, მეტყველებაში ორი ასპექტით ვლინდება: 1) მხატვრული ასპექტით, როცა „უჩვეულო“ ფორმა ნორმიდან გადახვევაა; და 2) საკომუნიკაციო-ინფორმაციულობის ასპექტით, როცა „უჩვეულო“ ფორმა ენის სისტემის პოტენციის გამჟღავნებაა და ინფორმაციულობასთან ერთად ემოციურ შეფერილობასაც შეიცავს, რომელიც ლინგვისტიკაში „ოკაზიურ“ სიტყვად იწოდება.

ოკაზიურობა შეიძლება ორი ტიპის იყოს: გრამატიკული ოკაზიური ფორმები და ლექსიკური ოკაზიური ფორმები. პირველი ჯგუფის ფორმები პოეტურ თხზულებებში რეალიზდება და მოტივირებულია ლექსის რიტმულ-რითმული სტრუქტურით. ეგუებიან რა ამ სტრუქტურას, მათ აკისრიათ, ინფორმაციულობასთან ერთად, მხატვრული ეფექტის შექმნა; ხოლო მეორე ჯგუფის ფორმები რეალიზდება როგორც პოეტურ, ისე არაპოეტურ თხზულებებში და პოეზიაში მოტივირებულია ლექსის, პროზაში კი კონტექსტური სტრუქტურით. მაგალითად, ქართულში უღლების მოქმედი წესებით დაღამება-გათენების ზმნებს პირველი და მეორე სუბიექტურ პირთა ფორმები არ ეწარმოებათ. მაგრამ, როცა დავით გურამიშვილს დასჭირდა ტყვეობის საშინელებისა და მისგან დახსნის ნეტარების მძაფრი კონტრასტული გრძნობის გამოხატვა – ასეთი ფორმები გამოიყენა: „ბნელში მდებარე გამოვე, ვითა დავღამდი, ისე გავთენდი!“ (დანელია 1998:383).

„პოეზიაში მეზობელი ელემენტები ურთიერთმიმსგავსების ტენდენციას ავლენენ, რის გამოც ეკვივლენტურობა აქ წყვილთა სტრუქტურების აგების პრინციპის სახით გვეკლინება, შესაბამისად, გრამატიკულ მნიშვნელობათა სიმეტრიული გამეორება და კონტრასტი მხატვრულ ხერხად იქცევა. მსგავსების ან კონტრასტის ნიშნის მიხედვით, პოეზიაში გამოიყენება მეტყველების ცვალებადი და უცვლელი

ნაწილების ყველა სახეობა და კატეგორიები: რიცხვი, სქესი, ბრუნვა, დრო, ასპექტი, კილო, გვარი, აბსტრაქტულ და კონკრეტულ სიტყვათა კლასები, პირიანი და უპირო ზმნური ფორმები, დაბოლოს, ურთიერთგანსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციები და ერთეულები (ინტერნეტრესურსი).

რომან იაკობსონი „გრამატიკულ პარალელიზმებზე“ მსჯელობისას წერს: თითოეული პოეტი ითვალისწინებს გრამატიკული მნიშვნელობების არსებობას. შესაბამისად, ის ან მისწრაფვის სიმეტრიისკენ და იყენებს მარტივ, განმეორებად, თვალსაჩინო, ბინარულ პრინციპზე აგებულ სქემებს, ან ჩამოიცილებს მათ „ორგანული ქაოსის“ ძიებისას. თუ ვამბობთ, რომ პოეტის მიერ გამოყენებული პრინციპი გრამატიკული ან ანტიგრამატიკულია, მაგრამ არასოდეს არაა გრამატიკული, მაშინ ეს თვალსაზრისი უნდა გავავრცელოთ მის საერთო დამოკიდებულებაზე გრამატიკის მიმართ. პოეზიაში გრამატიკაზე დაკისრებული ფუნქციები ანალოგიურია ფერწერული კომპოზიციისა, რომელიც ზოგჯერ ეფუძნება აშკარა გეომეტრიულ წესრიგს, ზოგჯერ კი ეწინააღმდეგება მას. გეომეტრიის პრინციპები (უფრო მეტად ტიპოლოგიური, ვიდრე მეტრული ხასიათისა) შეიცავს მშვენიერ „აუცილებლობას“, რომელიც თავს იჩენს ფერწერასა და ხელოვნების სხვა დარგებში, ხოლო მსგავს „აუცილებლობას“ ენობრივი აქტივობის მიმართ ლინგვისტები, უპირველეს ყოვლისა, გრამატიკულ მნიშვნელობებში პოულობენ.

შევეცდებით, აღვწეროთ და გავაანალიზოთ გრამატიკული ფორმების როლი პოეტური ტექსტის შექმნის პროცესში და გავარკვიოთ, როგორ გამოიყენება ხელოვნების ამ სფეროში მხატვრულ საშუალებათა ტრადიციული ფორმები. ამგვარი ანალიზის ნიმუშად განვიხილავთ კონკრეტულ ტექსტს, კერძოდ, ოთარ ჭილაძის ერთ-ერთ ლექსს (ჭილაძე 1987:522):

„შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც,  
გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ,  
ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო,  
დაუღეველო სამშობლოვ ჩემო!

შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ,  
როგორც დაეძებს საჭმელს მშვიერი  
და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე  
შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი.“

ლექსის პირველ სტროფში მხოლოდ მესამე და მეოთხე სტრიქონები ერთმე-ბა ერთმანეთს (ბოლორიტმა), ხოლო მეორე სტროფში – მეორე და მეოთხე (ში-დარიტმა). ლექსი მთლიანად აგებულია უჩვეულო, მაპირისპირებელი ლინგვისტური ერთეულებისგან, რომლებიც საერთო ემოციურ ფონს ქმნიან.

ლექსი მოიცავს 35 სიტყვას, მათ შორის 10 არსებითი სახელია, 6 ნაცვალ-სახელი, ორი ზმნა გვხვდება პირველი და მესამე პირებით გამოხატული (დაგეძებ,

დაეძებს), 3 ზმნიზედა (ამათგან, ორი – ახლოს და ზემოთ – ადგილის ზმნიზედაა და ერთი, შემაძრწუნებლად, ვითარების ზმნიზედა მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმითა გადმოცემული) და სამი ზედსართავი სახელი (დაუღეველო, მშიერი, ბენიერი). არსებითი სახელები გადმოცემულია სხვადასხვაგვარი ფლექსიური ფორმით.

ნაცვალსახელებიდან გვხვდება ოთხჯერ I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი და ორჯერ II პირის აღმნიშვნელი პირის ნაცვალსახელი. ლექსის სტრუქტურიდან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, არ იქნება „ჩემი“ (ნაცვალსახელი) თუ არ არის „შენ“ (ნაცვალსახელი) (აქ დატვირთვა მოდის პირველი და მეორე პირების გამომხატველ „ხარ“ და „ვარ“ ზმნურ ფორმებზე) და ეს მჭიდრო კავშირი ამ ორ ნაცვალსახელს შორის მკითხველს აძლევს სწორი ინტერპრეტირების გზას ლექსის მთავარი არსის გასაგებად. კომპოზიციურ რკალს სწორედ „შენ“ და „ჩემი“ ნაცვალსახელების გარშემო შემოკრებილი სიტყვები ქმნიან. „შენ“ ნაცვალსახელი ყოველთვის იკავებს სტროფის პირველ პოზიციას (ლექსი სულ ორსტროფიანია). ეს კი მიანიშნებს იმ ფაქტზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და მთავარია ამ ნაცვალსახელით ნაგულისხმევი არსებითი სახელი – სამშობლო. რამდენადაც პოეტურ ტექსტში ფუნდამენტური კონცეპტებია სამშობლო და მისადმი ლირიკული გმირის დამოკიდებულება, მათი კონტრასტული მთლიანობაც ლექსში გადმოცემულია სწორედ რომ ამ ნაცვალსახელთა მონაცვლეობითა და კომპოზიციით.

ლექსში ხშირად გვხვდება ორი საწინააღმდეგო, კონტრასტული ერთეული შეპირისპირებით კონტექსტში: ლირიკული გმირისთვის სამშობლო ერთდროულად ჯილდოცაა და სასჯელიც, ახლოსაცაა და შორსაც. ამ ანტონიმების გამოყენებით იქმნება მხოლოდ ფორმალური და არა შინაარსობრივი დაპირისპირებები. „გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ“ – ამ ტაეპში, ერთი შეხედვით, ჩნდება კითხვა, როგორ შეიძლება იყოს რაღაც გულზე ახლოს და ღმერთზე ზემოთ, მაგრამ ამ თითქოსდა ალოგიკურობას აწესრიგებს კონცეპტუალური მიმართებები: ღმერთი ყველგანაა (ახლოსაც და შორსაც), ის ყველა ნიშან-თვისების მატარებელია. მსგავსადვე ხასიათდება სამშობლოც და, ამდენად, საპირისპირო ერთეულთა ერთიანობა ქმნის ხატს: სამშობლო – ღმერთი.

პოეტისთვის შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს იყო „მშიერი“ და „ბენიერი“. აქ კიდევ ერთხელ (როგორც „ჯილდოსა“ და „სასჯელის“ შემთხვევაშიც) შემოდის არალოგიკური მიმართება, თუმცა მათი მთლიანობა, რაც ენობრივად -ც ნაწილაკის გამოყენებით მიიღწევა, აერთმნიშვნელიანებს სუბიექტის ემოციურ დამოკიდებულებას. საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები თანაარსებობენ და ერთმანეთს ავსებენ. „სასჯელი“ არის უარყოფითი კონოტაციის მქონე სიტყვა, რადგანაც სასჯელის შედეგი თავისთავად გულისხმობს რაღაც ცუდს. რაც შეეხება ჯილდოს, აქ პირიქითაა: ჯილდო დადებითი კონოტაციისაა და შედეგად სიხარულისა და ბენიერების გრძნობას იწვევს. ამ ორი განსხვავებული (შეიძლება

ითქვას, საპირისპირო) მნიშვნელობის მქონე ენობრივი ფორმის ერთდროული გამოყენება მკითხველს უქმნის ერთიან ემოციურ ფონს. „სასჯელი“ და „ჯილდო“ გვესმის არა როგორც ცუდი და კარგი, არამედ როგორც რაღაც მთლიანობა (თითქოს ორივე ერთნაირად კარგი ან ერთნაირად ცუდი რამაა). ამ ორი სიტყვის კონოტაციური დაპირისპირება ლექსში მთლიანად ნეიტრალიზებულია და ამაღლებულ, დადებით ემოციურ ფონს ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ლირიკული გმირისთვის სამშობლო „გულზე ახლოსაა“, რასაც ვიგებთ პირველი სტროფის მეორე სტრიქონიდან, განსხვავებული, ლოგიკურად მოულოდნელი, ერთგვარად კონტრარული ვითარება იჩენს თავს მეორე სტროფის დასაწყისში – გმირი ეძებს იმას, რაც მასთან ახლოსაა. ლექსის პირველი და ბოლო სტრიქონები კრავენ პოეტურ ტექსტში მოცემულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ერთეულებს. თუ ჯილდო და სასჯელი ერთსა და იმავე განწყობის შექმნას ემსახურება, ასევე, ერთიანი, ამაღლებული განწყობის შექმნას ემსახურება სიტყვა „შემადრწუნებელი“ (განიმარტება როგორც ძრწოლის მომგვრელი, შემზარავი, საშინელი, საზარელი), რომელიც ლექსში დადებით კონოტაციას იძენს და სტრიქონი – შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი – შესაძლოა, ოქსიმორონის ნიშნულადაც კი მივიჩნიოთ.

თვალს თუ გავადევნებთ თემის განვითარებას კვანძის შეკვრიდან მის გახსნამდე, რაც თავს იჩენს გრამატიკული კატეგორიების, განსაკუთრებით, ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების თავისებურ დაპირისპირებულ წყვილთა ერთიანობაში (პოეტური ტექსტის გახსნის ძირითად გასაღებს სწორედ ნაცვალსახელები და ზმნიზედები წარმოადგენენ), აღმოვაჩინოთ, რომ ლექსი სტრუქტურირებულია ერთიანი პრინციპის საფუძველზე – საპირისპირო ენობრივი ფორმების ურთიერთმონაცვლეობაზე დამყარებული კონტრარული მტკიცებების ურთიერთშემავსებელი გამოყენებით შეიქმნას ერთიანი, ამაღლებული ემოციური ფონი.

ამ ლექსის სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე ვასკვნი, რომ გრამატიკული ერთეულები გამოკვეთენ ტექსტის თავისებურებებს. კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვა პოეტურ სახედ ქცევისას კარგავს თავის თავდაპირველ კონოტაციას და, საბოლოოდ, ენობრივი ნიშანი მხოლოდ პოეტურ, მხატვრულ კონტექსტში პოულობს საკუთარ საზრისსა და შინაარსს.

*წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა რუსუდან ასათიანმა*

### **ლიტერატურა**

**ბოლქვაძე 2012:** თ. ბოლქვაძე, ენის პოეტური ფუნქციის შესახებ, *ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი*, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

**ლომიძე 2008:** თ. ლომიძე, რუსული ფორმალური სკოლა, ლიტერატურის თეორია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

**დანელია 1998:** კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**გამყრელიძე და სხვ. 2008:** თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**ხინთიბიძე 1992:** აკ. ხინთიბიძე, ქართული ლექსმცოდნეობა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი

**ჭილაძე 1987:** ო. ჭილაძე, რჩეული თხზულებანი, ტომი III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

**იაკობსონი 1987:** R. Jakobson, *Language in Literature*, The Belknap Press of Harvard University Press, Cambridge (Mass.) – London. [https://monoskop.org/File:Jakobson\\_Roman\\_1919\\_1987\\_Futurism.pdf](https://monoskop.org/File:Jakobson_Roman_1919_1987_Futurism.pdf)

**იაკობსონი 2010:** რ. იაკობსონი, *გრამატიკული პარალელიზმი*, თამარ ლომიძის თარგმანი, <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/02/რომან-იაკობსონი>.

*Ana Gogoladze*

## **Linguistics and Structural Poetics: Structural Analysis of Otar Chiladze’s Poem “You are my reward...”**

### Summary

The goal of the research is to define the relations between the two fields of humanitarian sciences – linguistics and poetics. In addition, relying on the interrelations and theoretical basis, to outline the structural features and characteristics of the specific text – Otar Chiladze’s poem “*You are my Reward...*”

The analysis is based on Roman Jakobson’s work *Linguistics and Poetics* (resp. Poetry of Grammar and Grammar of Poetry) in which, while discussing grammatical parallelisms, the author offers a structural analysis of several poetic texts by Pushkin according to morphological and syntactic categories. He emphasizes the contrasts between grammatical forms, discusses both morphological (nouns, adjectives, numerals and pronouns) and syntactic units and shows connections between the rhyme structure and grammatical categories of a poem. In addition, by pointing to the paradigm of declension – by revealing the alternation of combinatorial values of different declensions or one declension, he manages to single out the author’s idea in a poetic text.

The analysis of the researched poem by Otar Chiladze is an attempt to define, by means of identifying grammatical structures, which linguistic forms the poetic text is based on; to show in general, and in this specific case, what types of stylistic features we come across in the poet’s works. Also, by means of alternating changeable and unchangeable parts and grammatical categories, to indicate how a poetic work is structured and how the symmetric repetition of grammatical values becomes a technique. For instance, we come across possessive pronouns expressing first person four times and personal pronouns denoting second person

twice. Here the emphasis falls on the verb forms expressing the first and second persons – “you are” and “I am”. The composition circle is formed by the words gathered around personal and possessive pronouns. The personal pronoun “you” always occupies the first position of a line. This somehow underlines the importance of the noun “homeland” implied by the pronoun. In addition, based on the analysis of the grammatical structures identified in the poem, we define how the traditional forms of creative tools are used for new goals in a work of art (poetic text).

If we track the development of the topic from the tying of the knot until its untying, which is revealed in the use of grammatical categories, especially of pronouns and adverbs, we will see that the poem is built on the following principle: creation of the elevated emotional background by means of interchange and contrastive opposition of contrary linguistic forms. Based on the structural analysis of the given poem it can be concluded that grammatical units define the features/peculiarities of the text quite well; while turning into a poetic form, a particular word may lose its connotation and give us the following picture – a linguistic sign gains its essence in the context.

*Presented by Prof. Rusudan Asatiani*



მაკა თეთრაძე

**კავკასიოლოგიის სათავეებთან საქართველოში  
საარქივო მასალის მიხედვით  
(1918-1933)**

კავკასიოლოგიური პრობლემატიკის კვლევისა და სწავლების განხილვისას სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, როგორც კავკასიურ ენათა შესწავლის იდეური საფუძველი: „[უნივერსიტეტს] დაარსების პირველ დღიდანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული“ (ჯავახიშვილი 1937:78).

1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება საქართველოში გულისხმობდა ლოკალურად მეცნიერების განვითარებასა და განათლების მიღებას მშობლიურ (resp. ქართულ) ენაზე. ამას გარდა, როგორც უნივერსიტეტის ათწლიანი მუშაობის შეფასებისას იმჟამინდელი პრორექტორი კორნელი კეკელიძე წერს: „ყოველმხრივ შეესწავლა საქართველო, რომელიც თავისი ფლორით, ფაუნით, ბუნებრივი სიმდიდრით, ენით, ლიტერატურით, ისტორიით და ზნეჩვეულებით მეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის და რომელსაც უცხო მეცნიერნი პირადი სამეცნიერო ინტერესებით იძულებულნი, შემთხვევით თუ შეეხებოდნენ თავიანთ შრომებში“ (ტსუ 1928:31).

საქართველოს ყოველმხრივ შესწავლასთან ერთად უნივერსიტეტს ერთი, უფრო ზოგადი მისიაც ეკისრებოდა – კულტურული მისია, რომელიც, უნივერსიტეტის დამფუძნებელთა აზრით, საქართველოს ისტორიული ვალდებულება და როლი იყო წინა აზიასა და კავკასიაში, – იგი წარმოადგენდა „შემაერთებელ ხიდს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციებისათვის“ (ტსუ 1928:31-32).

წინა აზიისა და კავკასიის შესწავლა ენობრივი მრავალფეროვნების შეუსწავლელად შეუძლებელი იქნებოდა.

მსგავსი აზრი ჩნდება 1922-23 წლების წელიწადულის წინასიტყვაობაში: „ქართულსა და მის მონათესავე მეგრულ-სვანურს გარდა სხვა კავკასიური ენები ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ“ (ჩიქობავა 1923-24:V). ამდენად, ქართველი ენათმეცნიერების ერთი მთავარი მიზანი, ქართველურ ენათა შესწავლასთან ერთად, თავიდანვე კავკასიური ენების კვლევაც იყო. კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ასპექტი არის გამოყოფილი: 1. ამ ენათა ნათესაობისა და ურთიერთობის პრობლემა,

2. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, „ენათა აზროვნების ვარიაციები ძნელად თუ არის სადმე ასეთი მრავალფეროვნებით გადაშლილი“ (ჩიქობავა 1923-24ა:VI).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გააზრებულია ამ ენათა შესწავლისთვის საჭირო მეცნიერული ძალების არარსებობა, ინდივიდუალური მუშაობა არასაკმარისად არის მიჩნეული (ჩიქობავა 1923-24ა:VII).

იმავე წელიწდეულში არნ. ჩიქობავა წერილში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ აკრიტიკებს ლინგვისტურ პალეონტოლოგიას, ინდოევროპული, სემიტური და ქამიტური ენების ნათესაობის პრობლემის გადაწყვეტას ამ თვალსაზრისით და შედარებითი მეთოდით გატაცებით ენათმეცნიერული გზიდან გადახვევას (ჩიქობავა 1923-24ბ:16).

არნ. ჩიქობავა ჩამოთვლის იმ ენებს, რომელთაც გულისხმობენ კავკასიურ ენებში და ამ ენათა კვლევის პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას: მანამდე ენების კვლევა გარკვეულ შაბლონში ექცეოდა და თავიდანვე რომელიმე ენათა ოჯახს მიკუთვნებით მათი დახასიათებაც ტენდენციური ხდებოდა (ჩიქობავა 1923-24ბ:18). ასევე, საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ ფაქტსაც, რომ ენათა გენეტური ნათესაობა არ ნიშნავს ეთნიკურ ნათესაობასო.

არნ. ჩიქობავა ამ ენათა ურთიერთობას ასახავს როგორც საკვლევ პრობლემას, იმ ყველა თავისებურების გათვალისწინებით, რაც ამ ენებს ახასიათებთ, კერძოდ, დამწერლობის არქონა, ენათა გეოგრაფიული ვარიანტების – დიალექტების შეუსწავლელია... (ჩიქობავა 1923-24ბ:19). ამასთან, კვლევის წარმატებული წარმართვისათვის სხვა დისციპლინათა მონაცემების გამოყენებაც აუცილებლად მიაჩნია (ჩიქობავა 1923-24ბ:16).

ამგვარად, ქართულ საუნივერსიტეტო სამეცნიერო საზოგადოებას, იაფეტური თეორიის მიხედვით, კავკასიური ენების დაჯგუფება და მათი სემიტურ-ქამიტურ ენებთან კავშირი მიუღებლად მიაჩნდა. იაფეტური თეორია კავკასიის ენებს სულ სხვა მხრივ აჯგუფებს და იმ ენებს, რომლებიც კავკასიურ ენებში მოიაზრება გიორგი ახვლედიანის, ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მიერ, წმინდა იაფეტურ ენებს უწოდებს ნიკო მარი (მარი 1920:32).

მიუხედავად ენათა კლასიფიკაციაზე პოლარული შეხედულებისა, ნ. მარის თვალსაზრისითაც, კავკასიური ენები ერთიან კონტექსტში უნდა შესწავლილიყო და გამოკვლეულიყო: „ვერც ერთი ზოგადი პრობლემა, რომელიც ჩნდებოდა ამა თუ იმ დასახელებულ სპეციალობაში (იგულისხმება ქართველოლოგია, არმენოლოგია) არ შეიძლებოდა სწორად ყოფილიყო დასმული და მით უფრო გადაწყვეტილი ზოგადკავკასიური პერსპექტივების გარეშე, კერძოდ, მისი ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე“ (მარი 1933:72).

1920-1921 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წრე მსჯელობდა იაფეტოლოგიის კათედრის გახსნის საკითხზე, თუმცა როგორც უნივერსიტეტის ანგარიშში აკაკი შანიძე აღნიშნავს, ნიკო მარი პარიზიდან ისევ პეტერბურგში დაბრუნდა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა (ტსუ 1928:79-80).

1918 წელსვე სხვადასხვა ენის შემსწავლელი სალექციო კურსები უკვე იკითხებოდა უნივერსიტეტში: გიორგი ახვლედიანი კითხულობს ასევე სანსკრიტს,<sup>1</sup> სომხურ და არაბულ ენებს კითხულობს აკაკი შანიძე; ხოლო იუსტინე აბულაძე – სპარსულ ენას; იოსებ ყიფშიძე კითხულობს ძველ ქართულ ენას; პირველსავე სემესტრში იკითხება ასევე ევროპული ენები: ფრანგული (ელენე ორბელიანი), გერმანული (ილია ყიფშიძე), ინგლისური (ვანდა ღამბაშიძე). მეორე სემესტრში უკვე ლეონ მელიქსეთ-ბეგს იწვევენ ძველი სომხურის და დავით ყიფშიძეს ახალი სომხური ენის წასაკითხად. შემდეგ წელს უკვე ცდილობენ, კიდევ ერთი აღმოსავლური ენა იკითხებოდეს უნივერსიტეტში და სხვადასხვა დროს სხვადასხვა სპეციალისტს იწვევენ ოსმალური (თურქული) ენის საგნის წასაკითხად.<sup>2</sup>

1922 წელს უნივერსიტეტმა პირველი კურსდამთავრებულები გამოუშვა, მათ შორის ორი ენათმეცნიერების განხრით, – ვ. თოფურია და არნ. ჩიქობავა, რომელნიც დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

უნივერსიტეტის არსებობის პირველ ათწლეულში, ძველი და ახალი ქართული ენების გარდა, ისწავლება ქართველური ენათმეცნიერება (ა. შანიძე), რომელიც მოიცავს სხვა ქართველური ენების მასალასაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ი. ყიფშიძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ (1919) გარკვეულწილად შეაფერხა მეგრულ-ლაზურის საუნივერსიტეტო საგნად ჩამოყალიბების პროცესი. საუნივერსიტეტო საგანთა ჩამონათვალში მეგრულ-ჭანურს ვხვდებით მხოლოდ 1926 წელს (კითხულობს არნ. ჩიქობავა) (ტსუ:321).<sup>3</sup>

კონკრეტული ენების გარდა, იკითხება თეორიული საგნებიც, რომლებიც კავკასიოლოგიის პრობლემატიკასაც მოიცავს:

1927 წელს დამტკიცებულ საუნივერსიტეტო ენათმეცნიერების შესავლის პროგრამაში ცალკე საკითხია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის უპირატესობა და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. ეს საკითხი ასეა ჩამოყალიბებული: „გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა, მისი შედარება მორფოლოგიურ და ე.წ. ფსიქოლოგიურ კლასიფიკაციასთან; ენათა ოჯახები; კავკასიური და ქართველური ენები.“ როგორც ჩანს, ავტორი (მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში არ იხსენიება, დიდი

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი უნივერსიტეტის არსებობის პირველსავე წლებში კითხულობს სხვადასხვა საგანს პერიოდულად: ფონეტიკას, ენათმეცნიერებას, სანსკრიტს, ოსურს, ავესტას, ინდოევროპულ ენათმეცნიერებას, ძველი ინდურის გრამატიკას, ასევე, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას.

<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ წელს უნივერსიტეტში საზეიმოდ აღნიშნეს ალ. ცაგარლის 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილე. ალ. ცაგარელი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად იყო არჩეული და ერთხანს მსოფლიოს ახალი ლიტერატურის ისტორიასაც კითხულობდა.

<sup>3</sup> 1925 წელს სადოქტორო გამოცდების ჩაბარების შემდეგ არნ. ჩიქობავას ანდეს რამდენიმე საგნის ერთდროულად წაკითხვა უნივერსიტეტში: ქართული პალეოგრაფიის პრაქტიკული კურსი (მანამდე ა. შანიძე კითხულობდა), ენათმეცნიერების ისტორია და მეთოდოლოგია, ჭანური ენა.

ვარაუდით, გ. ახვლედიანია, რომელიც ამ საგანს 1918 წლიდანვე კითხულობს უნივერსიტეტში) ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის პრობლემებს კავკასიურ ენებთან მიმართებით განიხილავს.

ენათმეცნიერების ისტორია სხვადასხვა დროს სხვადასხვა პროგრამის მიხედვით ისწავლებოდა და საინტერესოა სწორედ შინაარსობრივი ცვლილებები პროგრამის მოქმედების დროსთან მიმართებით. ენათმეცნიერების ისტორიას 1925 წლიდან არნ. ჩიქობავა კითხულობს, თუმცა ჩვენ მხოლოდ 1927-1928 სასწავლო წლებით დათარიღებული პროგრამა ვნახეთ გ. ახვლედიანის პირად არქივში, რომელსაც აქ განვიხილავთ. არნ. ჩიქობავას მიერ შედგენილი ენათმეცნიერების ისტორიის პროგრამა მოიცავს 18 მსხვილ თემას, გრამატიკული აზროვნების ჩამოყალიბების სათავეებიდან იმდროინდელი ენათმეცნიერების მთავარ მიმდინარეობებამდე. აქცენტი ინდოევროპეისტიკაზეა და შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიაც იკითხება. მარის „იაფეტოლოგიის ევოლუციის მთავარი ეტაპები“ კი ერთ-ერთ საკითხად აქვს აღებული ავტორს (თსუშ, ხი-1416).

უნივერსიტეტის „სახუნტად“ რეორგანიზაციის პერიოდში, 1931-1932 სასწავლო წლებისათვის კი ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლებოდა ენათმეცნიერების ისტორია.

პროგრამა 10 მონაკვეთისაგან შედგება, ანუ 10 მსხვილი თემისაგან, თითოეულში კი ჩაშლილია საკითხები. პირველი მონაკვეთი შესავალია. მეორე მონაკვეთი „ძველ ენათმეცნიერებას“ ეხება. მესამე, მეოთხე, მეხუთე მონაკვეთები ინდოევროპული ენათმეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარების ისტორიის საკითხებს მოიცავს, მე-6 მონაკვეთი კავკასიის ენათა შესწავლის ისტორიას ეხება:

- „კავკასიისა და კერძოდ ქართულისა და მის „მონათესავე“ ენათა შესწავლის ვითარება XIX საუკუნის დამლევამდე;
- კავკასიის ენათა შესწავლის ისტორია XVII-XIX ს.ს.
- თეორიები სომხური ენის ბუნებისა და თვისების შესახებ XVI საუკუნიდან მოყოლებული ნ. მარამდე;
- თეორიები ქართული ენის ბუნებისა და თვისების შესახებ XVII საუკუნიდან მოყოლებული ნ. მარამდე“.

შემდეგი მონაკვეთები იაფეტოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ საკითხებია. ავტორი იაფეტოლოგიის თეორიის ყველა პერიოდს (პალეონტოლოგიური ეტაპის ჩათვლით) განიხილავს კურსის განმავლობაში (მეშვიდე მონაკვეთიდან მეთექვსმეტე მონაკვეთის ჩათვლით). პროგრამის ბოლო საკითხები კი სწორედ იაფეტოლოგიის გამარჯვებული პროლეტარიატის იდეოლოგიად განსაზღვრას ეხება.

ამ პროგრამის გარდა, უფრო ვრცლად იაფეტური თეორიის ეტაპებსა და ნ. მარის მოძღვრებას ახალი ენის შესახებ „მატერიალისტური ლინგვისტიკის“ ფარგლებშიც ასწავლიდნენ, როგორც ამავე პროგრამის შესავლიდან ირკვევა (თსუშ, ხი-1430).

კავკასიურ ენათა კათედრის დაარსებამდე უნივერსიტეტში (1933) მხოლოდ ცალკეული ენები ისწავლებოდა და ასევე, ზოგიერთი თეორიული საგნის ზოგიერთი განსახილველი საკითხი ეხებოდა კავკასიურ ენებს. მაგალითად, პირველი კავკასიური ენა, რომლის სწავლებაც უნივერსიტეტში დაიწყო, იყო აფხაზური. საგნის წასაკითხად სპეციალურად მოიწვიეს დიმიტრი გულია 1924 წელს. 1925 წელს დ. გულია სოხუმში ბრუნდება, 1926 წელს კი აფხაზურის კითხვას უნივერსიტეტში უკვე სიმონ ჯანაშია იწყებს.

სწავლებისა და კვლევის თანადროულად უნივერსიტეტის პროფესორების მიერ იქმნება პირველი ქართულენოვანი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები: გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალი (1918)“, „სანსკრიტი – მოკლე გრამატიკა (1920)“, ლ. მელიქსედ-ბეგის „ძველი სომხური ქრესტომათია ლექსიკონითურთ (1920)“, ათ. ჯვარშიშვილის „ბერძნული ენის სახელმძღვანელო (1926)“, ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა I – მორფოლოგია“ (1930) და ა.შ.

თუმცა, ამავე დროს, არსებობს გამოსაცემად მომზადებული სახელმძღვანელოების სიაც, რომელთაც იმ პერიოდში სტუდენტებამდე ვერ მიაღწიეს, მაგალითად, თ. ხიმშიაშვილის „ოსმალური ენის გრამატიკა“, მ. წერეთლის „ასურული ენის გრამატიკა“, ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკა – სინტაქსი“ (შსს არქივი, ფონდი №945, ანაწერი 1, საქმე 104, ოქმი №16, გვ. 3).

1929 წლით დათარიღებულ საარქივო მასალაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტში, გარდა „მოდემ ერების კულტურათა“ კვლევა-სწავლებისა, ისწავლება ასევე მეგრულ-ჭანური, სვანური, წოვა-თუშური, ბასკური ენები (შსს არქივი, ფონდი 14, აღწ. 3, საქმე №515: 17), თუმცა ჩვენ ამ საგანთა მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამებს ვერ მივაკვლიეთ.

ამავე პერიოდში არის შექმნილი სასწავლო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა კავკასიისმცოდნეობა:

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი მმართველობის პერიოდში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქართველოს ფილიალის სხდომათა ოქმებში დაცულია სააგიტაციო განყოფილების ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია სასწავლო პროგრამა-პროექტი (შსს არქივი, ფონდი 14, აღწერა 1, საქმე №110, გვ. 61-63). პროექტიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანია აღმოსავლეთის ჟურნალისტიკის მომზადება აღმოსავლეთმცოდნეობასა და კავკასიისმცოდნეობაში, რაც გულისხმობდა რეგიონის შესწავლას ყველა მიმართულებით: გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ენების, ისტორიის, პოლიტიკის და ა.შ.

აღმოსავლეთ ჟურნალისტიკის კურსები ორ განყოფილებად არის გაყოფილი: აღმოსავლეთმცოდნეობისა და კავკასიისმცოდნეობისა. ნაწილი წასაკითხი საგნებისა ერთმანეთს ფარავს, მაგ., ენები, რომლებიც ორივე განყოფილების სტუდენტებისთვის მეტ-ნაკლებად საერთოა, ასევე, ჟურნალისტიკა და პოლიტიკური განათლება.

აღსანიშნავია, რომ საქმეში ჩახატულ პროგრამის სქემაში ცალკე ქვეგანყოფილება არის მონიშნული მთის ენებიც, თუმცა ეს ნაწილი არ არის გაშლილი. როგორც წერილშიც აღნიშნავენ პროგრამის ავტორი ლექტორები, ამ ეტაპზე მხოლოდ ქართულ-სომხური ქვეგანყოფილება იხსნება.

ქართული სექციისთვის მითითებულია თურქული, აფხაზური, ოსური, სომხური ენები, ხოლო სომხური სექციისთვის – ქართული, სპარსული, თურქული. ფრანგული, როგორც უცხო ენა, ორივე სექციისთვის სავალდებულოა. ასევე, პროგრამის აღწერილობაში არაა, მაგრამ ცალკე წერილში, სადაც პროგრამის ხანგრძლივობაზეა საუბარი, აღნიშნულია, რომ ორსემესტრიანი პროგრამის მეორე სემესტრში ენებს ემატება ინგლისურიც, როგორც ორივე განყოფილებისთვის (და არა მარტო სექციისთვის) სავალდებულო საგანი.

სხვა საგნები, რომლებიც პროგრამის სავალდებულო შემადგენელ ნაწილებად ითვლება, შემდეგია: კავკასიის გეოგრაფია, კავკასიის ეთნოგრაფია, კავკასიის ისტორია IV საუკუნემდე, საქართველოს ისტორია, სომხეთის ისტორია, კავკასიის ისტორია XIX საუკუნესა და რევოლუციის დროს.

რამდენიმე საგნის პროგრამაც არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ პროგრამების თემატიკა და დეტალური აღწერა მაღალ მეცნიერული დონეზეა შესრულებული.

მართალია, პროგრამა-პროექტს არ ერთვის შემდგენლის ვინაობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, პროგრამის უხუცესი ავტორთაგანი გიორგი გეხტმანი უნდა იყოს ამ ინიციატივის სულის ჩამდგმელი. გ. გეხტმანი არის პოლიტიკური გეოგრაფიის დარგის ჩამომყალიბებელი საქართველოში, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი და არამარტო (კელენჯერიძე, ცინაძე 1992); პირველი ქართულენოვანი პოლიტიკური გეოგრაფიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ავტორი, ივ. ჯავახიშვილის თანაკლასელი გიმნაზიაში, ხარკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. იგი ცნობილი იყო როგორც წარმატებული მასწავლებელი და ლექტორი. აღსანიშნავია, რომ გეხტმანი 1921 წლიდან უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მის სახელს უკავშირდება ასევე 26 კომისიის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიც, რომელიც 1923 წელს საქართველოს პარტიული სკოლისა და წითელარმიელთა უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნდა და 1932 წლამდე არსებობდა ამ სახელწოდებით (ნ. მახარაძე, ქსე:386).

გარდა გ. გეხტმანისა, პროექტში წარმოდგენილი კურსების ავტორები არიან: ს. კაკაბაძე (ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის კურსი); სომხურის პედაგოგია ლ. მელიქსეთ-ბეჟოვი, იგივე მელიქსეთ-ბეჟი, თბილისელი სომეხი, ოდესის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ენათმეცნიერული საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი; კავკასიის გეოგრაფიას ა.ფ. ლიასტერი უძღვება. იგი, ძირითადად, სომხეთის, ერევნის გუბერნიის გეორგა-

ფიულ და სტატისტიკურ მონაცემებზე მუშაობს და ისევე, როგორც სხვა დანარჩენი ლექტორები, ამიერკავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების წევრია; გრიგორი ჩურსინია ავტორი კავკასიის ეთნოგრაფიის პროგრამისა. მასვე ეკუთვნის კავკასიის ხალხთა კულტურის ისტორიის კურსი, რომელზე დაშვების წინაპირობაც კავკასიის ეთნოგრაფიის გავლაა. ხოლო ს. ლისიციანს შეუდგენია კავკასიის ისტორია IV საუკუნემდე და სომხეთის ისტორიაც, რომლის ბოლო თემა ოქტომბრის რევოლუციასა და მასში სომხეთის როლს ეძღვნება.

პროგრამის გავლა (რომელზეც უკვე 20 სტუდენტია აღრიცხული) სავალდებულოა იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც შემდეგ დასაქმდებიან КАВРОСТА<sup>4</sup>-ს ერთ-ერთ ინსტიტუტში. პირველი გამოშვება კი სრულად მოემსახურება КАВРОСТА-ს აღმოსავლეთის ფილიალს, კერძოდ, ГРУКАВРОСТА-ს საგამომცემლო საქმეს (ჟურნალებს).

არქივის მონაცემებით ზუსტად არ ირკვევა, რომელი უნივერსიტეტისათვის არის განკუთვნილი პროგრამა. სწავლების ენა რუსულია, შესაბამისად, ნაკლებ სავარაუდოა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის წარედგინათ იგი. ამ დროისთვის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უკვე ოფიციალურად დაარსებულია წითელარმიელთა უნივერსიტეტი.

მართალია, ჩვენ არ გვაქვს, დადასტურებული ფაქტი პროგრამისათვის სახელმძღვანელოების შესახებ, მაგრამ ლექტორების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა მასალას გამოიყენებდნენ ისინი მათი შრომების გაცნობით.

გ. გეხტმანს რუსულ ენაზე 1920 წელს გამოცემული აქვს ლექციების კონსპექტი ლითოგრაფიულად „საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური გეოგრაფიის მოკლე აღწერა“. 1923 წელს ამავე შინაარსის და სათაურის სახელმძღვანელო აქვს გამოცემული ბეჭდური სახით თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის კურსის სახელმძღვანელოს სახით. ხოლო 1924 წელს ცალკე გამოიცა საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია.

გ. ჩურსინს ცალკეული გამოკვლევები აქვს გამოქვეყნებული კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხებზე, ხოლო 1925 წელს – მონოგრაფია „ოსები“ რუსულ ენაზე. ესაა პირველი სერია სამხრეთ ოსეთის ამიერკავკასიის ასოციაციის შრომებისა.

1924 წელს გამოდის ლიანსტერისა და ჩურსინის „კავკასიის გეოგრაფია“ ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გამომცემლობის სახელით. მას საინტერესო წინასიტყვაობა ახლავს რედაქტორისგანაც და ავტორებისგანაც.

რედაქტორი წერს, რომ, თუ იმპერიის დროს კავკასია აღიქმებოდა როგორც «дикая окраина» („ველური განაპირა მხარე“), რომელიც ცეცხლითა და მახვილით უნდა დაეპყროთ, არაერთი ომით, ხალხების გაქრობითა და გაძევებით კავკა-

---

<sup>4</sup> Российское телеграфное агентство (РОСТА)-ს კავკასიის გენოფილება, ГРУКАВРОСТА – საქართველოს ფილიალი.

სიიდან (ყარაბულახები, უბიხები, ჩერქეზები, აფხაზები..) და მათ ადგილას ჩრდილოეთიდან სხვა მოსახლეობის ჩამოსახლებით, ეს სამხედრო-სასოფლო-სამეურნეო კოლონიზაცია ერთდროულად ორ რამეს ისახავდა მიზნად: მემამულეთა და თავადაზნაურთა წყობისა და უკმაყოფილების შეგუების ატმოსფეროს შექმნას რუსეთში და კავკასიაში დამონებულ ხალხთა შესაძლებელი აჯანყების საწინააღმდეგო ძალის ფორმირებას. ამგვარი პოლიტიკის შედეგად ნადგურდებოდა და ფესვებიანად იძირკვებოდა კავკასიის უძველეს ბინადართა საუკუნოვანი კულტურა (შავი ზღვის სანაპიროს ჩერქეზები...). რედაქტორი იმპერიის პოლიტიკას უპირისპირებს ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პოლიტიკას, როგორც განმათავისუფლებელ და ავტოქტონ ხალხთა თვითგამორკვევის ეტაპს. (ლიაისტერი, ჩურსინი 1924:16-18).

რედაქტორი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის უნივერსიტეტის მიზანია იმ კომუნისტების გამოზრდა, რომლებიც იმუშავენენ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში და რომლებსაც ეცოდინებათ ამ ქვეყანათა ბუნება, გეოგრაფია, ეკონომიკური თავისებურებანი. წინამდებარე ნაშრომი კი, რომელიც შეადგინეს ლიაისტერმა და ჩურსინმა, ამ მიმართულებით პირველი სისტემატიზებული კვლევაა და დღემდე ასეთი ნაშრომი არ გამოცემულაო. რედაქტორი წიგნის მინუსად ასახელებს იმას, რომ ესაა პირველი მცდელობა კავკასიის აღწერისა, და ნაკლოვანება ყველაზე თვალნათლივ გამოჩნდა ეთნოგრაფიული აღწერისას.

სახელმძღვანელოში ბუნების ნაწილი ლიაისტერს შეუდგენია, ხოლო ეთნოგრაფიული ნაწილი, პოლიტიკური დაყოფა, კავკასიის მოსახლეობა – ჩურსინს.

ამ ავტორთა სხვა სახელმძღვანელოებშიც ეთნიკურ-ლინგვისტური სურათი ნ. მარის კლასიფიკაციის მიხედვით აღიწერება, კერძოდ, კავკასიის მოსახლეობა დაყოფილია 8 ჯგუფად: 1. იაფეტიდები, 2. იაფეტიდი-არიავეროპელები, 3. ინდოევროპელები, 4. თურქები, 5. სემიტები, 6. მონღოლები 7. ფინები და 8. ბოშები (ლიაისტერი, ჩურსინი 1924:270-278). სწორედ ამ ნაწილს აკრიტიკებს გ. გეხტმანი – რედაქტორი ზემოაღნიშნული წიგნისა.

კავკასიის ეთნოლინგვისტური დაყოფის იმავე პრინციპებს უნდა ატარებდნენ ავტორები არქივში აღმოჩენილ პროექტ-პროგრამაშიც: ავტორები მიზნად ისახავდნენ კავკასიის რეგიონის ერთ კონტექსტში შესწავლას და ცოდნის სისტემატიზებას, ენათა და ეთნოსთა დახასიათება და ჯგუფებად დაყოფა კი მარისეულ კლასიფიკაციას ეფუძნებოდა.

როგორც ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სასწავლო ანგარიშიდან ირკვევა, 1923-1924 წლებში უნივერსიტეტში დაინერგა სხვადასხვა ისეთი „ადგილობრივი დისციპლინის“ სწავლება, რომელთაც მანამდე ანალოგი არ ჰქონდათ. იგულისხმება მშობლიური ენები, ისტორიები, ეკონომიკოგრაფია, პოლიტიკონომია, როგორც რუსულ, ასევე ადგილობრივ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ჩანს, რომ პროგრამის გარკვეული საგნების სწავლება მართლაც მიმდინარეობდა ამ უნივერსიტეტში, თუმცა ჩვენი მონაცემებით არ დგინდება, არქივში მო-



პოპულური მასალა ზუსტად იმავე სახით განხორციელდა თუ არა საქართველოს რომელიმე სასწავლო დაწესებულებაში.

საარქივო მასალებში დაცული სასწავლო პროგრამა არის ნიშნულ რეგიონის ინტერდისციპლინურად შესწავლისა, თუ როგორ შეიძლება კავკასიოლოგიურ პრობლემატიკას გასცნობდნენ სტუდენტები მომიჯნავე დარგების ცოდნის გათვალისწინებით. პროგრამაში აღნიშნული ენათა და ხალხთა კლასიფიკაცია განსხვავდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული კლასიფიკაციისაგან. როგორც აღვნიშნეთ, პროგრამა მიჰყვება ნ. მარის თეორიას იაფეტურ ენებზე, რომელიც უნივერსიტეტში არასდროს ყოფილა მიღებული, მეტიც, სასწავლო პროგრამებში შეტანილი იყო კრიტიკითურთ. ერთადერთი გადახვევა ამ ძირითადი ხაზიდან აღმოჩნდა ლ. მელიქსეთ-ბეგის კურსი ენათმეცნიერების ისტორიისა (იხ. ზემოთ).

უნივერსიტეტის ერთი მთავარი ფუნქცია გახდა კავკასიური ენების დოკუმენტირება, აღწერა და ანალიზი ქართულ-ქართველურ ენებთან მიმართებით. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ამ პერიოდში ყველაზე გამართლებულ მეთოდად იყო აღიარებული უნივერსიტეტის ენათმეცნიერთა მიერ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი გეზი ჰქონდა ალებული, და ივ. ჯავახიშვილის ერთი პერიოდი უნივერსიტეტიდან გაძევებითაც არ გადაუხვევია არჩეული გზიდან. 1933 წელს უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა კათედრა იქმნება არნ. ჩიქობავას თაოსნობით, სწორედ იმგვარივე მიდგომით, რაც 10 წლით ადრე გაუღებულ იყო წელიწდეულში. კათედრის შექმნით უნივერსიტეტში იწყება კავკასიოლოგიური პრობლემატიკის შესწავლის ახალი ინტენსიური ეტაპი.

*წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა თინათინ ბოლქვაძემ*

## **ლიტერატურა**

**ახვლედიანი 2018:** გ. ახვლედიანი, *ენათმეცნიერების შესავალი, სამ ნაწილად, 1918-1919, ტფილისი*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**ახვლედიანი 1920:** გ. ახვლედიანი, *სანსკრიტი – მოკლე გრამატიკა*, ტფილისი.

**ახვლედიანი 1941:** გ. ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში, *თსუ შრომები*, ტ. XIX, გვ. 155-186.

**ახვლედიანი, ფანჩიძე 1946:** გ. ახვლედიანი ვლ. ფანჩიძე, ენათმეცნიერება, კრებ. *მეცნიერება საქართველოში 25 წლის მანძილზე*, III, თბილისი.

**ბოლქვაძე 2018:** თ. ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა, თბილისი.

**გეხტმანი 1920:** გ. გეხტმანი, *საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკური გეოგრაფიის მოკლე აღწერა*, ტფილისი.

**გეხტმანი 1923:** გ. გეხტმანი, *საქართველო, ადერბეიჯანი და სომხეთი*, ტფილისი.

- გებტმანი 1924:** გ. გებტმანი, *საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია*, ტფილისი.
- გებტმანი 1925:** გ. გებტმანი, *მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია*, ტფილისი.
- გოგიჩაიშვილი 1924:** დ. გოგიჩაიშვილი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა რაოდენობის შესახებ, *ჩვენი მეცნიერება*, №1 (13), გვ. 165-176.
- დადგენილება 1923:** უმაღლესი სკოლის და ტექნიკუმების სასწავლო პროგრამების და რეჟიმის შესახებ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილება, ოქტომბერი, ტფილისი..
- კვერენჩილაძე, ცინაძე 1992:** რ. კვერენჩილაძე, ც. ცინაძე, *ვიორგი გებტმანის ცხოვრება და მოღვაწეობა*, თბილისი.
- ლიაისტერი, ჩურსინი 1924:** ა. ლიაისტერი, გრ. ჩურსინი, *კავკასიის გეოგრაფია*, ტფილისი.
- მარი 1920:** Н. Марр, Племенной состав населения Кавказа, *Классификация народов Кавказа* (Рабочий проспект), Петроград.
- მარი 1923:** Н. Марр, *Как живёт яфетидология?* Петроград.
- მარი 1930:** Н. Марр, *Родная речь*, Ленинград.
- მელიქსედ-ბეგი 1920:** ლ. მელიქსედ-ბეგი, *ძველი სომხური ქრესტომათია ლექსიკონითურთ*, ტფილისი.
- ტსუ 1928:** ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი I, *ზოგადი მიმოხილვა. ფაკულტეტების ანგარიშები. სტუდენტთა ორგანიზაციები*, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი.
- ქსე 1983:** *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. I, თბილისი.
- შანიძე 1930:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკა I – მორფოლოგია*, ტფილისი.
- ჩიქობავა 1965:** არნ. ჩიქობავა, *იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია*, თბილისი.
- ჩიქობავა 1923-24ა:** ბ. ჩიქობავა, წინასიტყვაობა, *ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეული“*, I-II, გვ. V-IX.
- ჩიქობავა 1923-24ბ:** ბ. ჩიქობავა, ზოგადი თვალსაზრისისთვის, *ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეული“*, I-II, გვ. 12-21.
- ჩურსინი 1925:** Гр. Чурсин, *Осетины*, Тифлис.
- ჯავახიშვილი 1937:** ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, *ენიკის მოამბე* I, ტფილისი.
- ჯანაშია 1937:** ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე, *ენიკის მოამბე* I, ტფილისი.
- ჯვარშიშვილი 1926:** ათ. ჯვარშიშვილი, *ბერძნული ენის სახელმძღვანელო*, ტფილისი.

### **საარქივო დოკუმენტები**

**თსუმ:** გ. ახვლედიანის პირადი არქივი დაცული თსუ მუზეუმში.

**შსს არქივი:** საქართველოს შსს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდები: №№14, 947.

## **The Origins of Caucasology in Georgia According to Archival Data (1918-1933)**

### Summary

The paper addresses the origins of Caucasology, which is conceptually based on Ivane Javakhishvili's ideas and which implied that, along with the all-round exploration of Georgia, another, more general aim was entrusted to the University, viz. a cultural mission which, in the University founder's opinion, was Georgia's historical duty and role in Western Asia and the Caucasus. As he maintained, Georgia represented "a connecting bridge between the civilisations of the East and the West" (Tbilisi State University 1928:31-32). Accordingly, an exploration of Western Asia and the Caucasus would not have been possible without researching their linguistic diversity.

Therefore, Georgian scholars set a goal to explore Caucasian languages other than Kartvelian from the very beginning. The Caucasian linguistic studies included two major sub-fields, viz. (1) the problem of genetic relationship of these languages, and (2) what we might nowadays call *a typological study* of these languages.

Apropos, Niko Marr also believed that Caucasian languages should be studied and taught in the joint context: "None of the problems that have appeared in one or the other discipline (Kartvelology and Armenology) could properly be formulated and furthermore solved without taking into account a common Caucasian perspective, in particular, without a deep study of the indigenous languages of the Caucasus" (Marr 1933:72). However, Marr's theoretical views on Caucasian languages never gained ground at Tbilisi University.

In this regard, the following issues are considered:

1. The teaching programmes, educational courses, and studies carried out at the University in the 1920-30s that aimed at the exploration of the Caucasus in order to meet the goals Tbilisi University had set. The only course, in which Marr's theories were taught as primary topics, was Leon Meliksed-Bek's "History of linguistics" (read in 1931-32).
2. Based on the archival materials of the MIA, the never-launched Caucasological programme that was part of the project discovered in the protocols of the Georgian Department of the Communist Party of the Soviet Union (MIA Archive, Fund 14, Description 1, Case No. 110, pp. 61-63). The aim of the programme was training of journalists in Oriental and Caucasian studies, which implied regional studies in all aspects, including geography, ethnography, languages, history, politics and others.

This seemed to have offered an interdisciplinary format and differed from other teaching programmes ideologically, particularly in the sense of classification of languages and nations. The programme followed Marr's Japhetic theory (in that period, the indigenous languages of the Caucasus were referred to as "Japhetic languages").

The general conclusions of this paper are that the documentation and study of Caucasian languages has always been a mainstream in the leading research and teaching centre of Georgia – Tbilisi State University – since the day of its foundation. The work was continued, as a dedicated department of Caucasian languages was founded in 1933, this event marked the beginning of the next period in Caucasian studies (to be discussed in another paper).

*Presented by Prof. Tinatin Bolkvadze*

## მტიმოლოგიური კიბუბი: სოკო

სოკო განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ჰეტეროტროფული, უქლორო-ფილო თაღოვანი მცენარეა, რომელიც მრავლდება სპორებით. სოკოების სახელდება, მცენარეთა სახელების მსგავსად, ჩვეულებრივ, მათი ფერის, ფორმა-მოყვანილობის, სუნისა და გემოს მიხედვით ხდება, ამაზე მეტყველებს ტიპოლოგიური მონაცემებიც. სოკოს სახელთა წარმოებისას ძირს, ჩვეულებრივ, ერთვის ხოლმე აფიქსები (მაგალითად, ქართული -ა სუფიქსი: მჭადა, სავარცხელა, ღვინა (ღვინა), ხრაშუნა, ტრედა, თირკმელა, შხამა...), უძღვის ან მოსდევს მსახვრელი მარტივი ან ნათესაობით ბრუნვაში დასმული, ან ისევ -ა სუფიქსდართული (მაგალითად, ქა-მა-სოკო, წიფლის-სოკო, შავჩონა-სოკო, წეროს-წვივა, კვერცხი-გულა, სოკო-წითელა, ქათამ-ბარკალა...) და სხვ. (ლომთათიძე 1982:84).

ცალკე ჯგუფს ქმნის -ო-ო დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში. მათი სრული ნომენკლატურა, ქ. ლომთათიძის ზემოთ დასახელებული ნაშრომის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ იმერულ დიალექტში დასტურდება: მარტიო, მარწყვიო, (მ)გზავრიო, მიქლიო/ნიქლიო, მტრედლიო/ტრედლიო (ტრედო), მწყერიო, მჭადლიო (ჭადლო), სელიო, ფქვილიო/ქვილიო, ღვინიო, ღრუბლიო, ჩონიო, წითლიო, წიფლიო, ცხვარიო (ლომთათიძე 1982:84).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში -ო-ო რთული შედგენილობის სიტყვათმწარმოებელი სუფიქსი გამოყოფ. თოფურია (თოფურია 1958) და საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ყურადღებას იქცევს წითლიო და მტრედლიო სოკოს აღმნიშვნელი სიტყვები და ანალოგიური შემთხვევები დასაბუბნია, ილია ჭყონიას მიხედვით, თითქოს მარტო -ო უნდა იყოსო“ (თოფურია 1979:261).

შემდეგი ავტორი, რომელიც იკვლევდა -ო-ო > -ოო ბოლოსართს ქართულში, ივანე ქავთარაძეა. თავდაპირველად, სტატიაში „მასალები იმერული ლექსიკონისთვის“ იგი -ო-ო მიმდევრობას იონ-ისგან მომდინარედ (ოლონდ სხვაგვარი მნიშვნელობით) თვლიდა (ქავთარაძე 1963). მოგვიანებით ამ საკითხისადმი მიძღვნილ საგანგებო გამოკვლევაში ივ. ქავთარაძე წერს: რაც შეეხება მიქლიო, ღვინიო ტიპის სახელებს, აქ -ო-ო გამოხატავს ფერისა და ფორმის მიხედვით მსგავსებას, ამ ფუნქციით ის შედარებით ახალი ჩანს და შესაძლოა წარმოშობით იყოს -ოა სუფიქსის დიალექტური ვარიანტი (შდრ. ღვინა || ღვინიო) ან სუფიქსის ნაწილი (მაგ., ჭადლიო > ჭადლიო). მისი აზრით, შესაძლოა გვექნოდა -ო-ო სუფიქსიანი სახელები \*ღვინილო, \*მიქლილო, და ინტერვოკალურ პოზიციაში ლ-ს ჩავარდნით დამკვიდრებულიყო ღვინიო, მიქლიო ფორმები (ქავთარაძე 1979:143-144).

მორიგი კვლევა, რომელიც აღნიშნულ მოსაზრებათა დაზუსტება-გარკვევას ეძღვნება, ქ. ლომთათიძის სტატიაა, სადაც მდიდარი დიალექტური მასალის დაწვრილებითი მიმოხილვის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ -ო-ს შორის მართლაც ჩავარდნილი უნდა იყოს ლ თანხმოვანი, რომელიც -ელ- ალერსობითი სუფიქსი უნდა ყოფილიყო და ამის დასტურად ასახელებს რამდენიმე გარემოებას:

1. სოკოს სახელებს სწორედ იმერეთში საერთოდ ახასიათებს კინობით-საალერსო სუფიქსაცია: *ტრედუა, წითლუა, ჭადუა, ... ტრედონა, ჭადონა* და მისთ.
2. უდავოა, რომ სახელდობრ ლ არის ჩავარდნილი (მდრ. იმერულში დაცული სოკოს ერთ-ერთი სრულიად გამჭვირვალე სახელწოდება -*ელ-ო* დაბოლოებიანი *ხახე-ელ-ო* || *ხახ-ელ-ო* [„ხახვილო მტრედლის ჰგავს, ივანობისთვეში მწიფდება“ (მოწინიძე 1976:305)].

ქ. ლომთათიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ იმერეთშივე ამავე -*ელ-ო* > -*ო* (||-*ო*) დაბოლოების სახელებს ჩვეულებრივი საერთოქართული წარმოების სახელიც აქვთ. მაგალითად, „სოლიო“ – „სოლის სოკო“, „მგზავრიო“ – „მგზავრა“, „ჩოხიო“ – „შაჩოხა“, „ჩოხაშავა“ და ა.შ.

როგორც ჩანს, სოკოს ძებნისას (ისე, როგორც რაიმე დაკარგული მცირე ნივთის ძებნისას, ჭია-ჭიას, ან ეშმა-ეშმას რომ მიმართავენ – „მაპოვნინეო“) ადამიანი სოკოს მოსაფერებელ-საალერსო მოწოდებით მიმართავდა, რომ მძებნელს იგი გამოსჩენოდა. და თუ ასე მიმართავდა, სწორედ პირველ რიგში კარგსა და საჭმელ სოკოს (ლომთათიძე 1982:86-87).

თუ რატომ დაგვჭირდა შედარებით ვრცელი მიმოხილვა, ამაზე ცოტა მოგვიანებით.

სახელი *სოკო* ოთხივე ქართველურ ენაში დასტურდება:

ქართ. *სოკო* : მეგრ. *სოკო* : ლაზ. *სოკო* : სვან. *სოკ*, *სოკორ*, *ტყუბჯლ*.

ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ძველი ქართულის სალექსიკონო მასალებსა და ტექსტებში სოკოს სახელების მხრივ ბევრს ვერაფერს იპოვითო, და მართლაც, ბიბლიურ ტექსტებში (იხ. ი. ვიპერტის, ხელნაწერთა ინსტიტუტისა და პ. მოირერის მონაცემთა ბაზები: <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskij.htm>, <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>, <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>), ძველი ქართულის ლექსიკონებში (აბულაძე 1973, სარჯველაძე 1995), სიმფონიებში (იმნაიშვილი 1986) ჩვენთვის საინტერესო ფუძე *სოკო* საერთოდ არ დასტურდება, ჩემდა გასაკვირად, არც ივ. ჯავახიშვილთან არის რაიმე თქმული *სოკოს* შესახებ (ჯავახიშვილი, V, 1986; X, 1992), არ არის ნათქვამი არაფერი *სოკოს* ინდოევროპული ძირის შესახებაც (Гамкрелидзе, Иванов 1984). მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და თეზაურუსის კომიტეტის, მარ-

თლაცდა, უმეირფასეს ფონდში მივაგენით *სოკო*-ს<sup>1</sup> *ალექსანდრე კვპრელის ქრონიკებში*, X-XIV სს. ხელნაწერების მიხედვით ტექსტი მოამზადა და გამოსცა თამილა მგალობლიშვილმა (საკითხავი პოენისათვის პატიოსნისა და ცხოველმყოფელის ჯუარისა. აღწერილი ალექსანდრეს მიერ კვპრელ მონაზონისა 1978:34-84): „და იქმნა იგი განმრთელებულ *სოკოდსა* მისგან საშინელისა მყის ლოცვითა ქრისტეანეთაითა“, აღ. კვპრ. 59,17. ქრონოლოგიურად ასევე X საუკუნის შუა წლების ძეგლია Sin. 34. ი.ზოს. (P), კრებული, 34-123, „საგალობელი იადგარნი“ (გადაწერილია იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელის მიერ). მრავლად გვხვდება საძიებო ფუძე იადიგარ დაუდში (XVI ს.), აქ *სოკო* – დაავადების სახელია, თუმცა, მაგალითად, ქართლის ცხოვრებაში უკვე საჭმელ სოკოზეა ლაპარაკი: „არის *სოკო* ნარინჯი მას შინა, ფრიად გემოიანი“ (ქართ. ცხ. IV, 744,18, იხ. ასევე ვახუშტი, 1742-1745, XVII ს.).

გაცილებით მეტ ინფორმაციას იძლევა სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონა. მას თავის ლექსიკონში მითითებული აქვს: *სოკო* ZABCDE, *სოკო* სენია ერთი ZABCD (ნ. ბავასირი, ბუასილი). აგრეთვე საკმაოდ გვხვდება სოკოს სახელები, მაგალითად, *სოკოფინხა* ხის კმელი სოკო, *სოკოწითელი*

(ნ. ნიყე), *მალქვალა*, *კვერცხისგულა*, *ვარყა*, *მჭადა*, *ტრედა*, *მანჭკვალა*, *ყურა*, *წეროსწვივა* და სხვ. -იო დაბოლოებანი ერთადერთი სახელია მხოლოდ დასახელებული – *ნოშიო*.

მეგრულში *სოკო* ძირი დასახელებული აქვთ: ი. ყიფშიძეს (1914), პ. ჭარაიას (1997), ო. ქაჯაიას (2002), ა. ქობალიას (2010), ლაზურში – ა. თანდილავას (2013) და ჩამოთვლილი აქვთ სოკოს სხვადასხვა სახელი, რაც სამომავლო კვლევის პერსპექტივას შლის: *თხირჯიკია*, *კარკუნა*, *ლოურიშეუდა*, *მანჭიკორა* // *მანჭკორა*, *მარქვალში გური*, *ნიყვი*, *ობელი*, *სიასამური*, *ტურაშ ცუჯი*, *ქაქაბუ*, *ქვიშაწკურა*, *ცადამაყვანა*, *წეროში ბორკი*, *ჭაფურია* და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა სვანურის მონაცემები, სადაც *სოკოსთვის* სამი სახელია წარმოდგენილი: *სოკ*, *სოკილ*, *ტყუბულ*:

- სვან. სოკ- (-იშ, -პრ ბქ., -იშ|-კოიშ, -კოილ||სოკიჟარ ლშხ., -კოიშ, -კოპრ ლნტ.) – 1. სოკო. კორიჭოლ ზისხშნლ წგრნი სოკ ლი (ლშხ. ხორ. 10) – კორიჭოლი სისხლივით წითელი სოკოა. 2. ბქ. საქონლის ჭირი, საქონლის ყბაზე შეკენჭებული ხორცი (თოფურია, ქალდანი 2000).
- ტყუბულ- (-პშ, -ბლპრ) ბზ., ლშხ., ტყუბულ (-ბლიშ, -ბლპრ) ბქ. სოკო ბეფშულ ტყუბულ პნკიჩ (ბზ. 402) – ბავშვმა სოკო მოწყვიტა. სოკოვანი დაავადება, სიმსიენე. დედე ლაყურაისგა ტყუბულს ქა მშმა ხოწჟა (ბზ. 130) – დედა საწოლში არ ჩანს სიმსიენის გამო (სიმსიენეს არ უჩანს) (თოფურია, ქალდანი 2000).

<sup>1</sup> დახმარებისთვის დიდი მადლობა კომისიის მეცნიერ-თანამშრომელს ქ. მუსერიძეს.

- სოკო – სოკ, ტყუბულ გრიბ (ნიჟარაძე 2007).
- Грибъ, грибокъ – дава цаqv, соkv, тყубул (Нижарадзе 1910).
- სოკ (რ.) = სოკო გრიბ, უმ. სოკონლ, მნ. სოკინლარ; ალ სოკ ჩვასოყე მწრას = ეგ სოკო აგიჟებს კაცს; გაკა სოკ მუყვითელ ფერიშ ლი ი ლეზობდ მწ ხაყა = კაკლის სოკო მოყვითალო ფერისაა და საჭმელად არ ვარგა. სოკონლ – სმ. სოკ. ტყუბ: ლი-ტყუბ-ე = შეტყუება, შეწყვილება (დონდუა 2001).
- სოკ – ლეჩხ. „სოკო“, გრიბъ, ლსგ. (იხ.) კორიჭოლ – კოროჭოლ.

კოროჭოლ ზისხმწლ წგონი სოკ ლი თელდ კოჭოლწლ მგტყაბს ხაყა ლე-ზობდ – „კოროჭოლი სისხლივით წითელი სოკო არის, ძალიან პატარა, შემწვარი კარგია საჭმელად“; კოროჭოლ სოკ ლი ქწმენ თგეთგნე ი სგწმენ ზისხმწლ წგონი ი სურუ კოჭოლწლ მგტყაბს იზბის – „კოროჭოლი სოკო არის გარედან თეთრი და შიგნიდან სისხლივით წითელი, ძალიან პატარა, შემწვარს ჭამენ“ (ონიანი 1917:10, 26).

არსებული ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან \*სოკო – საერთოქართველური ფუძე „სოკო“ მნიშვნელობით აღდგენილი აქვს გ. კლიმოვს (КЛИМОВ 1964), ქართ. სოკო-, ზოკო- : მეგრ. სოკო : ჭან. სოკო : სვან. სოკ(ჯ)-. იგი აღნიშნავს, რომ ეს ფუძე ძველ ქართულში არ ჩანს. ზოკო – ხევსურულშია, ზანურის ფორმა ემთხვევა ქართულისას. სვანურის ბოლოკიდური ხმოვანი არამდგრადია. აღდგენილი ფუძე კარგად ცნობილია ნახურ-დაღესტნურ ენებში (ბეჟიტურში, ხუნზიხურში, დიდლოურში ანუ ცეზურში, ბაცბურში ანუ წოვათუმურში). ის შესულია სომხურშიც (soḵon-, sunk-) და ოსურშიც (soKlo).

სოკო- ფუძე სხვა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში რეკონსტრუირებული არ არის (სარჯველაძე, ფენრიხი 2000; Fähnrich 2007). ალბათ, ამის მიზეზია ურთიერთშესატყვისი სიტყვათა იდენტური ფონემური შემადგენლობა, რაც ყოველთვის აჩენს ეჭვს იმისას, რომ აქ არა გვაქვს შესატყვისობა, რომ ისინი არ მომდინარეობენ საერთო ამოსავალი ფორმიდან და იდენტურ ფორმათაგან ერთ-ერთი ნასესხებია მეორე ენიდან, ან ორივე ნასესხებია მესამე წყაროდან. არ არსებობს მკაცრი ფორმალური კრიტერიუმი, რომელიც ასეთ შემთხვევებში შესაძლებლობას იძლევა ცალსახა გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა ამ ორი სავარაუდო შემთხვევიდან ერთს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა, როგორც მეტად საალბათოს, იდენტურ ფორმათა ფონემური სიგრძის მიხედვით. საზოგადოდ, რაც მეტია ამგვარ დაუმლელ სიტყვათა სიგრძე, მით მეტად საალბათოა მათი ნასესხობა, და პირიქით, რაც ნაკლებია ლექსიკური ერთეულის ფონემური სიგრძე, მით უფრო საალბათოა დაშვება იმისა, რომ იდენტური ფორმები ერთმანეთის შესატყვისები არიან და მომდინარეობენ საერთო ფუძეების ერთი ამოსავალი ფორმიდან (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965). აღნიშნულის საფუძველზე სოკო-ს შესატყვისობები საერთო ამოსავალი ლექსიკური არქეტიპიდან უნდა მომდინარეობდნენ და არ წარმოადგენენ ნა-

სესხობებს ერთი ენიდან მეორეში (კრებ.: ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები 2016).

აქ კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, სვანურში „სოკო“ სახელთან დაკავშირებით. კარპევ დონდუას სოკოს განმარტებისას: სოკ (გ.) = სოკო грин, უმ. სოკონლ, მნ. სოკონლარ (დონდუა 2001) სოკონლ ცალკეც აქვს გამოტანილი, სმ. სოკ. შემოკლებათა განმარტებაში კ. დონდუასთან уменьш. = уменьшительный ანუ კნინობითი, уменьш.-ласкат. – уменьшительно-ласкательный ანუ კნინობით-ალერსობითი. მისსავე ლექსიკონში ცალკე სტატიად არის გატანილი -*ნლ* სუფიქსი: -*ნლ*=კნ.-მოფ. სუფ. უმ.-ლასკ. суффикс (სმ. *ონლ*, -*უნლ*); ლიც-*ნლ*, სმ. ლიც „წყალი“; თეკუნლ-*ნლ* სმ. თეკვ „თოკი“; მუქონ-*ნლ*, თეკუნლ-*ნლ* სმ. მუქონ „რიყის თეთრი ქვა“; ლეკუმგ-*ნლ* სმ. ლეკუმგრი „საქმრო“; დიარ-*ნლ* სმ. დიარ „პური, მჭადი“; თეთრ-*ნლ* სმ. თეთრ (გ. თეთრი, белый) = ფული (მაგალითებისთვის იხ. აგრეთვე თოფურია, ქალდანი 2000).

-*ილ*, როგორც კნინობით-საალერსო მნიშვნელობის აფიქსი, დასტურდება როგორც ქართულში, ისე მეგრულსა და სვანურშიც და, ამრიგად, შესაძლებელია მისი საერთოქართველურ აფიქსად აღდგენა:

\*-*ილ*

ქართ. -*ილ* კნინობით-მოფერებითი სუფიქსი

მეგრ. -*ილ-ია* კნინობით-მოფერებითი სუფიქსი

სვან. -*ილ* (-*ონლ*, -*უნლ*) კნინობით-მოფერებითი მნიშვნელობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი.

-*ილ* სუფიქსი ქართულში მარტოოდენ ორი სახელისგან აწარმოებს კნინობითის ფორმებს, რომლებიც ალერსობითის მნიშვნელობისანი არიან, თანაც ერთვის -*ო* (*ილ-ო*): მამ-*ილ-ო*, დედ-*ილ-ო*. შეიძლება ამათ მთელი მარცვალი მოეკვეცოს ბოლოში და მივიღოთ: მამი, დედი (შანიძე 1973:121).

იგივე სუფიქსი უნდა იყოს იმერულში -*ო* დაბოლოებიანი სოკოთა საალერსო მიმართვის ფორმაში ასახული, სადაც ლ-ს ჩავარდნით -*ილ-ო* > -*ო*, მიღებულია არაერთი სოკოს სახელი: *მიქლიო/ნიქლიო*, *მტრედო*, *მჭადო*, *სილიო*, *ღვინო*, *წიფლიო* და სხვ. (თოფურია 1979:161; ქავთარაძე 1963; ლომთათიძე 1982).

მეგრულში კნინობით სახელებს, ძირითადად, -*ია* სუფიქსი აწარმოებს. შედარებით იშვიათია -*ა*-ს შემცველი რთული -*უნლ-ია*, -*ილ-ია*, -*უნ-ია*, -*იკ-ია* სიფიქსებით ნაწარმოები ფორმები. მაგალითად, *ბოშ-ილ-ია* „ბიჭუნა“ (Кипшидзе 1914: 207, იხ. *ბოში*; კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010).

სვანურის კნინობით-მოფერებითი სახელების -*ნლ*, -*ონლ*, -*უნლ* სუფიქსიანი მაგალითები შეიძლება იხილოთ დასახელებულ ლექსიკონებში (დონდუა 2001, თოფურია, ქალდანი 2000).

გაცილებით მარტივია სვანურში *ტყუბუნლ*- სოკო ეტიმოლოგია. აქ აშკარად იკვეთება *ტყუბ*- ძირი „ტყუბები“ მნიშვნელობით. ქართველურ ენათა ყველა ეტი-



მოლოგიურ ლექსიკონში აღდგენილია \**ტყუბ*- ძირი – ქართ. *ტყუბ* : მეგრ. *ტყუბ*-*/ტკუბ* : ლაზ. *ტყუბ*-*/ტკუბ*-*/ტუბ*- : სვან. *ტყუბ*-*/ტყუბ*-*შესატყვისობის* საფუძველზე (კლიმოვი 1964, სარჯველაძე, ფენრიხი 2000, Fähnrich 2007).

ამ ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს ქართ. *ტყურბ*-*ტყურბ*-*ლ*-*ა* „ერთგვარი სოკო“ : სვან. *ტყუბ*-*ტყუბ*-*ულ* „ერთგვარი სოკო“, მასალა შეაპირისპირა ზურაბ სარჯველაძემ და აღადგინა \**ტყურბ*- არქეტიპი (Sardschweladse 1985:24).

სულხან-საბას განმარტებით, „*ტყურბლა* ხის სოკო საჭმელი“. დასტურდება იმერულ დიალექტში: *ტყუბლა* „ხის სოკო“, *ტყუბლა-სოკო* „ხის სოკო“ (ძოწინიძე 1974: 370). *ტყუბულ*- „სოკო“ ძირს \**ტყუბ*- „ტყუბებ“-თან აკავშირებს გ. კლიმოვიც, რაც ბუნებრივია სოკოს და, განსაკუთრებით, „ხის სოკოსთან“ მიმართებით, რადგან ისინი სწორედ ტყუბ-ტყუბად აღმოცენდებიან ხოლმე, იზრდებიან დიდ ჯგუფებად ხეებსა და ბუჩქებზე და ხშირად კრამიტისებურად არიან განლაგებულნი. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული სოკოს, როგორც სენის, დაავადების სახელდება.

ამგვარად:

1. ქართ. *სოკო* : მეგრ. *სოკო* : ლაზ. *სოკო* : სვან. *სოკ*, *სოკილ*, *ტყუბულ* შესატყვისობის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეების დონეზე შესაძლებელია აღვადგინოთ \**სოკო* ფუძე, „სოკო“ ზოგადი მნიშვნელობით.
2. -*ილ* დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში უნდა მომდინარეობდეს -*ილ*-*ო* > -*ი*-*ო*, *ლ*-ს ჩავარდნით კნინობით-საალერსო მაწარმოებელი სუფიქსისგან.
3. საერთოქართველური ფუძეების დონეზე უნდა აღდგეს \*-*ილ* კნინობით-საალერსო მნიშვნელობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი.

### ლიტერატურა

**აბულაძე 1973:** ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, მეცნიერება, თბილისი.  
**ასათიანი 2012:** ი. ასათიანი, *ლაზური ლექსიკონი*, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.  
**გაჩეჩილაძე 1976:** პ. გაჩეჩილაძე, *იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.  
**გივინეიშვილი 2016:** ბ. გივინეიშვილი, *ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი.  
**დონდუა 2001:** კ. დონდუა, *სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თსპუ, თბილისი.  
**თანდილავა 2013:** ა. თანდილავა, *ლაზური ლექსიკონი*, გამომცემლობა „საარი“, თბილისი.  
**თოფურია 1979:** ვ. თოფურია, *შრომები*, III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.  
**თოფურია, ქალდანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალდანი, *სვანური ლექსიკონი*, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.  
**იმნაიშვილი 1986:** ი. იმნაიშვილი, *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.  
**ლიპარტელიანი 2014:** ა. ლიპარტელიანი, *სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო)*, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი.

- კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010:** გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
- ლომთათიძე 1982:** ქ. ლომთათიძე, *იო დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 3, თბილისი.
- მაყაშვილი 1961:** ალ. მაყაშვილი, *ბოტანიკური ლექსიკონი*, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ნიჟარაძე 2007:** ბ. ნიჟარაძე, *ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ონიანი 1917:** არს. ონიანი, *ხეებისა და მცენარეების სვანური სახელები*, პეტროგრადი.
- ორბელიანი 1991, 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I-II, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
- სარჯველაძე 1995:** ზ. სარჯველაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000:** ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ქავთარაძე 1963; 1979:** ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისთვის, კრებ.: *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, ტომი 3, თბილისი; ერთი სიტყვასაწარმოებელი სუფიქსისათვის ქართულში, საიუბილეო კრებული არნოლდ ჩიქობავას, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ქართულ-მეგრულ-ლასურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი 2015:** გამომცემლობა „პეტიტი“, თბილისი.
- ქობალაია 2010:** ა. ქობალაია, *მეგრული ლექსიკონი*, არტანუჯი, თბილისი.
- ქურდიანი 2007:** მ. ქურდიანი, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები*, თსუ, თბილისი.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, I, მორფოლოგია, თსუ, თბილისი.
- ჩიქობავა 1938; 1942:** არნ. ჩიქობავა, *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, ტფილისი; *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ჩუხუა 2000-2003; 2008:** მ. ჩუხუა, *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი; *იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ძოწენიძე 1974:** ქ. ძოწენიძე, *ზემოიმერული ლექსიკონი*, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
- ჭარაია 1997:** პ. ჭარაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ხიდაშელი, ფანჩულიძე 1990:** შ. ხიდაშელი, ა. ფანჩულიძე, *სოკოები*, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1986; 1992:** ივ. ჯავახიშვილი, *საქართველოს ეკონომიური ისტორია*, ტ. V, თსუ გამომცემლობა, თბილისი; *ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა*, ტ. X, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**Гамкрелидзе, Иванов 1984:** Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы*, Тбилиси.

**Кипшидзе 1914:** И. Кипшидзе, *Грамматика Мингрельского (Иверского) Языка*, С.-Петербург.

**Климов 1964:** Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, изд. акад. наук СССР, Москва.

**Нижарадзе 1910:** И. И. Нижарадзе, *Русско-сванский словарь*, Тифлис.

**Fähnrich 2007:** Н. Fähnrich, *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Brill, Leiden-Boston.

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskij.htm>.

<http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>.

<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>.

*Marine Ivanishvili*

## Etymological Issues: sok'o in Kartvelian Languages

### Summary

A mushroom (*sok'o*) is a fleshy, spore-bearing fruiting body of a fungus, typically produced above ground on the soil or on its food source. The names of mushrooms, like other plant names, are usually derived according to their color, form, odor or flavor, which is proved by typological data as well.

The name *sok'o* is attested in all Kartvelian languages:

Geo. *sok'o* : Megr. *sok'o* : Laz. *sok'o* : Svan. *sok'*, *sok'ir*, *t'q'ubul*.

There is not much information about the names of mushrooms (*sok'o*) in the Old Georgian dictionaries and texts, the stem is found neither in the electronic databases of J. Gippert, Georgian National Center of Manuscripts and P. Maurer (<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskij.htm>, <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>, <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>), nor in the Old Georgian dictionaries (Abuladze 1973, Sarjveladze 1995) or in the symphonies (Imnaishvili 1986); nothing is mentioned about *sok'o* by Ivane Javakhishvili either (Javakhishvili, V, 1986; X, 1992). There is no information about the Indo-European stem of *sok'o* (Гамкрелидзе, Иванов 1984). The stem *sok'o* is not reconstructed in the etymological dictionaries of Sarjveladze, Fähnrich (2000) and Fahnrich (2007). Only in the etymological dictionary of G. Klimov is reconstructed the stem *\*sok'o* for the Proto-Kartvelian level (Климов 1964). Much more information is given in Sulxhan-Saba Orbeliani's dictionary and medical books (X-XIV, XVI, XVII cc).

On the basis of the study of the material of Georgian, Megrelian, Laz and Svan languages the following can be concluded:

1. According to the Geo. *sok'o*: Megr. *sok'o*: Laz. *sok'o*: Svan. *sok'*, *sok'ir*, *t'q'ubul* correspondence we can reconstruct the *\*sok'o* stem for the Proto-Kartvelian level with the general meaning “mushroom”.
2. The names of mushrooms in Georgian which end in *-io*, must be derived from *-il-o* > *-i-o*, with the omission of *-l-* from the diminutive suffix.
3. For the Proto-Kartvelian level the diminutive suffix *\*-il* can be reconstructed.

**საერთოქართველური**

**\*ფას<sub>1</sub>თ-/\*ფეს<sub>1</sub>თ-/\*ფჱას<sub>1</sub>თ-/\*ფჱეს<sub>1</sub>თ- მიმდევრობის უმსახეობა**


ნაშრომში წარმოდგენილია საერთოქართველური A კლასის ხაზოვანი (=LA) დამწერლობით შესრულებული HT 97 (HM 1330) და HT 120 (HM 1363) თიხის ფირფიტების წარწერები და მიკენური ხანის ბერძნული B კლასის (=LB) ხაზოვანი ტექსტები, რომლებშიც დასტურდება ტოპონიმი და ანთროპონიმი **ფესტოსი** და ამ სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული მასალა, რომელშიც, ურთიერთშედარების გზით, განხილული იქნება: თეონიმი **ჰეფესტოსი**, ოიკონიმი **ფუსტა**, თეონიმი და ტოპონიმი **ფასისი**.

**1. ფესტოსი A და B კლასის ხაზოვან წარწერებში**


GORILA-ს (1976, I:158, 159, 204, 205) მიხედვით, HT 97 (HM 1330) თიხის ფირფიტის a.3 სტრიქონში ფიქსირდება **†‡** LA003+LA028+LA005 ნიშანთა მიმდევრობა, რომლის შემდეგ წერია ნატურალური რიცხვი **|||** – 6; ხოლო HT 120 (HM 1363) თიხის ფირფიტის .6 სტრიქონში დასტურდება **†‡** LA003+LA028+LA005 ნიშანთა მიმდევრობა, რომელსაც მოსდევს ნატურალური რიცხვი **||** – 3 და წილადი რიცხვი **2** LA703 – D (იხ. ნატურალური და წილადი რიცხვების ცხრილი: კვაშილავა 2011:197, 198).

HT 97 (HM 1330) და HT 120 (HM 1363) თიხის ფირფიტები აღმოაჩინეს კუნძულ კრეტაზე, ჰაგია ტრიადაში (GORILA 1976, I:XXI) და დაათარიღეს LM IB პერიოდით (GORILA 1985, V:85, 86), ანუ ძვ.წ. 1500-1450 (?) წწ.-ით.

ეს ფირფიტები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სურათებზე:



HT 97a (HM 1330) თიხის ფირფიტის წარწერა  
GORILA 1976, I:158-ის მიხედვით



HT 120 (HM 1363) თიხის ფირფიტის წარწერა  
GORILA 1976, I:204-ის მიხედვით

ამ წარწერებში **𐎧𐎶𐎵** LA003+LA028+LA005 ნიშანთა მიმდევრობა ამოიკითხება როგორც pa, i და to მარცვლები (კვაშილავა 2011:192), რაც, შესაბამისად, ემთხვევა B კლასის ხაზოვანი დამწერლობის **𐎧** LB003, **𐎶** LB028 და **𐎵** LB005 სილაბოგრამების და კვიპროსული მარცვლოვანი (=CS/LC) დამწერლობის **𐎧** და **𐎶** ნიშნების ფონოლოგიურ მნიშვნელობებს (შდრ.: Chadwick 2014:ix, 24; Ventris, Chadwick 1973:23, სურ. 4; 385). ეს ნიშნები და მათი ფონეტიკური მნიშვნელობები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

LA	𐎧	𐎶	𐎵	𐎧	𐎶	pa
LB				𐎧		pa
CS (LC)				𐎧		pa
LA	𐎶	𐎵	𐎶	𐎶	𐎶	i
LB				𐎶		i
LA				𐎶	𐎶	to
LB				𐎶		to
CS (LC)				𐎶		to

© 2014 კვაშილავა

ცხრილი შედგენილია: Evans 1909, I:71, 227; 1952, II:6 შდგ., 7 შდგ., 14;  
GORILA 1985, V: xxviii, xxxiii-ის მიხედვით

ამდენად, A კლასის საზოვან ჰΨΤ LA003+LA028+LA005 ნიშანთა მიმდევრობა ამოიკითხება როგორც **pa-i-to**. გ. ნაგიმ (Nagy 1963:186), დ. პაკარდმა (Packard 1974:142), ი. შოეპმა (Schoep 1999:209), გ. ოუენსმა (Owens 2007:319) და სხვებმა A კლასის საზოვან ჰΨΤ [pa-i-to] მიმდევრობას დაუკავშირეს მიკენური ხანის ბერძნული B კლასის საზოვან წარწერებში დადასტურებული სიტყვა ჰΨΤ [pa-i-to].<sup>1</sup> მ. ვენტრისმა და ჯ. ჩედვიკმა (Ventris, Chadwick 1973: 567, 74, 146, 77) ჰΨΤ [pa-i-to/\*p<sup>h</sup>a-i-(<sup>s</sup>)to<sup>(-s)</sup>] მიმდევრობა ამოიკითხეს როგორც ტოპონიმი Φαιστός [p<sup>h</sup>aistos] – *ფესტოსი, რომელიც დასტურდება კრეტაზე, პელოპონესსა და თესალიაში*<sup>2</sup> (Chantraine 1980, IV-2:1172).

## 2. ფესტოსის და ჰეფესტოსის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილია **ფესტოსი** და **ჰეფესტოსი** ფორმების და მათ შორის არსებული მიმართებების შესახებ გამოთქმული მოსაზრებები.

პლატონი „კრატილეს“ 407c ტექსტში (Fowler 1939, IV:84) წერს:

„Ἑρμογένης: τί δὲ δὴ τὸν **Ἥφαιστου**, πῆ λέγεις;  
 Σακράτης: ἦ τὸν γευσταῖον τὸν «φάεος ἴστορα» ἐρωτᾷς;  
 Ἑρμογένης: ἔοικα.  
 Σακράτης: **οὐκοῦν οὗτος μὲν παντὶ δῆλος Φαῖστος ἄν, τὸ ἦτα προσελκυσάμενος.**“

ამ ციტატას ჰ. ფაულერი (Fowler 1939, IV:85) თარგმნის შემდეგნაირად:

“Hermogenes: And how do you explain **Hephaestus**?  
 Socrates: You ask about ‘the noble master of light?’  
 Hermogenes: To be sure.  
 Socrates: **Hephaestus is Phaestus, with the eta added by attraction**; anyone could see that, I should think.”

<sup>1</sup> pa-i-to მიმდევრობა (Ventris, Chadwick 1973:146) ფიქსირდება შემდეგ B კლასის საზოვან ტექსტებში: KN Da 1156.b, KN Da 1161.b, KN Da 1163.b, KN Da 1164.b, KN Da 1170.b, KN Da 1172.b, KN Da 1173.b, KN Da 1352.b, KN Da 1378.b, KN Da 1495.b, KN Da 8201.b, KN Db 1159.b, KN Db 1160.b, KN Db 1344.b, KN Db 1464.b, KN Db 1507.b, KN Dd 1157.b, KN Dd 1171.b, KN Dd 1342.b, KN Dd 1429.b, KN Dd 5174.b, KN De 1084.b, KN Dg 1158.b, KN Dm 1180.b, KN Dn 1094.1, KN Dq 7852.b, KN Dv 1085.b, KN Dv 1509.b, KN Dv 1607.b, KN Dv 5075.b, KN E 36, KN F 841.4, KN Ga 416, KN Le 5629.3, KN L 469.b, KN Od 502.a, KN Od 765.a, KN Pp 498.2, KN Sd 4413.b, KN So 4448, KN Wb 2001, KN Xf 5104, KN X 522, KN X 697.1, KN X <1474>, KN X 1539, KN X 7546.b, KN X 7629 და სხვა. pa-i-ti-ja მიმდევრობა (Ventris, Chadwick 1973:205, 214, 317, 567) ფიქსირდება შემდეგ B კლასის საზოვან ტექსტებში: KN Ak 828.1, KN Ap 639.4, KN Dp 1061, KN E 777.3, KN Ga 1536.1, KN Le 641.2, KN Og 180.1 და სხვ. pa-i-ti-jo მიმდევრობა (Ventris, Chadwick 1973:127) ფიქსირდება B კლასის საზოვან KN Od 681.a ტექსტში.

<sup>2</sup> Φαιστός – “town in Crete, in the Peloponnese, in Thessaly”; Φαῖστος “is a personal name, a Trojan” (Beekes 2010, II:1547).

ეს ციტატა ქართულ ენაზე გადმოტანილია როგორც:

„ჰერმოგენე: როგორღა ახსნი **ჰეფესტოსს**?

სოკრატე: შენ სინათლის კეთილშობილ ოსტატზე მეკითხები?

ჰერმოგენე: ღიას.

სოკრატე: **ჰეფესტოსი არის ფესტოსი, რომელსაც თან ერთვის „ეტა“**; მე ვფიქრობ, რომ ეს ყველასთვის ნათელია“.

ამ დიალოგში პლატონმა თეონიმს Ἡφαίστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] – *ჰეფესტოსს დაუკავშირა სიტყვები*: φάος [p<sup>h</sup>aos] – „light“, „სინათლე“ და ტოპონიმი Φαίστος [p<sup>h</sup>aistos] – *ფესტოსი*.

ვ. გეორგიევმა (Georgiev 1968, I:371) Φαίστος [p<sup>h</sup>aistos] აღადგინა როგორც \*Φαΐστος [\*p<sup>h</sup>avistos] არქეტიპი და მას დაუკავშირა სიტყვა \*φά(F)ος [\*p<sup>h</sup>a(v)os] – „lumière“, „სინათლე“ (Chantraine 1980, IV-2:1172; შდრ.: Frisk 1970, II:989; Beekes 2010, II:1551), ხოლო ჯ. ჩედვიკმა (Chadwick 1976:87) ამ ტოპონიმს დაუკავშირა თეონიმი Ἡφαίστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] – *ჰეფესტოსი*, „God of Fire“, „ცეცხლის ღვთაება“ (Owens 2007:303).

ჰ. ფრისკი (Frisk 1960, I:646), რ. ბეეკსი (Beekes 2010, I:527) და სხვები წერენ, რომ Ἡφαίστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] სიტყვის ეტიმოლოგია წინარებერძულია. ჯ. ჩედვიკი (Chadwick 1976:87), რ. ბეეკსი (Beekes 2010, II:1547), რ. გორდეზიანი (2007, II:306) და სხვები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ Φαίστος [p<sup>h</sup>aistos] სიტყვის ეტიმოლოგიაც წინარებერძულია.

ტოპონიმი Φαίστος [p<sup>h</sup>aistos] დასტურდება ჰომეროსის „ილიადის“ II.648-ე სტრიქონში (Murray 1999, I:108) და სხვაგანაც. ეს ტოპონიმი კრეტულ მონეტებზე აგრეთვე წერია როგორც ΦΑΙΣ [p<sup>h</sup>ais] და ΦΑΙΣΤΙ [p<sup>h</sup>aisti] ფორმები (Wroth, Poole 1886:63, №18, 19, Pl.xv.10,12; 64, №21, №22, Pl.xv.10):



**ΦΑΙΣ**

ძვ.წ. 320/300 წ.-ის ბერძნული დრახმა №244.

Gorny & Mosch 2015, №232, 65

თეონიმი Ἡφαίστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] დასტურდება „ილიადის“ VIII.195-ე სტრიქონში (Murray 1999, I:364); თეონიმი Ἡφαίστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aiston] – „ილიადის“ XVIII.391-ე სტრიქონში (Murray 1999, II:316) და სხვაგან.

თენიძის Ἡφαίστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] დიალექტური ფორმებია: დორიული Ἄφαιστος [h<sup>h</sup>ap<sup>h</sup>aistos], ეოლიური Ἄφαιστος [āp<sup>h</sup>aistos], ატიკური ΗἘφαιστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>astos]<sup>3</sup> (Chantraine 1968, I:418; Beekes 2010, I:527; Blažek 2010:243) და სხვ.<sup>4</sup>

A და B კლასის საზოვან ტექსტებში არ ჩანს თენიძი Ἡφαίστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] – *ჰეფესტოსი*, მაგრამ მ. ვენტრისი და ჯ. ჩედვიკი (Ventris, Chadwick 1973:127, 531; Chadwick 1976:99) KN L 588 თიხის ფირფიტის B კლასის საზოვანი წარწერის I სტრიქონში ადასტურებენ ἩΨΑΙΣΤΙΩ [a-pa-i-ti-jō] მიმდევრობას, რომელიც ამოკითხეს როგორც თეოფორული სახელი \*Ἡφαίστιος/\*Ἡφαιστῖα [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistios/\*h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistiōn] – *ჰეფესტიოსი / ჰეფესტიონი*. ამ ფორმებს მათ დაუკავშირეს ანთროპონიმი Ἡφαίστιος / Ἡφαιστῖα [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistios/h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistiōn] – *ჰეფესტიოსი/ჰეფესტიონი*.

საბერძნეთში, თესალიის მაგნესიისა და კუნძულ ლესბოსზე მცხოვრებნი თეოფორულ სახელს Ἡφαίστιος/Ἡφαιστῖα [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistios/h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistiōn] აგრეთვე უწოდებდნენ ერთ-ერთ თვეს (Wilamowitz-Moellendorff 1895:232; Chantraine 1968, I:418; Frisk 1960, I:646; Beekes 2010, I:527).

ჰეროდოტეს „ისტორიაში“ (II.2, 3, 99, 101, 108, 110, 112, 121, 136, 141, 142, 147, 151, 153, 176, III.37; Godley 1920, I:277<sub>1</sub>; 1928, II:49<sub>1</sub>) ჰეფესტოსთან გაიგივებულია: ეგვიპტური ღვთაება  $\text{Ptḥ}$  – *ჰტახი* და რომაული ღვთაება Vulcānus/Volcānus – *ვულკანუსი* (Blažek 2010:245).

### 3. ფასისის და ფუსტის შესახებ

ქვემოთ წარმოვადგენთ მასალას ბერძნული, ლათინური, ქართული და სომხური წყაროებიდან, სადაც ფას- [p<sup>h</sup>as-], ფოფთ- [p<sup>h</sup>oyt<sup>h</sup>], ფუთ-/ფუდ- [p<sup>h</sup>ut<sup>h</sup>-/p<sup>h</sup>ud-] და ფუსტ- [p<sup>h</sup>ust-] ფუძეების შემცველი ფორმები დასტურდება როგორც ჰიდრონიმი, ოიკონიმი, თენიძი ან ეთნონიმი.

➤ ფას- [p<sup>h</sup>as-] ფუძე, როგორც ჰიდრონიმი, დასტურდება შემდეგ ბერძნულ და ქართულ წერილობით ძეგლებში:

ძვ.წ. VIII-VII სს.-ის მოღვაწის, ჰესიოდეს „თეოგონიის“ 340-ე სტრიქონში ჰიდრონიმი Φἄσις-ი – *ფასისი* პირველად მოხსენიებულია დიდ მდინარეებთან ერთად (Evelyn-White 1920:104, 105; ურუშაძე 1964:186). ამ სტრიქონს სქოლიასტი

<sup>3</sup> თენიძიში ΗἘφαιστος/Ἡφαιστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>astos/h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] დასტურდება α/αι [a/ai] მონაცვლეობა. იგივე მონაცვლეობა არაერთხელ შეინიშნება ბერძნულ ფორმებში. მაგ., იონიური, ატიკური φἄσις [p<sup>h</sup>āsi] და ლესბოსური φαῖσις [p<sup>h</sup>aisi] და სხვა (Brugman 1871:34; აგრეთვე იხ. Beekes 2010, I:xxx; Ventris, Chadwick 1973:77).

<sup>4</sup> ატიკური ვაზების წარწერებზე ფიქსირდება აგრეთვე შემდეგი ფორმები: Εφαιστος [ep<sup>h</sup>aistos] (№4584, London E 403.C; Immerwahr 2009:1340); Ἡφαιστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] (№971, Athens, N.M. Acr. i, 601.C; Immerwahr 2009:304); ΗἘφαιστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>a-i-stos] (№976, Athens, N.M. Acr. i, 611.C; №4396, London D 4.C; №5271, Munich 2361.C; Immerwahr 2009:307, 1277, 1578); ΗἘφαιστος [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>aistos] (№227, Athens, Agora P 44.C; Immerwahr 2009:71); Ηφαιστ(τ)(ο)(ς) [h<sup>h</sup>ep<sup>h</sup>ais(t)(o)(s)] (№6929, Richmond, VA, Museum of Fine Arts 81.70.C; Immerwahr 2009:2077); Ἡφαιστος [h<sup>h</sup>e<sup>h</sup>p<sup>h</sup>aistos] (№2389, Berlin 2537.C; Immerwahr 2009:678) და სხვ.



(შდრ.: Flach 1876:247 შმდ., №338; ურუშაძე 1964:188) განმარტავს შემდეგნა-  
ირად: „**Φᾶσις** [ποταμὸς] Κόλχων“ – „**ფასისი** კოლხების [მდინარეა]“.<sup>5</sup>

ძვ.წ. III ს-ის მოლვაწის, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ II.1260-  
1261 ტაეპებში წერია: „ἐνσύχιοι δ' Ἄργεοιο δαημοσύνησιν ἴκουτο **Φᾶσιν** τ' εὐρὸν  
ῥέοντα, καὶ ἔσχατα πείρατα πόντου“ – “And at night, by the skill of Argus, they  
reached broad-flowing **Phasis**, and the utmost bourne of the sea” (Seaton 1919:186,  
187) – „ღამით [არგონავტებმა], არგოსის გამოცდილებით, მიაღწიეს ფართოდ  
მომდინარე **ფასისს** და პონტოს უკიდურეს საზღვარს“ (ურუშაძე 1970:172, 173).

ქართველი მოლვაწის, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის XI ს-ის ხელნაწერში  
„დიდი სვინაქსარი“ წერია: „ორნი მდინარნი, რლთა ეწოდბის **ფასოს** და ფსა-  
როს“ (საქ. მუხ. ხელთნაწ. №H-2211, 89v; შდრ. ჯანაშია 1988, VI:262).

XII ს-ის ხელნაწერში „წამებაჲ და ლჷაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწა-  
მეთა დავით და კოსტანტინესი“ წერია: „...მდინარესა მას **ფასონსა**, რომელ არს  
ენითა ქართულითა რიონი“ (აგ. ძეგლ. 1971, III, 258, 6; შდრ.: ჯანაშია 1988,  
VI:269; მელიქიშვილი 1965:54; ბერძნიშვილი 1969:178).

XVIII ს-ის ქართველი მოლვაწის ანტონ I ბაგრატიონის „მარტირიკაში“ (იხ.  
„შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა დავით  
და კოსტანტინესი“) წერია: „...მდინარესა შინა **ფასოს**, რომელსა ჩუენ ენისაებრ  
ჩუენისა ზედწოდებულ ვჰყოფთ რიონად...“ (აგ. ძეგლ. 1980, VI:167, 1).

➤ ფას- [p<sup>h</sup>as-] ფუძე, როგორც თეონიმი, დასტურდება შემდეგ ბერძნულ და ლათი-  
ნურ წყაროებში; თეოკრიტეს „დილიის“ XIII.75 სტრიქონის სქოლიოში წერია:  
„Μνασείας δὲ Κόλχους φησὶ κληθῆναι ἀπὸ Κόλχου τοῦ **Φᾶσιδος**“ – „Mnaseas  
Colchos a Colcho **Phasidis** filio nominatos esse dicit“ (Müllerus 1849, III:154, ფრგ.  
№31) – „მნასეასი [პატრარელი] ამბობს, რომ კოლხებმა სახელი მიიღეს [მდინა-  
რის ღვთაება] **ფასისის** ძის, კოლხოსისაგან“-ო (შდრ. ურუშაძე 1964:317).

ვალერიუს ფლაკუსი „არგონავტიკის“ 5.204-209 ტაეპებში (Mozley 1934:258,  
260) წერს:

„...tunc tibi, fecundi proles Iovis, orte nivali  
Arcados axe deae, fluvio modo, **Phasi**, quieto  
Palladium patiare ratem, nec dona nec arae  
defuerint tellure mea: venerenda tuenti  
effigies te, **Phasi**, manet, quam magnus Enipeus  
et pater aurato quantus iacet Inachus antro“.

<sup>5</sup> პინდარეს „პითიურის“ IV.211 სტრიქონის განმარტებისას კომენტატორი (376b; Drachmann  
1910, II:148) მდინარე ფასისის ადგილმდებარეობას განსხვავებულად უთითებს: „...Φᾶσις δὲ  
ποταμὸς Σκυθίας τῆς κατὰ τὴν Ἀσίαν· ἔστι γὰρ καὶ ἑτέρα Εὐρώπης πλησίον  
τῆς Μαιώτιδος λίμνης καὶ τοῦ Ταυάιδος ποταμοῦ...“ – „...**ფასისი** აზიაში მდებარე  
სკითიის მდინარეა. არის სხვაც ევროპისა მეოტისის ტბისა და მდინარე ტანაისის მახ-  
ლობლად...“ (ურუშაძე 1964:221).

ამ ციტატას ჯ. მოზლი (Mozley 1934:259, 261) თარგმნის შემდეგნაირად: "...[Jason prays to River-God **Phasis** of Colchis:] Then do thou, O **Phasis**, offspring of fecund Jove [Zeus], born in the snowy region of the Arcadian nymph, do thou but accept with tranquil stream the bark of Pallas [the ship Argo], neither gifts nor shrines shall be lacking to thee in my land; an effigy awaits thee, O **Phasis**, that whoso beholds may reverence, as mighty as great Enipeus or father Inachus outstretched in golden cave”.

➤ ფას- [p<sup>h</sup>as-] ფუძე, როგორც ოიკონიმი, დასტურდება შემდეგ ბერძნულ, ლათინურ და ქართულ წერილობით ძეგლებში:

691-692 წლის ტრულის საეკლესიო კრების კანონების დოკუმენტში წერია: „Θεόδωρος ἀνάξιος ἐπίσκοπος τοῦ **Φασίτου** Λαζῶν χῆραჯ“ – „Theodorus indignus episcopus **Phasiti** Lazorum provinciae“ (Acta 1714, III:1699, 1700).

ეს ციტატა XII ს-ის ქართულ ხელნაწერში<sup>6</sup> გადმოღებულია შემდეგნაირად: „თეოდორე უღირსმან ეპისკ~სმან **ფასოდესმან**<sup>7</sup>, სოფელსა შინა მეგრელთასა...“ (შლრ.: ჟორდანია 1897, II:88, სქ.; დიდი სჯ. 1975:407, 36; ჯანაშია 1988, VI:272; მელიქიშვილი 1965:54; ბერძნიშვილი 1969:178).

➤ ფუთ- [p<sup>h</sup>ut<sup>h</sup>-] ფუძე, როგორც ოიკონიმი, დასტურდება შემდეგ ქართულ წყაროში:

XI ს-ის ნიკორწმინდის სიგელში წერია: „ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათჳს **ფუთს** გლეხი :ბ: [ორი]“ (ჟორდანია 1897, II:45).

➤ ფუსტ- [p<sup>h</sup>ust-] ფუძე, როგორც ოიკონიმი და ეთნონიმი, დასტურდება შემდეგ ბერძნულ და ლათინურ წყაროებში:

VIII საუკუნის მოლვაწის ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ნაშრომში „Ἐπιφανίου μουαχῶν καὶ πρεσβυτέρου περὶ τοῦ βίου καὶ τῶν πράξεων καὶ τέλους τοῦ ἀγίου καὶ πανευφήμου καὶ πρωτοκλήτου τῶν ἀποστόλων Ἀνδρέου“ (Migne 1864, CXX:221, 244; ყაუხჩიშვილი 1941, IV, I:57, 58) წერია: **Φούστα** [p<sup>h</sup>usta] – *ფუსტა* და **Φούστοι** [p<sup>h</sup>ustoi] – *ფუსტელები*; ხოლო VII ს-ის მოლვაწის ანასტასი აპოკრისიარის IX ს-ის ლათინურ წერილში „Anastasio presbyteri et apocrisarii Romæ, Epistola ad Theodosium presbyterum Gangrensem“ (Sirmond 1696:576; Migne 1860, XC:174 შმდ., VI, VII; ყაუხჩიშვილი 1941, IV, I:44, 45, 38) დასტურდება: **Phusta** – *ფუსტა* და **castro Phustensium** – *ფუსტელთა ციხესიმაგრე*<sup>8</sup>.

➤ ფოფთ- [p<sup>h</sup>oyt<sup>h</sup>-] და ფუდ- [p<sup>h</sup>ud-] ფუძეები, როგორც ოიკონიმები, დასტურდება შემდეგ სომხურ წერილობით ძეგლებში:

VIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის, ლევონდის „ხალიფათა ისტორიაში“ (Ղևոնդ, Ժ) წერია: „...Ջբաղաքն որ անուանեալ կոչի **Փոյթ**<sup>9</sup> ՚ի կողմանս Եգեր

<sup>6</sup> თ. ჟორდანია (Жорданія 1903, I:74) XII ს-ის დასასრულით ათარიღებს ამ ქართულ ხელნაწერს, რომელიც გადაწერილია უძველესი ვარიანტიდან.

<sup>7</sup> „ფასო – «ფოთსა იტყვს» მთარგმნ.“ (დიდი სჯ. 1975:407, 624).

<sup>8</sup> მხოლოდ ლათინური ტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ ტოპონიმი Phusta მდებარეობს აფხაზეთში (ყაუხჩიშვილი 1941, IV, I:54<sub>4</sub>). ამასთანავე, პ. ინგოროყვა (1954:156, 156<sub>3</sub>) წერს, რომ ფორმა ა-ფუშტა [a-p<sup>h</sup>ust<sup>h</sup>-a] აღნიშნავს გეოგრაფიულ სახელს სოფლისა, რომელიც მდებარეობს კოდორის ხეობაში, აფხაზეთში.

<sup>9</sup> თანამედროვე სომხურ ტექსტში წერია **Փոյթ** [P<sup>h</sup>oyt<sup>h</sup>] (Տեր-Ղևոնդյան 1982:40).

აუქარაჰინ“ [z<sup>h</sup>agak<sup>h</sup>n or anowaneal koči P<sup>h</sup>oyt<sup>h</sup> i kogmans Eger aşgarhin] – „[The emperor] gave them the city named **P<sup>l</sup> oyt<sup>l</sup>** (Poti) in the territory of the land of Egeria“ (Bedrosian 2006:20, 10.[13]) – „...მან მისცა მათ ქალაქი, რომელსაც ეწოდება **ფოთ**-ი ეგერთა ქვეყნის მხარეში...“ (შდრ.: ბერძნიშვილი 1944:201; მელიქიშვილი 1965:55).

XII ს-ის მოღვაწის, მიქაელ ასურელის „ქრონიკის“ XVIII ს-ის სომხურ თარგმანში (Միքայել Ասուրի 1870:132) წერია: „Եւ միւս հարիւրապետն դագիկեցի եբեր զիւր մասն հանդերձին ՚ի քաղաքն իւր **Փութ** ՚ի մայրաքաղաքն Եգերացոց...“ [ew miws hariwrapetn ġazikec‘in eber ziwr masn handerjin i k<sup>h</sup>agak<sup>h</sup>n iwr P<sup>h</sup>ud i mayrak<sup>h</sup>agak<sup>h</sup>n Egerac‘woc‘] – “Another centurion, a Laz, delivered his portion of the clothing [of the Lord] to his own city of **P<sup>l</sup> ud** [Poti in Mingrelia], the capital of the Egerians...” (Bedrosian 2013:68, [56]) – „მეორე ასისთავმა, ლაზმა [უფლის] ტანსაცმლის თავისი წილი მიიტანა თავის ქალაქ **ფუდში** [ფოთში] ეგერთა დელაქალაქში“ (შდრ.: Мартъ 1897:80; მელიქიშვილი 1965:57).

#### 4. ფესტოსის, ფუსტის და ფასისის ეტიმოლოგიის შესახებ

პირველ რიგში, ქვემოთ წარმოვადგენთ **ფასისის** ეტიმოლოგიის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს:

ე. დილი (RE 1938, XIX:1893) აღნიშნავს, რომ ჰიდრონიმი **Φᾶσις** [p<sup>h</sup>asis]’ი **ფასისი** არაბერძნული წარმოშობისაა.

ე. შვიცერის (Schwyzer 1939, I:153) აზრით, **Φᾶσις** [p<sup>h</sup>asis] ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება ეოლიური არქეტიპი \***Φᾶσις** [\*p<sup>h</sup>atis]’ი<sup>10</sup> და ქართველური ფოთი [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>i]<sup>11</sup>.

ჰ. ფოგტი<sup>12</sup> (Vogt 1961:9) აღნიშნავს, რომ ძვ.წ. VII (VIII ?) სს.-ში მილეტელმა ბერძნებმა დააფუძნეს ახალშენი **Φᾶσις** [p<sup>h</sup>asis]’ი ამავე სახელწოდების მდინარისა

<sup>10</sup> შდრ. **φᾶσις/φᾶσις** [p<sup>h</sup>asis/p<sup>h</sup>atis] – “*declaration*” (Beekes 2010, II:1556, 1545, 1156, 1566-1567; გორდენიანი 1971:184; 2007:III, 478); «Gen. ionische φᾶσις, φᾶσις» („Anzeige“), zu φᾶσις („Gericht“), und attische φᾶσις (= \*φᾶσις[ι]-σις)» (Brugmann 1900:66).

<sup>11</sup> „**Φᾶσις** Xen. anab. 4.6.4 [Macmichael 1890:111], äolische Form für \***Φᾶσις**, georgische P‘ot‘i“ (Schwyzer 1939, I:153).

<sup>12</sup> „On connaît les correspondances régulières entre le géorg. *e* et *a* d’une part et le mingrélo-laze *a* et *o* de l’autre – différences que le grec n’aurait aucune difficulté à rendre. Pour ne donner qu’un exemple: la colonie milésienne de *Phase* (gr. Phâsis) qui semble dater du VII<sup>e</sup> (du. VIII<sup>e</sup>?) siècle avant notre ère, est située sur le fleuve du même nom, là où se trouve aujourd’hui la ville de Poti. Comme **le nom de la colonie n’est pas grec**, on peut penser que les Grecs ont pris le nom **aux habitants indigènes**. On hésite naturellement à séparer *Phâsis* et Poti. Dans ce cas, la forme du nom en grec ne s’expliquerait qu’à partir d’une forme indigène \**Pati*. Comme le nom est aujourd’hui Poti, on est disposé à conclure que le passage de *a* du kharthvélien commun à *o* en zane est postérieur à la colonisation grecque“ (Vogt 1961:9).

[შავ ზღვასთან შესართავის] და თანამედროვე ქალაქ ფოთის [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>i]’ს მიდამოებში (იხ. RE 1938, XIX:1886). იქვე ამბობს, რომ ტოპონიმი Φᾶσις [p<sup>h</sup>asis]’ი არ არის ბერძნული. ბერძნებმა ეს ტოპონიმი ისესხეს ადგილობრივი წარმოშობის \*ფათ-ი [\*p<sup>h</sup>at<sup>h</sup>-i] ფორმიდან, რომელსაც კანონზომიერად შეესატყვისება ზანური [ოიკონი-მი] ფოთი [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>i]. აქედან იგი ასკვნის, რომ ბერძნული კოლონიზაციის შემდგომ მოხდა საერთოქართველური \*ა [\*a] ხმოვნის გადასვლა ზანურ ო [o]’ში<sup>13</sup>.

ამ თვალსაზრისს იზიარებენ: კ. ჰ. შმიდტი (Schmidt 1962:27), გ. კლიმოვი (Климов 1960:28), გ. მელიქიშვილი (1965:59, 51), თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი (1965:149<sub>1</sub>), რ. გორდეზიანი (1971:184; 2007, III:477, 478), ო. ლორთქიფანიძე (1986:104) და სხვები.

ს. დათეშიძე (1894:2) და აკ. წერეთელი (1956, VI:404) წერენ, რომ რაჭის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებიდან, **ფასისმთის** მწვერვალთან [რომლის სიმაღლეა 3786 მ.] მოედინება მდინარე **ფასისი** ანუ რიონი (შდრ.: ინგოროყვა 1978, IV:269; ურუშაძე 1970:30, 347; Mapp 1938:48), რომლის სათავეს ადგილობრივი მოსახლე რაჭველები უწოდებენ **ფასის წყაროს/წყალს**. აკ. წერეთელმა (1956, VI:404), პ. ინგოროყვამ (1978, IV:270, 271), ნ. გაფრინდაშვილმა (1970:137, 138) და სხვებმა ერთმანეთს დაუკავშირეს: ჰიდრონიმი **ფასისი** და ორონიმი **ფასისმთა**. ისინი ფიქრობენ, რომ Φᾶσις [p<sup>h</sup>asis]’ი – *ფასისი* ქართული წარმოშობის სიტყვაა (აგრეთვე იხ. გორდეზიანი 1971:181<sub>1</sub>; 2007, III:476 შმდ.).

პ. ინგოროყვას (1954:156), ს. ჯანაშიასა (1988, VI:273), გ. მელიქიშვილის (1965:60-63, 53) და სხვათა მოსაზრებების გათვალისწინებით, შესაძლებელია აღვადგინო გვიანდელი საერთოქართველური არქექტიბი \*ფას<sub>1</sub>თ- [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-] – *ფასისი, ფოთი*.

ვფიქრობთ, რომ გვიანდელი საერთოქართველური \*ფას<sub>1</sub>თ- [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-] არქექტიბის ამ სახით აღდგენა დასაშვებია, რადგან სპეციალურ ლიტერატურაში (Климов 1960:26, Schmidt 1962:14, 75; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:135-137, 139<sub>2</sub>) გამოთქმულია მოსაზრება, რომ საერთოქართველურ ენაში \*თ [\*t<sup>h</sup>] თანხმოვნის წინ მოსალოდნელია \*ს<sub>1</sub>/\*s<sub>1</sub>/ ფონემის არსებობა.

სპეციალური ლიტერატურის (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:135, 135<sub>3</sub>, 136, 137, 139<sub>2</sub>, 92, 307<sub>1</sub>, 329<sub>2</sub>, 342<sub>2</sub>) მიხედვით, საერთოქართველური \*ს<sub>1</sub>თ [\*s<sub>1</sub>t<sup>h</sup>] კომპლექსი ქართველურ ენებში იცვლება შემდეგნაირად:

- ქართ. **ღთ** [θt<sup>h</sup>] > **თ** [t<sup>h</sup>];
- ზან. **ღთ** [θt<sup>h</sup>] > **თ** [t<sup>h</sup>];
- სვან. **შთ** [št<sup>h</sup>] > **შდ/შტ** [šd/št].

<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მკაცრად დადასტურებულია ზემოთ მოცემული ხმოვნების კანონზომიერი შესატყვისობა ქართველურ ენებში (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:145, 145<sub>1</sub>).

ამ ევოლუციის და გვიანდელი საერთოქართველური \*ა [\*a] > ქართ., სვან. \*ა [\*a], ასევე გვიანდელი საერთოქართველური \*ა [\*a] > ზან. \*ო [\*o] პროცესების თანახმად (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:145-151), გვიანდელ საერთოქართველურ \*ფას<sub>1</sub>თ-ი [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-i] არქეტიპს კანონზომიერად შეესატყვისება შემდეგი ოიკონიმი:

- ქართ.-ზან. \*ფადთ-ი [\*p<sup>h</sup>ajt<sup>h</sup>-i] – ფოთი;
- ქართ. \*ფაღთ-ი [\*p<sup>h</sup>aθt<sup>h</sup>-i] > \*ფათ-ი [\*p<sup>h</sup>at<sup>h</sup>-i] – ფოთი;
- წინარესვან. \*ფაშთ-ი [\*p<sup>h</sup>ašt<sup>h</sup>-i] > სვან. \*ფაშთ-/\*ფაშთ-Ø [\*p<sup>h</sup>ašt<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>äšt<sup>h</sup>-Ø] > \*ფაშდ/\*ფაშდ [\*p<sup>h</sup>ašd/\*p<sup>h</sup>äšd] – ფოთი;
- ზან. \*ფოდთ-ი [\*p<sup>h</sup>ojt<sup>h</sup>-i] > ფომთ-ი [p<sup>h</sup>oθt<sup>h</sup>-i] > ფოთ-ი [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>-i] – ფოთი (მდრ. ინგოროყვა 1954:156);<sup>14</sup>

გ. მელიქიშვილი (1965:58) წერს, რომ ბაგისმიერი ფ [p<sup>h</sup>] თანხმონის ზეგავლენით, ზან. ო [o] > მეგრ. უ [u] პროცესის თანახმად, ზან. ფოთ-ი [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>-i] ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ფუთ-ი [p<sup>h</sup>ut<sup>h</sup>-i].

ამრიგად, გვიანდელ საერთოქართველურ \*ფას<sub>1</sub>თ-ი [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-i] არქეტიპს (მდრ. მელიქიშვილი 1965:63) კანონზომიერად შეესატყვისება შემდეგი ქართველური ოიკონიმები:

- ქართ. \*ფათ-ი [\*p<sup>h</sup>at<sup>h</sup>-i] – ფოთი;
- სვან. \*ფაშდ [\*p<sup>h</sup>ašd] (მელიქიშვილი 1965:61); \*ფაშდ [\*p<sup>h</sup>äšd] – ფოთი;
- ზან. ფოთ-ი [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>-i] – ფოთი (მელიქიშვილი 1965:59);
- მეგრ. ფუთ-ი [p<sup>h</sup>ut<sup>h</sup>-i] – 1. ფოთი (Кипшидзе 1914:338); 2. სოფელი ზესტაფონის რ-ში (ჯანაშია 1988, VI:273<sub>126</sub>).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:367-372) თეორია საშუალებას იძლევა, რომ, შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, აღვადგინოთ საერთოქართველური ენობრივი სისტემის ადრეული საფეხურის \*ფგს<sub>1</sub>თ-გდ [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-aj] მიმდევრობა.

ადრეული საერთოქართველური \*ფგს<sub>1</sub>თ-გდ [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-aj] მიმდევრობის { \*ფგს<sub>1</sub>თ- [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-]} ფუძისეული და \*-გდ [\*-aj] სუფიქსური მორფემები შესაბამისად განეკუთვნებიან CაC- და -აC სტრუქტურულ ტიპებს, რომლებიც საერთოქართველურ მორფემათა ძირითად კანონიკურ ფორმებს წარმოადგენენ (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:304, 368, 370, აგრეთვე 263). CაC-აC აბსტრაქტულ ჩანაწერში C ფონემებს შორის მოქცეულია ვოკალური \*გ /\*ə/ ელემენტი, რომლიდანაც გვიანდელ საერთოქართველურ საფეხურზე ჩამოყალიბდა \*ე [\*e] და \*ა [\*a] ალოფონები (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:370, 372).

ადრეული საერთოქართველური \*ფგს<sub>1</sub>თ-გდ [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-aj] მიმდევრობის ფუძისეული ან სუფიქსური მორფემის ხმონით ელემენტზე მოძრავი დინამიკური მახვილის

<sup>14</sup> მდრ. ზან. \*ფოდთ-ი [\*p<sup>h</sup>ojt<sup>h</sup>-i]: ძვ. სომხ. Բոյթ [P<sup>h</sup>oyt<sup>h</sup>], ახ. სომხ. Բույթ [P<sup>h</sup>uyt<sup>h</sup>] (მდრ.: ინგოროყვა 1954:156; ბერძნული 1944:211; ჯანაშია 1988, VI:273; მელიქიშვილი 1965:52, 53).

(შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:370) ზეგავლენით წარმოიქმნა \*ფგს<sub>1</sub>თ-გმ [\*P<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-aj] და \*ფგს<sub>1</sub>თ-გმ [\*p<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-aj] არქეტიპები.

\*ფგს<sub>1</sub>თ-გმ არქეტიპიდან, უმაზვილო პოზიციაში წარმოდგენილი ხმოვნის „რედუქციის“ შედეგად, მიიღება გვიანდელი საერთოქართველური \*ფას<sub>1</sub>თ-მღ [\*p<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-m] და \*ფეს<sub>1</sub>თ-მღ [\*p<sup>h</sup>es<sub>1</sub>t<sup>h</sup>-m] მიმდევრობები, როცა მოხდა ადრეული საერთოქართველური მონოვოკალური \*გ /\*ა/ ელემენტის \*ე [\*e] და \*ა [\*a] ალოფონებად ფონოლოგიზაცია და დამოუკიდებელ ფონემურ ერთეულებად ჩამოყალიბება<sup>15</sup> (შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:308, 372).

ფუძისეულ და სუფიქსურ მორფემათა სინტაგმატური შეუღლება რეგულირდება „ფუძის მონოვოკალურობის პრინციპის“ მიხედვით (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:309, 243):

გახმოვანების ნორმალურ-საფეხურიან { \*ფას<sub>1</sub>თ-/\*ფეს<sub>1</sub>თ- [\*p<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>es<sub>1</sub>t<sup>h</sup>-]} ფუძისეულ მორფემაზე {\*-ეღ [-e-j]} სუფიქსური მორფემის დართვისას ხდება სუფიქსური \*ე [\*e] ელემენტის „რედუქცია“.

ამდენად, გვიანდელ საერთოქართველურ \*ფას<sub>1</sub>თ-მღ/\*ფეს<sub>1</sub>თ-მღ [\*p<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-m/\*p<sup>h</sup>es<sub>1</sub>t<sup>h</sup>-m] არქეტიპს კანონზომიერად შეესატყვისება \*ფას<sub>1</sub>თ-ი/\*ფეს<sub>1</sub>თ-ი [\*p<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-i/\*p<sup>h</sup>es<sub>1</sub>t<sup>h</sup>-i], სადაც აუსლაუტში \*-ღ [-j] სუფიქსიდან მიიღება მარცვლოვანი \*-ი [-i].

„ფუძის მონოვოკალურობის პრინციპის“ დარღვევის შემთხვევები ხდება ცალკეულ ქართველურ ენებში და გვიანდელ საერთოქართველურ დონეზეც თავს იჩენს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:281-282). მაგალითისთვის აქ მოვიტან გვიანდელ საერთოქართველურ \*ფას<sub>1</sub>თ-ჟ-ად/\*ფას<sub>1</sub>თ-ჟ-ეღ [\*p<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-w-aj/\*p<sup>h</sup>ás<sub>1</sub>t<sup>h</sup>-w-ej] არქეტიპს. მას კანონზომიერად შეესატყვისება ადრეული ქართ.-ზან. \*ფადთ-ოღ [p<sup>h</sup>ajt<sup>h</sup>-oj] მიმდევრობა. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:307 შმდ.) თეორიის თანახმად, \*ფადთ-ოღ [p<sup>h</sup>ajt<sup>h</sup>-oj] მიმდევრობაში \*ო /\*ი/ ფონემა საერთოქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში შედარებით გვიანდელი პერიოდის წარმონაქმნია და ეს ხმოვანი შემთხვევათა უმრავლესობაში მიღებულია \*ე [\*e] და \*ა [\*a] ხმოვანთა კონტრაქციით წინამავალ \*ჟ /\*w/ სონანტთან.

შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის ამ მკაცრი ლინგვისტური მეთოდით აღდგენილი ადრეული ქართ.-ზან. \*ფადთ-ოღ [p<sup>h</sup>ajt<sup>h</sup>-oj] მიმდევრობა ამავე სახით დასტურდება A კლასის ხაზოვან წარწერებში: **𐌕𐌔𐌕** [pa-i-to] – *ვესტოსი*<sup>16</sup>, რის საფუძველზეც ვფიქრობთ, რომ ამ წარწერებში მოცემული ეს ტოპონიმი ქართველურია.

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:198, 367, 368, 368<sub>3,4</sub>; აგრეთვე იხ. გამყრელიძე 2008:52; Gamkrelidze 1966:80) თეორიის მიხედვით, ზემოთ

<sup>15</sup> თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:159, 368; Gamkrelidze 1966:80) მიხედვით, აქ \*ა [\*a] / \*ე [\*e] ხმოვანთმონაცვლეობას ფუნქციური ღირებულება არ აქვს.

<sup>16</sup> რ. გორდუზიანმა (2007, II, 306) A კლასის ხაზოვან paít-ო ფორმას დაუკავშირა ქართველური ტოპონიმი \*ფათ-ი [\*p<sup>h</sup>at<sup>h</sup>-i] – *ფათი*.

წარმოდგენილი ქართველური მასალა აგრეთვე შესაძლებლობას იძლევა, რომ აღდგეს გვიანდელი საერთოქართველური \*ფას<sub>1</sub>თ-/\*ფეს<sub>1</sub>თ- [ $*p^h as_1 t^h / *p^h es_1 t^h$ ] არქეტიპის ტოლფასი მიმდევრობა \*ფუას<sub>1</sub>თ-/\*ფუეს<sub>1</sub>თ- [ $*p^h was_1 t^h / *p^h wes_1 t^h$ ].

თუ გვიანდელ საერთოქართველურ ცალმორფემიან {*\*ფუას<sub>1</sub>თ-/\*ფუეს<sub>1</sub>თ-\** [ $*p^h was_1 t^h / *p^h wes_1 t^h$ ]} ფუძეს დაერთვის ნორმალურსაფეხურიანი {-*ეგ/აგ* [-ej/aj]} სუფიქსური მორფემა, მაშინ, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:243, 309, 311; გამყრელიძე 2008:35) მიერ წარმოდგენილი „ფუძის მონოოკალურობის პრინციპის“ თანახმად, ორმორფემიან მიმდევრობაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი მორფემა იქნება გახმოვანების ნორმალურ საფეხურზე, ფუძის გახმოვანების ნორმალური საფეხური შეიცვლება ნულოვანი საფეხურით:

*ფუძის ნორმალურსაფეხურიანი ფორმა*

\*ფუას<sub>1</sub>თ-/\*ფუეს<sub>1</sub>თ- [ $*p^h was_1 t^h / *p^h wes_1 t^h$ ]

*ფუძის ნულსაფეხურიანი ფორმა*

\*ფუ<sup>0</sup>ს<sub>1</sub>თ-*ეგ/აგ* [ $*p^h w^0 s_1 t^h - ej/aj$ ].

ეს მიმდევრობები შესაბამისად მიეკუთვნებიან საერთოქართველურ მორფემათა ფონემატურ სტრუქტურებს:

\*ფუას<sub>1</sub>თ-/\*ფუეს<sub>1</sub>თ- [ $*p^h was_1 t^h / *p^h wes_1 t^h$ ]<sup>17</sup> ∈ CVC-;

\*ფუ<sup>0</sup>ს<sub>1</sub>თ-*ეგ/აგ* [ $*p^h w^0 s_1 t^h - ej/aj$ ] > \*ფუს<sub>1</sub>თ-*ეგ/აგ* [ $*p^h us_1 t^h - ej/aj$ ]<sup>18</sup> ∈ CVC-VS.

გვიანდელ საერთოქართველურ \*ფუს<sub>1</sub>თ-*აგ* [ $*p^h us_1 t^h - aj$ ] მიმდევრობას კანონზომიერად შეესატყვისება სვან. \*ფუშთ-*ა*θ [ $*p^h us^h t^h - a\theta$ ] არქეტიპი, რომლიდანაც მიიღება \*ფუშტ-*ა* [ $*p^h us^h t - a$ ] > *ა-ფუშტ-ა* [ $a - p^h us^h t - a$ ] ტოპონიმი. ამ ფორმას შეესატყვისება ოიკონიმი Φიუსტ-*ა* [ $p^h ust - a$ ], Phust-*ა* – *ფუსტა*.

ამდენად, ფორმები Φაისტ-*ოს* [ $p^h aist - os$ ], Φიუსტ-*ა* [ $p^h ust - a$ ], \*Φა<sup>0</sup>ტ-*ი*ც/Φა<sup>0</sup>ს-*ი*ც [ $*p^h at - is / p^h as - is$ ] და \*ფო<sup>0</sup>დ-*ი*/ფო<sup>0</sup>თ-*ი*/ფუ<sup>0</sup>თ-*ი* [ $*p^h oyt^h - i / p^h ot^h - i / p^h ut^h - i$ ] საერთოქართველური ენობრივი სისტემის გვიანდელ საფეხურზე აღდგენილია როგორც \*ფას<sub>1</sub>თ-/\*ფეს<sub>1</sub>თ-/\*ფუას<sub>1</sub>თ-/\*ფუეს<sub>1</sub>თ-*ეგ/აგ/რ* [ $*p^h as_1 t^h / *p^h es_1 t^h / *p^h was_1 t^h / *p^h wes_1 t^h - ej/aj/j$ ] მიმდევრობა.

*წარმოდგინა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნანა შენგელაიამ*

<sup>17</sup> შდრ. საერთოქართველური \*ფუას<sub>1</sub>თ- [ $*p^h was_1 t^h$ ]: სვან. -ბუასდ [-buasd] (ბალსქვემ.), -ბუასდ [-buasd] (ბალსზემ., ლაშხ.), -ბუას{ტ} [-buas{t}] (ლენტ.) – 1. *როთული ფუძის მორე შემადგენელი ნაწილი*, – *სამყარო, ქვეყანა* (შდრ. თოფურია, ქალღანი 2000:325); 2. „*зосподиш*“ (შდრ. Марты 1922:19).

<sup>18</sup> საერთოქართველური \*ფუს<sub>1</sub>თ-*ეგ* [ $*p^h us_1 t^h - ej$ ] > წინარესვან. \*ფუშთ-*ი* [ $*p^h us^h t^h - i$ ] > სვან. \*ფუს<sub>1</sub>თ-*θ* [ $*p^h ust^h - \theta$ ] > ფუსდ [ $p^h usd$ ] (ზემოსვან.), ფუსტ [ $p^h ust$ ] (ლენტ.), ფუს{უ}ნ [ $p^h us\{w\}n$ ], ფუს [ $p^h us$ ] (ბალსზემ.) – 1. *მუუვე, უფალი, ღმერთი*; 2. *ბატონი, მფლობელი, მბრძანებელი*; 3. *პატრონი, მესაკუთრე* (შდრ.: თოფურია, ქალღანი 2000:1725).

## ლიტერატურა

- აგ. ძეგლ. 1971:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, მეტაფრასტული რედაქციები XI-XIII სს. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- აგ. ძეგლ. 1980:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი VI, ანტონ ბაგრატიონი, „მარტირიკა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, რედაქტორი მ. შანიძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ბერძნიშვილი 1944:** მ. ბერძნიშვილი, ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ, *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, XXVI b, ჰუმანიტარული მეცნიერებანი, თბილისი, 201-223.
- ბერძნიშვილი 1969:** მ. ბერძნიშვილი, *ქლაქ ფაზისის ისტორიისათვის*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- გამყრელიძე 2008:** თ. გამყრელიძე, *ენა და ენობრივი ნიშანი (სტატეების კრებული)*, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- გაფრინდაშვილი 1970:** ნ. გაფრინდაშვილი, ფაზისის ეტიმოლოგიისათვის, *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული*, ტ. X, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 133-139.
- გორდეზიანი 1971:** რ. გორდეზიანი, „ფაზისის“ ეტიმოლოგიისათვის, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 2 (140), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 181-186.
- გორდეზიანი 2007, 2008:** რ. გორდეზიანი, *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები: საწყისები; წინაბერძნული; ეტრუსკული, დასკვნითი კომენტარები; რეზიუმე, ინდექსი*, წიგნი I-IV, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი.
- დათეშიძე 1894:** ს. დათეშიძე, ფასის მთა და რიონის სათავე (მგზავრის ნანახი და გაგონილი), *ვაზეთი „ივერია“*, №160, 28 ივლისი.
- დიდი სვ. 1975:** დიდი სვულისკანონი, ბერძნულიდან თარგმანი შესრულებულია არსენ იყალთოელის მიერ, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაჭიძემ, გ. ნინუამ, რედაქტორი ე. გაბიძაშვილი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- თოფურია, ქალდანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალდანი, *სვანური ლექსიკონი*, თბილისი.
- ინგოროყვა 1954:** პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი.
- ინგოროყვა 1978:** პ. ინგოროყვა, *თხზულებათა კრებული*, ტომი IV, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- კვაშილავა 2011:** გ. კვაშილავა, A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე, *ისტო-*



- რიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIII, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 161-226.
- ლორთქიფანიძე 1986:** ო. ლორთქიფანიძე, *არგონავტიკა და ძველი კოლხეთი*, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- მელიქიშვილი 1965:** გ. მელიქიშვილი, *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ჟორდანია 1897:** თ. ჟორდანია, *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფილისი.
- ურუშაძე 1964:** აკ. ურუშაძე, *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ურუშაძე 1970:** აკ. ურუშაძე, *აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკა*, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარი და საძიებელი დაურთო აკ. ურუშაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1941:** ს. ყაუხჩიშვილი, *გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- წერეთელი 1956:** აკ. წერეთელი, *დრამატული ნაწერები ლექსად*, VI ტ, საქართველოს სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.
- ჯანაშია 1988:** ს. ჯანაშია, *შრომები*, VI ტ. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- Кипшидзе 1914:** I. A. Кипшидзе, *Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматією и словарем*, Матеріалы по яфетическому языкознанію, VII, Типографія императорской Академіи наукъ, Санкт-Петербургъ.
- Климов 1960:** Г. А. Климов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы. *Известия Академии наук СССР, Отделение литературы и языка*, Т. XIX. Вып. 1. Изд-во АН СССР, Москва, 22-31.
- Марр 1897:** Н.Я. Марр, *Хитонъ господень въ книжныхъ легендахъ армянъ, грузинъ и сирійцевъ*, Изъ *الخطريّة*, Сборникъ статей учениковъ профессора барона В. Р. Розена ко дню двадцатипятилетія его первой лекціи 13-го ноября 1872-1897, Типографія Императорской Академіи Наукъ, С.-Петербургъ, 67-96.
- Марр 1922:** Н. Я. Марр, *Извлечение изъ сванско-русскаго словаря*, Матеріалы по яфетическому языкознанію, РАН, Петроградъ.
- Марр 1938:** Н. Я. Марр, *О языке и истории абхазов*, Изд-во АН СССР, Москва, Ленинград.
- Жорданія 1902, 1903:** Θ. Д. Жорданія, *Описание рукописей Тифлискаго Церковнаго музея Карталино-Кахетинскаго духовенства*, составленное Θ. Д. Жорданія. Книга 1-2, Тифлисъ.
- Acta 1714:** *Acta conciliorum et epistolae decretales, ac constitutiones summorum pontificum*, Tomus tertius, Ab anno DLI, ad annum DCCLXXXVII, Parisiis: Ex Typographia Regia.

- Bedrosian 2006:** R. Bedrosian, *Ghewond's History, Sources of the Armenian Tradition*, Long Branch, N.J.
- Bedrosian 2013:** R. Bedrosian, *The Chronicle of Michael the Great, Patriarch of the Syrians*. Sources of the Armenian Tradition, Long Branch, N.J.
- Beekes 2010:** R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, I and II volumes, with the assistance of L. van Beek, Brill, Leiden and Boston.
- Blažek 2010:** V. Blažek, Hēphaistos vs. Ptah, *New Perspectives on Myth: Proceedings of the Second Annual Conference of the International Association for Comparative Mythology, Ravenstein (the Netherlands), 19-21 August, 2008*, Wim M. J. van Binsbergen & Eric Venbrux (Eds), 243-251.
- Brugman 1871:** C. Brugman, *De graecae linguae productione suppletoria*, Particula 1. Dissertatio inauguralis quam ad summos in philosophia honores ab amplissimo philosophorum ordine lipsiensi rite impetrandos scripsit C. Brugman, Lipsiae.
- Brugmann 1900:** K. Brugmann, *Griechische Grammatik (Lautlehre, Stammbildungs- und Flexionslehre und Syntax)*, Dritte Auflage, München.
- Chadwick 2014:** J. Chadwick, *The Decipherment of Linear B*, 2nd Ed., Cambridge University Press.
- Chadwick 1976:** J. Chadwick, *The Mycenaean World*, Cambridge University Press.
- Chantraine 1968, 1970, 1974, 1977, 1980:** P. Chantraine, *Dictionnaire étymologique de la langue grecque*. Histoire des mots, Éditions Librairie Klincksieck, Paris, T. I, II, III, IV-1, IV-2.
- Drachmann 1903, 1910:** A. B. Drachmann, *Scholia vetera in Pindari carmina*, Vol. I, II, Lipsiae.
- Evans 1909, 1952:** A. J. Evans, *Scripta Minoa*, Vol. I, II, Oxford, at the Clarendon Press.
- Evelyn-White 1920:** H. G. Evelyn-White, *Hesiod, the Homeric Hymns and Homeric*, London, New York.
- Flach 1876:** H. Flach, *Glossen und Scholien zur Hesiodischen Theogonie mit Prolegomena*, Leipzig, Druck und Verlag von B. G. Teubner.
- Fowler 1939:** H. N. Fowler, *Plato, Cratylus. Parmenides. Greater Hippias. Lesser Hippias*, Vol. IV, Harvard University Press, Cambridge, MA; London.
- Frisk 1960, 1970, 1972:** H. Frisk, *Griechisches etymologisches Wörterbuch*, Carl Winter Universitätsverlag, Band I-III, Heiderlberg.
- Gamkrelidze 1966:** Th. V. Gamkrelidze, A Typology of Common Kartvelian, *Language*, Vol. 42, №1. Jan.-Mar., 69-83.
- Georgiev 1968:** V. L. Georgiev, L'état actuel du déchiffrement des textes en Linéaire A, *Atti e Memorie del 1° Congresso Internazionale di Micenologia, Incunabula Graeca XXV/1*, Roma, 355-382.
- Godley 1920, 1928, 1938, 1969:** A. D. Godley, *Herodotus*. In 4 Volumes, Cambridge, Massachusetts, Harvard University Press, London.
- GORILA 1976<sup>I</sup>, 1976<sup>III</sup>, 1979, 1982, 1985:** L. Godart, J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*, 5 Vol-s, Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris.
- Gorny & Mosch 2015:** Gorny & Mosch Giessener Münzhandlung GmbH, Auktion, Hochwertige Münzen der Antike. 5. Oktober 2015, №232.
- Immerwahr 2009:** H. R. Immerwahr, Corpus of Attic Vase Inscriptions, <https://avi.unibas.ch/images/pdf/InscriptionsJanuary2009.pdf>

- Klimov 1998:** G. A. Klimov, *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Mouton de Gruyter Berlin, New York,.
- Macmichael 1890:** J. F. Macmichael, *Xenophontis Anabasis*, Novi Eboraci.
- Migne 1860, 1864:** J.-P. Migne, *Patrologiæ cursus completes*, Tomus 90, 120, Parisiis.
- Mozley 1934:** J. H. Mozley, *Valerius Flaccus, Argonautica*, Harvard University Press, Cambridge, MA.
- Müllerus 1849:** C. Müllerus, *Fragmenta Historicorum Graecorum*, Vol. III, Parisiis.
- Murray 1999:** A.T. Murray, *Homer, Iliad*. Vol. I, II, Harvard University Press, Cambridge, MA.
- Nagy 1963:** G. Nagy, Greek-Like Elements in Linear A, *Greek, Roman, and Byzantine Studies*, Vol. 4, №4, Duke University Libraries, Harvard University, 181-211.
- Owens 2007:** G. Owens, *Labyrinth: Scripts and Languages of Minoan and Mycenaean Crete*, Heraklion.
- Packard 1974:** D.W. Packard, *Minoan Linear A*, University of California Press, Berkeley.
- RE 1938:** RE = *Paulys Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft*, XIX, Stuttgart.
- Schmidt 1962:** K. H. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache*, Kommissionsverlag Franz Steiner, Wiesbaden.
- Schoep 1999:** I. Schoep, Tablets and Territories? Reconstructing Late Minoan IB Political Geography through Undeciphered Documents, *American Journal of Archaeology*, Vol. 103, №2, Apr., 201-221.
- Schwyzler 1939, 1950, 1953, 1971:** E. Schwyzler, *Griechische Grammatik. Auf der Grundlage von Karl Brugmanns Griechischer Grammatik*, I-IV Bd. C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München.
- Seaton 1919:** R. C. Seaton, *Apollonius Rhodius, The Argonautica*, Book I-IV, London, New York.
- Sirmond 1696:** J. Sirmond, *Jacobi Sirmondi Soc. Jesu Opera varia*, Tomus tertius, Parisiis.
- Ventris, Chadwick 1973:** M. Ventris, J. Chadwick, *Documents in Mycenaean Greek*, Cambridge University Press.
- Vogt 1961:** H. Vogt, Remarques sur la préhistoire des langues kharthvéliennes, *Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie*, Vol. XI-XII, №36-37, Paris, 5-11.
- Wroth, Poole 1886:** W. Wroth, R. S. Poole, *Catalogue of the Greek Coins of Crete and the Aegean Islands*, London.
- Wilamowitz-Moellendorff 1895:** U. von Wilamowitz-Moellendorff, Hephaistos, *Nachrichten von der Königl. Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen, Philologisch-historische Klasse*, Göttingen, 217-245.
- ՂԵԼՈՆՊ:** ՂԵԼՈՆՊ, Պատմութիւն Հայոց. <http://www.digilib.am>
- Միքայել Աստրի 1870:** Միքայել Աստրի, *Ժամանակագրութիւն*, Երուսաղեմ, տպ. Ս. Հակոբյանց.
- Տեր-Ղևոնդյան 1982:** Ա. Տեր-Ղևոնդյան, *ՂԵԼՈՆՊ, Պատմութիւն*, Սովետական գրող, Երևան.

**On Common Kartvelian Sequence  
\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>es<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>was<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>wes<sub>1</sub>t<sup>h</sup>-**

Summary

1. According to the method of comparative and inner reconstruction, the word-forms Φαιστ-ός [p<sup>h</sup>aist-os], Φοῦστ-α [p<sup>h</sup>ust-a], \*Φᾶτ-ις/Φᾶσ-ις [\*p<sup>h</sup>at-is/p<sup>h</sup>as-is] also \*ფოღოთ-ო/ფოღო-ო/ფოჯო-ო [\*p<sup>h</sup>oyt<sup>h</sup>-i/p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>-i/p<sup>h</sup>ut<sup>h</sup>-i] are correlated to Common Kartvelian (CK) sequence \*ფას<sub>1</sub>თ-/\*ფეს<sub>1</sub>თ-/\*ფჟას<sub>1</sub>თ-/\*ფჯეს<sub>1</sub>თ-გო/დო/ღო [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>es<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>was<sub>1</sub>t<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>wes<sub>1</sub>t<sup>h</sup>-ej/aj/j].
2. Determined by the CK changes of \*-ს<sub>1</sub>- [\*-s<sub>1</sub>-] > Georgian-Zan \*-ჯ- [\*-j-] > Georgian, Megrelian -Ø- and Svan \*-შ- [\*-š-], to the CK \*ფას<sub>1</sub>თ-ღო [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-j] > \*ფას<sub>1</sub>თ-ო [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-i] the following Kartvelian oikonyms are regularly correlated:  
 Early Georgian-Zan \*ფაჯოთ-ო [\*p<sup>h</sup>ajt<sup>h</sup>-i] – *Poti*;  
 Georgian \*ფაშოთ-ო [\*p<sup>h</sup>ašt<sup>h</sup>-i] > \*ფათ-ო [\*p<sup>h</sup>at<sup>h</sup>-i] – *Poti*;  
 Zan \*ფოჯოთ-ო [\*p<sup>h</sup>ojt<sup>h</sup>-i] > ფოშოთ-ო [p<sup>h</sup>ošt<sup>h</sup>-i] > ფოთ-ო [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>-i] – *Poti*;  
 Zan ფოთ-ო [p<sup>h</sup>ot<sup>h</sup>-i] > Megrelian ფჯოთ-ო [p<sup>h</sup>ut<sup>h</sup>-i] – 1. *Poti*; 2. *a village in Zestaponi region, Georgia*;  
 Pre-Svan \*ფაშთ-ო [\*p<sup>h</sup>ašt<sup>h</sup>-i] > Svan \*ფაშთ-/\*ფაშთ-Ø [\*p<sup>h</sup>ašt<sup>h</sup>-/\*p<sup>h</sup>äšt<sup>h</sup>-Ø] > \*ფაშდ/\*ფაშდ [\*p<sup>h</sup>ašd/\*p<sup>h</sup>äšd] – *Poti*.
3. Determined by the CK changes of \*-ს<sub>1</sub>- [\*-s<sub>1</sub>-] > Svan \*-შ- [\*-š-], to CK \*ფუს<sub>1</sub>თ-აჯ [\*p<sup>h</sup>us<sub>1</sub>t<sup>h</sup>-aj] the following Kartvelian toponym is regularly correlated:  
 Svan \*ფუშთ-აშ [\*p<sup>h</sup>ušt<sup>h</sup>-a] > \*ფუშტ-ა [\*p<sup>h</sup>ušt<sup>h</sup>-a] > ა-ფუშტ-ა [a-p<sup>h</sup>ušt<sup>h</sup>-a]; the oikonyms Φοῦστ-α [p<sup>h</sup>ust-a], Phust-a is correlated to this toponym.
4. Determined by the CK changes of \*ს<sub>1</sub> [\*s<sub>1</sub>] > Georgian-Zan ჯ [j], and CK \*-ჟა-/\*-ჟე- [\*-wa-/\*-we-] > -ო- [-o-], to CK \*ფას<sub>1</sub>თ-ჟაღ/\*ფას<sub>1</sub>თ-ჟეღო [\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-w-aj/\*p<sup>h</sup>as<sub>1</sub>t<sup>h</sup>-w-ej] sequence the following forms are regularly correlated:  
 the toponym and anthroponym ჰაჟი [\*pa-i-to/\*p<sup>h</sup>a-j-t<sup>h</sup>o<sup>j</sup>], attested in Linear A inscriptions;  
 the Pre-Greek toponym and anthroponym ჰაჟი [\*pa-i-to/\*p<sup>h</sup>a-i-sto<sup>s</sup>], Φαιστ-ός [p<sup>h</sup>aist-os] – *Phaistos*, attested in Linear B inscriptions; the Pre-Greek theophoric name ჰაჟიტი [\*pa-i-ti-jo/\*h<sup>h</sup>a-p<sup>h</sup>a-i-sti-jo<sup>s</sup>/\*h<sup>h</sup>a-p<sup>h</sup>a-i-sti-jo<sup>n</sup>] – *Haphaistios/Haphaistion*, also the Pre-Greek theonym Ἡ-φαιστος-ος [h<sup>h</sup>e-p<sup>h</sup>aist-os] – *Hephaistos*, attested in Linear B inscriptions.
5. The etymology of *Phaist-os*, *He-phaist-os*, *Phust-a* and *Phas-is* is Kartvelian.

*Presented by PhD Nana Shengelaia*

*თამარ მახარობლიძე*

## **პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგია (PFM) და ქართული კოლიკატორული ზმნის სისტემა**

პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგია (PFM) გამოიყენება როგორც სისტემური ანალიზის თეორია ნებისმიერი ტიპის ზმნური ფორმებისთვის. ამგვარი ზოგადი მიდგომა, რომელსაც შეუძლია, მათემატიკური მოდელირებით აღწეროს ყველაზე უფრო რთული ენობრივი სისტემებიც კი, რა თქმა უნდა, ერთობ საგულისხმო მოვლენაა ენათმეცნიერულ სივრცეში. გრეგორი სტამპის ნაშრომი – *Inflectional Morphology: A Theory of Paradigm Structure* (2001) – ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თეორიულ მონაპოვრად. ავტორი განიხილავს ლექსიკური და ფლექსიური მორფოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხებს, წესების კონკურენციასა და ბლოკებს, მარკირების ფორმებს, ფუძეთა ალტერნაციასა და სინკრეტიზმს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პარადიგმულად ფუნქციონირებად მორფოლოგიაში გათვალისწინებულია პანინის გრამატიკის ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს შემდეგს: მინიმალურად განსხვავებული ერთეულის აღწერიდან იწყება სისტემა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ე.წ. გამონაკლისებიდან და თავისებურებებიდან იწყება სისტემის აღწერა. ერთობ საგულისხმოა ის გარემოება, რომ თავად ავტორის – გრეგორი სტამპის სიტყვებით, პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგიის თეორიისათვის პანინის პრინციპის ამოსავალ ცნებად დადებას ხელი შეუწყო ამერიკული აბორიგენული ტომის პოტავატომისა და ქართული ენის მასალის დეტალურმა ანალიზმა.

შევეცადეთ, ქართველური ზმნების ანალიზი ჩაკვეტარებინა პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგიის (PFM) თეორიის მიხედვით. გაანალიზებული მასალა საკმაოდ მოცულობითია და ამიტომ ამ სტატიის ფარგლებში მხოლოდ ნაწილის გაზიარებაა შესაძლებელი. სანამ უშუალოდ ამ თეორიასა და მაგალითებზე გადავალთ, საჭიროა ქართული ზმნის ჩარჩოსთან დაკავშირებით ჩამოყალიბება. გთავაზობთ ქართული ზმნის ჩარჩოს ჩვენეულ ვარიანტს მარკერებითურთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩარჩოს ბოლო სლოტებს საზიარო მარკერები აქვთ. მაგალითად: ‘იყვნენ’ ფორმა მეექვსე სლოტის კუთვნილებაა, როგორც დამხმარე ზმნა, მაგრამ მისი სუფიქსური ნაწილი მეშვიდე და მერვე სლოტების ანგარიშშიც არის, როგორც სუფიქსური მრავლობითობისა (8) და მესამე პირის ნიშანი (7).

ცხრილი 1. ქართული ზნის ჩარჩო

#	-3 preverb	-2 prefixal nominal marker	-1 ver- sion mar- ker	0 VERB ROOT	+1 pas- sive mar- ker	+2 the- matic suffi- x	+3 causa- tive ma- rker	+4 imper- fective marker	+5 mood mar- ker	+6 auxi- liary verb	+7 suffixal nominal marker	+8 plural mar- ker
M ar ke rs	<i>mi</i> <i>mo</i> <i>mimo</i> <i>da</i> <i>a</i> <i>amo</i> <i>ča čamo</i> <i>še</i> <i>šemo</i> <i>c'a</i> <i>c'amo</i> <i>ga</i> <i>gamo</i> <i>gada</i> <i>gadmo</i>	<i>v</i> <i>x</i> <i>h</i> <i>s</i> <i>m</i> <i>gv</i> <i>g</i> <i>∅</i>	<i>u</i> <i>a</i> <i>e</i> <i>i</i>	√	<i>d</i>	<i>av</i> <i>am</i> <i>eb</i> <i>ob</i> <i>i</i> <i>ev</i> <i>op</i>	<i>in</i> <i>evin</i> <i>(+eb)</i>	<i>d</i> <i>od</i>	<i>i</i> <i>e</i> <i>o</i> <i>a</i>	<i>var</i> <i>xar</i> <i>a(rs)</i> <i>vart</i> <i>xart</i> <i>arian</i> <i>viq'av(i)</i> <i>iq'av(i)</i> <i>iq'o</i> <i>iq'os</i> <i>viq'avit</i> <i>iq'avit</i> <i>iq'vnen</i> <i>iq'on</i>	<i>s</i> <i>o</i> <i>es</i> <i>n</i> <i>en</i> <i>an</i> <i>es</i>	<i>t</i> <i>n</i> <i>en nen</i> <i>an</i> <i>es</i>

განვიხილოთ *ხატვა* ზმნის უღლების პარადიგმები პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგიის (PFM) ფარგლებში. *ხატვა* ზმნის ორპირიანი გარდამავალი ფორმების პირველი სერიის აწმყოს მწკრივის პარადიგმის ცხრილი ასე გამოიყურება:

ცხრილი 2. ორპირიანი გარდამავალი ზმნა *ხატვა* – აწმყოს მწკრივის პარადიგმა

(S, Od.) S/Od.	I s. X <sub>1</sub> (mxat'av)	II s. X <sub>2</sub> - (gxat'av)	III s. X <sub>3</sub> - (xat'av)	I pl. X <sub>4</sub> - (gvxat'av)	II pl. X <sub>2</sub> - (gxat'av)	III pl. X <sub>3</sub> - (xat'av)
I s.	-----	გხატავ	ვხატავ	-----	გხატავთ	ვხატავ
II s.	მხატავ	-----	ხატავ	გვხატავ	-----	ხატავ
III s.	მხატავს	გხატავს	ხატავს	გვხატავს	გხატავთ	ხატავს
I pl.	-----	გხატავთ	ვხატავთ	-----	გხატავთ	ვხატავთ
II pl.	მხატავთ	-----	ხატავთ	გვხატავთ	-----	ხატავთ
III pl.	მხატავენ	გხატავენ	ხატავენ	გვხატავენ	გხატავენ	ხატავენ

აქ X არის ფუძე. ამ თეორიის თანახმად, ხდება ფუძეთა ალტერნაცია და მოცემულია ფუძეთა არჩევანის წესები. კერძოდ, ფუძის შერჩევა შესაძლებელია იყოს სხვადასხვაგვარი. მთავარი პრინციპი, რომლითაც ჩვენ ვიხელმძღვანელებთ, არის ვერტიკალში საერთო მოცემულობების ქონა. ობიექტური წყობის მიხედვით, პირველ სვეტში საერთო მოცემულობა არის 'მხატავ'. ეს გახდა ამ სვეტისთვის არჩეული ფუძე – X<sub>1</sub> = mxat'av. ე.ი. არჩეული ფუძე არის პირველი ობიექტური პირის ნიშნის, ძირისა და თემის ნიშნის ჯამი. შესაბამისად, ამ სვეტში ე.წ. ფუძის

არჩევანის წესი (RSC) და ექსპონირების წესები (RE) ჩარჩოს მიხედვით ასე გამოიყურება:

$$RSC_1 = X_1 \text{ (m} \hat{x} \text{at 'av / მხატავ): ჩარჩო [X = -2, 0, 2]}$$

$$RE_1 = X_1$$

$$RE_2 = X_1, 7$$

$$RE_3 = X_1, 8$$

$$RE_4 = X_1, 7/8$$

ეს ნიშნავს, რომ პირველი სვეტის პირველი ფორმა ნულოვანია და უდრის იქსს, მეორე ფორმა ფუძეზე იმატებს მეშვიდე სლოტის ნიშანს, ამიტომ, ექსპონირების წესით, ფორმა წარმოადგენს ფუძისა და მეშვიდე სლოტის ჯამს. პირველი სვეტის მესამე ფორმა ფუძეზე იმატებს მერვე სლოტის ნიშანს, ამიტომ, ექსპონირების წესით, ფორმა წარმოადგენს ფუძისა და მერვე სლოტის ჯამს. პირველი სვეტის ბოლო მეოთხე ფორმაში ბოლო მარკერი არის საერთო, ანუ გარდამავალი მოცემულობების მქონე ნიშანი, და ექსპონირების წესიც შესაბამისად გამოიყურება.

პირველი სვეტის დეტალური აღწერით ასეთი სურათი გვაქვს:

$$X_1 = (O1 \hat{=} m, R \hat{=} x \text{at}', Th \hat{=} av) = (-2, 0, 2)$$

$$REI_1 = X_{1a} = \langle X_1 \rangle \sigma$$

$$REI_2 = X_{1b} = \langle X_1 s \rangle \sigma = (X_1 \{S3\} \hat{=} s) = [X_1 7]$$

$$REI_3 = X_{1c} = \langle X_1 t \rangle \sigma = (X_1 \{S2Pl\} \hat{=} t) = [X_1 8]$$

$$REI_4 = X_{1d} = \langle X_1 en \rangle \sigma = (X_1 \{S3Pl\} \hat{=} en) = [X_1 7/8]$$

აქ წარმოდგენილია ფუძის ანალიზი ჩარჩოს სლოტების დონეზე, ანუ არჩეული ფუძე არის -2, 0 და +2 სლოტების კონკრეტული მარკერების ჯამი. პირველი სვეტის პირველი ფორმა ნულოვანია და უდრის იქსს და აქ გვაქვს სიგმა, როგორც სასრული ნიშანი; მეორე ფორმა ფუძეზე იმატებს მეშვიდე სლოტის ნიშანს (-ს), ფიგურულ ფრჩხილებში მოცემულია ამ მეშვიდე სლოტის ნიშნის განსაზღვრება, რომ ეს გახლავთ მესამე სუბიექტური პირის მხოლოდითი რიცხვის ნიშანი -ს. ამიტომ ექსპონირების წესით მოცემული ფორმა წარმოადგენს ფუძისა და მეშვიდე სლოტის ამ კონკრეტული ნიშნის ჯამს.

ამავე ტიპის აღწერას ექვემდებარება დანარჩენი მოცემულობებიც: პირველი სვეტის მესამე ფორმის ფუძის ალტერნაცია წარმოადგენს არჩეული ფუძისა და მერვე სლოტის, კერძოდ, მეორე სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსური ნიშნის ჯამს. პირველი სვეტის მეოთხე ფორმის ფუძის ალტერნაცია კი არის ჯამი ფუძისა და მეშვიდე/მერვე სლოტისა, რაც გადმოცემულია მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის -ენ ნიშნით.

იდენტური ანალიზი მისაღებია მეორე სვეტის ფორმებისთვისაც:

$$RSC_2 = X_2 \text{ (g} \hat{x} \text{at 'av / გხატავ): ჩარჩო [X = -2, 0, 2]}$$

$$RE_1 = X_2$$

$$RE_2 = X_2, 7$$

$$RE_3 = X_2, 8$$

$$RE_4 = X_2, 7/8$$

მეორე სვეტის დეტალური აღწერა ასე გამოიყურება:

$$X_2 = (O2 \Leftarrow g, R \Leftarrow xat', Th \Leftarrow av) = (-2, 0, 2)$$

$$REI_1 = X_{2a} = \langle X_2 \rangle \sigma$$

$$REI_2 = X_{2b} = \langle X_2 s \rangle \sigma = (X_2 \{S3\} \Leftarrow s) = [X_2 7]$$

$$REI_3 = X_{2c} = \langle X_2 t \rangle \sigma = (X_2 \{S1Pl\} \Leftarrow t) = [X_2 8]$$

$$REI_4 = X_{2d} = \langle X_2 en \rangle \sigma = (X_2 \{S3Pl\} \Leftarrow en) = [X_2 7/8]$$

მესამე სვეტის ფორმების ანალიზი პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგიის (PFM) თეორიის მიხედვით ჩარჩოს დონეზე:

$$RSC_3 = X_3 (xat' av / ბატავ): \text{ჩარჩო } [X = 0, 2]$$

$$RE_1 = -2, X_3$$

$$RE_2 = (-2), X_3$$

$$RE_3 = X_3, 7$$

$$RE_4 = -2, X_3, 8$$

$$RE_5 = (-2), X_3, 8$$

$$RE_6 = X_3, 7/8$$

$$X_3 = (R \Leftarrow xat', Th \Leftarrow av) = (0, 2)$$

მესამე სვეტის ფორმების მარკერული და ჩარჩოს მონაცემების ანალიზი პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგიის (PFM) თეორიის მიხედვით:

$$REI_1 = X_{3a} = \langle v X_3 \rangle \sigma = (\{S1\} \Leftarrow v, X_3) = [-2, X_3]$$

$$REI_2 = X_{3b} = \langle X_3 \rangle \sigma$$

$$REI_3 = X_{3c} = \langle X_3 s \rangle \sigma = (X_3 \{S3\} \Leftarrow s) = [X_3 7]$$

$$REI_4 = X_{3d} = \langle v X_3 t \rangle \sigma = (X_3 \{S1Pl\} \Leftarrow t) = [-2, X_3 8]$$

$$REI_5 = X_{3e} = \langle X_3 t \rangle \sigma = (X_3 \{S2Pl\} \Leftarrow t) = [X_3 8]$$

$$REI_6 = X_{3f} = \langle X_3 en \rangle \sigma = (X_3 \{S3Pl\} \Leftarrow en) = [X_3 7/8]$$

მეოთხე სვეტის ფორმების ანალიზი ზმნური ჩარჩოს დონეზე:

$$RSC_4 = X_4 (gvxat' av / გვხატავ): \text{ჩარჩო } [X = -2, 0, 2]$$

$$RE_1 = X_4$$

$$RE_2 = X_4, 7$$

$$RE_3 = X_4, 8$$

$$RE_4 = X_4, 7/8$$

მეოთხე სვეტის ფორმების ანალიზი ჩარჩოს სლოტების მარკერთა დონეზე:

$$X_4 = (O1Pl \Leftarrow gv, R \Leftarrow xat', Th \Leftarrow av) = (-2, 0, 2)$$

$$REI_1 = X_{4a} = \langle X_4 \rangle \sigma$$

$$REI_2 = X_{4b} = \langle X_4 s \rangle \sigma = (X_4 \{S3\} \Leftarrow s) = [X_4 7]$$

$$REI_3 = X_{4c} = \langle X_4 t \rangle \sigma = (X_4 \{S2Pl\} \Leftarrow t) = [X_4 8]$$

$$REI_4 = X_{4d} = \langle X_4 en \rangle \sigma = (X_4 \{S3Pl\} \Leftarrow en) = [X_4 7/8]$$

ქართული ზმნების უღლების პარადიგმებში მეხუთე და მეექვსე სვეტები აღარ განიხილება, რადგანაც მეექვსე მთლიანად იმეორებს მესამეს, ხოლო მეხუთე სვეტი ასევე სრულად იდენტურია მეორე სვეტის მესამე ფორმისა.



ქართული მრავალპირიანი ზმნების უღლებების პარადიმების ცხრილი ასე გამოიყურება:

**ცხრილი 3.** პოლიპერსონალური ზმნის უღლებების პარადიმების ცხრილი

მწკრივი/ უღლება	I უღლება xat'av - X	II უღლება emalebi - X	III უღლება shveli - X	IV უღლება udgas- X
აწმყო	[X = -2,0,2] [X = 0,2]	[X = -2,-1, 0,2] [X = -1, 0, 2]	[X = -2, 0, 2] [X = 0, 2]	[X = -2, -1, 0, 7 ]
უწვევტელი	[X = -2, 0, 2, 4] [X = 0, 2, 4 ]	[X = -2,-1, 0, 2, 4] [X = -1, 0, 2, 4]	[X = -2, 0, 4] [X = 0, 4]	-----
აწმყოს კავშირებითი	[X = -2, 0, 2, 4] [X = 0, 2, 4 ]	[X = -2,-1, 0, 2, 4] [X = -1, 0, 2, 4]	[X = -2, 0, 4] [X = 0, 4]	-----
მყოფადი	[X = -3, -2, 0, 2] [X = -2, 0, 2]	[X = -3 -2,-1, 0,2] [X = -1, 0, 2]	[X = -2, -1, 0, 2] [X = -1, 0, 2]	[X = -3, -2, -1, 0, 2] [X = -1, 0, 2]
ხოლმეობითი	[X = -3, -2, 0, 2, 4] [X = 0, 2, 4]	[X = -3, -2,-1, 0, 2, 4] [X = -1, 0, 2, 4]	[X = -2, -1, 0, 2, 4 ] [X = -1, 0, 2, 4 ]	[X = -3, -2, -1, 0, 2, 4 ] [X = -1, 0, 2, 4 ]
მყოფადის კავშირებითი	[X = -3, -2, 0, 2, 4] [X = 0, 2, 4]	[X = -3, -2,-1, 0, 2, 4] [X = -1, 0, 2, 4]	[X = -2, -1, 0, 2, 4 ] [X = -1, 0, 2, 4 ]	[X = -3, -2, -1, 0, 2, 4 ] [X = -1, 0, 2, 4 ]
წვევტელი	[X = (-3),-2, 0, 2] [X = 0, 2]	[X = (-3), -2,-1, 0] [X = -1, 0 ]	[X = -2, -1, 0 ] [X = -1, 0 ]	[X = (-3), -2, -1, 0 ] [X = -1, 0 ]
II კავშირებითი	[X = (-3),-2, 0, 2, 5] [X = 0, 2, 5]	[X = (-3), -2,-1, 0, 5] [X = -1, 0, 5 ]	[X = -2, -1, 0, 5 ] [X = -1, 0, 5 ]	[X = (-3), -2, -1, 0 ] [X = -1, 0 ]
I თურმეობითი	[X = (-3), -2,-1, 0] [X = -1, 0 ]	[X = (-3), -2, 0, 2, 5] [X = 0, 2, 5 ]	[X = -1, 0, 5, 6/7 ]	[X = (-3), -2, 0, 5 ] [X = 0, 5 ]
II თურმეობითი	[X = (-3), -2,-1, 0] [X = -1, 0 ]	[X = (-3), -2, 0, 2, 4] [X = 0, 2, 4 ]	[X = -1, 0, 6/7 ]	[X = (-3), -2, 0, 4 ] [X = 0, 4 ]
III კავშირებითი	[X = (-3), -2,-1, 0,5 ] [X = -1, 0, 5 ]	[X = (-3), -2, 0, 2, 4] [X = 0, 2, 4 ]	[X = -1, 0, 5 ]	[X = (-3), -2, 0, 4 ] [X = 0, 4 ]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგიის თეორიის მიხედვით, ერთპირიანი ზმნების უღლებების პარადიგმული მოდელი იძლევა ექსპონირების ექვს წესს უღლებების ყოველ მწკრივში. ეს კი ჯამში 66 წესს ქმნის ქართული ზმნის უღლებების შემთხვევაში, თუ ზმნას არ აქვს მწკრივნაკლი ფორმები.

აღსანიშნავია, რომ ქართული პოლიპერსონალური ზმნის სისტემა პარადიგმულად ფუნქციონირებადი მორფოლოგიის თეორიის შუქზე საკმაოდ ელეგანტურად გამოიყურება.

მაღლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ კვლევა განხორციელდა პარიზის სორბონის უნივერსიტეტის პროექტ LaDyCa-ს (ენათა დინამიკა კავკასიაში) ფარგლებში, პროფესორ ჟან ლეო ლენარდთან ერთად.

## ლიტერატურა

- ალერტონი 2006:** DJ. Allerton, Valency Grammar, In: *Encyclopedia of Language and Linguistics*, ed. EK Brown, Amsterdam.
- არონოვი, რეს-მილერი 2003:** Mark Aronoff & Janie Rees-Miller (eds), *Handbook of Linguistics*, Blackwell Publishing.
- ბონამი, სტამპი 2016:** Olivier Bonami, Gregory T. Stump, Paradigm Function Morphology, In: Andrew Hippisley & Gregory Stump (eds.), *The Cambridge Handbook of Morphology*, Cambridge University Press, Cambridge, 449-481.
- დეეტერსი 1930:** Gerhard Deeters, *Das khartwelische Verbum*, Markert & Petters, Leipzig.
- თოფურია 1967:** ვარლამ თოფურია, [1931] *სვანური ენა, I: ზმნა, შრომები I*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- კერკი 1997:** Marcello Cherchi, Verbal Tmesis in Georgian, Part II, *Annali del Dipartimento di Studi del Mondo Classico e del Mediterraneo Antico Sezione Linguistica* 19, 63-137.
- კერკი 1999:** Marcello Cherchi, Georgian, *Languages of the World/Materials* 147, Lincom Europa, München.
- ლეონარდი 2008:** Jean Léo Léonard, Simplicité de la flexion mordve? *Bulletin de la Société de Linguistique de Paris*, 53-1, pp. 363-400.
- ლეონარდი, კიმი 2010:** Jean Léo Léonard & Alain Kihm, Verb inflection in Chiqui-huitlán Mazatec: a fragment and a PFM approach, In: Müller S. (ed.), *Proceedings of the HPSG10 Conference*, CSLI Publications (available online on <http://csli-publications.stanford.edu/>).
- ლეონარდი, კიმი 2015:** Jean Léo Léonard & Alain Kihm, Mazatec verb inflection: Revisiting Pike (1948) and comparing four dialects, In: Léonard, JL & Kihm, A. (eds), 2014. *Patterns in Mesoamerican Morphology*, Paris, Michel Houdiard Editeur, pp. 26-76.
- მასარობლიძე 2012ა:** Tamar Makharoblidze, *The Georgian Verb*, LINCOM Studies in Caucasian Linguistics, pp.53-71.
- მასარობლიძე 2012ბ:** Tamar Makharoblidze, On the Category of Version, *Kadmosi* vol.4, Ilia State University, Tbilisi, pp. 154-213.
- მასარობლიძე 2009:** Tamar Makharoblidze, *A Short Grammar of Georgian*, LINCOM.de Germany, P.126.
- მასარობლიძე 2010:** თამარ მასარობლიძე, *ლინგვისტური წერილები II*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- მაკინტირი 2007:** Andrew McIntyre, Particle verbs and argument structure, In: *Language and Linguistics Compass* 1(4): 350-367.
- მიულერი, ვესსლერი 2014:** Stefan Müller, Stephen Wechsler, Lexical approaches to argument structure, In: *Theoretical Linguistics*, 40:1-76
- ნეელემანი, ვერმანი 1993:** Ad Neeleman & Fred Weerman, The balance between syntax and morphology: Dutch particles and resultatives, In: *Natural Language and Linguistic Theory* 11, 433-475.

- ოლსენი 2000:** Susan Olsen, Against incorporation, In: Johannes Dölling and Thomas Pechmann (eds.), *Linguistische Arbeitsberichte* 74, 149-172, University of Leipzig: Department of Linguistics.
- ოპერსტაინი, სონენშაინი 2015:** Natalie Operstein & Aaron Huey Sonnenschein, *Valence Changes in Zapotec. Synchrony, diachrony, typology*, John Benjamins, Amsterdam.
- სტამპი 2001:** Gregory T. Stump, *Inflectional Morphology. A Theory of Paradigm Structure*, Cambridge University Press, Cambridge
- ფილმორი 1965:** CJ. Fillmore, *Indirect Object Constructions in English and the Ordering of Transformations*, Mouton, The Hague.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, I, მორფოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1973.
- შმიდტი 1969:** Karl Horst Schmidt, Zur Tmesis in den Kartvelsprachen und ihren typologischen Parallelen in indogermanischen Sprachen, თბილისის უნივერსიტეტი – გიორგი ახვლედიანს, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 96-105.
- ჩხენკელი 1958:** Kita Tschenkeli, *Einführung in die georgische Sprache*, Band 1, Amirani, Zürich.
- ჰარისი 1987:** Alice Harris, Number Agreement in Modern Georgian. The Classification of Grammatical Categories, In: *International Review of Slavic Linguistics vol. 3.No.1-2*. ed. By Anthony Vanek, 75-98.
- ჰილი, კეისერი 2002:** Ken Hale & Samuel Jay Keyser, *Prolegomenon to a Theory of Argument Structure*, MA: MIT Press, Cambridge.

Tamar Makharoblidze

## **Paradigm Function Morphology (PFM) and the System of Georgian Polypersonal Verb**

### Summary

Paradigm Function Morphology (PFM) can be used as a systemic analysis for any type of complex systems and any type of verbs. This is a general theoretical model which is able to describe any kind of complex linguistic system. Gregory Stump's work 'Inflectional Morphology: A Theory of Paradigm Structure' (2001) is considered as one of the best theoretical contributions to the linguistic literature of the last period.

Stump writes that sometimes the situation occurs in which two different rules can apply and he argues that such competition is always solved by Panini's principle, according to which the narrowest rule takes precedence. Interestingly enough, by the words of Gregory Stump, the detailed analysis of Potawatomi and Georgian motivate these assumptions. The author writes about inferential-realizational morphology, paradigm functions, rules of exponents, stem choices, syncretism, stem alternation and choice.

In the presented paper I tried to apply PFM theory to the Georgian polypersonal verb. The analyzed data are too big and thus, it is impossible to expose all the results in detail, but I tried to display general models for the Georgian verb. First of all, I offer my version of template for the Georgian verb with markers:

#	-3 preverb	-2 prefi- xal nomi- nal mar- ker	-1 ver- sion mar- ker	0 VERB ROOT	+1 pa- ssive mar- ker	+2 them- atic suffix	+3 caus- ative ma- rker	+4 imp- erfe- ctive mar- ker	+5 mood mar- ker	+6 auxiliary verb	+7 su- ffixal no- mi- nal mar- ker	+8 plural mar- ker
M ar ke rs	<i>mi</i> <i>mo mimo</i> <i>da</i> <i>a</i> <i>amo</i> <i>ča čamo</i> <i>še</i> <i>šemo</i> <i>c'a</i> <i>c'amo</i> <i>ga</i> <i>gamo</i> <i>gada</i> <i>gadmo</i>	<i>v</i> <i>x</i> <i>h</i> <i>s</i> <i>m</i> <i>gv</i> <i>g</i> <i>Ø</i>	<i>u</i> <i>a</i> <i>e</i> <i>i</i>	√	<i>d</i>	<i>av</i> <i>am</i> <i>eb</i> <i>ob</i> <i>i</i> <i>ev</i> <i>op</i>	<i>in</i> <i>evin</i> <i>(+eb)</i>	<i>d</i> <i>od</i>	<i>i</i> <i>e</i> <i>o</i> <i>a</i>	<i>var</i> <i>xar</i> <i>a(rs)</i> <i>vart</i> <i>xart</i> <i>arian</i> <i>viq'av(i)</i> <i>iq'av(i)</i> <i>iq'o</i> <i>iq'os</i> <i>viq'avit</i> <i>iq'avit</i> <i>iq'vnen</i> <i>iq'on</i>	<i>s</i> <i>o</i> <i>es</i> <i>n</i> <i>en</i> <i>nen</i>	<i>t</i> <i>n</i> <i>en nen</i> <i>an</i> <i>es</i>

The last slots of the template have shared values. The paper reveals the Georgian polypersonal verbal system in the light of PFM theory. Interestingly, the system looks very elegant. I also presented the general scheme for the Georgian verbal paradigm system.

The research was performed within the frames of the LaDyCa (Language Dynamics in the Caucasus) project of Paris Sorbonne. I would like to express my deep respect and gratitude to Professor Jean Leo Leonard, who was the Head and heart of this project.

*ნიკოლოზ ოთინაშვილი*

## **ტოპონიმიკურ-ანთროპონიმიკური კიბანის შიდა ქართლიდან**

წლების განმავლობაში გვიხდება მასალების ჩაწერა შიდა ქართლის დასახლებულ პუნქტებში, ხეობებში, სადაც გამოვავლინეთ არაერთი ელემენტი, რომლებიც ეხება მხარის ისტორიას, დასახლებათა ლოკალიზაციას, დიალექტოლოგიურ და ონომასტიკურ მასალებს. ბევრი მათგანი უკვე გამოქვეყნებული გვაქვს სპეციალურ ლიტერატურაში, ცალკე შრომების სახითაც. მასალები შედარებული გვაქვს წყაროებთან და ამ მიმართულებით კვლავ ბევრი საკითხია მოსაძიებელი.

შიდა ქართლის დასახლებული პუნქტებიდან, ნასოფლარებიდან ამჟამად წარმოვადგენთ ტყვიავის, ხვედურეთის, თიხრევის, საციხურის ტოპონიმიკურ-ანთროპონიმიკურ მასალებს, რომლებიც სამ – გორის, ცხინვალისა და ქარელის – რაიონში მდებარეობენ.

სოფელი ტყვიავი გორის რაიონის ჩრდილოეთით მდებარეობს და, ფოლკლორული მასალების მიხედვით, გვიანფეოდალურ ხანაში იქ ტყვია-წამალს ამზადებდნენ. გვერდისძირის სოფელ კულბითიდან ტყვიის მადანს ეზიდებოდნენ და სოფელში ამუშავებდნენ, მუშახელი კი ქსნის ერისთავებს თავიანთი საბატონოდან მოჰყავდათ. ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ სოფელში, ძირითადად, ქსნის ხეობის, საერისთავოს ჩამოსული მოსახლეობა ჭარბობს. სოფელი წყაროებში ტყვიავის ფორმით არის მოხსენიებული, შემდგომ კი უ-ს ვინი ჩაენაცვლა.

ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ პატარა ლიახვით მრწყველ სოფლებში ასახელებს სოფელ ტყვიავს (ვახუშტი 1997:023).

მეცნიერს სოფელი ასევე დატანილი აქვს თავის მიერ შედგენილ რუკაზე პატარა ლიახვის მარცხენა მხარეს საკულტო ნაგებობის (ჯვრის) ნიშნით (ვახუშტი 1745).

ტყვიავს, როგორც „მოსახლეს“, აღნიშნავს XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბაგრატიონი (ბაგრატიონი 1986:40).

სოფელი, ძირითადად, ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ, რაზეც რამდენიმე დოკუმენტი არსებობს. 1774 წელს ელიზბარ ერისთავი არზით მეფე ერეკლე მეორეს მიმართავს: „ტყვიავისა მოუხსენებიათ გირაოდ უნდა გვეჭიროსო, შოშიას მამული-სას მოგახსენებენ ჩვენიო. იმ შოშიას მამულიც ჩვენი ნარგებია და ქარელის ფარდად გვრგებია“ (ქსმ 1981:VII,263).

1791 წლის არზით, რომლის ავტორია ტყვიავში მცხოვრები ზაქარია ჩიქლაძე, სოფელში ასევე ყმები ჰყოლიათ ფავლენიშვილებსა და ქაიხოსრო აბაშიძეს (ქსმ 1981:VII,128).

ჩაწერილი მასალებიდან გამოიყოფა **ეპითეტური და პროფესიის აღმნიშვნელი სახელები**: მეკუბოვე, ჭყვილა, მეფეჩე, მეწისქვილე, მჭედელი, მეურმე...

ლექსიკური ფონდიდან აღსანიშნავია მეტსახელები, მათი გამონატვის მარტივი საშუალებანია: -ა, -აკ, -იკ, -ილ, -იტ, -ულ და სხვები. ასეთი სუფიქსაცია გვხვდება გვარებში, სადაც აღინიშნება მათი -ა სუფიქსით წარმოება. მაგალითად: ასკილაშვილი – ასკილა; ლიჩელი – მაჩაგანა, იმერელა. ეს გვარი წარმოშობით საჩხერიდანაა და თავდაპირველი გვარი ყოფილა ლომიძე. სოფელ ლიჩიდან არიან გადმოსულები, გვარად ამჟამად ლიჩელები არიან; დალაქიშვილი – კვიტია, ეძახიან დალაქასაც; მელითაური – პაწა ან მელთა; ჩელტიაშვილი – კრუა ან ჩელა; ოქრუაშვილი – ჭუკია ან ოქრუა; პავლიაშვილი – ბულალა ან მაფრაშა, ქაფჩურა, პიკნიკა, ტორტა; ხაბაზიშვილი – გოლორა, ჭყეტელა, დიდელა, ხვედელა.

გვარების წარმოებისას დაჩნდება მიკროტოპონიმები -ან, -ანთ სუფიქსებით, რომლებიც აღნიშნავენ კრებითობას და კუთვნილებას, მაგალითად:

ხაბაზიანი – ხაბაზიანთი, ოდიანი – ოდიანთი, რაზმანი – რაზმანთი, ჩიხლანი – ჩიხლანთი და სხვ.

**გარეგნობა, ფიზიკური მდგომარეობა**: გოლორა (განიერი), ხვედა (მძიმე), რიჟა (წითელი თმების გამო), ჯაგარა (შავი და გაუპარსავი თმის გამო), ბატკანა (ხუჭუჭა თმის გამო), წოწოლა (სიმაღლის გამო), ზანგო (სიშავის გამო), დიდთავა (დიდი თავი აქვს), ვოლკი (მგლის თვალების გამო), კაკანა (ბევრი ლაპარაკი იცის), პუშკინა (ხუჭუჭა თმის გამო), ებრაელი (ვაჭრობა ეხერხება), იმერელი (წარმოშობით იმერელია), ყბაჩო (დიდი ყბების გამო), ყურა (დიდი ყურების გამო) და სხვ.

**ხასიათის თავისებურება, ქცევა**: ტრაბახა (ტრაბახი უყვარს), დორბლიანი (ლაპარაკის დროს დორბლებს ყრის), ჩუმი (ლაპარაკი არ იცის), დორბიალა (ენაზე არაფერი ადგება), ლალუნა (უსაქმურია), ურიმძულა (ყველაფერზე ლაპარაკობს), ჩხავანა (ყვირილა), ფოცხვერა (სიფიცხის გამო).

**მიმსგავსება გარეგნობის ან რაიმე თვისების მიხედვით**: სტალინი (სტალინის მიმსგავსებით), ლენინი (ლენინის მიმსგავსებით), ბლოხინი (ფეხბურთელის მიმსგავსებით), მეცნიერი (განვითარებული კაცი), ავლანელი (დაუნდობელი), უდარდელა (არაფრის დარდი არა აქვს), ბონდარენკო (რუსი კოლია).

ზედმეტი სახელებისაგან ნაწარმოები სოფლის შტოგვარები, მსგავსად გვარებისა, იწარმოება მაწარმოებელი აფიქსებით -ან, -ანთ ფორმიანები: აბაზიანი, ბატკანანი, ჭარებლიანი, უჭყყანი, შარვალაანი, წოპლიანი, მონგოლაანი, მიკიჩიანი, სეპოანი, სრიალაანი, ოსკოტაანი, ენდელაანი, მაგრამ ფაქიზოანთი, საქოანთი, ჩიტიკოანთი, კოკობაანთი, ტუხანთი, თობჭაანთი, ჭუკიანთი, ჭალარაანთი, ჯალოანთი, ოჩიანთი, იაგორაანთი, მთავრიაანთი, ჩიტაანთი, ეგიაანთი, რუბენაანთი, ნაგაზიანთი, ლილურაანთი, კაკალაანთი, წატაანთი, მაწაწაანთი, ფხაწაანთი.

მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის ხსოვნა ამა თუ იმ გვარის მომდინარეობის შესახებ. მომავალში ამ მიმართულებით საჭიროა მეტი მუშაობა და ჩვენი ვალია, ჩვენი სოფლის ელემენტებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდროს.

წარმოდგენილი მეტსახელები ღიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან წარმოებისა და მოტივაციის მიხედვით, მაგრამ გვაქვს ერთი ტიპის სახელები, რომლებიც ქალის მეტსახელებია. ტყვიაში მოყვანილ რძალს სახელით კი არ მიმართავენ, არამედ მისი გვარისაგან ან სოფლისაგან აწარმოებენ ახალ სახელს. მაგალითად: ერედულა, ფრისულა, ბელოთულა, ვანათულა, არცეულა, დმენურა, დიცულა, ბერულა, მაისურა – მაისურაძე, კასრაულა – კასრაძე, კახნიაური – კახნიაშვილი და მრავალი სხვა.

## თიხრევი

ნასოფლარი თიხრევი მდებარეობს ცხინვალის დასავლეთით სამი კილომეტრისა და სოფელ ზემო ნიქოზის ჩრდილოეთით ორი კილომეტრის დაშორებით. სოფელი, როგორც „მოსახლე“, აღნიშნულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებებში (ვახუშტი 1997:024, ბაგრატიონი 1986:40). თიხრევი მდებარეობდა მდინარე ტბეთურას მარჯვენა მხარეს, რომელიც დიდი სიცხეების გამო ზაფხულში შრებოდა და სოფელ ზემო ნიქოზამდე ვეღარ ჩადიოდა.

თიხრევის ისტორია დაკავშირებულია კახეთის ბაგრატიონების შთამომავალ დავითიშვილებთან, რომლებიც ქართლში სხვადასხვა დასახლებულ პუნქტს დაეპატრონნენ და მათ შორის ამ სოფელსაც.

რამდენიმე დოკუმენტით სოფელი ამ გვარის კუთვნილებაა. მოვიყვანთ ორ მათგანს: „1634 წ. წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ მეფემან როსტომ თქვენ დავითიშვილის დავითს თქვენ ნარძლევს დაეგირავებინა თქვენი მკუიდრი მამული თიხრევი და ნამორაძისათვის მიეცა, თიხრევი ისევ თქვენ გიბოძეთ“ (სიძველენი 1899-1926); „1634 წ. დავით ფიცით გამოიტანა თავისი ნაშოვნი აზნაურიშვილები ერთობით ტატიანის მათის მამულით სოფელი თიხრევი“ (ქსმ 1972:IV, 68-69).

თიხრევიში მამულები ჰქონდათ ნამორაძეებს (ნამორაძიანთი), რომლებიც დღემდე სოფელ ქვემო ნიქოზში ცხოვრობენ. უფრო ადრე სოფელში მამულებს ფლობდნენ ზარდიაშვილები, რომლებიც შემდგომ გადასახლდნენ მდინარე ჭარებულას ხეობაში და დააარსეს სოფელი ზარდიაანთკარი, ეს სოფელი დღესაც ამ სახელით არის ცნობილი.

ასევე ცხოვრობდნენ ჯონაძეები, რომელთა შესახებ ახლაც არის მიკროტოპონიმი ჯონაძიანთი და მათი სახელობის წყარო. შემდგომ ეს გვარი გადასახლდა დიდი ლიხვის ხეობის სოფელ ქურთაში.

მამულები ჰქონდათ ასევე ზემო ნიქოზელ მჭედლიძეებსა და ლომსაძეებს, რომლებიც ბოლო დრომდე თავიანთ კუთვნილ მამულებს ამუშავებდნენ, მაგრამ რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის გამო დროებით მიტოვებულია. ესენია ცხრაბიჭაანთებისა და საბუთებიაანთების შტოგვარები.

თიხრევის გარშემო ჩრდილოეთით და დასავლეთის მხარეს არის კლდის დიდი მასივი, რომელსაც ჩვენი წინაპრები სამშენებლოდ იყენებდნენ მათ შორის ეკლესიის პერანგისათვის, ასევე – თიხის საბადო, რომელსაც ასევე გამოიყენებდნენ და მას სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი ეზიდებოდნენ. ამასთან, ნიქოზის კოლმეურნეობის მამულები იყო არა მარტო თიხრევეში, არამედ ასობით ჰექტარი იყო ტბეთშიც, რომელიც ადრე თავად შალიკაშვილების საკუთრება ყოფილა.

## საციხური

სოფელი დასახლებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერებში“, როგორც მოსახლე. იგი მდებარეობს ფცის ფრონეს ხეობაში, აბანოსწყლის მარჯვენა მხარეს.

აღნიშნულია ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზეც (1745 წ.). სოფელი შედის ბრემის საკრებულოში და, როგორც ინფორმატორები გადმოგვცემენ, სახელი წარმოდგება სიტყვა ციხისაგან, ადგილი, სადაც ციხე დგას, იგულისხმება როგორც სოფლის, ისე ნალვლის ციხე-სიმაგრე, სადაც ყოველთვის იყო ქართველ მეფეთა რეზიდენცია.

სოფელი ასევე მოხსენებულია 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში. ამ დროს სოფელში 22 კომლი მცხოვრები ყოფილა, ესენია: სიამარდიშვილი იესე, სიამარდიშვილი ოტია, ტალიკაძე ბერი, ტალიკაძე დათუნა, ტალიკაძე სეხნია, ტალიკაძე თამაზა, მატაშვილი დარჩია, ჩხეტიძე შოშია, მეგრელიშვილი გიორგი, მახარაშვილი ოთია, ჭინჭიკაშვილი პეტრე, ხატისკაცი პაპუნა, ფუტკარაძე მახარა, დევაძე პაატა, დევაძე შოშია, სამხარაძე მამუკა, სამხარაძე ბერი, საბაძე ივანე, გურგენაშვილი ბერი, წაბაძე დათუნა, მიქელაშვილი დათუნა, ბიბილაშვილი ივანა (თაყაიშვილი 1907:55-56).

ლექების გამოქმედილი თავდასხმების გამო სოფელი მიატოვა მოსახლეობამ, რომელიც მერე თავადმა ხერხეულიძეებმა აღადგინეს. მათ XIX საუკუნის დასაწყისში ქართლის სოფელ მარანადან საციხურში დაასახლეს ცხრა ოჯახი, მათ შორის ექვსი კომლი ცაბაძე, თითო კომლი სამხარაძე, აღაჯანაშვილი და რაზმაძე, შემდგომ კი აზნაური შალიბაშვილი და იმენიძე.

1790 წლის 31 ივლისს არის შედგენილი საციხურში მცხოვრები გლახა ცაბაძის არხა, რომლითაც ის მიმართავს იულონ ბატონიშვილს: „...ჩემი სიძე ჩემთან იდგა ბატონის ჩვენის მამულზე, საბძელზე ჩხუბი მოგვივიდა, ხელი მოვახვედრე და ცხვირი გაუტყდა, წავიდა და ამილახვართან მიჩვილა, ...ერთი ხარი მყვანდა და წამართვეს, შვიდი აბაზი თეთრი, გამოვარდი მარტოკა, ლექები დამხვდნენ, კინალამ დავიკარგე“ (ქსმ 1985:VII,61). ასეთი ტიპის „დოკუმენტები“ სხვებიც არსებობს სოფლის შესახებ.

სოფელში დღეს მცხოვრები გურგენიშვილები ჩამოსულები არიან რაჭის სოფელ ნიკორწმინდიდან, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას იჩქით-გურგენიძეებს



უკავშირებენ. მათი წინაპარი იყო წუნდის ეკლესიის აღმშენებელი იჩქით-გურგენი-  
ძე (ცისკარიძე 1959:47). მათი გვარი იწარმოება -ან სუფიქსით: გურგენაანი.

მანარაშვილი მოსულა გორის რაიონის სოფელ მერეთიდან – მანარაან-თი.

ღვეაძის გვარი მიღებულია დავაძისაგან – ეს გვარი საჩხერის სოფელ დავა-  
ეთში ცხოვრობდნენ, მერე კი საციხურში ჩამოსახლდნენ.

მეგრელიშვილი მოსულა რაჭის სოფელ აბანოეთიდან.

ძველი გვარებიდან სოფელში შემორჩენილია მხოლოდ ცაბაძე, მოსიაშვილი და  
გუჩმაზაშვილი. სხვა გვარები აღარ არიან სოფელში.

ახალჩამოსულები არიან: გელაშვილი, მაჭარაშვილი, შუბითიძე, ასანიძე, მიქე-  
ლაძე.

სოფლის ტოპონიმებიდან აღსანიშნავია: ბებრიმიწები, რომელიც ვრცელი მამუ-  
ლებია და ხერხეულიძეების კუთვნილება იყო, მერე კი სოფლის მოსახლეობამ გა-  
ინაწილა.

ტყემიწები – სოფლის ჩრდილოეთით.

უკანა ტყე – სოფლის აღმოსავლეთით.

დალაქის ახო, სახატე ანუ ხატი მიწა, მდებარეობს სოფლის თავში, აქ არის  
ნიში, რომელიც დღესაც სოფლის სალოცავია.

კოჯები – ტყემიწის თავზე, სადაც არის ციხის ნაშთები. შემორჩენილი არის  
საიდუმლო გვირაბიც, რომელიც სოფელ წალვლის ციხეს უკავშირდება. აქ თურმე  
თამარ მეფე და სხვა მეფეები ხშირად მიდიოდნენ.

ჰიდრონიმებიდან აღსანიშნავია ჭალიკის წყარო, რომელიც ვინმე იასონის  
მეტსახელი ყოფილა და ეს წყარო მას გამოუყვანია სოფელში.

სამ ადგილას არის პატარა მდინარის სახელები „ფრონე-ფონი“, რომელიც  
თხელ წყალს უკავშირდება.

## **ხვედურეთელი მასურაშვილები**

სოფლის დასახლება მოცემულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწე-  
რებში. ხალხური გადმოცემების მიხედვით, არსებობდა სამი ხვედურეთი. იოანე  
ბაგრატიონის აღწერით იმ დროს იყო მხოლოდ ქვემო ხვედურეთი. ზემო ხვედუ-  
რეთი დაარსებულია XIX საუკუნის შუა წლებში, ხოლო მესამის შესახებ დასავ-  
ლეთის მხარეს ნანგრევებზე მიუთითებენ, სადაც თითქოს ხალხი ცხოვრობდა და  
მასაც ხვედურეთი ერქვა. ზემო ხვედურეთის პირველი სახელი ყოფილა ზაქარშენი,  
რომელიც ზაქარია ციციშვილს დაუარსებია და პირველად მისი სახელი ეწოდა.

ხვედურეთში უცხოვრია მასურა მასურაშვილს, რომელიც ცნობილი პიროვნება  
ყოფილა მეცხრამეტე საუკუნეში. მასურას შვილები ყოფილან: სოლომონი, პეტრე,  
გიორგი, ზურაბი, დიმიტრი, ესტატე, იოსები და ანდუყაფარი.

სოლომონის შვილებია: იოსები, გიორგი; იოსების შვილები: ანტონი, სოლო-  
მონი, მიხეილი; ანტონის შვილები: ფილო, ივანე; ფილოს შვილები: შაქრო, შაქროს

შვილი ლადო, ფიდოს ქალიშვილი ვერო, ვეროსი – თენგიზ მასურაშვილი; ივანეს შვილები: გოგლა, რამანი, გოგლას შვილები: მიტო, ნოე, ტრისტანი. სოლომონის შვილი გიორგი, გიორგის შვილი ანეტა, ანეტას შვილები: გოგია, ალიოშა, თემო მასურაშვილები, მიხეილის შვილი იოსები, იოსების შვილი მიშა, მიშას შვილები: უშანგი, ჟორა, ვარდენი, ჩიტო, სინე და სხვები. სულ ჩაწერილი გვაქვს სამასამდე მასურაშვილის სახელი და მათი შთამომავლობა.

ზემო ხვედურეთში 50 კომლი მასურაშვილია, რომელთა შტოგვარია: მასურა-ანი – მასურაანთი, ასევე გვხვდება ოჯახების მიკროტოპონიმები, რომლებიც ამ გვარის მამა-პაპის ან ზედმეტის (სახიჯარი) სახელებისაგან არის ნაწარმოები.

როგორც ამ გვარის ადამიანები გადმოგვცემენ, სახელი „მასურადან“ არის ნაწარმოები მასურაშვილისა და მასურადის გვარი, და მოდის ზმნისგან – მასურვა – მომენატრა, მომესურვა. „სურ“ ნიშნავს სასურველს. ამ სახელის მეცნიერული ეტიმოლოგიის დადგენა სამომავლოდ აუცილებელია.

### *ლიტერატურა*

**ვახუშტი 1991:** ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლი, წიგნი II, გამომცემლობა „თეგი“, თბილისი.

**ვახუშტი 1997:** ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ვახუშტი 1745:** ვ. ბაგრატიონი, გეოგრაფიული ატლასი, თბილისი (1997).

**ბაგრატიონი 1986:** ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

**ქსძ 1965-85:** ქართული სამართლის ძეგლები, I-VIII, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი.

**სიძველენი 1899-1926:** საქართველოს სიძველენი I-III ტ., ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი

**ცისკარიძე 1959:** ვ. ცისკარიძე, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, თბილისი.

**თაყაიშვილი 1907:** ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, ტფილისი.

*Nikoloz Otinashvili*

## **Toponymic-Anthroponic Searches from Shida Kartli**

### **Summary**

The article represents toponymic-anthroponic materials from Shida Kartli villages and deserted villages: Tkviavi, Khvedureti, Tikhrevi, Satsikhuri. These areas are located in Gori, Kareli and Tskhinvali districts.

From Tkviavi lexical fund should be noted some nicknames, which are produced with -a, -ika, -il, -ula, -ila affixes. They are derived from such names and surnames as Maprasha, Kapchaura, Chukia, Khabaza, Chikhla, Odia, Karela, Kapana, Demia, Korina...

We can distinguish nicknames denoting physical condition, characteristic peculiarities and appearance, which do not differ greatly according to motivation.

Tikhrevi (a deserted village) is located to the west of Tskhinvali, three kilometers away. It is mentioned in XVIII century works of Vakhushti and Ioane Bagrationi. The Davitishvilis (Princes), the Namoradzes and the Zardiashvilis (Noblemen), who founded the village of Zardiaantkari in the Kartli province Gverdisdziri, had their estates in Tikhrevi. This village is still functioning. The Jokhadzes also moved from Tikhrevi to the Greater Liakhvi Valley, village Kurta.

Village Satsikhuri is located in Ptsa Phrone Valley, on the right side of Abanostskali. The name of the village is related to the word *castle*, where the ruins of a defensive structure still remain. In the eighteenth century the village was abandoned because of continuous invasions of the Lekians. It was later restored by the Kherkheulidzes (Princes). They settled people from the Kartli village Marana: the Tsabadzes, Samkharadzes, Aghajanashvilis, Razmadzes.

Today there live the Gurgenashvilis, who immigrated from the village in Racha Nikorts-minda, and their surname is derived from Gurgenaani – Gurgenaanti. The Makharashvilis arrived from Gori district, village Mereti; the Megrelishvilis – from Racha, village Abanoeti. The newly re-settled families are: the Gelashvilis, Macharashvilis, Shubitidzes, Asanidzes, Mikeladzes. From the village toponyms should be noted: Bebrimitsebi, Tkemitsebi, Akvanatke, Dalaki's Akho, Sakhate Mitsa, Kozhebi, Nakanevi, Chalikis Tskaro, Prone – the same as Tkheli tskali, Tsivi tskaro, etc.

Khvedureti is a historical village. There were three “Khveduretis”: Kvemo, Zemo and Khvedureti itself with a large population. Zemo Khvedureti was founded by Zakaria Tsitsishvili. At first it was named after him, Zakarsheni, and then Zemo Khvedureti on the analogy of Kvemo. In Zemo Khvedureti reside 50 households of the Masurashvilis, which is derived from Masuraani. The people with this surname consider that it comes from the verb – Masurva, which requires further research. The people bearing the mentioned surname also live in the village Mejvriskhevi and in some villages of Kakheti. The kinship of this surname needs to be ascertained.

## სიტყვათწყობის მუდმივი რიგის დადგენისათვის სვანურ ფრაგმენტოლოგიურ გამონათქვამებში

რა შეიძლება ითქვას სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის შესახებ სვანურ ფრაგმენტოლოგიურ გამონათქვამებში?

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელად შემდეგი ნიშნები მიიჩნევა:

- სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი;
- ამა თუ იმ კომპონენტის სინონიმით შეცვლის შეუძლებლობა;
- შემადგენელი კომპონენტის ამოგდების ან ახალი კომპონენტის ჩართვის შეუძლებლობა;
- გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა;
- ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის უქონლობა.

ა. თაყაიშვილს, ერთი შეხედვით, შეუძლებლად მიაჩნია იდიომის სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევა. მაგ., ვამბობთ: *გულზე ცეცხლი ეკიდება, მღუღარეში ფეხი ჩაკრა, ჭურში ზის, უყარე კაკალი*, მაგრამ არ ვამბობთ: *კაკალი უყარე, ზის ჭურში* (თაყაიშვილი 1961:21). სიტყვათა რიგის ამგვარ სიმტკიცეს კი ხსნიან სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით, თუმცა ამ ნიშანს აბსოლუტური ხასიათის ნიშნად არ თვლიან, ვინაიდან გვაქვს სიტყვათა რიგის ცვლის შემთხვევებიც: *გული მოუვიდა/მოუვიდა გული, ენას კბილი დააჭირე/დააჭირე ენას კბილი*. ამ ფაქტს მეცნიერთა ერთი ნაწილი შემთხვევით ფაქტად მიიჩნევს. კომპონენტების შებრუნებული რიგი, გ. დემენტიევას აზრით, შეიძლება ავსხნათ ან განსაკუთრებული სტილისტიკური დავალებით, ანდა ზეპირმეტყველების ექსპრესიული არალოგიკურობით (დემენტიევა 1955:155-156). მისივე თქმით, „მოვლენების დიალექტიკა შესაძლებელს ხდის სიტყვათა რიგის შეცვლასაც და ჩართვასაც“ (იქვე 170).

სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით, როგორც ცნობილია, ყოველი ენის ფრაგმენტოლოგიზმები განსხვავებული ხასიათისაა – დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის ანალიზურ თუ სინთეზურ ბუნებაზე. ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ფრაგმენტოლოგიზმებში სიტყვათა რიგი მყარია, რამდენადაც ამ ენებში თავისუფალი შესიტყვება გარკვეულ თანმიმდევრობას ემორჩილება: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. რაც შეეხება ქართულს, იქ სიტყვათა რიგის თავისუფლებაა და ფრაგმენტოლოგიზმში თავისუფალი შესიტყვების მსგავსად ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს, მაგალითად: *გული მოულობ, წყალი შეუყენა, ოქროში ჩასვა, გზა მისცა...* (თაყაიშვილი 1961:22).

სვანურ მრავალფეროვან მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით სვანურიც თითქოს ქართულს მიჰყვება, თუმცა სვანურში სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევის შემთხვევები ნაკლებად დასტურდება, რაც სიტყვათა რიგის სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით შეიძლება აიხსნას.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სიტყვათა რიგის ცვლის რამდენიმე ნიმუშს:

ლენჯარბ ზომწლდ ესნარ გუნ **პპრჭრტხ** აღდარე ნჭჭირტ **ამბანტ** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 68:31-32) „ლენჯერელმა უხუცესებმა თურმე ძალიან აწონ-დაწონეს ამათი შემოთვლილი ამბავი („ლენჯერ-ის“) დიდებმა თურმე მეტისმეტად დაზილეს ამეების ნათვლელი **ამბავ-ი**“, შდრ. **ამბანტ პპრჭრტხ** „აწონ-დაწონეს“.

ამმა ლაგრაგალჟინე დოხტურდ **ენკიდ ბლელ-ბლელ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 287:34-35) – ამის თქმის დროს ექიმმა დაიბღავლა („ამის ლაპარაკზე **დოქტორ**-მა აიღო **ბღავ-ილ-ბღავ-ილ-ი**“, შდრ. **ბლელ-ბლელ ენკიდ** „დაიბღავლა“.

გუა გუნ ხასხთდლწრე ტიტი იმტწლეჟინ **ქრთღრრენს დაგარშტ** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 94:9-10) „გუა ძალიან ცდილობდა თურმე, რომ ტიტი როგორმე მოეშორებინა თავიდან („**გუა** მეტისმეტად ნახერხება, რომ როგორმე მოეშორებინოს სიკვდილით“), შდრ. **დაგარშტ ქრთღრრენს** „მოეშორებინოს სიკვდილით“, **დაგარშტ ქწთირი** „მოიშორა სიკვდილით“...

{ალეს} **ჟი ოხქეაჯ ქენ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 277:7) „ეს გარდაიცვალა („ამას ამოუწყდა სული“, შდრ. ძვ. ქართ. „აღ-მო-ქეინ-ვა“), შდრ. **ქეინ ჟოხქეაჯ** „გარდაიცვალა“ და ა.შ.

ვფიქრობთ, ამგვარი დარღვევა სვანურში გამოწვეულია წინადადების რთული სინტაქსური კონსტრუქციით. რაც შეეხება ცალკე აღებულ ფრაზეოლოგიზმს, იგი, თავისუფალი შესიტყვების მსგავსად, ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს: **გინჯილდ ლიგნე** (ზს.), **გვინჯილდ ლიგნე** (ლშხ.) „დაფლეთა, დაგლეჯა“, **გრამდ ლიგნე** (ზს.) „ფერფლად ქცევა“, **გულ ჳედნი** (ზს., ლშხ.), **გულ ჳედნი** (ლნტ.) „ხვდება“, **გპტირიშ ლიჩემ** (ბქ.), **გტაკტრები ლიჩომ/ლიგტაკტრები** (ლშხ.), **გტაკტრები ლიჩტემ** (ლნტ.) „მიხედვა, ყურისგდება“, **გტის ხაპტდი** (ბქ.) „ყურადღებას აქცევს, ყურადღებით აკვირდება“, **აბანო ხაყერხ** (ლშხ.) „დაბანეს“, **ყტლაფდ ადგენე** (ლშხ.) „დაგლიჯა, გაანადგურა“, **ძალა ხაყერ** (ლშხ.) „დააძალა, აიძულა“, **ყაბულს ახწედა** (ბზ.) „დასთანხმებია“ და მრავალი სხვ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში იდიომის დაუშლელობის გამოხატულებად მიჩნეულია, აგრეთვე, მისი შემადგენელი კომპონენტების შეცვლის შეუძლებლობა. „სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა, რომელიც ფრაზის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს, შეუძლებელია ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვანი ან ექსპრესიული აზრის მთლიანი დარღვევის გარეშე“ (ვინოგრადოვი 1947:24).

როგორც მკვლევარი ა. თაყაიშვილი მიუთითებს, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელად არც ეს ნიშანია აბსოლუტური, რაზეც მეტყველებს ქართული ფრაზეოლოგიური გამოთქმის „მყარ“ წყობაში ცვლილებების შეტანა. იგი ნიმუშად ასახე-

ლებს შემდეგ გამოთქმებს: *ენა წინ უსწრებს/ენა წინ გაურბის, ქანცი გაუწყდა/ქანცი გამოელაია, თვალში ხვდება/თვალში ეცემა, თავს იმტვრევს/თავს იტეხს და სხვ.* (თაყაიშვილი 1961:22).

ვ. ვინოგრადოვის ზემოდასახელებული ნიშნის აბსოლუტურობის არასიზუსტეზე მიანიშნებს სვანური ენის ვითარებაც, სადაც **სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა სრულებითაც არ არღვევს ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვნებასა და ექსპრესიულობას** (ხაზი ჩვენია! – მ.ს.). დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი სვანური ენის დიალექტების მიხედვით:

**ბჰლდ ლიგენე** (ზს.), **ბჰლდ ლიგენე** (ლნტ.)/**ბჰლდ ლიჩედ** (ბზ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა“; **ბჰნ მეფხუე** (ბქ.), **ბან** (ლშხ.) **მეფხუე/ბჰნ მეფულე** (ზს.) „სხვადასხვა თვალსაზრისის ქონა, ჩვენების არევა“; **ნინ სგებდ ზოსკენინ სგებდ ოსეზი** (ბქ.) „ენა წინ უსწრებს/გაურბის“; **მერემიშ ი მეფხემი ნესკაქა აპარ** (ლნტ.)/**მერემიშ ი მეფხემი ნენსგაქა ათსკინე** (ბქ.) „ელვის უსწრაფესად გაიქცა“; **რიყ ათღანე** (ლხმ.)/**ყლიტ ათღანე** (ბქ.) „გადაყლაპა, გადასანსლა“; **ბედნიერ ლიზგე ოთჯიღახ/ბედნიერ ლიზგე ოღიახ** (ბქ.) „ბედნიერად უცხოვრიათ“; **გუშიმი ლიხპე** (ზს.)/**გუშიმი ლიწკრე** (ბქ.)/**გუშიმი ლიბჭკეუტ** (ბქ.) „გაბრაზება“; **ღგენიშ/ლუგენიშ ლიშყედ/ლითუტეფ** (ბქ.) „გაუფასურება, სახელის დაკარგვა“; **ხოლა მიჰჰანი ლიჩუემ/ხოლა მიჰჰანი ლისყი** (ბზ.) „ხმაური, აყალმაყალი, ჩხუბი“ და. ა.შ.

ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ცხადად ჩანს, რომ კომპონენტების სინონიმებით ჩანაცვლება, რომელიც, ზოგი მეცნიერის აზრით, ფრაზის სემანტიკური საფუძველია, არ არღვევს აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა მთლიანობას. ე.ი. სემანტიკური ფუძე, მიუხედავად მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებისა, თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ სინონიმით.

ჩვენ ვიზიარებთ ა. თაყაიშვილის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ „არაზუსტია მათთვის სინონიმი იდიომების სახელის მიკუთვნება“. უფრო მიზანშეწონილი იქნება მათ ფრაზეოლოგიური ვარიანტები ეწოდოს (თაყაიშვილი 1961:23).

ამ ფრაზეოლოგიური ვარიანტების არსებობის საფუძველს სვანურში, ვფიქრობთ, სხვადასხვა დიალექტური მასალა ქმნის, თუმცა ერთი დიალექტის შიგნითაც შეიძლება ამ სინონიმური ვარიანტების არსებობა. მაგალითად, შდრ. ბქ. **გუში ემზიჰ/გუში ემწკირ/გუში ემბიჭკეუტ** „გამამწარა, გამაბრაზა (ზედმიწ. – გულ-ი გამიხეთქ/გამიბზარა)“; **გუშჰსჰდ აღგენე/გრამდ აღგენე/ქიქიმდ აღგენე** „გადაწვა, გადაბუვა, ცეცხლს მისცა ყველაფერი (ზედმიწ. – ფერფლად დააყენა)“;<sup>1</sup> **თხტიმ**

<sup>1</sup> აღნიშნული იდიომის პირველი შემადგენელი კომპონენტების – **გრამ-**, **გუშჰსჰ-** და **ქიქიმ-** ფორმათა წარმომავლობა, რამდენადაც ცნობილია, დღემდე გაურკვეველია. შესაძლოა, თავდაპირველად რაიმე სემანტიკური სხვაობა მაინც ყოფილიყო მათ შორის, თუმცა სანამ მათ ქართულურ შესატყვისებს არ მივაგნებთ, მანამდე შეუძლებელი იქნება შესაბამისი ქართული თარგმანების დადგენა. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი ფრაზეოლოგიურ ვარიანტებად უნდა ჩაითვალოს.

**შოლელდ ოთგენე|თხტიმ ხაპდ ოთგენე|თხტიმ შხარდ ოთგენე|თხტიმ ბაჭკუდ ოთგენე** „თავი გაუხეთქა (ზედმიწ. – თავი ზლეჩად/ხეთქვად დაუყენა)“ და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნიათ იდიომის რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა. ა. ონიანის აზრით, აღნიშნული პროცესი აუცილებლად იწვევს იდიომის დაშლას (ონიანი 1954:58-59), რასაც არ ეთანხმება ა. თაყაიშვილი. იგი ფიქრობს, რომ ტყავის გაძრობა და კუდაძდე ტყავის გაძრობა არ უნდა იყოს დამოუკიდებლად ჩასახული გამოთქმები და ერთიმეორის ამოსავალ ვარიანტად მიიჩნევეს. მსგავსი შემთხვევები კი მრავლად იძებნება ქართულში. მაგ.: *გულის ჯავრი იყარა – ჯავრი იყარა, თავისი ნათქვამი გაიტანა – თავისი გაიტანა, ენა მუცელში ჩაუვარდა – ენა ჩაუვარდა, პირში ბურთი ჩაჩარა – ბურთი ჩაჩარა* და ა.შ.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში?

სვანურ მრავალფეროვან მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ იდიომის შემადგენელი კომპონენტების ამოგდების პროცესი თითქმის ყოველთვის იწვევს იდიომის დაშლას, ამიტომ ქართულის მსგავსი ვითარება სვანურში არ დასტურდება. ე.ი. არ გვაქვს *ტყავის გაძრობა* და *კუდაძდე ტყავის გაძრობის* მსგავსი მაგალითები, თუმცა ის გამონაკლისები, რაც სვანურში დადასტურდა, ქართულიდან სესხების შედეგია (მაგალითად: **ნინ ვაძთე ოთშყად → ნინ ოთშყად** (ბქ.), **თერარლისგა ტგტ ლამშიდ → ტგტ ლამშიდ**...). შეუძლებელია გამოთქმებიდან – **ნექჭარ უშხარა ხაჯიდ** (ბქ.) „განრისხდა, გაბრაზდა, დანალვლიანდა“; **თხტიმ იტარდ ანჯიდ** (ბქ.) „თავი გამოიჩინა, გვირობა ჩაიდინა“; **ხატს ლერთანხენ ხაძრა** (ბქ.) „ბოროტი/ურწმუნო ადამიანია“; **ფათუს დემ ხაკურანენე** (ლშხ.) „ვერაფერს აკლებს“; **ხოლამ გუჟი ლიფშედე** (ბზ.) „გალახული გაშვება“... ამოვადლოთ რომელიმე კომპონენტი, რადგან ეს უსათუოდ გამოიწვევს იდიომის დაშლას. როგორც ჩანს, სვანურის ეს ვითარება აძლევდა ა. ონიანს ზემოთ გამოთქმული მოსაზრების საბაბს.

ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ქართული გამარტივებისკენ მიისწრაფვის და აღნიშნული მოვლენა ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს, სვანური კი ამ მხრივ არქაულ ვითარებას ინარჩუნებს, რაც, როგორც უკვე ითქვა, სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით უნდა აიხსნას. ფრაზეოლოგიზმის განმსაზღვრელი ნიშანი კი სწორედ ისაა, რომ მას შემადგენელი ელემენტების ფორმალური დამოუკიდებლობის ფონზე ახასიათებს შინაგანი მთლიანობა.

იდიომის განსაზღვრაში ზოგჯერ ისეთ ნიშნეულობაზეც არის ყურადღება გამახვილებული, როგორიცაა, მაგალითად, ლექსიკური ან გრამატიკული არქაიზმების არსებობა იდიომში. ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რ. პოპოვს, რომლის მოსაზრების თანახმად, ენაში ძველი ელემენტების შემორჩენის ერთ-ერთი მოქმედი ფაქტორია ფრაზეოლოგიზაცია. იგი ერთმანეთს უდარებს მონათესავე ენათა იდიომებს და დაასკვნის: „იგივეობრივი ფრაზეოლოგიზმების ჯგუფს

ქმნიან ძირითადად ისინი, რომლებიც თავის სტრუქტურაში არქაულ ელემენტებს შეიცავენ და წარმოშობით შედარებით ძველ ერთეულებს წარმოადგენენ“ (პოპოვი 1956:401).

მიუხედავად რ. პოპოვის ამ დასკვნისა, მეცნიერთა ერთი ნაწილი არქაულ ერთეულებს არ თვლის იდიომისთვის სპეციფიკურ ნიშნებად (ა. ონიანი, ა. თაყაიშვილი).

სვანური ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ იდიომებზე (resp. იდიომურ ლაკუნებზე) მუშაობისას ჩვენც ა. ონიანისა და ა. თაყაიშვილის თვალსაზრისი გავიზიარეთ და აღვნიშნეთ, რომ „ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ფიქსირებული ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები არ უნდა იყოს მიზეზი მათი იდიომატურობისა, რადგანაც საანალიზო ერთეულთა უმრავლესობა არ განიხილება როგორც არქაიზმი“ (საღლიანი 2011:232).

იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშნად კი მიჩნეულია ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის უქონლობა, რომელსაც გრამატიკული კლასიფიკაციის წარმომადგენლები გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვასაც უწოდებენ. როგორც ცნობილია, იდიომები ხშირად არ იყენებენ სრულ პარადიგმებს. ხშირი ელემენტი ხშირად იზღუდება ფორმათწარმოების შესაძლებლობებით, რისი შედეგაცაა მისი ფრაზეოლოგიურად დახშულ კონტექსტებში წარმოდგენა (თაყაიშვილი 1961:27).

სანამ სვანური მასალის ანალიზზე გადავალთ, მანამდე მოკლედ შევეხებით ქართულის ვითარებას. ქართულში, უპირველეს ყოვლისა, იდიომებში გვხვდება ზმნები განსაზღვრული პირის ფორმით: მაგ., მესამე პირში: *მარილის მოსატანად წავიდა, კაკას ხიდი გაიარა...*, მეორე პირით: *ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, თვალთან თითს ვერ მიიტან*. ქართულში ასევე დასტურდება იდიომები, რომლებშიც ზმნა „გაქვავებულია“ I სერიის მწკრივებში: *სულს დაფავს, კელავი უჭრიდა, თავი კუდს ვერ მოიქნევს*, და გვხვდება წარსულდროიანი ფორმებიც: *სულიც ჩაუდგა, პირზე რძე არ შემორობია* (იქვე).

რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში?

რალა თქმა უნდა, სვანურ იდიომებშიც გვხვდება ზმნები განსაზღვრული პირის ფორმით. მაგალითად:

*მესამე პირში: ხოლა კუჭ ოხვად* (ლშხ.) „გაბრაზდა (ზედმიწ. – ცუდი კუჭ-ი მოუვიდა)“; *გუი ჩუ ლუთთქუე ხარ* (ბქ.) „დასუსტებულია (ზედმიწ. – გულ-ი და-თუთქ-ულ-ი აქვს)“; *აქანი ახოკიდ* (ლნტ.) „მიესალმა (ზედმიწ. – სალამი აულო)“; *ბლდ ადგენე* (ბქ.) „დახია/დაფლითა (ზედმიწ. – ფლეთად დაყენა)“; *გუმი ნწხიპტ ქამინრუ ანდე* (ბქ.) „გული ამოივლო ტირილით (ზედმიწ. – გულ-ი[ს] ნახეთქი გარეთ გად-მო-დ-ო)“; *განწ კაცხ ესგე მიჩა კეთილს* (ბზ.) „თავისი ქონება გაანიავა (ზედმიწ. – დანის წვერი და-ა-დგ-ა მის კეთილ-ს)“; *თხუიმ ლგცფექლ ოთგენე* (ბქ.) „თავის დაუნაყა, გაუხეთქა (ზედმიწ. – თავი ფქვილ-წყლად დაუყენა)“; *კიბერ ასბეკ* (ბქ.) „დააბალა, აიძულა (ზედმიწ. – კაკიბერა მიაბჯინა)“; *ყიაჟი გარ ლოხწყება კინჩხ* (ბქ.) „მოუჭრია თავი (ზედმიწ. – ყია-ზე მხოლოდ ჩამოუკონწიალებია კინჩხ-ი)“...



*მეორე პირით:* **ლერქუბლ დიბიბლ ლამგენე** (ბზ.) „ტანსაცმელი შემომახია (ზედმიწ. – ტანსაცმელი ფლეთად დამიყენა)“; **თეთ ფზულეს დემ სიბგრი** (ბქ.) „თვალთან თითს ვერ მიიტან (ზედმიწ. – თვალ-ის}-კენ თითს ვერ ი-ბგერ-ებ)“; **ჟი ჯგბიდ ნლფეთოშტე** (ბქ.) „ნამეტანი ბრაზიანი ხარ (ზედმიწ. – ცეცხლი გიკილია ფეთ-იან-ობ-ით); **ქუნუშტ ჯარ** (ლნტ.) „ერთი სული გაქვს (ზედმიწ. – სულით გაქვს)“; **ხატს ლერთანხენ ხანდრა** (ბქ.) „უკუღმართი, უღმერთო ადამიანი ხარ (ზედმიწ. – ხატს მარცხნიდან აწერისხარ)“...

*პირველი პირით:* **ტყუი ჩუ ლგჰნე მარ** (ბზ.) „ძალზე ჯაფაგაწეული ვარ (ზედმიწ. – ტყვია გადამდნარი მაქვს)“; **თხერემ ვარჯისგა ხტუარი** (ბქ.) „ცულ წრეში ვარ (ზედმიწ. – მგლის ხახა-ში ვარ)“; **გტუიმი ნანზიპ შიჟი მიზ** (ბქ.) „გამწარებული ვარ (ზედმიწ. – გულ-იქს} ნახეთქი ხელზე მი-ძ-ევს)“ და სხვ.

გარდა ამისა, სვანურ იდიომებში ზმნები წარმოდგენილია სხვადასხვა მწკრივის ფორმით: **სიქუნქულ ხოსგურ** (ლშხ.) „მოუსვენრადაა (ზედმიწ. – მოუსვენრობა უზის)“; **სინდიკლ ხრგდა** (ბზ.) „დაფლეთილი ჰქონდა (ზედმიწ. – ფლეთად/ნაკუწე-ბად ე-დგ-ა)“; **ტრანკლ ადგენე** (ბზ.) „დაამტვრია, დაამსხვრია (ზედმიწ. – მსხვრევედ დააყენა)“; **ბანტქულ ლგჰ** (ბზ.) „მაძლარია (ზედმიწ. – გასკლომად დგ-ა-ს)“; **ქოქლ ანკდენის** (ლშხ.) „ამოწყდებიან (ზედმიწ. – ფუტუროდ აილებიან)“; **შანრი-ბანრი ოთქტე** (ჩბხ.) „არაქათი გამოეცალა, დაიღალა (ზედმიწ. – ილაჯი გაუწყდა)“; **ჩინჩ-რინხლ ოთგენა** (ბქ.) „დაუმტვრევეა, დაუმსხვრევეა (ზედმიწ. – ნამსხვრევებად დაუ-ყენებია)“; **დეცე ნანკტიშ გიმდ ანდრი** (ბქ.) „თავსხმა, კოკისპირული წვიმაა (ზედ-მიწ. – ც-იქს} ნატეხი მიწად მოდის)“...

იდიომის სახელადი ნაწილი კი ზოგ შემთხვევაში რიცხვის ორივე ფორმით არის წარმოდგენილი.

მაგ., მხოლობითი რიცხვის ფორმით: **ნიჩრე ხამრე ნაბარჯდ ხოჯემ** (ბქ.) „ნაყვა-ვილარი, უშნო სახე აქვს (ზედმიწ. – პირისაზე ღორების ნათხრელად უგავს)“; **ქორს ხამქუნთა** (ბქ.) „სულ სახლშია, სახლიდან არ გადის (ზედმიწ. – სახლს აცუცქია)“; **ბულტაშ მელ ამჩხტენე** (ბქ.) „გამაწამა, გამწვალა (ზედმიწ. – ზღვის ბალახი მომადოვინა)“; **ჭიაბერდ ესისიპან** (ლშხ.) „გალორდა (ზედმიწ. – ჭიაბჭამე-ლად გადაიქცა)“; **ჭერყტაშ მუქტისგ მადმა ხორი** (ლხმ.) „ლარიბ-ლატაკია (ზედ-მიწ. – ყვავი ყვა-ს მთქმელი არ ჰყავს)“.

მრავლობითი რიცხვის ფორმით: **კტენარ ჟი ხებზიხ** (ბქ.) „გამხდარია, გამვალ-ტყავებულია (ზედმიწ. – კვერნ-ებ-ი დაამდებიან)“; **შუნარლუგტდურე ზურალ** (ბქ.) „არაფრის მცოდნე ქალი (ზედმიწ. – ხელებმოჭრილი ქალი)“; **შინრე უგნა/შინარე უგნა** (ბქ.), **შიარე უგნა** (ლშხ.) „ხელგაუჩერებელი, ცელქი (ბავშვი), ქურდი, ცუდი ხელის ადამიანი (ზედმიწ. – ხელებიქს} უ-დგ-ამ-ი)“; **ჩინი შინარს ლეჭტენი ლი** (ბზ.) „სათნო კაცია, ყველას ადვილად შეეწყობა, გაუგებს (ზედმიწ. – ყველაქს} ხელების სახვევი არის)“; **შინარე ლიტოფანი** (ბქ.) „გაკვირვება, გაოცება (ზედმიწ. – ხელების ქნევა)“; **შინარხენქა ლიფმულე** (ბქ.) 1. „გატუტუცება“, 2. „დაკარგვა

(ზედმიწ. – ხელებიდან გაშვება)“; **შდგქრე ნწცყერუნ** (ბქ.) „მცირეოდენი, პატარა ულუფა, რომელიც ვერ დაანაყრებს ადამიანს (ზედმიწ. – კბილების საცობი)“; **ნგნრე ლიზელალნე** (ბქ.) „ენატანიობა (ზედმიწ. – ენ-ებ-ი{ს} \*წასიარულება)“; **ცხარართყი ლიკელ** (ბქ.) „აბუჩად ადგება, გაჭორება (ზედმიწ. – ფრჩხილებ{ის}კენზე ადგება)“; **კაპრბღლზრს ჩუ ღემის პგნე** (ბქ.) „სულ ლაყბობს (ზედმიწ. – ნი-კაპ-ებ-ს არ ა-ღგ-ამ-ს)“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, იდიომების უმრავლესობა სვანურში, ქართულის მსგავსად, ავლენს ყველა შესაძლო კატეგორიას. იდიომთა ერთი ნაწილი კი მთლიან პარადიგმატულ სქემებსაც ინარჩუნებს, მაგალითად, ნიმუშად ავიღოთ რომელიმე მათგანი და ვნახოთ მთლიანი პარადიგმატული სქემები:

**გტის ვიხპე** „გაბრაზებს (ზედმიწ. – გულ-ს ვიხეთქავს)“

**გტის ვეხპუნი** „გაგაბრაზებს (ზედმიწ. – გულ-ს ვიხეთქავლეს იქნება)“

**გტის ვიხპა** „გაბრაზებდა (ზედმიწ. – გულ-ს ვიხეთქავდა)“

**გტის ვპხპუნა** „გაბრაზებდა თურმე (ზედმიწ. – გულ-ს ნახეთქება)“

**შხარდ ვიგნე** „ვიხეთქავს, ვიპობს (ზედმიწ. – პობად გ-ი-ღგ-ამ-ს)“

**შხარდ ევგენისე** „გაგიხეთქავს, გაგიპობს (ზედმიწ. – პობად და-გ-ი-ღგ-ამ-ს)“

**შხარდ ევგენე** „გაგიხეთქა, გაგიპო (ზედმიწ. – პობად და-გ-ი-ღგ-ა)“

**შხარდ ოთგენა** „გაუხეთქია, გაუპია (ზედმიწ. – პობად და-უ-ღგ-ამ-ს)“

**თე ვაგ** „გათვალული ხარ (ზედმიწ. – თვალ-ი გ-ა-ღგ-ა-ს)“

**თე ვაგლა** „გათვალული იყავი (ზედმიწ. – თვალ-ი გ-ა-ღგ-ა)“

**თე ვეგნი** „გათვალე (ზედმიწ. – თვალ-ი გ-ა-ღგ-ებ-ა)“

**თე ლაჯაგან** „გათვალე (ზედმიწ. – თვალ-ი მო-გ-ა-ღგ-ა)“

**თე ლაჯგენა** „გათვალულხარ (ზედმიწ. – თვალ-ი მო-გ-ღგ-ომ-ი-ა)“ და მისთ.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად მიიჩნევს, აგრეთვე, მის სხვა ენაზე უთარგმნელობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, იდიომი ისეთი გამოთქმაა, რომელიც სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება (ა. ა. რეფორმატსკი, ნ. სკოროდმოვა, დ. ნ. უშაკოვი, ს. ი. ოჟეგოვი, ლ. ა. ბულახოვსკი).

იდიომის არსებულ განსაზღვრათა ამგვარი კლასიფიკაცია, ალ. ონიანის აზრით, არ არის ზუსტი, „რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ერთ განმსაზღვრელ ნიშნეულობასთან ერთად მხედველობაშია მიღებული სხვა რომელიმე ნიშნეულობაც“... (ონიანი 1954:42-43), იგი დაასკვნის, რომ „იდიომის სხვა ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნის შეუძლებლობა არაფერს გვეუბნება მისი შინაგანი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ...“ (იქვე 241), რასაც სვანური ენის ფრაზეოლოგიზმებიც ადასტურებენ.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მიჩნეული ნიშნეულები არც სვანურისათვის აღმოჩნდა არსებითი, ვინაიდან ისეთი რთული ლექსიკური ოდენობის შეცნობისათვის, როგორც იდიომია, მხოლოდ გრამატიკულ მხარეებზე დაყრდნობა არაა საკმარისი და ვერ სწვდება იდიომთა მთელ კლასს.

## ლიტერატურა

- დებენტეივა 1955:** Г. Я. Дементьева, *Семантико-стилистические особенности фразеологических выражений*, Алма-ата.
- დონდუა 2001:** კ. დონდუა, *სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თბილისი.
- ვინოგრადოვი 1947:** В. В. Виноградов, *Русский язык (Грамматическое учение о слове)*, Москва.
- თაყაიშვილი 1961:** ა. თაყაიშვილი, *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*, თბილისი.
- თოფურია, ქალღანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალღანი, *სვანური ლექსიკონი*, თბილისი.
- ლიპარტელიანი 1994:** ა. ლიპარტელიანი, *სვანურ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი.
- ნიჟარაძე 2007:** ბ. ნიჟარაძე, *ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი*, თბილისი.
- ონიანი 1954:** ა. ონიანი, *ქართულ-სვანური იდიომატიკა*, თბილისი.
- პოპოვი 1956:** Р. Н. Попов, *Грамматические архаизмы в устойчивых фразеологических единицах Русского языка*, Симферополь.
- საღლიანი 2011:** მ. საღლიანი, სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომური ლაკუნები, *სენათმეცნიერო ძიებანი*, XXXIII, თბილისი.
- სვან. პროზ. ტექსტ. 1939:** *სვანური პროზაული ტექსტები, I*, ბალსჯემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.
- სვან. პროზ. ტექსტ. 1957:** *სვანური პროზაული ტექსტები, II*, ბალსჯემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალღანმა, თბილისი.
- სვან. პროზ. ტექსტ. 1967:** *სვანური პროზაული ტექსტები, III*, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალღანმა, თბილისი.
- სვან. პროზ. ტექსტ. 1979:** *სვანური პროზაული ტექსტები, IV*, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალღანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალღანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.
- სვან. ენის ქრესტ. 1978:** *სვანური ენის ქრესტომათია*, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალღანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

Medea Saghliani

## Towards the Determination of Word Order in Svan Phraseological Expressions

### Summary

The observation on the diverse Svan material showed that Svan also follows Georgian in the changes of word order, but in Svan the cases of violation of constant word order are less confirmed, which can be explained by the semantic solidity and traditional formatting of the word order.

The violations observed in Svan may have been caused by the complex syntactic structure of a sentence. As for the phraseologism taken separately, like a free verbal collocation it puts the verb-predicate at the end.

In Svan there also occurs the replacement of components with synonyms, which in some scientists' opinion is a semantic basis of the phrase, it does not violate the integrity of the mentioned phraseological units, i.e. a semantic basis, despite the claims of one part of scientists, can freely be replaced by any synonym.

The existence of these phraseological variants in Svan, in my opinion, is determined by diverse dialectal material; however, a similar diversity can be found within one dialect as well.

Besides, it should be said that the process of dropping the immediate constituents of an idiom almost always causes the decomposition of the idiom, which means that we do not have any examples like *stripping off skin* or *stripping off skin till the tail*, although the exceptions which are confirmed in Svan are the result of borrowings from Georgian.

In this case it can be considered that Georgian is striving for simplification and that the mentioned phenomenon can be considered as innovation. As for Svan, in this regard it preserves an archaic condition.

The majority of idioms in Svan, as in Georgian, reveal all possible categories. One part of the idioms even preserves complete paradigmatic schemes.

Some researchers also consider that the criterion for determining an idiom is the impossibility of its translation. From this point of view, an idiom is an expression which cannot be translated literally into another language.

The marks regarded as determinant criteria of idiom specifics are: constant order of words; impossibility of replacing any component with a synonym; impossibility of omitting a constituent component or inserting a new one; protection of grammatical and lexical archaisms. The absence of some grammatical categories, just as for Georgian, did not turn out substantial for Svan either. It is not enough to rely only on grammatical sides for understanding such complex lexical units as idioms and it cannot comprise the whole class of idioms.

*მელა სალიანი, ნატო შავრეშიანი*

## **ფრაზეოლოგიისა და ანდაზის ურთიერთმიმართების შესახებ სპანური ენის დიალექტ-კილოკავებში**

ფრაზეოლოგიის საზღვრების შესახებ, როგორც ცნობილია, მეცნიერებაში ორი უკიდურესი თვალსაზრისია დამკვიდრებული. ერთია შედარებით ფართო თვალსაზრისი, რომელიც ფრაზეოლოგიის რამდენიმე განსხვავებულ დახასიათებას აერთიანებს:

- ა) ფრაზეოლოგიას მიეკუთვნება ყოველგვარი შესიტყვება, რომელსაც ახასიათებს ამა თუ იმ ხარისხის სიმყარე.
- ბ) ფრაზეოლოგიაში შედის არა მეტყველების პროცესში წარმოქმნილი, არამედ ენაში მზა ფორმით მოცემული ყოველი გამოთქმა. ფრაზეოლოგიის გაჩენა, ზოგი ენათმეცნიერის თვალსაზრისით, ხშირი ავტომატური განმეორების შედეგია (ბოდუენ დე კურტენე). ამ გაგების მიხედვით, ფრაზეოლოგიზმების გვერდით მოთავსდება ტერმინოლოგიური ხასიათის გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები, რომლებიც ენაში მზა ფორმით არსებობენ და გადმოიცემიან ტრადიციით.
- გ) ფრაზეოლოგიის განმსაზღვრელ ნიშნად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია მნიშვნელობის გადატანა. მ. მიხელსონის აზრით, ფრაზეოლოგიის საგანია საზოგადოებრივი სიტყვები და ანდაზური გამოთქმები, ანდაზები და ქცევები, დამახასიათებელი ხალხის ენისათვის, ამასთან მათი აზრისა და გადატანითად ხმარების განმარტება (მიხელსონი 1912:6).
- დ) ფრაზეოლოგიას ფარგლავენ იმ მასალით, რაც სრულიად არ ითარგმნება სხვა ენაზე, ან მისი ზუსტი თარგმანი შეუძლებელია.

ამ განმარტების მიხედვით, ერთმანეთის გვერდით შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სტრუქტურის ერთეულები: იდიომები, ანდაზები, აფორიზმები, ლიტერატურული ციტატები, სიტყვის მასალა, ფრთიანი სიტყვები, კომპოზიციები და ა.შ. (თაყაიშვილი 1961:14).

- ე) ფრაზეოლოგიაში ენობრივ მასალასთან ერთად შეაქვთ, აგრეთვე, ცალკეული მწერლის ენაში ნახმარი ნიშანდობლივი გამოთქმები და ფრაზები, რომელთაც საერთო-სახალხო სანქცია არა აქვთ. „ფრაზეოლოგიის ცნების მეტად გაფართოებისას მას აკუთვნებენ შესიტყვებებისა და სიტყვათგამოყენების ინდივიდუალურ თავისებურებებს, დამახასიათებელს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან მთელი ლიტერატურული მიმართულებისათვის“ (Большая Советская Энциклопедия, т. 45, 412).

როგორც ზემოთ ითქვა, ამ ფართო თვალსაზრისთა გვერდით მეცნიერებაში არსებობს მეორე უკიდურესი გაგება, რომლის თანახმად, ფრაზეოლოგიაში ადგი-

ლი რჩება მხოლოდ კლიშეებს. ს. აბაკუშვილის განმარტებით, „ფრაზეოლოგია – ესაა სიტყვიერი შაბლონები, მზა სიტყვიერი კლიშეები, რომლებიც მექანიკურად მეორდებიან ერთნაირ შემთხვევებში“ (აბაკუშვილი 1942:26).

ა. თაყაიშვილის აზრით, „ფრაზეოლოგიაში ტოვებენ მხოლოდ იმას, რაც სრულებით არ უნდა იყოს მისი შესწავლის ობიექტი“ და მიიჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მეტისმეტად ზოგად და მყარ თვალსაზრისებზე დაყრდნობით, ფრაზეოლოგიაში გზა ეხსნება სხვადასხვა სტრუქტურის მასალას და, აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიის საგნის დაზუსტება შეუძლებელი ხდება (თაყაიშვილი 1961:15).

ფრაზეოლოგიის მოსაზღვრე კატეგორიებიდან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, სირთულეს ქმნის ანდაზასთან მისი მიმართების გარკვევა. ამ სირთულეს ნაწილობრივ ხსნიან ანდაზის ცნების დაუზუსტებლობითაც. საანდაზო კრებულებში შეაქვთ ისეთი მასალა, რომელსაც ანდაზასთან სრულებით არაფერი აქვს საერთო. ძალიან ხშირად კი მათ იდიომებშიც ათავსებენ (იქვე 96-97). ზოგიერთი ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ ანდაზებს მიჯნავს იდიომებისაგან, მათ ფრაზეოლოგიაში მაინც ტოვებს (ნეიმანი 1941; ვულფიუსი 1929; არხანგელსკი 1950).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ანდაზას ფრაზეოლოგიზმად თვლიან ოთხი საერთო ნიშნის გამო:

- **ორივე გადატანითი მნიშვნელობით იხმარება;**
- **მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა ახასიათებთ;**
- **ენაში მზა ფორმით არსებობენ;**
- **შეიცავენ არქაიზმებს.**

ამ ნიშანთაგან, როგორც ა. თაყაიშვილი შენიშნავს, მხოლოდ მეოთხე არ ჩანს აბსოლუტური, ვინაიდან არქაიზმები არ ახასიათებს იდიომებისა და ანდაზების უმრავლესობას (თაყაიშვილი 1961:97), თუმცა ზემოთ დასახელებული პირველი სამი ნიშანიც არაა საკმარისი ანდაზისა და იდიომის ერთ კატეგორიაში მოქცევისათვის (იქვე).

ანდაზასა და იდიომს შორის სხვაობას ქმნის შემდეგი:

- 1) ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა კი – წინადადება. „ანდაზის იგავისაგან განმასხვავებულ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გადმოსაცემი შინაარსი ერთ წინადადებაშია მოქცეული“. მაგალითად: *მხზავანა კატა თავვს ვერ დაიჭერსო; ნიორმა თავისი სიმყრალე სამ წელიწადს შეინახაო; ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო...* (თაყაიშვილი 1961:97).
- 2) ზმნური ფრაზეოლოგიზმი დასრულებულ აზრს არ გამოხატავს, მას აკლია ქვემდებარე: *წლებზე ფეხს იდგამს, ფეხს იკიდებს, გული აიყარა...* როგორც ცნობილია, ასეთი გამოთქმა ყოველთვის მოქმედების ჩვენებას ითვალისწინებს. ეს ზოგადი მოქმედება მიეყენება კონკრეტულ ვითარებას და გარკვეულ კონტექსტში ჩნდება კონკრეტული ქვემდებარე, მაგალითად: *(მამამისი) წლებზე ფეხს იდგამს; (მის ძმისშვილს) თავში არაფერი უყრია; იმას კი კული ყავარზე აქვს*

გადებული... სხვა სიტუაციაში სხვა ქვემდებარეა მოსალოდნელი. რაც შეეხება სუბსტანტურ ფრაზეოლოგიზმებს, მათში შემასმენელია გამოტოვებული: *კვდა-რი წერტილი, ნოეს კიდობანი, ტკბილი სიტყვა* და სხვ.

როგორც უკვე ითქვა, ანდაზა დასრულებულ აზრს გადმოგვცემს, რომელშიც სუბიექტი და პრედიკატი გამოთქმის ორგანულ ნაწილს შეადგენს, მაგალითად: *არა შეგდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი; ალიას დარდი ფლაგიაო; ნარუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება*; და მისთ.

3) ფრაზეოლოგიზმი სიტყვის ეკვივალენტია, რომელიც რომელიმე წევრის ფუნქციით გამოდის: *ენას კბილს აჭერს, ხაფანგი დაუგო* (შემასმენლის ფუნქციით), *დაბალი ღობე, აქილევსის ქუსლი* (ქვემდებარის ან დამატების ფუნქციით), და ა.შ.

ანდაზა კი ისევ და ისევ წინადადების ეკვივალენტია: *ქადა ორივე ხელით იჭმებაო; მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტაო*. ამგვარი გამოთქმების ერთი სიტყვით გამოხატვა ყოველად შეუძლებელია.

4) ფრაზეოლოგიზმი ფორმას იცვლის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, დამოკიდებულია წინადადების შინაარსზე, მაგ.: *სამარეს უთხრის, სამარე გაუთხარა, გაუთხარა სამარე*.

ანდაზის ენობრივი ტექნიკა, როგორც ცნობილია, მყარია, უცვლელია სინტაქსური რიგი: *მღვდელს ჭილოფში იცნობენო; პაპის ნაჭამმა ტყემალმა შეილი-შეილს მოსჭრა კბილია*; და სხვ.

5) ფრაზეოლოგიზმი ფაქტს აღნიშნავს. ანდაზის მიზანი კი დიდაქტიკურია, იგი კონკრეტული ფაქტის გადმოცემასთან ერთად იძლევა აღმზრდელით სენტენციას, მაგ., ანდაზა – *ძაღლი ვინც მოჰკლა, იმან გადაათრიოსო* – გვაფრთხილებს, რომ ვინც იწყებს საქმეს, მანვე უნდა მიიყვანოს იგი ბოლომდე (თაყაიშვილი 1961:98-99).

როგორც გაირკვა, ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა სხვადასხვა რიგის ენობრივი ოდენობებია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ასევე სტრუქტურითაც, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, ფრთიან სიტყვათა მსგავსად, ანდაზებშიც ფრაზეოლოგიის შევსების ერთ-ერთ მოქმედ წყაროს წარმოადგენენ. ქართულში ხშირია ანდაზისგან იდიომის მიღების შემთხვევები, მაგალითად: *პირი ეწვის – თუ პილაპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო; ახალი ცოცხი – ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა; ხავსს ეჭიდება – წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო* და მრავალი სხვა (იქვე).

ზოგი მეცნიერი ამ გამოთქმებს შემოკლებულ ანდაზებად მიიჩნევს, ვინაიდან ამ ნაწყვეტით შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა, თუმცა ეს ხერხდება მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე. დროთა განმავლობაში კონტექსტი დავიწყებას ეძლევა, კოლორიტის ელფერი იკარგება და რელუცირებული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს. ამისი ნათელი დადასტურებაა იდიომი *კბილს უსინჯავს*, რომლის

ხმარებისას არავინ ფიქრობს, რომ იგი მიღებულია ანდაზისგან: *ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება* (თაყაიშვილი 1961:98-99).

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთ-მიმართებამ სვანურში, რაც ღღემდე სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა.

ცნობილია, რომ სვანური მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია როგორც ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით, ასევე ანდაზებითაც. სვანური ანდაზების ჩაწერა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს დაიწყო (იხ. Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, 1890, 1902) და მას მერე ცხოველი ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით არ შენელებულა. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი სვანური ანდაზები თავისუფალი სვანის (ბესარიონ ნიჟარაძის) მიერ გამოქვეყნებულ „სვანური ენის მოკლე გრამატიკაში“ (1913 წ.) და სვანური ტექსტების პუბლიკაციებში.

პირველი მკვლევარი, რომელმაც ცალკე წიგნად გამოსცა (1973) სვანური ანდაზები, ეს არის სვანური ენის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის უბადლო მცოდნე და მკვლევარი ალი დავითიანი, ხოლო შემდგომ (2000 წ.) გამოიცა სვანური ანდაზების მეორე კრებული, რომელიც შედგენილია არსენ კორძაიას მიერ.

პირველ კრებულში წარმოდგენილია ბალსქვემოური დიალექტის ერთ-ერთი კილოკავის – ლახამულურის მონაცემები, მეორეში კი – ბალსზემოურის.

რაც შეეხება ქვემოსვანურ ანდაზებს, ისინი ჯერჯერობით შეუსწავლელია.<sup>1</sup> პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, სვანური ანდაზების შეკრება და სრული სახით გამოცემა მეტად საშური და გადაუღებელი ამოცანაა (ჭუმბურიძე 2008:143).

რა შეიძლება ითქვას სვანური ანდაზების შესახებ და როგორ მიემართება ანდაზას სვანური ფრაზეოლოგიზმები?

ა. დავითიანის „სვანური ანდაზების“ კრებულში, რომელიც შედგენილია, ძირითადად, ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავის მიხედვით, შესულია ისეთი მასალა, რომელსაც ანდაზასთან სრულებით არაფერი აქვს საერთო. ესენია:

**ნგნქესერ თუი ხაზუბი ი გუი ლგშხამ ჭორგუილ ხოზ** (ბქ.) „ორპირია ანუ ტკბილად გესაუბრება და გული ბოლმით აქვს სავსე („ენა-ზე-ო თაფლ-ი სდის და გული-ი შხამ-იან-ი ორ-გულ-ი უ-ძ-ევ-ს“)“. ჩვენი აზრით, ეს არის ფრაზეოლოგიური გამონათქვამი და არა ანდაზა.

იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ანდაზებზეც:

**ფერხი ამსოლდ თხერე ლგპრისდესერ ლი** (ლხმ.) „ზოგი ადამიანი დაუნდობელიაო, ორგულიაო (ზოგი ადამიანი მგელი მონათლულიო არის)“, შდრ. **თხერემ გუტერაჟი ლგპრისდე** „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი... (ზედმიწ. – მგლის ტყავზე მონათლული)“.

<sup>1</sup> წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებულია ჩვენ მიერ ლენტეხის მიმდებარე სოფლებში საველე პირობებში მოპოვებული მასალა.



აღის იმდო ხერგადნი, მამაგუტემ ჯექმენი, თხერემ გუტერაჟი ლი ლგპრისდე (ბქ.) „ამას რაც არ უნდა უთხრა, აზრი არა აქვს, შეუბრალებელიაბოროტია (ამას რაც უნდა ვლაპარაკებოდე, არა საქმე გემატება, მგლის ტყავზე არის მონათლული)“ და ა.შ.

დერხი ამსოლდს ჟალტემ ესერ ქტინ ხოგ (ლხმ.) „ხოგი ადამიანი უკვდავია, სიკვდილი არ ეკარება (ხოგ ადამიანს ძაღლ-ის-ო სული უ-დგ-ა-ს)“.

დერხი ამსოლდ მგერესერ ცხერილჩუ ლგცხრილე ლი (ლხმ.) „ხოგი ადამიანი რვეგენიაო, კრეტენიაო (ხოგი ადამიანი მსხვილო ცხრილ-{ს}-ქვე გა-ცხრილ-ულ-ი არის)“

ლოშემე ძგიდომ ლი სერ (ბქ.) „უკანასკნელია, ბოლო წვეთია (ზედმიწ. – უკანა ძგიდ-ის არის უკვე)“

ჩინჩტილ წამჟი ეშდართუესერ ხეტხენი (ბქ.) „ჩვილი ბავშვი წამში ყველანაირ საქციელს ჩადისო (ჩვილ-ი წამ-ზე ათ-ორ-{ის}-კენ-ო უბრუნდება)“ და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა კი – წინადადება, ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი მასალა უნდა ჩაითვალოს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებად და არა ანდაზებად.

ცხადია, ა. კორძიას „სვანურ ანდაზებ“-შიც არის შესული ისეთი მასალა, რომელსაც ანდაზასთან სრულებით არაფერი აქვს საერთო და ისინი ფრაზეოლოგიზმებად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად:

ზედწარს ესერნ ლგუარგუდ იდი (ბზ.) „გემოვნებიანი კაციაო (პაიჭსაცო თავადურად იცვამს)“.

მიჩა ფხულწარგქა უშქუთე ლედი მამგუტემ ესერ ხულტა (ბზ.) „მეტისმეტი ღარიბიაო (მისი თითების გარდა პირ{ის}კენ {ჩა}-სა-დ-ებ-ი არა საქმეო აქვს)“.

ლდწესერ ნამბიზომ კუტეც, მეხარ – მანდშუ (ბზ.) „წუწუნა, გაუმადლარი ადამიანიაო (დღესო სიმამლრით კვნესის, ხვალ – შიმშილით)“, შდრ. ჩოლ. ლაღწესერ ნამბიზომ კუტეც, მეხარ – მაიდშუ, რომელიც ჩოლურულში სწორედ გაუმადლარი, წუწუნა ადამიანის აღმნიშვნელია და მოისაზრება არა როგორც ანდაზა, არამედ ფრაზეოლოგიზმი.

გუტემ ესერ ხანსისგ, ჳნდ ხალბტ (ბზ.) „მუშაობა არ უყვარს, ჳამა უყვარს (საქმეო ეჯავრება, მუცელი უყვარს)“.

ღემ ესერ ლეხტებ ლი იღემ ლეთრე (ბზ.) „უფხო, ბედოვლათი ადამიანიაო (არცო საჭმელი არის და არც სასმელია)“, მსგავსი ფრაზეოლოგიზმი, ამავე მნიშვნელობით, დასტურდება ჩოლურულშიც.

ღემ ესერ ლერბეთ ხანწამ ი ლემ ქანჯ-ჰემან (ბზ.) „სავსებით ურწმუნოაო (არცო ღმერთ-ი ს-წამ-ს და არც ქანჯ-ემან-ო)“.

მანგ აშხუ ბალაჟესერ ისერხ (ბზ.) „ერთობა აქვთო (ყველა ერთ ფოთოლზეო შარდავენ)“.

ლაჩრემიჟი იქანუნანლ, ლაზობჟი ისტარუნანლ (ბზ.) „მეტსმეტი ზარმაცია („ქმნაზე იცდენს, ჳამაზე პირჯვარს ისახავს)“.

ცავგაჟესერ სგურ (ბზ.) „მოუსვენრადაა (ეკლებზეო ზის)“.

ციცტუ ი შდუგტუ აშ ესერ ხერღახ უშხტარ (ბზ.) „გამუდმებით ჩხუბობენ (კატა და თავგ-ი ა-ს-ე-ო ერევიან ერთმანეთს)“.

**ჭყანისგა ღუშეს ესერ აჰნე** (ბზ.) „მეტისმეტად მდიდარიო (ქონში ბადექონსო აღნობს)“.

**პეხილს ნაცმუნისგ ესერ აჰნე** (ბზ.) „მეტისმეტად მდიდარიო (მუცლის ქონს ცმელ-ში-ო აღნობს)“.

**ნინ ესერ ტებდი, გუი მცცხი** (ბზ.) „ორგული, თვალთმაქცი ადამიანი („ენა-ო თბილ-ი, გულ-ი ცივი“)“.

**ჰაკუდურ ლგქანდ ესერ ლი** (ბზ.) „უკულო ამპარტავანიო („უ-კუდ-ო-დ შეცდენი-ლიო არის“)“.

**სგუბინხან ხაფაშგუე, ტეშინხან ხატაბე** (ბზ.) „ორგული, აფერისტი ადამიანი („წინიდან ხელს უსვამს, უკნიდან ათლის“)“.

**ჟესერ დეცს ხარაჟა, ჩუ – გიმს** (ბზ.) „არაფრის მქონე, ღარიბ-ლატაკი ადამი-ანიო („ზევითო ცა-ს მი-ჩერ-ებ-ი-ა, ქვე – მიწას“)“.

**თუეთნე შდგქარს ესერ აწუნენე, მარე გუტ ესერ მეშხე ხაჟა** (ბზ.) „ადამიანი, რომელიც გიცინის და მიწას გითხრის, ორგული, ორპირი, ბოროტი ადამიანი (თეთრ კბილებსო აჩენს, მაგრამ გულ-ი-ო შავი უ-ძ-ევ-ს)“.

**ჟიბატ ესერ ბიქუს ესჭიმ, ჩუბატ – ლიცს** (ბზ.) „დაეთრევა, დაწანწალებსო („ზევითო ბუქ-ს მიჰყვება, ქვემოთ – წყალს“)“.

**ჩაჟს ესერ ჩახქეხა ი წელს ჟახსგურენა** (ბზ.) „ღაიმცირა, ჩამოაქვეითა საკუთარი რეპუტაცია („ცხენიდანო აცილებიაჩამოქვეითებულა და ვირს შენაჯდომა“)“, მსგავსი მნიშვნელობით დასტურდება ჩოლურულშიც, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ა. კორძაიას მიერ ანდაზად მიჩნეული გამონათქვამი, აშკარად ფრაზეოლოგიზმია. რაღა თქმა უნდა, იმავეს თქმა შეგვიძლია დანარჩენ საანალიზო ილუსტრაციებზეც.

ქართულში, როგორც უკვე ითქვა, ხშირია ანდაზისგან იდიომის მიღების შემთხვევები. რაღა თქმა უნდა, მსგავსი ვითარება დასტურდება სვანურშიც. მაგალითად:

**აბაჟმ ჭვბ** (ლხმ.) „აბაის ნიშა“ ← **აბაჟმ ჭვბ მეშე ფურრე ლამქარდ ესერ ომსედ** „აბაის ნიშა მეწველი ფურების მოქიშპედ დარჩენილაო“.

**ღირიშ გარ მუმქური** (ლხმ.) „ადამიანი, რომელიც მხოლოდ ლუკმა-პურზე ფიქრობს“ ← **ამახტ ესეროტ ლი ღირიშ გარ მუმქური** „მხოლოდ მტერი იყოს მარტო პურის შემყურე (მტერიომცა არის პურის მხოლოდ მჭვრეტი)“.

**ამბანტიმ გუიდასგა ლიზელაღნე** (ბქ.) „დაფიქრება“ ← **ამბანტ მანკუ გუიდასგაოღ ესზელაღნე, ნენქა ერქანღუეოღუ ანგურნე** „ამბავი ჯერ გულში გაატარეო და ენაზე შემდეგ გამოავორეო“.

**ჩხარაფათე ლიტეხ** (ბქ.) „გადასხვაფერება, ნათქვამის ათასჯერ გადახარშვა“ ← **ამსტაღდს ჩხარაფათე ლატახ ესერ ხაკუ** „ადამიანს ცხრანაირი მოსაზრება უნდა გა-აჩნდესო (ადამიანს ცხრა-ფა-ს-კენ საბრუნებელიო უნდა)“.

**ღეცთეჟი კიბრე ლიგემ** (ბქ.) „მეტისმეტეი ამაღლება, სიამპარტავნე, მედიღურობა“ ← **ღეცთეჟი კიბ დან ესერ ხოგა** „ცამდე კიბე ვერავის მიუღვამსო“.

**ღეცთეჟი კიჩხე ლიგემ, ლეფხუნნ კაცხეი ლისგურე** (ჩოლ.) „სიამპარტავნე, მედიღურობა“ ← **ღეცთეჟი კიჩხე ლიგემ ი ლეფხუნნ კაცხეი ლისგურე ლახტბა ლოქ ლიხ** „ცაზე კიბის მიღმა და ცხვირის წვერზე დასმა ძმები არიანო“.

ემუხე ავს ი მერმე ბავს (ბქ.) „ერთი ალთას, მეორე – ბალთას“ ← ემუტი ავს ესერ ლემრავდინ, მერმე – ბავს „ერთი ალთას ლაპარაკობდაო, მეორე – ბალთას“.

უკლატნაშ ლიკლატნე (ბქ.) „გაჭირვებისგან ყოველგვარი საქმის კეთება“ ← თგმი მარა უკლატნას ესერ ხაკლატნე „გასაჭირი კაცს რას არ გააკეთებინებს (თმ-ენ-ა კაცს გა-უ-კალო-ებ-ელ-ს-ო ა-კალო-ებ-ინ-ებ-ს)“.

ზესყი კალტი ლიკლატნე (ბზ.) „ნელლი კალოს ლეწვა“ ← თგმი ამსტნლდს ზესყი კალტს ესერ ხაკლატნე „გაჭირვება ადამიანს ნელდ კალოს გააღეწვინებსო“.

ქუნუქუთდქტინუქტიოდ ლირდე (ბქ.) „გატრუნვა, ხმის გაკმენდა“ ← იმეტესერ ქუნუქუთდ ლირდე ზოჩა, იმეტუ – ლიჭერალ „ზოგან ჩუმიდ ყოფნა სჯობს, ზოგან კი – ხმაურობაო (სადო სულგანაბულად ყოფნა სჯობს, სად – ხმაურობა)“.

ჰპრი-ბპრი ნინ (ბქ.) „ცარიელი ენა“ ← იმეტუ-იმეტუ ჰპრი-ბპრი ნინ ესერი ოლ-მპრე „ზოგან ცარიელი სიტყვაც გამომდგარაო (სად-სად ცარიელი ენა-ო-მცა ვ-ა-რგ-ებ-ულ-ა)“.

შდგქ-ლეღგტიამშ ლიყუფე (ბქ.) „გაბრაზება, განრისხება“ ← ინჯარს შდგქმი ლეღგტი ესერ ოხყტიფა „ჯავრს ძირი კბილი ამოუძვრიაო“.

შტიქ-ლეღგტი ლიქთუნე (ჩოლ.) „განრისხება, გამწარება“ ← თგმი-წგხის შტიქ-ლეღგტი ლოქ ოხქუთუნა „გაჭირვებას ძირი კბილი მოურყევიაო (თმენ-ა-წუხ-ილ-ს კბილ-სა-გულ-ე-ო მოუქნევია)“.

ანზს ლირკინე (ბქ.) „გამწარება“ ← იშგნემ ბედჟი ლმდლ ანზს ესერ დარ ხპრკინა „სხვისი გულისთვის ანწუხზე არავინ დაჰკიდებიაო (სხვის ბედ-ზე მთლად ანმა-ს-ო არავინ ნაკიდება)“.

მერმემიშგნემ ჰამპრჟი ლისედ (ბქ.) „სხვის იმედად დარჩენა“ ← იშგნემ ჰამპრჟი ლერემ ესერ ურტმინად ომსედ „სხვისი იმედით საქმე გაუკეთებელი დარჩაო (სხვის ამარა-ზე საქმნელიო გაუკეთებლად დარჩენილა)“.

ნგნემ კაცხჟი ლიდისგ (ბქ.) „რომ ვერ იხსენებ რაღაცას“ ← კალუნ მარა ნგნემ კაცხჟი ხპზ, ეჯი ესერი ხემდნი „ზოგჯერ კაცს ენის წვერზე რომ აღევს, ისიც ავიწყდებაო (ზოგჯერ კაცს ენ-ის წვერზე ა-მ-ევ-ს, ისიცო ავიწყდება)“; მარა მპგთან ნგნემ კაცხჟი ნემოტ ხპზ „კაცს ყველაფერი ენის წვერზე ნუ აქვსო (კაცს ყველანაირი ენ-ის წვერზე ნუ-მცა-ო ა-მ-ევ-ს)“.

ნინე კაცხჟი ლიგურანალ (ჩოლ.) „რაღაცის დავიწყება“ ← მგწგხჟი ლქტის ჩნლმ ნინე კაცხჟი ლოქ იგურანალ „საჭიროებისას სათქმელი ყოველთვის ენის წვერზე გორაობსო (საჭიროებისას სათქმელი ყოველთვის ენ-ის წვერზეო გორაობს)“.

წგნს ლიწბინე (ბქ.) „აწონ-დაწონვა“ ← ლმდლ მპგ წგნს დემ ესერ ხეწბინი „მთლად ყველაფერი სასწორს არ დაეკიდებაო (მთლად ყველა სასწორს არ ეკონწიალება)“.

ლანგნალდლ|ლანგალდლ მეყდე (ბქ.) „გაჭორილი ადამიანი“ ← ლანგნალდლ მეყდე ლგცემ ესერ ლგე ლი „ყბადღებული წყალწაღებულიაო (სა-ენ-ო-დ დავარდნილი წყლისო წაღებული არის)“.

ლგპრდ დაგრა (ბქ.) „სამინლად ნერვიულობა“ ← ლგპრდ დაგრა ეურინ დაგრაშ ესერ გოტპრ ლი „ცოცხლად სიკვდილი ორჯერ სიკვდილის მაგვარიაო (ცოცხლად სიკვდილი ორ-ჯერ სიკვდილისო გვარ-ი არის)“.

ლუგტენიშ|ლგენიშ ლიშყედ|ლიკუანე (ბქ.) „ღირსების დაკარგვა“ ← ლგენ ლწდისგუჲ ესერ ლი ი ლაშყადშტი „ღირსება შექენითაც არისო და დაკარგვითაცო (ფასი დ-ებ-ით-ო არის და დავარდნითაც)“.

ლგცემ ლიყვლ (ბქ.) „ტყუილა საუბარი“ ← ლგც აყალოჲ, ძვ, მ'ესეროჲ აწფასეს „წყალი დანაყე, აბა, რა გამოგვიპო (წყალი და-ნაყ-ემ-ცა-ო, აი, რაომცა გამოვიდეს)“.

ლიცი ლიყლი (ბზ.) „ტყუილა საუბარი, წყლის ნაყვა“ ← ლიცი ლიყლისწნქა ლიც გარ ესერ ლი ბაც „წყლის ნაყვიდან მხოლოდ წყალი გამოვაო (წყლის და-ნაყ-ვი-დან წყალი მხოლოდო არის მოსალოდნელი)“.

ლიცი ლიყლი (ჩოლ.) „ტყუილა საუბარი, წყლის ნაყვა“ ← ლიცი მყელის ნაპჲდ ლოქ დემ ოთყალა „წყლის დამნაყველს ლუკმაც ვერ დაუნაყაო (წყლის და-მ-ნაყ-ვი-ელ-ს ლუკმაცო ვერ და-უ-ნაყ-ვი-ა)“.

მაღტწანიშ ლწტელიდ ლიდისგ (ბქ.) „ქონების გამოფენა“ ← ლგჲემ მეზგე მაღტწანს ლწტელიდ ესერ დემ ადისგ „თავმდაბალი ოჯახი თავის ქონებას საქვეყნოდ არ გამოჲფენსო (დამძალავი მოსახლე ქონებას საქვეყნოდო არ დ-ებ-ს)“.

გოგაშ ლიჲემ (ბქ.) „მათხოვრობა“ ← მანდ გოგს ესერ მეჲმინე ლი „შიმშილი კარდაკარ სამთხოვროდ ჩამოგატარებსო (შიმშილი მათხოვრობასო მადევნებელი არის)“

ნესყემ ჲომქა ლიგტწეწ (ბქ.) „ნემსის ყუნწში გაძვრომა“ ← მაღატ ნესყემ ჲომქ'ესერ მუგტწუნე ლი „სიყვარული ნემსის ყუნწში გამძვრენიაო (სიყვარული ნემსის ყუნწშიო გამძვრენელი არის)“.

აშტ ფატწნლისგა ლიყტწნალ (ბქ.) „ერთად გაზრდა“ ← მაღტწარ ლახტბა აშტ ფატწნლისგ'ესერ ლუმყტწინზ „მოსიყვარულე ძმები ერთ პერანგში იწვენენო (მოსიყვარულე ძმები ერთ პერანგშიო ნაწოლან)“.

ემტი გტმი ლიდისგ (ლზმ.) „სულ ერთ ხასიათზე ყოფნა“ ← მარა ჩიგარ ემტი გტი მოდ'ესერ ხოზ „ადამიანი ყოველთვის ერთნაირ გუნებაზე არ არის (კაცს ყოველთვის ერთი გულ-ი არაო უ-ძ-ევ-ს)“.

ქიმიშ ი ნაპჲ ემშუდ ლიზობ (ჩოლ.) „გამწარება“ ← ქიმიშ ი ნაპჲ ემშუდ მუზობს ლეზობი გამ ლოქ ათაშტწნა „ცრემლის და ლუკმის ერთად მჲამელს საჲმლის გემო დავიწყებიაო“.

ეწერძაშ სტეტრე ლიგემ (ბქ.) „დიდხანს რომ აცოცხლებ ადამიანს“ ← მახტწის ეწერია სოტწროჲ ლოხტეგ, ლაყტწრახენქა ლაგას მეგნად გარ ევლანდ ხოშილქა ესერ ხერდი „სახლის უფროსს მაგარი სვეტები შეუდგო, ლოგინიდან მარტო რჩევის მომცემად მეტწანს გაძლებსო“.

გტიძსგა ჲწნ ხობ (ბქ.) „უხარია რაღაცა“ ← მანდადარს გულისგა მუგტწდა ჲწნ ესერ ხობ „გახარებულს გულში თითქოს ხარი უბიაო“.

მერღჲემ ნახტწემ ლიცტრე (ბქ.) „ცუდი საქმის ჩადენა“ ← მერღჲემ მიჩ'ესერ ნახტწს ცტირე „ლოკოკინა თავის კვალს ტოვებსო (ლოკოკინა მისო ნავალს ტოვებს)“

ციცტიშ ი კტწენიშ ლიპურტინალ|ლიჩრდინალ (ბქ.) „სამინელი სიცივე“ ← მეცხის ციცტი ი კტწენ ესერ ოთჩინდა „სიცივეს კატა და კვერნა შეუყრიაო“.

ციცტიშ ი კტწენიშ ლიტწმწალ (ბზ.) „სამინელი სიცივე“ ← ქტწხი მეცხის ციცტი ი კტწენ ესერ ოთტუშტწრა „იანვრის სიცივემ კატა და კვერნა ჩახუტა ერთმანეთსო (იანვრი{ს} სიცივეს კატა და კვერნა-ო ჩაუხუტებია)“.

ციცტიში ი შტუგტი ლიტუმნლ (ბზ.) „საშინელი სიცივე“ ← მტცხის ციცტი ი შდუგ ესერ ჩ'ოთტუმა „სიცივემ კატა და თავვი ერთმანეთს ჩაახუტაო (სიცივეს კატა და თავვი-ო ჩაუხუტებია)“.

ციცტიში ი შტუგტი ლინჩგდნლ (ჩოლ.) „სიცივე“ ← მტცხი-ყაფრანობს ციცტი ი შტდუგტ ლოქ ოთნაჩდა „სიცივე-ყინვას კატა და თავვი შეუყრიაო“.

ნაგუნზიგ ნაპუ (ბქ.) „დამადლებული პური“ ← ნაგუნზიგ ნაპუ ჟალტესერ მოდ ოხკიდა „დამადლებული ლუკმა ძაღლსაც არ აუღიაო (ნა-გულ-ტკენი ლუკმა ძაღლ-ს)-ო არ აუღია)“.

ნამდუნ ნაპუ (ჩოლ.) „დამადლებული ლუკმა“ ← ნამდუნ ნაპუს ჟელნ ლოქ დემ ოზბი, მარე ლაიდრშ „დამადლებულ პურს ძაღლიც არ ჭამსო, კაცი მითუძეტეს“.

ულტშშ ისგაშ ლასმანთ'ლიშყედ (ბქ.) „გაჭირვებაში ჩავარდნა“ ← ნატლენის ულტშშ ისგაშ ლასმანთ'ესერ ლიკტანე ხნმთქტა „უქონლობას უღლის შიგა ტაბიკში შემოგდება სჩვევიაო“.

მამფუათე ლიშყედ (ჩოლ.) „დადუპვა“ ← მტტს თაშხენქა ოხსკინა ი მამფუათე ლოქ ოთსკინა „მატლი ყველიდან გადმოძტარა და მდულარეში ჩამხტარაო (მატლ-ს ყველიდან უ-სკუპ-ია და მდულარი{ს}კენო უ-სკუპ-ია)“.

გუმი ლიკტჰალ (ბქ.) „დამდურება, გაბუტვა“ ← ნთისოტუ ესკოჰალ გუ, მეჰერს მ'ესერ ლახენდროტას „ნათესავს დაემდურე, უცხოს რა დაემდურებაო (უცხოს რაო და-ე-ნდურ-ო-ს)“.

ლგცთე ლიკტანე (ბქ.) „გამეტება, ღალატი“ ← ნთის შიშდ ლგცთე ლიკტანე მოდ'ესერ ხაკუ „ნათესავს ხელად წყალში ჩაგდება არ უნდაო“.

დედშა ში ხაკუ (ბქ.) „არავისი დახმარება არ სჭირდება“ ← ნრდოტ რტქტ: დედშა როქ ში ხაკუ „არავინ თქვას: არავისი დახმარება მჭირდებაო (არავისიო ხელი უნდა)“.

ლგგრემ გუდსგა ფანტში ლითხელი (ბქ.) „მიზეზობა“ ← დერტალე ლგგრემ გულისგა ფანტს ესერ ხანთხელინა „ვიდაცა კვერცხის გულში ბეწვს ეძებდაო“.

ქინძი ბალანსა მიზეზი ლითხელი (ჩოლ.) „მიზეზობა“ ← დერხი ქინძი ბალანსანდ მიზეზს ლოქ ხეთხელი „ზოგი ქინძის ფოთოლშიც მიზეზს ეძებსო“.

თხუმემ ლიწური (ბქ.) „თავის მოკვლა, გამეტება“ ← დერხი მაროლ ადრწყანან თხუ ესერ იწურიხ „ზოგი კაცი სასმელთან თავს ისისხლებსო“.

ამხტ საფლანტრე ლინჭურე (ბქ.) „მოსპობა, განადგურება“ ← ჟი უკიდა შგურ მეხგე ამტ საფლანტრე ლუნჭურ'ესერ ხარ „მოუშორებელ სირცხვილს ოჯახი ერთ საფ-ლაეში ჩაფლული ჰყავსო“.

შინურ-ქუნურ ლიგცე (ბქ.) „სხვის ჩაურეკლად სიკვდილი“ ← სოფლიშ ამხტ სოფლიშ შინურ-ქუნურ ესერ ოლჯაცელი „სოფლის მტერი სოფლის ჩაურეკლად და-ლუპულაო“.

ქუნემ სედალა ლითილ (ლხმ.) „თავის სარჩენად გარჯა“ ← ქუნემ სედალა მარემ მაგოტ ადთილე „თავის სარჩენად კაცმა ყველაფერი უნდა გააკეთოსო (სულის შერ-ჩენისათვის კაცმა ყველაფერიმც იცოდვილა)“.

ქტინე სედალა ლითილ (ჩოლ.) „თავის სარჩენად გარჯა“ ← ქტინე სედალა ამსტალდ მაგტ ლოქ ადთილე „თავის სარჩენად კაცმა ყველაფერი უნდა გააკეთოსო („სული{ს} რჩენის გამო ადამიანმა ყველამცაო ეცადა“)“.

ქტინ ყიად ლიჯედ (ჩოლ.) „მობეზრება“ ← ქტინ ყიად ლოქ თაშნარ ერას ახვედა, ლიცტალ ლოქ ლადღიშ „ვილაცას ხაჭაპური მობეზრებიაო, ჩხუბი მითუმეტეს (სული ყია-დ-ო ყველიანი ვილაცას მოსვლია, ცილ-ა-ობ-ა-ო მთლად)“.

დარ ტოტშუ ლიჰტდღლი (ბქ.) „უხვად გაცემა“ ← ქორხენქა დარ ტოტშუ დარ ესერ აჰტდღლი (ბქ.) „სახლიდან ორი ხელით არავინ არიგებსო ქონებას“ და სხვ.

დარუ ტოტშუ ლიჰტდღლი (ბზ.) „უხვად გაცემა“ ← ქორხენქა კეთილს დარუ ტოტშუ ესერ დარ აჰტდღლი „ოჯახიდან ქონებას ორივე ხელით არავინ არიგებსო („სახლიდან კეთილ-ს ორ-ი ხელითო არავინ არ იგებს“)“.

გტეში შიარტუშ ლიბარგე (ჩოლ.) „უხვად გაცემა“ ← გტეში შიარტუშ მებნარგას ქორ-გტეში ლოქ ოთბარგა „სავსე ხელებით ქონების გამცემს სახლი დაუცარიელებიაო („სავსე ხელებით გა-მ-ბარგ-ებ-ელ-ს სახლი-სავსეო გა-უ-ბარგ-ებ-ი-ა“)“.

სგირი-მცხიდი ლიყტლურანლ, დარ ვნჭირ, ერქას ესერ ლი ბაც (ლხმ.) „სამუდამოდ გაყრა/დაშორება, არავინ რომ არ მოეღის, მაშინ არის მოსალოდნელიო („მიწიან-ცივად გა-ყოფ-ა, არავინ ელოდება, მაშინო არის მოსალოდნელი“)“...

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულის მსგავსი ვითარება დასტურდება სვანურშიც. სწორედ ამ შემოკლებული ანდაზებით ადვილი შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა, თუმცა, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ეს ხერხდება მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე და არცაა გასაკვირი, ვინაიდან დროთა განმავლობაში კონტექსტის გარემო დავიწყებას ეძლევა და რედუცირებული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს (მდრ. იდიომი გუმი ლიკტჰალ (ბქ.) „დამდურება, გაბუტვა“, რომელიც მიღებულია ანდაზისგან: ნთისოტ ესკოჰალ გუ, მეჰერს მ'ესერ ლახნდროტას „ნათესავს დაემდურე, უცხოს რა დაემდურებაო („უცხოს რაო და-ენდურ-ო-ს“)“, ასევე იდიომი ლგცთე ლიკტანე (ბქ.) „გამეტება, ლალატი“, მიღებულია შემდეგი ანდაზისგან: ნთის შიშლ ლგცთე ლიკტანე მოდ'ესერ ხაკუ „ნათესავს ხელად წყალში ჩაგდება არ უნდაო“, ხოლო იდიომი მამფუათე ლიმყედ (ჩოლ.) „დაღუპვა“, მომდინარეობს ანდაზისგან: მეტს თაშხენქა ოხსკინა ი მამფუათე ლოქ ოთსკინა „მატლი ყველიდან გადმომხტარა და მღუღარეში ჩამხტარაო“ და ა.შ).

სვანურში დასტურდება აგრეთვე ანდაზისგან წყევლის ფორმულების მიღების შემთხვევებიც. მაგალითად:

ბქშალოლტ ომთუყეფხი! (ბქ.) „მოისპე, განადგურდი!“ ← ბაქარბ ბქქდ ესერ ომთუყეფელი „მატყუარა უგზოუკვლოდ („ტყუილად“) დაკარგულაო“.

ტორ ი ლატხისოლტ ოთყულურად! (ბქ.) „მიწამ დაგაშოროთ ერთმანეთს!“ ← მალტარ ეხტ-ჭმშ ტორ ი ლატხის გარ ესერ ოთყულურან „მოსიყვარულე ცოლქმარი მიწასა და ნიჩაბსლა გაუშორებიაო“.

ისგუ ნამუნ-ნათუნ ნომოლტ ედჯიჩა! (ბქ.) „შხამად შეგერგოს შენი ნაჭამ-ნასვამი!“ ← ნამუნ-ნათუნს ქა ლიჯჩ'ესერ ხაკუ „ნაჭამ-ნასვამს გამონელება უნდაო“.

ნამუნ-ნათუნ ნოსანტ ეჯტნმა! (ჩოლ.) „ნასვამ-ნაჭამი არ მოგენელებინოს“ ← ნამუნ-ნათუნს ხოჩა მეტმე ლოქ ხაკუ „ნასვამ-ნაჭამს კარგი მომნელებელი უნდაო“ და ა.შ.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, სვანურშიც ქართულისებური ვითარებაა.

ანდაზათა სინტაქსურ ჭრილში განხილვა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეს ხატოვანი, დიდაქტიკური სემანტიკის მატარებელი გამონათქვამები წარმოადგენენ დასრულებულ წინადადებებს და მთლიანად წინადადების ეკვივალენტად გვევლინებიან.

ანდაზაში აქტანტი და ზმნა-შემასმენელი გამოთქმის ორგანულ ნაწილს შეადგენს და ხშირ შემთხვევაში წინადადების წევრთა სინტაქსური რიგი მყარია, თუმცა სვანურში იშვიათად გვხვდება შემთხვევები, როცა წევრთა გადაადგილებით არ ირღვევა წინადადების სტრუქტურა. მაგალითად:

**დერხი ქინძი ბალანდსა მიზეზს** ლოქ ხეთხელი „ზოგი ქინძის ფოთოლშიც მიზეზს ექებსო“.

**დერხი მიზეზს ქინძი ბალანდსა** ლოქ ხეთხელი „ზოგი მიზეზს ქინძის ფოთოლშიც ექებსო“.

**ქიმიშ ი ნაპუ ეშხუდ მუზობს** ლეზობი გამ ლოქ ათშტნენა „ცრემლის და ლუკმის ერთად მჭამელს საჭმლის გემო დავიწყებიაო“.

ლეზობი გამ ლოქ ათშტნენა **ქიმიშ ი ნაპუ ეშხუდ მუზობს** „საჭმლის გემო დავიწყებიაო ცრემლის და ლუკმის ერთად მჭამელს“ და სხვ.

აღნიშნულ ილუსტრაციებში პირმიმართ (ირიბი დამატება) და პირმიუმართავ (უბრალო დამატება) დამატებათა გადაადგილებით, აგრეთვე, სუბიექტის წინადადების ბოლოს გადასმით არ დარღვეულა ჩვეულებრივი მარტივი წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია.

ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა შემცველ ანდაზებში წინადადების წევრებს შორის საინტერესო ურთიერთობა ყალიბდება, რადგან ცალკე აღებული ფრაზეოლოგიზმი რომელიმე წევრის ფუნქციით გამოდის, იგი ანდაზაშიც ანალოგიურად იქცევა და სიტყვის ეკვივალენტს წარმოადგენს. მაგალითად:

**ლანგნალდ მეშყდე** ლგცემ ესერ ლგე ლი „ყბადაღებული წყალწადებულიაო (საენ-ო-ღ დავარდნილი წყლისო წადებული არის)“.

**ლგარდ დაგრა** ძურინ დაგრაშ ესერ გოტპარ ლი „ცოცხლად სიკვდილი ორჯერ სიკვდილის მაგვარიაო (ცოცხლად სიკვდილი ორ-ჯერ სიკვდილისო გვარ-ი არის)“.

**ქიმიშ ი ნაპუ ეშხუდ მუზობს** ლეზობი გამ ლოქ ათშტნენა „ცრემლის და ლუკმის ერთად მჭამელს საჭმლის გემო დავიწყებიაო“.

**დეტთეჟი კიჩხე ლიგემ** ი **ლეფხუნნ კაცხჟი ლისგურე** ლახტბა ლოქ ლის „ცახე კიბის მიდგმა და ცხვირის წვერზე დასმა ძმები არიანო („ც-ის}-კენ-ზე კიბი{ს} დგ-მ-ა და ცხვირი{ს} წვერზე დასმა ძმებიო არიან“)“.<sup>2</sup>

<sup>2</sup> საანალიზო ანდაზა იმითაცაა საინტერესო, რომ ორი ფრაზეოლოგიური გამონათქვამის შემცველია: 1. **დეტთეჟი კიჩხე ლიგემ** და 2. **ლეფხუნნ კაცხჟი ლისგურე**.

ნაწილის უღუბს ისგაშ ლასმანთ'ესერ ლიკუანე ხამთქუა „უქონლობას უღლის შიგა ტაბიკში შემოვლება სჩვევიაო („უქონლობას უღლ-ის შიგინთას ტაბაკის)კენო გდება სჩვევია“)“...

განხილულ ილუსტრაციებში წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სუბიექტისა და პირმომართი დამატების ეკვივალენტებია და უმეტესად წინადადების თავში გვევლინებიან.

როგორც წარმოდგენილმა მასალამ აჩვენა, სვანურში ანდაზები, ძირითადად, მარტივი წინადადების (სოფლიშ ამახტ სოფლიშ შინურ-ქუნურ ესერ ოლგაცელი „სოფლის მტერი სოფლის ჩაურევლად დაღუპულაო“...) სახით გვხვდება. იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება შერწყმული (დცთეჟი კინხე ლიგემ ი ლეფხუნჳ კაცხში ლისგურე ლახტბა ლოქ ლიხ „ცაზე კიბის მიდგმა და ცხვირის წვერზე დასმა ძმები არიანო“...) და რთული წინადადებებიც (მახტშის ეწრია სოტაროტ ლოხეგ, ლაყურახენქა ლაგას მგენად გარ ეჯღად ხოშილქა ესერ ხერდი „სახლის უფროსს მაგარი სვეტები შეუდგო, ლოგინიდან მარტო რჩევის მომცემად მეტხანს გაძლებსო“...).

შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურ მრავალფეროვან ანდაზებში თითქმის ქართულისებური ვითარება გვაქვს. ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართება და ანდაზათა სტრუქტურული აგებულებაც დიდად არ განსხვავდება ქართულისაგან.

### ლიტერატურა

- აბაკუმოვი 1942:** С. И. Абакумов, *Современный русский литературный язык*, 1942.
- არხანგელსკი 1950:** В. Л. Архангельский, *Фразеология «Поучения» Владимира Мономаха в связи с общими вопросами фразеологии русского языка*, М., 1950 (საკანდ. დისერტაცია).
- ვინოგრადოვი 1953:** В. В. Виноградов, *Основные типы лексических значений слов, Вопросы языкознания*, 1953, № 5.
- ვულფიუსი 1929:** И. А. Вульфius, *К вопросу о классификации идиом, Русский язык в советской школе*, 1929, № 6.
- თაყაიშვილი 1961:** ა. თაყაიშვილი, *ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები*, თბილისი.
- მიხელსონი 1912:** М. И. Михельсон, *Русская мысль и речь, свое и чужое. Опыт русской фразеологии*, С.-Петербург.
- ნეიმანი 1941:** ა. ნეიმანი, *ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის“ მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები, პუშკინის სახ. პედ. ინსტ. შრომები*, ტ. I, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2008:** ზ. ჭუმბურიძე, *სვანური ანდაზების შესწავლისათვის, სვანეთი III*, თბილისი.
- დავითიანი 1973:** ა. დავითიანი, *სვანური ანდაზები*, თბილისი, 1973.
- კორძაია 2000:** ა. კორძაია, *სვანური ანდაზები (ლაპრაქდ არი)*, თბილისი, 2000.



## **Towards the Interrelationship of the Phraseologism and the Proverb in Svan Dialects and Sub-dialects**

### Summary

In previous article the attention is paid to the interrelationship of the phraseologism and the proverb in Svan, which has not been an object of particular study so far.

The work is mainly based on the collection of Svan proverbs published by A. Davitiani and A. Kordzaia, as well as the material obtained by us in the field conditions in Lentekhi District villages.

Collections of Svan proverbs include some materials that have nothing in common with proverbs. Due to this, we classified this material not as proverbs but as phraseological expressions.

As mentioned above, there are frequent cases of forming an idiom from a proverb in Georgian. A similar situation is confirmed in Svan.

Observation on the material made it clear that a similar situation exists both in Svan and in Georgian. These shortened proverbs make it easy to restore the whole text. Though, as is indicated in linguistic literature, it can be managed only on the initial stage and it is not surprising because with time the contextual environment is forgotten and the reduced unit becomes independent.

We also discussed the cases of formation of idioms and Curses from proverbs and studied the material in the syntactic aspect.

The discussion of proverbs in syntactic context is interesting insofar that these expressions by their figurative, didactic semantics represent complete sentences and are equivalents of the whole sentence.

In a proverb the actant and the predicate-verb represent the organic part of the proverb and in most cases (because of the rhyme of proverbs, rhythmicity) the syntactic order of the parts of the sentence is firm, although in Svan there are rare cases when the structure of the sentence is not violated by the replacement of its parts.

There is interesting relationship among the members of the sentence in proverbs containing phraseological expressions, because a phraseologism taken separately acquires a function of one of the members, it behaves analogously in the proverb and represents an equivalent of a word.

As the studied material has shown, in Svan proverbs are mainly represented in the form of a simple sentence. Rarely, but sentences with homogeneous parts and complex sentences are still confirmed.

## შერწყმული წინადადებისათვის სვანურში

წინადადებას, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი წევრი მოიპოვება, ერთგვარ-წევრებიანი, ანუ შერწყმული, წინადადება ეწოდება. „ერთგვარი კი ის წევრებია, რომლებიც ერთი და იგივეა, ერთი და იმავე სახისა (ერთი და იმავე შინაარსისა), რომლებიც მიემართებიან ერთსა და იმავე წევრს, ახასიათებენ მას ერთი ნიშნის მიხედვით. ერთგვარი წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან თანწყობის საშუალებით“ (გეგუჩაძე 2009:5).

შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს: ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარშემასმენლიანი, ერთგვარდამატებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი, ერთგვარგარემოებიანი და ნარევი, სადაც რამდენიმე ერთგვარი წევრია.

ქართულის მსგავსად, სვანურშიც წარმოდგენილია შერწყმულ წინადადებათა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფები, თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სვანურში იშვიათია ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები; „სვანურში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარშემასმენლიანი და ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები. შედარებით ნაკლებად – ერთგვარდამატებიანი, ხოლო ერთგვარგანსაზღვრებიანი და ერთგვარგარემოებიანი წინადადებები მეტად იშვიათია, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ სვანური არასალიტერატურო ენაა და ზედმეტ ეპითეტებს გაუბრუნებს“ (აბესაძე 1976:15).

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სვანურში არცთუ იშვიათია ერთგვარგარემოებიანი წინადადებები.

ნაშრომში განხილულია გარემოებიანი შერწყმული წინადადებები სვანურის ყველა დიალექტისა და ჩოლურული მეტყველების მიხედვით.

როგორც ცნობილია, გარემოება ხუთი სახისა არსებობს: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა, შესაბამისად, ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებაც ხუთი სახისაა.

სვანურში უფრო ხშირია ერთგვარი ადგილისა და ვითარებითი გარემოებიანი შერწყმული წინადადებები, ხოლო დროის, მიზეზისა და მიზნის ერთგვარი გარემოებიანი შედარებით ნაკლებად გვხვდება.

გარემოება, ძირითადად, ზმნისართით გადმოიცემა. შეიძლება გადმოიცეს ბრუნვიანი სიტყვითაც, უთანდებულად ან თანდებულად დართვით.

საკუთრივ ზმნიზელებით გადმოცემული ერთგვარი გარემოებიანი სვანურში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული, უფრო ხშირია თანდებულად და უთანდებულად სახელებით გამოხატული გარემოებიანი.

ველეურას **ერეს** ი **ამეზ** პრის მეზგალ – (პროზ. ტექსტ., III, 13) „ველეურაში იქით და აქით არიან ოჯახები“.

ლოლდჰქრე ჯოგარ დე **ერქად** ი დე **ათხე** დნს ეს ხაყენა – (პროზ. ტექსტ., IV, 22) „ცხვრების ფარა არც მანამდე და არც ახლა არავის ჰყოლია“.

მედად ლიცარქა ლგმზრ ლენი დეს **ერხენთე** ი დეს **ამხენთე** – (პროზ. ტექსტ., IV, 167) „მუდამ წყლებზე ყოფილა წასასვლელი ხან იქეთ და ხან აქეთ“.

**ერხენ-ამხენ** ი **რუქუნ** წგრნი არმინად ხეჭამ – (ჩოლ.) „იქით-აქეთ და ქვევით წითელი არშია მოყვებოდა (გაჰყვებოდა ზოლად)“.

**ჟიქნ** ი **ერხენთე** ემ ხოლიწ ურისკუს – (ჩოლ.) „ზევით და იქეთკენ ძაან ასხია ვაშლს“.

მნა **ლეჟა** იტრენტიელ ი მნა **ლექუა** – (ჩოლ.) „ხან ზევით ირწევა (აივლის უსაქმურად) და ხან ქვევით“.

ზმნისართები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მარტივადაც და თანდებულის დართვითაც.

სახელით გადმოცემული უთანდებულო ერთგვარი გარემოებები ერთსა და იმავე ბრუნვაში დგას:

ჩხარაშ **თანაღს** ი **ზაგარს** ქმერდელი – (პროზ. ტექსტ., I, 377) „ცხრა ქედზე და მთაზე გადასულა“.

მიჩა ჟელი **ლაგმდას**, მიჩა ჯანრე **ლაფშენოს** ი მიჩა **ხეხუმი** ლწმინდოს ესერ ლაჟუა მნა ლი – (პროზ. ტექსტ., I, 310) „მისი ძაღლის ყევის, მისი ხარების ფშვინვის და მისი ცოლის ხენემის გამო ძილი არ არის“.

ჩი **ჰამს** ი **ნებოზს** ხოფანეს – (პროზ. ტექსტ., II, 5) „ყოველ დილას და საღამოს სუფრას უდგამენ“.

იშკენ იზგან **გულიდს**, **კახერს**, **ლასკადარს**, **ლესემას** ი მერბე **სოფლარს** – (პროზ. ტექსტ., III, 6) „სხვები ცხოვრობდნენ გულიდში, ლასკადარში, ლესემაში და სხვა სოფლებში“.

კამილს **ლადენანშ** იცხემ ალ ჭყინტ ი კამილს – **ლეთანშ** – (პროზ. ტექსტ., III, 158) „მტკაველს დღისით იზრდება ეს ბიჭი და მტკაველს – ღამით“.

საყოფ გიმ **ლერხუმს** ი **იმერეთს** გარ ხულუახ – (პროზ. ტექსტ., IV, 187) „სამყოფი მიწა ლერხუმში და იმერეთში მარტო აქვთ“.

**ლეთშუ** ი **ლადანშუ** ჩიგარ ხაგედი – (ჩოლ.) „ღამით და დღისით ყოველთვის სძინავს“.

ერთგვარ გარემოებათა შეერთება შეიძლება კავშირიანიც იყოს და უკავშიროც. უკავშირო შეერთების დროს მთავარი საშუალებაა ინტონაცია: ერთგვარი წევრები თანაბარმხვილიანია, მათ შორის კი თანაბარი პაუზებია, რომლებიც, ძირითადად, მძიმეებით გადმოიცემა:

ჯუნიელდ სგობინჩუ, მუჭოდლექტა ლემრეკინხ ჩაფრასტდოს – (პროზ. ტექსტ., IV, 47) ძველად წინ (წინ-ქვემოთ) „მკერდზე იკიდებდნენ ჩაფრასტებს (სამკაულებს)“.

ღუაჟარ ატდრანლობჟი, მცხიერუდსა, ბუქტობჟი ფაყტცახან ლემგემინხ ბაშ-ლაყს (პროზ. ტექსტ., IV, 47) „კაცები ავდრისას (ავდრ-ობ-ისას), სიცივეებისას, ქარისას იხურავდნენ (იღვამდნენ) ყაბალასს“.

ათხე კიბდონარჟი ლემზგრძლს დრწსგიდ, ლაქტრანლჟი, ლაჰგრდემწლისგა, ყრარალჟი, გუალარჟი, ლალოლდმქირჟი, ლახშირჟი – (პროზ. ტექსტ., I, 10) „ახლა კიბობნებზე სეფისკვერებს ვდებთ, სარკმლებზე, დარბაზში ასასვლელელებზე, კარებზე, ბოსლებზე, ცხვრის სადგომზე (საცხვარეზე), საღორეზე“.

კავშირთაგან გამოყენებულია მაჯგუფებელი და მაცალკეებელი კავშირები: ი (და), სვან. ჰეჰჰა (თუ), ლშხ., ჩოლ., დეი – დეიდე – დედეთა – დეთა, ბქ. დეი – დეი, ლნტ., დეთა, ბზ., ლშხ., ჩოლ. დო – დო (არც – არც); სვან. დეი მოშ – დეი მოშდე მოშ – დე მოშ (ვერც – ვერც) სვან. ნო – ნო (ნურ – ნურც), ბქ. ნოდ – ნოდ (ნურ – ნურც), სვან. მარე, ლშხ., ჩოლ. მარამა (მაგრამ), ქს. ბზ. დედ – დედედ – ედ (ან – ან), ბქ. ხედ – ხედ (ან – ან), ლშხ., ჩოლ., ბზ. მრდეი (ან, ანდა), ბქ. მადეი (ან), ლშხ., ჩოლ. იეს – იესდეი – დესეს – ეს (ხან – ხან), ლშხ. მაი – მაი, ჩოლ. მნი – მნი (ხან – ხან), ბქ. მწ – მწ (ხან – ხან).

კოლექტიუს გულუე ლწჰემალ სოფელისკა ი ლახტარისკა – (პროზ. ტექსტ., III, 15) „კოლექტიუს გვაქვს სათიბები სოფელში და მთებში“.

ალდარ ლუნთისა ი ლუფხტისა ჩიგარ არიხ – (პროზ. ტექსტ., IV, 24) „ესენი ზამთარში და გაზაფხულზე ყოველთვის არიან“.

მწმ მეგდელხტი ლაშინლდ ი ლაყნარილდ – (ჩოლ.) „არ მოვსულვარ საომრად და საჩხუბრად“.

ეჩქადა დროდჟი ლათხტიარდ ი ლაშდლდ ალ ჳემტარ ი ბერჟი ცხუტარ ხალტუნახ ჩნს – (პროზ. ტექსტ., IV, 159) „მაშინდელ დროზე სანადიროდ და საომრადაც ეს მშვილდ-ისრები და რკინის ისრები ჰქონიათ ყველას“.

ლოლდმქრე ჯოგარ დე ეჩქად ი დე ათხე დნს ეს ხაყნა – (პროზ. ტექსტ., IV, 22) „ცხვრების ფარა არც მანამდე და არც ახლა არავის ჰყოლია“.

მნი ლეჟა იტრნტიელი ი მნი ლექტა – (ჩოლ.) „ხან ზევით მიირწევა და ხან ქვევით“.

ჳანარს ხობენს სატარს, დედ ლახტეთე ი დედ ცხეკეთე ლწხჟი – (ჩოლ.) „ხარებს შეაბამენ მარხილს, ან მთაზე და ან ტყეში წასვლისას“.

საინტერესოა თანდებულიანი ერთგვარი უბრალო დამატებებისა და გარემოებების ი „და“ კავშირიანი შეერთების შემთხვევები.

ქართული სალიტერატურო ენა ერთგვარ წვერებთან თავს არიდებს ერთი და იმავე თანდებულთა გამოყენებას და „და“ კავშირის წინ ასეთი წვერი უთანდებუ-

ლოდ, ბრუნვის ფორმით გამოიყენება: „თუ მიცემითსა და ნათესაობითში დასმულ ერთგვარ წევრებს (უბრალო დამატებასა და გარემოებას) ერთი და იგივე თანდებული მოუდის, უშუალოდ და-ს წინ მდგომი, ჩვეულებრივ, უთანდებულოდ იხმარება: ნადირები მიიმალნენ თბილს ბუნაგებსა და სოროებში... როცა ერთგვარი წევრები ორზე მეტია, და-ს წინ მდგომი, ჩვეულებრივ უთანდებულოა, დანარჩენებთან სჯობს თანდებულის განმეორება...“ (კვაჭაძე 1977:232).

სვანურში თანდებულებიანი სახელებით გადმოცემულ ერთგვარ გარემოებებს თანდებულები, ძირითადად, ცალ-ცალკე ახლავს თითოეულს და, შესაბამისად, ი „და“ კავშირის წინ მდგომიც თანდებულთ გვევლინება:

ალა მიჩა ქორთე ანვიდ, ხეხტთე ი მუხტბათე – (პროზ. ტექსტ., I, 378) „ეს თავისი სახლისკენ წაილო, ცოლისკენ და ძმისკენ“.

ლუფხტისა წტარს ხტადინ კუმაშს ხმნეხ მგწგხჟი ი თგმიჟი – (პროზ. ტექსტ., IV, 228) „გაზაფხულზე წველს ბევრჯერ საქონელს აჭმევენ საჭიროებისას და გაჭირვებისას“.

სკუტებინჩუნ ჯიბბრჟინ ი მეკარაწლინ ფოლაქნრ აწეგემი – (პროზ. ტექსტ., III, 31) „წინიდან ჯიბებზე და მკლავებზე ღილები დაამაგრა“

დნრ იყდგდა უშყტდალა ი ჯტინელლა – (ლშხ.) „არავინ ყიდულობდა გაურეცხავობის გამო და სიძველის გამო“.

აღდარს ლნრწლისა ი ლახტარისა ლირდე ხაზნახ – (პროზ. ტექსტ. IV, 24) „ამათ მინდვრებში და მთებში ყოფნა სჩვევიათ“.

ტალახს დეამ ხტატურად ყორჟი ლაგაგიჟი – (ჩოლ.) „ტალახს არ ვარჩენდით კარზე და ზღურბლზე“.

ლუბტჟრე ესღრის ლამტუხტთეჟა ი წლისთაჟთეჟა – (ჩოლ.) „ძაბებით მიდიან სამარემდე და წლისთავამდე“...

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში ნათლად ჩანს, რომ კავშირის წინ მდგომი ერთგვარი წევრები თანდებულდართული გვევლინება, მიუხედავად მათი (თანდებულთა) ერთგვარობისა.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აღნიშნული კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები სხვადასხვა თანდებულს მოითხოვს, ქართულის მსგავსად, სვანურშიც კავშირის წინ მდგომი წევრი თანდებულიანია:

ჟესთხიფ ნაკირტულა მუჭოდჟა, მეკრალჟა ი თწრალჟი – (ლშხ.) „დააფარა ძონდი მკერდზე, მკლავებზე და თვალებზე“.

კიჩხმოყ, ლაგაგიმოყ ი სგა ლაზისა მედნდ ჩუ ხოშიდ ნაჩფულჟარ – (ჩოლ.) „კიბესთან, ზღურბლთან და შესასვლელში ყოველთვის უყრია ფეხსაცმელები (ნაფეხსაცმლარი)“.

ჯტინილიშ-ჯტინელ გაზწთარ ხოლფარან სტოლჟლჟი შკაფარჟა – (ჩოლ.) „ძველისძველი გაზეთები ეფარა მაგიდასა და გარდერობებზე“...

ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში ვერ დავაფიქსირეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც კავშირის წინ მდგომი ერთგვარი გარემოებები უთანდებულოდ გვეკვლინება და ერთი საერთო თანდებული ბოლოს მდგომ წევრს დაერთვის (ასეთი შემთხვევა ერთადერთ ილუსტრაციაში შეგვხვდა, ისიც ერთგვარდამატებითებთან: ალძვრს დესმა ხულტახ ქონაზ რგდინ=გურნა—დ ტუჰრანქა (პროზ. ტექსტ., I, 152) — „ამათ არაფერი აქვთ ქონება როდინ-ქვასანაყისა და საცრის გარდა)“.

იმვითაა ისეთი შემთხვევებიც, როცა თანდებული ზოგ გარემოებას დაერთვის და ზოგს არა. ასეთი შემთხვევა, ძირითადად, მაშინ ფიქსირდება, როცა წინადადებაში ერთდროულად თავს იყრის საკუთრივ ზმნიზედებით გადმოცემული ერთგვარი გარემოებები და თანდებულისა და უთანდებულო სახელებით გამოხატული გარემოებები:.

ჩაფვლისკა ლინთუისკა ი ზატლანდელ წერაქტს ინჰხნახ წინდრე მგქაფ — (პროზ. ტექსტ., III, 7) „ფეხსაცმელში ზამთარში და ზაფხულზე თომს იფენდნენ წინდების ნაცვლად“.

ალ ძარბ ნაგაზა ლანდელისკა სემინ ხოფანენ: ძინარს, სანდლობჟი ი ტახშმოზჟი — (პროზ. ტექსტ., III, 63) „ამ ორ კვირას დღეში სამჯერ უდგამენ სუფრას: დილას, სადილობისას (სადილობა-ზე) და ვახშობისას (ვახშობა-ზე)“.

მახე ლუდსურე ლელტ ქამენ ი ლესკთე, ხილჟი ოხრეკენ ლაფრად (ჩოლ.) „ანალი დანაწევრებული ზორცი გარეთ და გვერდზე, ხეზე დაკიდეს გამოსაშრობად“.

როგორც ცნობილია, ქართულში ერთგვარ წევრებს გაძლიერების მიზნით დაერთვის ც „ცა“ ნაწილაკი, „რომელსაც რამდენადმე მაჯგუფებელი კავშირის ფუნქცია აქვს“ (კვაჭაძე 1977:232).

სვანურშიც ხშირია ი „ცა“ ნაწილაკის დართვა, თუმცა მეტ-ნაკლებად განირჩევა შემთხვევები, როდის შეიძლება დაერთოს ყველა ერთგვარ წევრს და რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ნაწილაკიანი ერთგვარი წევრი კავშირის წინ მდგომი.

თუ ზემოთ ხსენებულ ერთგვარ წევრებს (გარემოებებს) ჩამოთვლის ხასიათი არა აქვთ, ი „და“ კავშირის წინ მდგომი შეიძლება ნაწილაკიანიც იყოს და უნაწილაკიც:

ხათხელნახ ცხეკარისან რ კოჯარისად — (ლშხ.) „ეძებდნენ ტყეებშიც და კლდეებშიც“.

ემხტანრ ხორხან მაგ ნალიაჟი რ კირაჟჟი — (ჩოლ.) „არეული ჰქონდა ყველაფერი ნალიაზეც და საბძელზეც“.

იტოპანლდა ბალკურნარქა ი ხილარჟი — (ჩოლ.) „ეპოტინებოდა აივნებზე და ხეებზეც“...

ერთგვარ წევრებს თუ ჩამოთვლის ხასიათი აქვთ და ზმნა-შემასმენელს მოსდევნენ, ამ შემთხვევაში ნაწილაკის ადგილი თავისუფალია, შეიძლება ცალ-ცალკე დაერთოს ყველას, ან ბოლოს მდგომ წევრს:

ხეთხელდა ფექი კიბდონისან, ტაფანისან რ კასრუკალისანდმაგ — (ჩოლ.) „ეძებდა ფქვილის კიბობანშიც, ტაფაშიც და ქვაბებშიც“.

ქუესთხიფ ნაკირტულა **მუჭოდქა, მეწრნლქა ი თერალჟი** – (ლმხ.) „დააფარა ძონძი მკერდზე, მკლავებზე და თვალებზე“...

ხოლო, თუ ასეთი წევრები ზმნა-შემასმენელს წინ უსწრებენ, ნაწილაკი კავშირის უკან მდგომ ბოლო წევრს დაერთვის:

**სოფელისა, მეზტებელარისა ი ოჯახისა** კინჩხს იქტცა – (ლმხ.) „სოფელში, მეზობლებში და ოჯახშიც კისერს იჭრიდა“.

**ჟიქან, ჩუქტან ი ლესკარისა** ეშ ხოქსტგნდახ ბიქტ (ჩოლ.) „ზევით, ქვევით და გვერდებშიც უქროდათ ქარი“...

წარმოდგენილ მასალაში, ძირითადად, განხილული იყო ადგილის გარემოებიანი შერწყმული წინადადებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანურში აგრეთვე მეტად გავრცელებულია ერთგვარვითარებისგარემოებიანი შერწყმული წინადადებებიც:

ლეთრას მაგ **დედ ლასგრუმ** ითრა, **დედ – ლაქქუმ** – (პროზ. ტექსტ., IV, 14) „სასმელს ყველა ან დამჯდარი სვამდა, ან – ჩაცუცქული“.

**დერხი ქა** ხაზელნლტუნეს ჩაჟს, **დედ უბელ** ჩაჟს ი **დედ ლუტუნგირს** – (პროზ. ტექსტ., IV, 160) „ზოგი ატარებს კიდევ ცხენს, ან უნაგრო ცხენს და ან უნაგირიანს“.

აგითე ლგნდ მეგამს **მეწტინდ** ი **ფიგდ** ადწწყტეხ – (ჩოლ.) „სახლში მოტანილ მორს სწორად და ფართოდ აწყობენ“.

**ლგხტინჭად**, მარა **დანდგტელროლდ** სგტრდა – (ჩოლ.) „შეჭმუხნული (ამრეზილი), მაგრამ დინჯად იჯდა“.

ერთგვარი ვითარების გარემოებები სვანურში, ძირითადად, წინ უსწრებენ შემასმენელს:

ლგპენტაჟე მატყ **ნეც-ნეცინდ** ი **მურგტალდ** იდწყი ბარდანჟი – (ჩოლ.) „დაპენტილი მატყლი წვრილ-წვრილად და მრგვლად იწყობა ფართალზე“

ლათხტიართე ძინრუმ **ჟმად** ი **უთუნად** დეამ **ხეგნოლხ** – (ჩოლ.) „სანადიროდ დილაობით უჭმელად და უსმელი (უსმელ-ად) არ გაუდგებოდნენ ხოლმე“.

ჭიშხარ ხეკტეს **მეწტინდ**, **ტყუბდ**, **ხულტუნდეს** – (პროზ. ტექსტ., IV, 156) „ფეხები სწორად, ტყუბად უნდა ჰქონდეთ“.

თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა აღნიშნული გარემოებები შეიძლება შემასმენლის უკან აღმოჩნდნენ:

კიცს ქა **ხტაბტყელაჟიდ** დგთხელდ ი **ჯოდიანდ** – (პროზ. ტექსტ., III, 33) „ცომს გავაბრტყელებთ თხლად და გრძლად (გრძლ-ებ-ად)“.

**ჟი ლახასკურდახ** ხალიჩას **ტყუბდ** ი **კაკაჟდ** – (პროზ. ტექსტ., III, 169) „შემოაჯდნენ ხალიჩას ტყუბად და ცალად“.

ისევე, როგორც სხვა შერწყმულ წინადადებებში, რამდენიმე ერთგვარი გარემოების შეერთება შეიძლება კავშირიანი იყოს ან უკავშირო:

მწიკილი ჭიშხარს ლაფრად ფუკუი ი ლემიჟ ადგილს ხტუჭდედ – (პროზ. ტექსტ., III, 22) „მარხილის ფეხებს გასაშრობად მშრალ და მზიან ადგილს მივა-ყულებთ“.

მაი თგმი ლი ლაკრენკიელუმ ი კირინკაჩხტუმ ლინყავაალ – (ჩოლ.) „რა გა-საჭირია ცალიფეხით და კოჭლობით გასართობად სიარული“.

ღნს ხასმა ლაყურუმ, ლაგურანწლუმ ლიზგანლ – (ლშხ.) „არავის სმენია წოლით, გორაობით ცხოვრება“.

რამდენიმე ერთგვარი დროის გარემოება წინადადებაში არცთუ იშვიათობაა, თუმცა საკუთრივ ზმნიზელებით გამოხატული დროის გარემოებები ნამდვილად იშ-ვიათობაა და, შესაბამისად, შერწყმული წინადადების აღნიშნული წევრები თანდე-ბულიანი ან უთანდებულო სახელებით გადმოიცემა:

გუმგტე ნწთი მწრას ეჩქად ი ათხნე ჩიგარ ხაყლუნდა ცოდ-მადილდ (ლშხ.) „ჩვენ სანათესაოს მაშინაც და ახლაც ყოველთვის ეშიინოდა ცოდვამადლის“.

ლეგდ მიჩდა ამმიშ თელდ, ლწთ ი ხონკტილწთი – (ჩოლ.) „ავად ვიყავი ეს დღეები სულ, გუშინაც და გუშინწინაც“.

მაშენე იგვრჯილის დწრალე ლაჯღაჟი ი ლალკირალჟი – (პროზ. ტექსტ., IV, 177) „მეტად წვალობენ (გარჯა აქვთ) დირეების მოჭანისას და კირის გამოწვისას“.

ღგნთუ ი ლუფხუ ალ ლელწლ ჩიგარ მეშხე ფერიშ ლი – (პროზ. ტექსტ., IV, 194) „ზამთარს და გაზაფხულს ეს დღე (დელუკა) ყოველთვის შავი ფერისაა“.

კტეცენს აღწმიხ მანჟღორს ი მალფხს – (პროზ. ტექსტ., IV, 226) „ხორ-ბალს თესავენ შემოდგომაზე და გაზაფხულზე“.

ღრწიღიშ, ცწშ ი საფტინს მეზგახწწქა სწციქტ ღწმყინ ღგრდა (სვან. ქრესტ, 29) „ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს ოჯახიდან საციქველი არაფრით გადიოდა“.

ჩაფგლისკა ლინთუისკა ი ზატლწდედ წერაქტს ინწხნახ წინდწრე მტქაჟ – (პროზ. ტექსტ., III, 7) „ფეხსაცმელში ზამთარსა და ზაფხულში თომს იფენდწენ წინდების მაგიერ“.

ღიბურწლდ ი ლადღი ლიშტწწლდ ხაკუ აგითე ლიჯედ – (ჩოლ.) „დაღამე-ბამდე და დღის დამთავრებამდე უნდა სახლში მოსვლას“.

ღაღრწლჟი ი ლაშუშპარჟი ქტინი ყტეფას მაგ იტად – (ჩოლ.) „სიმღერისას და ცეკვისას სიკვდილს („სულის ამოხდას“) ყველა ნატრობს“.

გაგდაღს ღწმ აგწე ლაშხამატჟი, ლადღარწლჟი – (ჩოლ.) „არ ჩუმიდება („ნიკაპს არ აჩერებს“) შხამად ჭამისას, პურობისას („და-პურ-ებ-ის-ას-ზე“)“.

სიმიწდ ატღარწლობჟი ი მგცხიწრუჟი დემ ზოწმე ლიმიეს – (ჩოლ.) „სიმიწდი ავღრიანობისას და სიცივეების დროს ვერ ასწრებს დამწიფებას“.

რამდენიმე ერთგვარი მიზეზისა და მიზნის გარემოება, ისევე როგორც სხვა გარემოებები, შეიძლება წინ უსწრებდწენ ან მოსდევდწენ ზმწა შემასმენწლს, წინა-დადებაში მათი ადგილი შეზღუდული არ არის:



ალიარე **ყალაჩხუბაღა** ი **კრლმაკრლღა** ლარდა გუწარ მეშტხე – (ჩოლ.) „ამათი ჩხუბის გამო (ყაყანის გამო) და წივილ-კივილის გამო ცხოვრება აღარ გვაქვს (სამყოფი გვაქვს დალეული)“.

ღარ იყდღა **უშყუდაღა** ი **ჯუწინელღა** – (ლშხ) „არავინ ყიდულობდა გაურეცხავობის გამო და სიძველის გამო“.

**ლეგრბღა** ი **ლებნდაღა** დეამ ხუწინაჟი, **ღალო** – (ჩოლ.) „დასკრილის გამო და გაკერილის გამო არ დავიწუნებ, აბა“.

ემ ყულღა **ჯუწურხენქა** ი **მასტუნახენქა** – (ლშხ.) „ყვიროდა ჯავრისგან და ტკივილისგან“.

უგანაყუთილო **მაღატხენქა** ი **მასისკხენქა** ანდრი მაგ ხოლა – (ჩოლ.) „განსაკუთრებული სიყვარულისგან და ზიზღისგან მოდის ყველაფერი ცუდი“

ნარგილ არყალს იყდღლის **ლეღუტანდ** ი **ლარგატუდ** – (პროზ. ტექსტ., IV, 8) „თავში („პირველ პირ“) გამოხდომილ არყებს ყიდულობენ გასვენებისთვის და დასარიგებლადაც“.

ლეღუს ივმარის **ლეზობდ**, **ლორალდ**, **კონსერტალდ** – (პროზ. ტექსტ., IV, 21) „ხორცს იყენებენ (ხმარობენ) საჭმელად, შაშხებად, კონსერვებად“.

დერხი აგის ათხე დროდჟრ ასყის გოგაღს **მეგყერად** ი **მეგზად** – (პროზ. ტექსტ., IV, 189) „ზოგ ადგილას ახლა აკეთებენ გოგაღს (საჭმლის სახეობა) დასანაყრებლად და გასადღომად“.

დემერ იმერგინეს უჟღლტა ლახვს **ლაკუმამდ** ი **ლაჭმად** – (პროზ. ტექსტ., IV, 204) „ვერავინ ვერ იყენებს უჟაღის მთას საქონლითვის (სა-საქონლო-დ) და სათიბად“.

**ნაჯგურენ-ნაფანუნდ** ი **ლექორწილდ** მანში დიარს ღარ ივმარი – (პროზ. ტექსტ., IV, 228) „სუფრის წასადგმელად და საქორწილოდ ჭვავის პურს არავინ ხმარობდა“.

ბაზრობხო ასხრის **ლაღტაჭარდ**, **ლჭქეიფდ** ი ამკპლიბპრე **ლწყეიდ** – (პროზ. ტექსტ., III, 45) „ბაზრობაზე მიდიან სავაჭროდ, საქეიფოდ და ასეთების გასაკეთებლად“.

გიორგი **ლაქტერწილდ** ი **მისალოცდ** ლოქ შმეგედ დბუთითიშხო – (პროზ. ტექსტ., III, 49) „გიორგი საქორწილოდ და მისალოცად მოსულა დავითთან“

გოლზ ლახუარ მაჩენე ლის **ლაჩახტდ** ი **ლაჭემად** – (პროზ. ტექსტ., III, 4) „გოლას მთები საუკეთესოა საძოვრად და სათიბად“.

ეჯის ხაქტცეხ **ხუშდდინ** **საჟინჟდ** ი **ხუშადდინ** **ლაღარდდჟდ** – (ჩოლ) „იმას ჭრიან ბევრჯერ მარხილისთვის და და ბევრჯერ ტარისთვის“.

მეღად ხეთხნღლის მანჭკურაღს **ლეკდაღ** ი **ლეზობდ** – (ჩოლ.) „ყოველთვის ეძებენ სოკოს მოსატანად და საჭმელად“.

აჩმა გუწინყა **მოსაკითხდ** ი **ნაწღუნუნდ** – (ჩოლ.) „აჩმა გამოგვიცხვია მოსაკითხად და სანახავად“.

მამ მქედნელსტი ლაშინლდ ი ლაყარელდ – (ჩოლ.) „არ მოვსულვარ საომრად და საჩხუბრად“.

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, ერთგვარი მიზეზისა და მიზნის გარემოებები გადმოიცემა -**და** („გამო“), -**ხენქა** | **ხანქა** („გან“) თანდებულთა დართვითა და უთანდებულო ვითარებითის ფორმით.

ნ. აბესაძის მიერ იქნა შემჩნეული შემთხვევები, როცა გარემოებები სვანურში ზოგჯერ სხვა ფორმით არიან წარმოდგენილი, ვიდრე ქართულში (**მიჩა ჟელი ლადშდას, მიჩა დანრე ლაფშუ ლს ი მიჩა ხეხუმი ლაშინლს ესერ ლაჟუჟა მამალი** – (პროზ. ტექსტ., I, 310) „მისი ძაღლის ყეფის, მისი ხარების ფშვინვის და მისი ცოლის ხენეშის გამო ძილი არ არის“)“... მაგრამ ეს სინტაქსური თავისებურება არ არის. სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, ერთგვარგარემოებიან შერწყმულ წინადადებებში სვანური ქართულის ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს“ (აბესაძე 1977:25).

როგორც ცნობილია, ნებისმიერი სახის გარემოება სინტაქსურ წყვილს ქმნის, ძირითადად, შემასმენელთან ან სახელზმნით (საწყისით, მიმღებობით) გადმოცემულ რომელიმე წევრთან და მირთვით უკავშირდება მას. ქართულის მსგავსად, სვანურშიც, ერთგვარი გარემოებები სინტაგმას ქმნიან, ძირითადად, შემასმენელთან და სინტაგმის წევრს მირთვით უკავშირდებიან.

როგორც ვხედავთ, განხილული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და, საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურშიც ისევე, როგორც ქართულში უხვად მოიპოვება ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებები, რომელთა შეერთება შეიძლება კავშირიანიც იყოს და უკავშიროც. უკავშირო შეერთების დროს მთავარი საშუალებაა ინტონაცია, ხოლო კავშირთაგან გამოყენებულია მავგუფებელი და მაცალკეებელი კავშირები.

ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში თანდებულებიანი სახელებით გადმოცემულ ერთგვარ გარემოებებს თანდებულები, ძირითადად, ცალ-ცალკე ახლავს თითოეულს და, შესაბამისად, ი „და“ კავშირის წინ მდგომიც თანდებულთა გვევლინება

განხილული მასალა, ძირითადად, ეყრდნობა სვანურის პროზაულ ტექსტებსა და ჩვენ მიერ საველე პირობებში ჩაწერილ და მოპოვებულ მასალას.

### **ლიტერატურა**

**აბესაძე 1976:** ნ. აბესაძე, შერწყმული წინადადებები სვანურში, *თსუ შრომები*, ენათმეცნიერება, ტ-174, თბილისი.

**გვეუჩაძე 2009:** ქართული ენა, გამომც. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, ნაწილი მეშვიდე, თბილისი.

**კვაჭაძე 1977:** ლ. კვაჭაძე, *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*, თბილისი.

- სვან. პროზ. ტექსტ. 1939: სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.*
- სვან. პროზ. ტექსტ. 1957: სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.*
- სვან. პროზ. ტექსტ. 1967: სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.*
- სვან. პროზ. ტექსტ. 1979: სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.*
- სვან. ენის ქრესტ. 1978: სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.*

*Nato Shavreshiani*

## **Towards the Sentence with Homogeneous Parts in Svan**

### Summary

Both in Svan and in Georgian sentences with homogeneous parts (members) can have: Co-ordinated subjects, Co-ordinated objects, Co-ordinated predicates, Co-ordinated attributes, Co-ordinated adverbial modifiers; it can also be mixed, with several homogeneous members.

The presented work focuses on sentences with homogeneous adverbial modifiers, as scientific literature still shares the opinion that in Svan sentences with homogeneous attributes and homogeneous adverbial modifiers rarely occur. The research revealed that this view is wrong.

The reviewed material is rather varied and finally we can conclude that in Svan as well as in Georgian there are sentences containing several adverbial modifiers, which are joined by means of conjunctions or asyndetically. In case of asyndetic connection, the main means used is intonation.

Unlike Georgian, in Svan homogeneous adverbial modifiers expressed by postpositions are basically accompanied by postpositions attached to each adverbial modifier separately. Accordingly, even in front of the conjunction “and” postposition is retained.

As is known, there are five types of adverbial modifiers: place, time, manner, purpose and cause. Accordingly, there are five types of sentences with homogeneous adverbial modifiers, too.

In Svan sentences with homogeneous adverbial modifiers of place and manner occur more often and those with homogeneous adverbial modifiers of time, purpose and cause are relatively rare. Also, homogeneous adverbial modifiers expressed by adverbs are less spread, while adverbial modifiers expressed with or without postpositions are more frequent. In rare cases postposition is either added to adverbial modifiers or not.

Both in Georgian and in Svan homogeneous adverbial modifiers mainly form syntagmas with predicates by means of parataxis.

**„უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაცია და  
მოღალური სემანტიკის განვითარება<sup>1</sup>**

„უნდა“ დამოუკიდებელი ზმნის – „ნღმა“ სურვილი, წადილი – მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმაა. თანამედროვე ქართულში იგი გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი ზმნა და როგორც უცვლელი ელემენტი, რომელიც დაერთვის ზმნის ფორმას და ანიჭებს მას გარკვეულ სემანტიკას.

დამოუკიდებელი ფუნქციით ზმნა ორ მნიშვნელობას აღნიშნავს:

1. სურვილი აქვს, სწადია: *ბავშვს ძლიან უნდა ნამცხვარი.*
2. სჭირდება, ესაჭიროება: *ამ საკითხს კარგად ახსნა უნდა.*

„უნდა“ ფორმამ ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილების დიდი გზა გაიარა. ზმნის ძირად გამოიყოფა **-ნ: მ-ი-ნ-ა, გ-ი-ნ-ა, უ-ნ-ა** ძველ ქართულში ახლანდელი დროის ფორმა იყო, ხოლო წარსული დროის (უწყვეტლის მწკრივის) გამომხატველი ფორმა იყო **მ-ი-ნ-დ-ა, გ-ი-ნ-დ-ა, უ-ნ-დ-ა**, რომელშიც **-დ** არის სავრცობი, წარსული დროის გამომხატველი ფორმანტი. დაახლოებით IX-X საუკუნეებში **-დ** ფორმანტი ძირს შეუერთდა და ზმნამ უწყვეტელში ახალი **-ოდ** ფორმანტი დაერთო და ახალი პარადიგმა შეიქმნა: აწმყო – **უნდა**, უწყვეტელი – **უნდოდა**, აწმყოს კავშირებითი – **უნდოდეს**. XII საუკუნის ძეგლში, „ვეფხისტყაოსანში“, ამ ზმნურ ფორმაში **-დ** უკვე ძირეულია (სარჯველაძე 1986). თუმცა **მ-ი-ნ-ებ-ს, გ-ი-ნ-ებ-ს, უ-ნ-ებ-ს** ფორმები XVII საუკუნემდე არსებობს. ფაქტობრივად, ორი პარადიგმა ერთმანეთის გვერდით არსებობდა და გრამატიკალიზაციის პროცესი ორივე პარადიგმას თანაბრად და ერთნაირად შეეხო.

„უნდა“ ზმნა თავისებურია იმითაც, რომ მას რამდენიმეგვარი ცვლილება უკავშირდება. სალიტერატურო ენის განვითარების ადრეული საფეხურიდანვე ზმნამ ფორმობრივი ცვლილებაც განიცადა – ზმნის ძირს დაერთო **-ებ** თემის ნიშანი (მ-ი-ნ-ებ-ს, გ-ი-ნ-ებ-ს, უ-ნ-ებ-ს); ხოლო შემდგომ **-ებ** ძირს შეუერთდა და ფორმამ ახალი **-ავ** თემის ნიშანი დაერთო (მ-ნებ-ავ-ს, გ-ნებ-ავ-ს, უ-ნებ-ავ-ს). ახალ ფორმას დაუკავშირდა არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ ფუნქციური ცვლილებაც. ფორმამ თავაზიანობის გამომხატველი სემანტიკა განივითარა და თანამედროვე ქართულში გარკვეულ პრაგმატულ ასპექტში გამოიყენება: **რა გნებავთ? რას ინებებთ?** – „გინდა“ ზმნის თავაზიანობის გამომხატველი სპეციალური ფორმებია.

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, №218 000 „მოღალობის კატეგორია ქართულ ენაში“.

აწმყო	მინა გინა უნა	მინდა გინდა უნდა	მინებს გინებს უნებს	მნებავს გნებავს ჰნებავს
უწყვეტელი	მინდა გინდა უნდა	მინდოდა გინდოდა უნდოდა	მინებდა გინებდა უნებდა	[მნებავდა] გნებავდათ (ჰ)ნებავდათ
აწმყოს კავშ.	მინდეს გინდეს უნდეს	მინდოლეს გინდოლეს უნდოლეს	მინებდეს გინებდეს უნებდეს	მნებავდეს გნებავდეს (ჰ)ნებავდეს

## 1. გრამატიკალიზაციის პირველი ეტაპი: გინა/გინა თუ

გრამატიკალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ გაურთულებელ ძირს – „გინა“ ფორმას – უკავშირდება. **გინა/გინა თუ** ფორმები ადრეულ ძეგლებში ვლინდება. **გინა** „ნდომა“ ზმნის მეორე პირის ფორმაა. „გინა“ წინადადებაში ორ ფორმას აკავშირებდა და მაცალკეებელ კავშირად მიჩნეული. (შანიძე, 1976, 145) **გინა** უძველეს ტექსტებში დასტურდება:

- (1) „რომელსა უყუარდეს ძმ თვისი გინა ასული თვისი (მ. 10,37).
- (2) „არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი, გინა ღანი, გინა მამაჲ, გინა დედაჲ, გინა ცოლი, გინა შვილნი, გინა აგარაკი ჩემოვს და სახარებისა ამისთვის, უკუეთუ არა მოიღოს ასი წილი.“ (მრ. 10,29).

ამ კონსტრუქციაში **გინა** ფორმის **რეანალიზია** წარმოდგენილი. ფორმამ ნაწილობრივ შეინარჩუნა თავდაპირველი სემანტიკა „სურვილის გამოხატვა“, მაგრამ შეიძინა ახალი ფუნქცია – იგი დამოუკიდებელი ზმნისაგან გადაიქცა ორი ფორმის მაკავშირებელ საშუალებად. სუბიექტური მოდალობის სემანტიკის წინ წამოწევამ მისი მნიშვნელობის გადაწევა და ფუნქციის შენაცვლება გამოიწვია. სემანტიკური გადასვლა ამგვარად შეიძლება გამოიხატოს:

<b>გინა &gt;</b> <b>ზმნა:</b> გსურს, გწადა: მეორე პირის ფორმა	<b>&lt; გინა</b> <b>მოდალური ელემენტი კავშირის ფუნქციით</b> <i>სუბიექტის მიერ ობიექტისთვის შეთავაზებული თავისუფალი არჩევანი, რომელშიც სუბიექტის დამოკიდებულება განურჩევლია: თავისუფალი არჩევანი (არჩევითობა) და განურჩევლობა.</i>
--	---

ზმნური სემანტიკიდან („სურვილი, ნდომა“) განვითარდა მოდალური ელემენტის სემანტიკა და მასზე დაყრდნობით შეიძინა ახალი ფუნქცია. ლოგიკურია, რომ გრამატიკალიზაციის პირველი ეტაპი სწორედ **მეორე პირის** ფორმას დაუკავშირდა, რომელშიც უფრო მკვეთრად ვლინდება **სუბიექტის მიერ ობიექტისათვის** შე-

თავაზებული არჩევანი. ამდენად, „გინა“ ზმნური ფორმის რეანალიზის შედეგად მივიღეთ პირველი მოდალური ელემენტი „გინა“ მაკავშირებელი საშუალების სახით.

„გინა“ ფორმის მორფოლოგიური სახეცვლის პარალელურად (გინა > გინდა) მისი სემანტიკური და ფუნქციური ცვლილებები მექანიკურად გადადის ახალ „გინდა“ ფორმაზე: „გინდა“ ფორმით ჩანაცვლდა განხილული სინტაქსური კონსტრუქცია, ხოლო არჩევითობის სემანტიკა კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა.

(3) „მოახსენა: მე აქ მიახლებიაო, გინდა მოკალ, გინდა დაარჩინო.“ (რუსულ. 267, 36).

(4) „დღეის წაღმა გინდა შეილი ვარ შენო, გინდა ძმაო.“ (რუსულ. 259,37).

არის შემთხვევები, როცა ერთ წინადადებაში პარალელურად და სრულიად თავისუფლად თანაარსებობს ორივე ფორმა, ზმნური და მოდალური ელემენტი. ეს მიუთითებს ორივე ფენის აქტიურ არსებობაზე ენაში, რაც ცნობილია როგორც გარდაქმნის იერარქია (Hopper 1991).

(5) „თუ გინდათ, პატარა ნავით წადითო, გინდა გურიას, გინდა ახალციხეზედაო.“ (საბა, მოვ ზ. 243, 28).

გარდა იმისა, რომ (5) კონტექსტში ჩანს ერთი ფორმის ორივე ფუნქცია, ის ასევე ავლენს იმასაც, რომ არჩევითობის სემანტიკის გამოსახატავად ზმნის მეორე პირის ფორმის გამოყენებას მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა ფორმის სემანტიკის გათვალისწინებით.

„გინდა“ ფორმის პარალელურად ვრცელდება „გინდ“ ფორმა, რომელიც არის დეკატეგორიზებული ზმნური ფორმის სემანტიკური და ფონოლოგიური რელექცია – ლექსიკური სტატუსის დაკარგვასთან ერთად დაიკარგა მისი ხმოვნითი ნაწილი – პირის ნიშანი (Bybee, Perkins, Pagliuca 1994, 7-8). ამან გამოიწვია მისი სინტაქსური როლის გაზრდა და სხვადასხვა კონსტრუქციაში გამოვლენა. გინდა/გინდ მოდალური ელემენტი ჩანს კითხვით და მიმართებით ნაცვალსახელებთან ერთად და ქმნის ახალ კონსტრუქციას, რომელიც არჩევითობისა და განურჩევლობის სემანტიკას გამოხატავს მეორე სახელის არსებობის გარეშე: ვინ გინდ / რა გინდ / სადა გინდ / რომელი გინდ // ვინც გინდ / რაც(ა) გინდ / სადაც გინდ / რომელიც გინდ მოდელი მომდევნო ზმნასთან ერთად ქმნის არჩევითობის გამომხატველი სემანტიკის კონსტრუქციას, რომელიც კონსტრუქციაში მოცემული ორი ფორმის არჩევითობას კი აღარ გამოხატავს (შდრ.: (4) გინდ შეილი, გინდ ძმა), არამედ ზოგად არჩევითობას:

(6) „ფრინველი სადა გინდ დაჯდებაო...“ (რუსულ.).

(7) „თუ არ მოვიდე, მაშინ რომელი გინდა, იგი ქენითო...“ (რუსულ. 337, 19).

(8) „მიბრძანა, რაც გინდა მოხოვეო...“ (საბა, მოვ ზ. 203, 11).

„გინდ“ ფორმასთან თუ კავშირის გამოყენება (თუ გინდ / თუ გინდა) კონსტრუქციას ახალ სემანტიკას ანიჭებს, ესაა პირობითობა. ეს რთული სემანტიკაა, რომელიც გულისხმობს პირობით არჩევითობას, რომელსაც თუ აძლიერებს.

(9) „გამოავ ზაენე და თუ გინდა, შენც თან მოყევო.“ (რუსულ. 377,4).

**თუ გინდ / თუ გინდა** ფორმის სემანტიკური და ფონოლოგიური რედუქცია იწვევს ახალი ფორმის გაჩენას, რომელიც თანაბრად შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც „გინდა“, ისევე „უნდა“ ამოსავალ ფორმებს. მართალია, ამ ფორმას უკავშირებენ „თუ უნდა“ კონსტრუქციას (ჯორბენაძე 1988), მაგრამ მისი სემანტიკა – არჩევითობა და განურჩევლობა – გვაფიქრებინებს, რომ ის შესაძლოა „**თუ გინდ(ა)**“ ფორმის ფონოლოგიური რედუქციის შედეგადაც იყოს მიღებული: **თუ გინდა > თუგინდა > თუგინდ > თუნდ // თუ უნდა > თუნდა > თუნდ**.

ფორმობრივ და სემანტიკურ ცვლილებას მოჰყვება ახალი ნაწილაკების დართვა, რომლებსაც ახალი სემანტიკური ნიუანსები შემოაქვთ მოდალურ ფორმაში. -ც ნაწილაკის გამაძლიერებელი ფუნქცია დამატებითი სემანტიკით წარმოაჩენს ფორმას. -ც ნაწილაკით გართულებული ფორმები გვხვდება როგორც საშუალ ქართულში, ასევე თანამედროვე ქართულში.

*(10) „ჩემი აზრით რაღაც სიმართლე მართლაც იმალება ამ ცნობებში, რომლებიც გადმოიცემა ყოველმხრივ და ყველა სახით, როგორცაა ფილმები, დოკუმენტური გინდა თუ მხატვრული, ჟურნალ-გაზეთები, ან თუგინდაც მეგობრებში საუბრისას.“ (<http://gigol.net/531>).*

საბოლოოდ, „ნდომა“ ზმნის მეორე პირის ფორმის გრამატიკალიზაცია განვითარების ამგვარ სურათს გაჩვენებს:

**გინა > გინდა > გინდ > გინდაც > თუ გინდა / თუ გინდ > თუგინდაც**

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ „თუგინდაც“ ფორმა უკვე ერთად იწერება, რაც ამ ფორმას ახალ ფუნქციურ-სემანტიკურ ერთეულად წარმოაჩენს. გრამატიკალიზაციის პროცესი კი გულისხმობს ფორმის ამგვარ გარდაქმნას: რეანალიზი > დეკატეგორიზაცია > ფონოლოგიური რედუქცია.

## 2. „უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაცია

გრამატიკალიზაციის მეორე მიმართულებაა „**ნდომა**“ ზმნის მესამე პირის ფორმის გარდაქმნა მოდალურ ელემენტად, რომელმაც გაცილებით უფრო მეტი მოდალური სემანტიკა განივითარა, ვიდრე მეორე პირის ფორმამ, თუმცა მას არ განუცდია მნიშვნელოვანი ფორმობრივი ცვლილება. „**უნა**“ ზმნური ფორმა ძველ ქართულშიც გვხვდება და საშუალ ქართულშიც, თუმცა გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით ძველსავე ქართულში გვხვდება „**უნდა**“ ფორმა. „**უნებს**“ ფორმა კი XVIII საუკუნემდე გამოიყენება, ფუნქციური ცვლილება მხოლოდ „**უნდა**“ ფორმას უკავშირდება.

ძველ ქართულში „**ნდომა**“ ფორმის შემცველი ორი კონსტრუქცია ვლინდება: მასდარული კონსტრუქცია – **უნდა შესლვა** – და ჰიპოტაქსური კონსტრუქცია – **უნდა, რა თამცა შევიდეს**. უფრო ადრეულად სწორედ მასდარული კონსტრუქცია ჩანს. ჰიპოტაქსური კონსტრუქცია მოგვიანებით ჩნდება. ეს მიუთითებს მასდარით

გამონათული ფორმის გააქტიურებას, მის ზმნად ქცევასა და „უნდა“ ფორმის სინტაქსური ძალის დასუსტებას, რაც, საბოლოოდ, გრამატიკალიზაციამდე მიდის.

ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში **მინდა/ვინდა/უნდა** ზმნა მთავარ წინადადებაშია, ხოლო დამოკიდებულში ზმნა კავშირებითი კილოს ფორმითაა წარმოდგენილი. ძველ ქართულში ამ ტიპის კონსტრუქციას აკავშირებდა **რათა / რათამცა** კავშირი, ახალ ქართულში კი **რომ** კავშირი. კავშირის ელიფსისის შედეგად მკვიდრდება ახალი კონსტრუქცია: **მინდა, რომ გავაკეთო > მინდა გავაკეთო**. ფაქტობრივად, კავშირის დაკარგვამ შექმნა ბივერბალური სინტაქსური კონსტრუქცია (კოტინოვი 1986, ჯორბენაძე 1993, Harris, Campbell 1995). პირველი კონსტრუქცია ჰიპოტაქსის მეშვეობით გამოხატავდა სურვილს, ნდომას იმ მოქმედებისა, რაც დამოკიდებული წინადადების ზმნით არის გადმოცემული, ხოლო მეორე კონსტრუქცია კი არის სურვილის გამომხატველი ბივერბალური კონსტრუქცია, რომელიც გარდამავალ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ: **მინდა გავაკეთო > უნდა გავაკეთო**.

თანამედროვე ქართულისათვის **მინდა/ვინდა/უნდა** ზმნის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ნაკლებად პროდუქტულია, მაგრამ მის ნაცვლად აქტიურად გამოიყენება მოდალური კონსტრუქციები:

(1) <b>მინდა გავაკეთო</b> –	<b>სურვილის</b> გამომხატველი ინფინიტიური კონსტრუქცია.
(2) <b>მინდა გავაკეთო</b> –	სურვილის გამომხატველი მოდალური კონსტრუქცია, <b>მინდა</b> ზმნური ფორმისა და ძირითადი ზმნის კავშირებითი კილოს ფორმის შემცველი. კონსტრუქცია გამოხატავს <b>გადაწყვეტილების, განზრახვის</b> სემანტიკას.
(3) <b>უნდა გავაკეთო</b>	<b>ეპისტემური</b> მოდალობის გამომხატველი კონსტრუქცია, <b>უნდა</b> მოდალური ფორმისა და ძირითადი ზმნის კავშირებითი ფორმის შემცველი. გამოხატავს სხვადასხვა ტიპის მოდალობას.
(4) <b>უნდა გავაკეთო</b>	<b>დეონტური</b> მოდალობის გამომხატველი კონსტრუქცია, <b>უნდა</b> მოდალური ფორმისა და ძირითადი ზმნის კავშირებითი კილოს ფორმის შემცველი.

„უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაციის შედეგია ის, რომ მას აღარ შეუძლია სახელის ბრუნვაში მართვა. სახელს ბრუნვაში მართავს მასთან მყოფი ზმნა: **მას უნდა გავაკეთოს > მან უნდა გავაკეთოს** (Harris, Campbell 1995:176). კონსტრუქციაში ჩანს, რომ „უნდა“ ფორმას უკვე დაკარგული აქვს სახელის ბრუნვაში მართვის მორფოლოგიური უნარი, რაც მის დეკატეგორიზაციაზე მიუთითებს.

„უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაცია და მისი ახალი მოდალური სემანტიკა ვლინდება XV საუკუნიდან.

არჩევითობის სემანტიკა მეტად ახლოსაა „ნდომა“ ზმნის ძირეულ მნიშვნელობასთან. ეს სემანტიკა მესამე პირის ფორმისაგან მიღებულ **უნდა** მოდალურ ელემენტშიც აისახა, განსაკუთრებით იმ კონსტრუქციებში, რომელთაც ახლავს **თუ** კავში-



რი. „გინდა“ ფორმის გრამატიკალიზაციის პარალელურად „უნდა“ ფორმაც ავლენს მსგავს კონსტრუქციასა და სემანტიკას.

(11) „*მე თუნდა (თუ უნდა) ფრჩხილსა ზედა თმისა ამოსლვასა დავიჯერებდი, მაგრა მისვან ამას არ მოველოდი.*“ (ვისრ. 203, 6).

(12) „*უნდა ეტლით მივიდოდა, თუ უნდოდა ქვეითად საუნჯეში შევიდოდა.* (საბა, მოვზ. 220).

„თუ უნდა“ კონსტრუქცია პირობითი სემანტიკის გამოხატველია. იმ კონტექსტებში, რომლებიც პირველ პირს მიემართება, აშკარად ჩანს, რომ „თუ უნდა“ გრამატიკალიზაციის შედეგად უკვე ახალი ფუნქციითა და სემანტიკით გამოიყენება – ეს ფუნქციაა ორი ფორმის დაკავშირება და არჩევითობის სემანტიკის გამოკვეთა.

(13) „*ვაზირობა აღარ გინდა, მე თუ უნდა წავიდე, თუ უნდა, არაო.*“

ეს კონტექსტები ავლენენ, რომ „უნდა“ ზმნური ფორმის დეკატეგორიზაციის პარალელურად ენაში მიმდინარეობს „უნდა“ მოდალური ფორმის ახალი სემანტიკური და სინტაქსური ფუნქციით დატვირთვის პროცესი.

საშუალო ქართულშივე ჩნდება „უნდა“ ფორმის კიდევ ერთი მოდალური სემანტიკა: ესაა ვარაუდი. ეს სემანტიკა ვლინდება „რა უნდა“ კონსტრუქციასა და კითხვით წინადადებაში“.

(14) „*მიკვირს, რა უნდა იყოსო?*“ (ამირ. 795,22).

„უნდა“ ფორმის სხვა მოდალურ სემანტიკასთან ერთად, ვარაუდის გამოხატვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად ვლინდება თანამედროვე ქართულში.

ამდენად, უნდა ფორმის გრამატიკალიზაციის შედეგად განვითარების ამგვარი გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ. ფორმამ, ძირითადად, გაიარა გრამატიკალიზაციის შემდეგი ეტაპები:

რენალიზი > დეკატეგორიზაცია > აბსტრაქტიზაცია > ფონოლოგიური რედუქცია. აბსტრაქტიზაცია გულისხმობს „უნდა“ ფორმის მოდალური სემანტიკის მრავალმხრივ განვითარებას, რაც თანამედროვე ქართულში სემანტიკურად ჭარბ და მრავალფუნქციურ სურათს ავლენს. რაც შეეხება ფონოლოგიურ რედუქციას, იგი უშუალოდ „უნდა“ ფორმას არ უკავშირდება, მოდალურ კონსტრუქციებში მან სრულად შეინარჩუნა ფორმა, მაგრამ „თუნდა“ ფორმაში რედუქციის პროცესი გაგრძელდა: [უნა] > უნდა > თუ უნდა > თუნდა > თუნდ > თუნდაც.

### 3. უნდა ფორმის გრამატიკალიზაცია ქართული ენის დიალექტებში

სალიტერატურო ქართულში „უნდა“ ფორმის ფონოლოგიური რედუქციის პროცესი არ ვლინდება. მაგრამ ეს პროცესი, როგორც ჩანს, გაგრძელდა დიალექტებში. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სალიტერატურო ქართულში „უნა“ ფორმას საერთოდ არ შეხება არც გრამატიკალიზაციისა და არც ფუნქციური ცვლილების პროცესი. ფუნქციურ-სემანტიკური ცვლილება მხოლოდ „უნდა“ ფორმას დაუკავშირდა. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში (კახური, მესხურ-ჯავა-

ხური) „უნა“ ფორმა მოდალური სემანტიკითა და ფუნქციით დასტურდება: **უნა გააკეთო / წავიდე / უთხრა...** „უნდ“ რელუცირებული ფორმა დასტურდება ინგილოურში.

„უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაციის შედეგად დიალექტებში დასტურდება **-ნა / -ნდა / -და** ფორმები. **ნა-**, ძირითადად, ვლინდება ზმნის წინა პოზიციაში: **ნა წავიდე / ვიმუშაო / ვწერო...** ეს ფორმები სემანტიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და მათ შორის სხვა ფორმების ჩასმა დაუშვებელია. ხშირად ინტონაციურად არც გაიყოფა და ერთ სიტყვად აღიქმება. არსებობს მოსაზრება, რომ **-ნა** ფორმისთვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო „უნა“ ფორმა – **უნა > ნა**, ხოლო **-და** ფორმისათვის „უნდა“: **უნდა > ნდა > და** (ბერიძე 1983).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „უნდა“ ფორმის გრამატიკალიზაციის პროცესი დიალექტებში დასრულდა და ის იქცა კლიტიკად, რომელიც მოდალობის მაწარმოებელ საშუალებად გვევლინება და რომელიც გრამატიკალიზაციის შედეგად უკვე მკვეთრადაა დაშორებული ამოსავალ ფორმას. ამდენად, ქართული ენის დიალექტებში ფორმის გრამატიკალიზაციის ორი მიმართულება ვლინდება: ერთი მხრივ, **უნა > ნა**, ხოლო მეორე მხრივ, **უნდა > უნდ > ნდა > და**.

#### 4. გრამატიკალიზაცია და მოდალობის კატეგორია ქართულში

გრამატიკალიზაცია ქართულში ახალი სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა – მოდალობის კატეგორიის სისტემური გამოხატვა მჭიდროდ უკავშირდება გრამატიკალიზაციის პროცესს. ძველ ქართულში მოდალური სემანტიკა მხოლოდ სპეციალური ზმნების გამოყენების საშუალებით იყო შესაძლებელი (ჯერ არს, უკმს, ეგების, ძალ-უცს...). დაახლოებით XIV – XV საუკუნეებიდან ენაში დიდი ძვრები შეინიშნება და ეს უკავშირდება გარკვეულ ფორმათა სისტემურ ცვლილებებს. ამ ფორმათაგან ყველაზე დიდი ცვლილება სწორედ „ნდომა“ ზმნას შეეხო. მისი ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები, ამ ფორმასთან დაკავშირებული გრამატიკალიზაციის არაერთი მოვლენა გახდა საფუძველი მოდალობის კატეგორიის ჩამოყალიბებისა. მოდალობის კატეგორიის შესწავლა გრამატიკალიზაციის მოვლენის შესწავლის გარეშე ვერ მოხდება, რადგან ამ სისტემურმა ცვლილებამ არაერთი ფორმისა და ახალი სემანტიკის განვითარება გამოიწვია.

გრამატიკალიზაციის პროცესის კვლევა არა მხოლოდ ფორმის ცვლილების ანალიზს მოიცავს, არამედ იმ სემანტიკური ცვლილებების ახსნასაც ითხოვს, რომლებიც მომხდარა ენაში. ამ მხრივ, უნდა ფორმის სემანტიკური ცვლილება მეტად თავისებურ სურათს გვიჩვენებს. გრამატიკალიზაციისათვის ცნობილია სემანტიკური მახასიათებლების გაქრობის ან დაკარგვის შემთხვევები, მაგრამ „ნდომა“ ფორმის ანალიზი საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ ფორმის ახალი სემანტიკით დატვირთვის შესახებაც (სემანტიკური სიჭარბე). „ნდომა/წადილის“ ამოსავალი სემანტიკა ქართულში გახდა საფუძველი მეტად მრავალფეროვანი მოდალური შინაარსისა. ამ ფორმას დაუკავშირდა არაერთი მოდალური სემანტიკა. ის, რაც სხვა

ენებში რამდენიმე მოდალური ფორმით გადმოიცემა (must, have to, should), ქართულში „უნდა“ მოდალური ფორმით გამოიხატება. ეს აშკარად ავლენს ამ ფორმის სემანტიკურ სისავსეს (სიჭარბეს). ამდენად, დგება საკითხი, ამ სემანტიკური მრავალფეროვნებიდან რომელი სემანტიკა შეიძლება ჩაითვალოს ამოსავლად გრამატიკალიზაციის პროცესის საწყისი ეტაპისათვის და რომელი სემანტიკა ვითარდება შემდგომ, რომელია ძირითადი და რომელი განვითარებული?

გრამატიკული პროცესის პარალელურად სემანტიკური ცვლილება ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: „ნდომა“ ზმნური ფორმის გრამატიკალიზაციის პროცესის ანალიზმა აჩვენა, რომ პირველი სემანტიკური გადაწევა უკავშირდება არა მესამე პირის ფორმას, არამედ მეორე პირის გამომხატველ „გინა / გინდა“ ფორმას. „ნდომა“ ზმნის გრამატიკალიზაციის პირველ საფეხურად ვლინდება **თავისუფალი არჩევანის (არჩევითობის) და განურჩევლობის სემანტიკა**. დეკატეგორიზებული „უნდა“ ფორმაც ანალოგიურად ამ სემანტიკას ავლენს, თუმცა შემდგომ მასში პარალელურად იკვეთება ახალი სემანტიკა: ესაა დებიტივის, ვალდებულების, დენტური მოდალობისა და ეპისტემური აუცილებლობის ძირითადი სემანტიკა, რომელიც თავისთავად არაერთ სხვა სუბსემანტიკურ გაგებას გვაძლევს.

### **ლიტერატურა**

- ბერიძე 1983:** მ. ბერიძე, კავშირებითის წარმოების ერთი თავისებურებისათვის მესხურში, *საენათმეცნიერო ძიებანი*, თბილისი.
- გოგოლაშვილი 2011:** თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი.
- ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე 1988:** ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, *ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი*, თბილისი.
- ჯორბენაძე, 1993:** ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი 10, თბილისი.
- სარჯველაძე 1986:** ზ. სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, თბილისი.
- შანიძე 1976:** ა. შანიძე, *ძველი ქართული ენის გრამატიკა*, თბილისი.
- შარაშენიძე 1999:** ნ. შარაშენიძე, უნდა ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზი, *ენათმეცნიერების საკითხები*, № 4.
- კოტინოვი 1986:** ნ. კოტინოვი, *კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში*, თბილისი.
- პაპიძე 1981:** ა. პაპიძე, მეორე კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი 4.
- პაპიძე 1984:** ა. პაპიძე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი 6.
- Bybee, Perkins, Pagliuca 1994:** J. Bybee, R. Perkins, W. Pagliuca, *The Evolution of Grammar. Tense, Aspect and Modality in the Languages of the World*, Chicago, London.

**Harris, Campbell 1995:** A. C. Harris, L. Campbell, *Historical Syntax in Crosslinguistics Perspective*, Cambridge.

**Harris 1995:** A. C. Harris, Modal Auxiliaries in Georgian, „ფილოლოგიური ძიებანი“, თბილისი.

**Haan 2009:** F. de Haan, On the Status of ‘Epistemic’ *Must*, In: A. Tsangalidis & R. Facchinetti (eds.), *Studies on English Modality: In Honour of Frank Palmer*, Peter Lang, Bern etc., 261-284.

**Hopper 1991:** P. Hopper, On Some Principles of Grammaticalization, In: E. C. Traugott & B. Heine (Eds.), *Approaches to grammaticalization*, Vol. 1 (pp. 17-35), Benjamins, Amsterdam.

**Palmer 1999:** F. R. Palmer, *Modality and the English Modals*, London.

**Palmer 2001:** F. R. Palmer, *Mood and Modality*, Cambridge University Press.

**Sharashenidze 2014:** N. Sharashenidze, Epistemic Modality in Georgian, *Verbum*, Vilnius. ქართული ენის ეროვნული კორპუსი, <http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html>

*Nino Sharashenidze*

## **Grammaticalization of “unda” Form and the Development of Modal Semantics**

### Summary

Grammaticalization has given rise to a new system in Georgian. Beginning from XIV-XV centuries, major changes have been made in the language due to the systemic changes of certain forms. The most striking change can be observed with regard to the verb “**ndoma**” (want).

The analysis of the process of grammaticalization of the verb form “**ndoma**” (want) has revealed that the first semantic shift was related not to the third person form, but to the second person form “**gina/ginda**”. The first stage of grammaticalization of the verb “**ndoma**” (want) is related to the **semantics of free choice and indifference**. The decategorized form “**unda**” reveals the same semantics. Later it was enriched by another semantics, that of debitive, obligation, deontic modality and epistemic necessity, which, in their turn, gave rise to numerous sub-semantic contents.

Grammaticalization of the second person form of the verb “**gina**” (you want) underwent the following development: **gina** > **ginda** > **gind** > **gindac** > **tu ginda** / **tu gind** > **tugindac**. The process of grammaticalization means the following transformation: **reanalysis** > **decategorilization** > **phonological reduction**.

The development of the form **unda** can be represented by the following stages of grammaticalization: **reanalysis** > **decategorilization** > **abstracting out** > **phonological reduction**. Abstracting means a diverse development of the modal semantics of “**unda**”, which yields a semantically abundant and multifunctional content in contemporary Georgian.

The process of grammaticalization of the form “**unda**” is completed in the dialects, and it has turned into a clitic.

*(სტატიის შემოკლებული ინგლისურენოვანი ვერსია გამოქვეყნდა წიგნში: Historical Linguistics of the Caucasus, book of abstracts, Paris-Makhachkala 2017: Grammaticalization of “unda” Form in Georgian, p. 177-182).*

## დამწერლობა, როგორც Φάρμακον

ფონეტიკური დამწერლობის შემოღებით და ახალი საწერი მასალების გავრცელებით ანტიკურ საბერძნეთში გადამწვევტი ნაბიჯი გადაიღა წერილობითი კულტურის განვითარებისაკენ. ეს „საინფორმაციო რევოლუცია“ ადრეულ ეტაპზე კრიტიკულად შეფასდა. ამ კონტექსტში გვსურს წარმოვიდგინოთ დამწერლობის პლატონისეული კრიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი თეზისები დიალოგიდან „ფედროსი“. ნაშრომში ასევე განხილულია დამწერლობისა და ენის ურთიერთმიმართება, მათი მეშვეობით სამყაროს ირიბად შეცნობის პროცესი.

მთი თოტის შესახებ პლატონის დიალოგში „ფედროსი“ კარგად არის ცნობილი მასში არსებული დამწერლობის კრიტიკის წყალობით (Πλάτων, Φαιδρος). მთის მიხედვით, ეგვიპტური ღვთაება თოტი, ანგარიშის, გეომეტრიის, ასტრონომიისა და სამაგიდო თამაშების გარდა, წერის ხელოვნების შემოქმედცაა. იგი თავისი გამოგონებებით წარღვა ეგვიპტის ფარაონის წინაშე და განმარტა თითოეული მათგანის სარგებელი. როდესაც რიგი დამწერლობაზე მიღდა, თოტმა თქვა: „ეს გამოგონება ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას, დაიხსომონ ის, რაც სხვაგვარად დავიწყებას მიეცემოდა, რამდენადაც მოიძებნა წამალი (φάρμακον) მეხსიერებისა და ცოდნისთვის (μνήμη τε γὰρ καὶ σοφία) („ფედროსი“ 274 ე). თუმცა დამწერლობის შემოქმედს არ ჰყოფნის უნარი, სათანადოდ წარმოადგინოს საკუთარი ქმნილება. ფარაონი უკმაყოფილოა და საყვედურობს თოტს, რომ დამწერლობას საპირისპირო მნიშვნელობა მისცა: მისი გამოგონების წყალობით ადამიანებს მეხსიერება დაუჩლუნვდებათ, ისინი დაიხსომებენ არა შინაგანი ძალისხმევით, არამედ გარეგანი საშუალებებით. ამდენად, ეს გამოგონება არის წამალი მხოლოდ შესენების და არა მეხსიერების (οὐκ οὖν μνήμη ἀλλὰ ὑπομνήσεως φάρμακον ἦν ἔρε), მან შესაძლოა, გამოიწვიოს გულმავიწყობა (λήθη) („ფედროსი“, 275 ა-ბ).

“σὺν, πατήρ ὦν γραμμάτων, δι’ εὐνοίαν τοῦναντίον εἶπες ἢ δύναιται.

τοῦτο γὰρ τῶν μαθόντων λήθην μὲν ἐν ψυχῇ παρέξει μνήμη ἀμελετησίᾳ, ἄτε δὴ πίστιν γραφῆς ἔξωθεν ὑπ’ ἄλλοτρῶν τύπων, οὐκ ἔνδοθεν αὐτοὺς ὑφ’ αὐτῶν ἀναμνησκομένους: οὐκ οὖν μνήμη ἀλλὰ ὑπομνήσεως φάρμακον ἦν ἔρε. σοφίας δὲ τοῖς μαθηταῖς δόξαν, οὐκ ἀλήθειαν πορίζεις: πολυήκοοι γάρ σοι γενόμενοι ἄνευ διδαχῆς πολυσγνώμονες. “ (“Φαιδρος”, 275α)

პლატონის აზრით, დამწერლობა არ ზრდის ადამიანის ჭეშმარიტ ცოდნას. ნებისმიერი სიტყვა, ერთხელ ჩაწერილი, მუდამ იმეორებს ერთსა და იმავეს. დამწერლობა

უსიცოცხლო და უსულოა. შესაბამისად, იგი იძლევა არა ჭეშმარიტ ცოდნას (σοφία), არამედ წარმოსახვითს, ანუ ფსევდოცოდნას, წარმოდგენას, აზრს (δόξα); დამწერლობა ქმნის მხოლოდ წარმოსახვით ბრძენ ადამიანებს, დოქსოლოგებს, რომელთაც თავი ჭეშმარიტი ცოდნის მფლობელებად მიაჩნიათ და ყველაფრის განსჯას ცდილობენ. ისინი არიან მცოდნენი, მაგრამ არა გამჭრიახები.

**დამწერლობა არის მხოლოდ ანარეკლი და უსიცოცხლო ასლი ცოცხალი ენის პროტოტიპის, ჭეშმარიტი ზეპირი მეტყველების.** მას არ აქვს იგივე „რეალობა“ და „ძალა“. დამწერლობა ყოველთვის დამოკიდებულია ზეპირ მეტყველებაზე, როგორც საფუძველზე.

**დამწერლობა ვერ ირჩევს ადრესატს/მკითხველს, მას „არ შეუძლია საკუთარ თავს დაეხმაროს“ და მოითხოვს ავტორის ჩარევას.** ჩაწერილი სიტყვა (λόγος) მოივლის მსოფლიოს და უკონტროლო ხდება. ამიტომ იგი მუდმივად საჭიროებს მამას (ავტორს), რადგან არ იცის, როგორ დაიცვას და გაიმართლოს თავი, ანუ ვერ პასუხობს შეკითხვებს, ეჭვებს ან კრიტიკას. ჩაწერილი სიტყვა შედარებულია ფერწერულ ნამუშევარს: მხატვრობა „რეალისტური“ წარმოდგენით ხატავს მოტივის სიცოცხლისუნარიანობას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს და ნებისმიერ კითხვაზე ღუძილს ამჯობინებს.

**სიცხადეს და სისრულეს ვიღებთ ზეპირი და არა წერითი მეტყველებიდან** – ეს თეზისი წარმოადგენს წინა თეზისების კომბინაციას. მეტყველება არის კითხვა-პასუხის გაცვლის პროცესი, რომლის დროსაც მტკიცებულებები მოწმდება. მასწავლებელი იცნობს მოსწავლის სულს და შეუძლია, საკუთარი სიტყვები მოარგოს მოსწავლის შესაძლებლობასა და მზაობას. მოსაუბრეს ასევე შეუძლია, თავისი საუბარი განაახლოს და საკუთარი ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით წარმოაჩინოს.

საინტერესოა, თუ როგორ ორაზროვნად იყენებს პლატონი დამწერლობის განსასაზღვრად ტერმინს φάρμακον: თოტი ეუბნება მეფეს, რომ გამოიგონა სიბრძნისა და მეხსიერების წამალი “*μνήμη τε γὰρ καὶ σοφίαν φάρμακον ἦσθι*” („ფედროსი“ 274 ე). φάρμακον ბერძნულად აღნიშნავს საშუალებას, წამალს, თუმცა ეს შეიძლება გავიგოთ სხვადასხვაგვარად – როგორც სასარგებლო ან დამლუპველი წამალი, როგორც საწამლავი ან სამკურნალო საშუალება,<sup>1</sup> ანუ პლატონისთვის დამწერლობა არის მედიუმი, რომელიც ერთდროულად შეიძლება იყოს საზიანოც და სასარგებლოც.

პლატონის კრიტიკა არ არის მიმართული დამწერლობის, როგორც საინფორმაციო შუამავლის, როგორც მეხსიერების დამხმარის წინააღმდეგ. იგი ეჭვქვეშ აყენებს დამწერლობის უნარს, როგორც ცოდნის გადაცემის საშუალებისას და საკომუნიკაციო მედიუმისას. დაწერილს აქვს ცოდნის შეხსენების, მაგრამ არა სწავლების, ფუნქცია. შეტყობინების ან ტექსტის ბუნების შესახებ ღრმა ცოდნა რჩება ინფორმაციის გამგზავ-

<sup>1</sup> შდრ. J. Derrida 1972, "La Pharmacie de Platon". *La dissémination*. Éditions du Seuil, 88-89.

ნთან, მიძღვები მხოლოდ მაშინ შეიცნობს ინფორმაციის არსს (სულს), თუ იგი პირდაპირ კავშირშია შეტყობინების გამგზავნთან. ამდენად, მოსალოდნელია არასწორი ინტერპრეტაცია, მაგალითად: ცრუ იდეოლოგიის გავრცელება, დეზინფორმაცია. დამწერლობა ემსახურება შუამავლობას და არა ინფორმაციის ფორმირებას, ამიტომ თუ ფილოსოფოსი, ანუ ჭეშმარიტი ცოდნის მფლობელი, მაინც წერს, ამ ყველაფერს მხოლოდ გართობის ხასიათი აქვს, გართობისა და თამაშების. მისი მიზანია, დააგროვოს მოგონებების საგანძური „გულმავიწყი ასაკისათვის“. ბრძენი (თიძინ) ყოველთვის ფლობს უფრო ღირებულს (τιμώτερον) იმასთან შედარებით, რაც მან ჩაიწერა.

თუ პლატონის ტექსტებს მთლიანობაში განვიხილავთ (რომელთა არსებობაც გვიჩვენებს, რომ დამწერლობა ფილოსოფიური დისკუსიის ღირსია), მათ მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: პლატონს არ სურდა, დამწერლობასთან შედარებით, ზეპირი მეტყველებისათვის აბსოლუტური ღირებულება მიენიჭებინა, მაგრამ იგი აღიარებდა ინტუიციური ცოდნის სრულ უპირატესობას. მისთვის დამწერლობის პოლიტიკური თუ სოციალური სტატუსი, როგორც ჩანს, გამომდინარეობდა არსებული სიტუაციიდან საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ ზეპირიდან წერილობით კულტურზე გადასვლის ფაზაში იყო. მოგვიანებით დამწერლობა უფრო აქტიურად მონაწილეობს ათენის საჯარო სივრცის ჩამოყალიბებაში. ხანგრძლივმა ტრადიციამ აგორა – სავაჭრო მოედანი – აქცია ბერძნების პოლიტიკური კომუნიკაციის ცენტრად, სადაც λῆγις (სიტყვა) აზრების დემოკრატიული გაცვლა-გამოცვლის იარაღი გახდა, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ აგორაზე ასევე აღმართული იყო სტელები კანონებისა და წესების ტექსტებით.

შეიძლება ითქვას, რომ დამწერლობა, რომელიც პლატონისთვის კომუნიკაციის ახალი საშუალება იყო, დღევანდელი საინფორმაციო ეკონომიკის საფუძველია. დამწერლობა ადამიანური ცივილიზაციისათვის ურთიერთობის მთავარ საშუალებად იქცა, მან შესაძლებელი გახდა ფართო საზოგადოებისათვის ცოდნის ბაზის უზრუნველყოფა უკვე ცნობილი საგნებისა და საკითხების შემდგომი განვითარებისა და შესწავლისათვის. მთელი რიგი გენიალური აღმოჩენებისა თუ გამოგონებებისა წერის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული. ამრიგად, დამწერლობა არ არის აუცილებლად ცუდი მედიუმი, თუმცა ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ ფარაონს – როგორც ყველა ახალი ტექნოლოგიური საშუალება, წერის ხელოვნებაც ერთგვარად აღუნებს ადამიანს. არტურ შოპენჰაუერის აზრით, „როდესაც ვკითხულობთ, სხვა ფიქრობს ჩვენთვის, ჩვენ უბრალოდ ვიმეორებთ მის მენტალურ პროცესს“. სწორედ ამ მიზეზით, ის, ვინც ბევრს კითხულობს, თანდათანობით კარგავს შესაძლებლობას, თავად იაზროვნოს (შოპენჰაუერი 1988:§291).

„ფედროსში“ ფარაონი გამოხატავს უძველეს შიშს, შიშს იმისას, რომ ახალი ტექნოლოგიები რაღაც კარგს, დიდად ფასეულს, სულიერს შეცვლის ან მოსპობს. კაცობრიობის ისტორიაში სიახლის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების მაგა-

ლითები მრავლად გვხვდება. ისტორიულად ესა თუ ის სიახლე ხშირად არაფრის მომცემად ან, უარეს შემთხვევაში, ზიანის მომტანადაც კვალიფიცირდებოდა, ხდებოდა მისგან მიღებული პოტენციური სარგებლის იგნორირება. კრიტიკის ობიექტად იქცა ყველა საინფორმაციო რევოლუცია, რომელსაც შეიძლება თვალი მივადევნოთ უკანასკნელი ხუთი ათასწლეულის განმავლობაში: პირველი საინფორმაციო რევოლუციის დასაწყისად იქცა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება – დამწერლობა; მეორე გარდამტეხ მომენტად შეიძლება განვიხილოთ ხელნაწერი წიგნების გამოჩენა; მესამე საინფორმაციო რევოლუცია გერმანელ იოჰან გუტენბერგის სახელთან არის დაკავშირებული. გუტენბერგის გამოგონებამ სათავე დაუდო ბეჭდური წიგნის ხანას დასავლეთში (აიზენშტაინი 2005). მარკ ტვენი ამბობდა: „სამყარო, როგორც არის იგი დღეს, კარგი თუ ცუდი – გუტენბერგს ეკუთვნის“ (მერდოკი, მიულერი 2012:22); XX საუკუნის დასასრულს ახალ საინფორმაციო საუკუნეს უწოდებენ, მას უკავშირებენ მეოთხე საინფორმაციო რევოლუციას – კომპიუტერებისა და ინტერნეტის გავრცელებას. მარშალ მაკლუენი, რომელმაც გლობალური ეპოქის დადგომა იწინასწარმეტყველა, თავის ცნობილ წიგნში – „გუტენბერგის გალაქტიკა“ – აღნიშნავს, რომ ბეჭდვის გამოგონებიდან თანამედროვე ავტორებამდე გადაილახა აზროვნების სწორხაზოვნება, ხოლო 1960-იანი წლებიდან მას ცვლის უფრო გლობალური აღქმა: ჯერ ტელეგამოსახულებების, შემდეგ კი სხვა ელექტრონული საშუალებების სახით (მაკლუენი 1962).

ისევე როგორც დამწერლობის პლატონისეულ კრიტიკას, თანამედროვე მედიატექნოლოგიების კრიტიკასაც საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ მედიუმი უარყოფით გავლენას ახდენს შინაარსზე და, იმავდროულად, ურთიერთობაზე გამგზავნსა და მიძღებს შორის საუბრობენ დეპერსონალიზაციასა და პიროვნების ნიველირებაზე. თუ აქამდე ცოდნის მიღების დომინანტური ფორმა ბეჭდური იყო, მომავალი ციფრულ წიგნიერებას ეკუთვნის. ციფრულ წიგნიერებაზე გადასვლა შეუქცევადი და ინტენსიური პროცესია, რომლის შედეგებიც არაპროგნოზირებადია, ეს კი იწვევს შიშსა და დისკომფორტს. თანამედროვე მედიატექნოლოგიების წყალობით ინფორმაციულმა ნაკადმა მოიმატა, მაგრამ რაღაც მომენტში ინფორმაციის გაფილტვრა ისეთივე პრობლემური ხდება, როგორც ინფორმაციის არარსებობა. ძალიან რთულია, გაარჩიო ყალბი ინფორმაცია ნამდვილისგან, ამან შეიძლება, ხელი შეუწყოს ადამიანის საღი აზრისგან დაშორებას, დეზინფორმაციას. სწორედ ამიტომ განვითარების პროცესის წინსვლისთვის აუცილებელია მიღებული ინფორმაციის აღქმა, გადამუშავება, კრიტიკულად შეფასება და გაფილტვრა.

პლატონისთვის  $\lambda\rho\upsilon\varsigma$ , ანუ სიტყვა, არის ჭეშმარიტება და თავისუფლება, დამწერლობა კი ზეპირი მეტყველების უსიცოცხლო ასლია, დეგრადირებული  $\lambda\rho\upsilon\varsigma$ . თანამედროვე ენათმეცნიერებაში ზეპირი მეტყველება და ენა განიხილება როგორც ადამიანური ენის ერთიანი ფენომენი. ენა მხოლოდ მეტყველებით ახდენს თავისი კომუნიკაციური დანიშნულების რეალიზაციას (კაცნელსონი 2002:95; ვიგოტსკი 2001:1).



დამწერლობა კი ტელეკომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, საშუალება იდეების გაცვლის, მათ შორის, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო (დროის ან სივრცის დაშორება) მოკლებულია უშუალო ურთიერთობას მეტყველების მეშვეობით (თავდაპირველად ასე იყო). დამწერლობა არის მეტყველების გრაფიკული შესაბამისობა. დამწერლობის სისტემაში თითოეული ელემენტი – სიმბოლო, სილაბოგრამა, ლოგოგრამა თუ ასო პირველად სისტემაში, ანუ მეტყველებაში, შეესაბამება განსაზღვრულ ელემენტს – ბგერას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც ქმნის მარცვალს ან სიტყვას. ადამიანის მეტყველების გადმოსაცემად დამწერლობა თავისი ევოლუციის პროცესში წერის პიქტოგრამული სისტემით დაწყებული თანამიმდევრულად გადის სიტყვა-მარცვლოვან და საკუთრივ მარცვლოვან სისტემებს, სანამ ჩამოყალიბდება წერის კონსონანტური და ანბანური სისტემები (გელები 1963:193; პულგრამი 1976:1-28). ამ საფეხურზე გადასვლა ხერხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი ხდება მეტყველების დანაწევრება უმარტივეს ფონეტიკურ ელემენტებად – ბგერებად, რაც კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს გულისხმობს (გამყრელიძე 1989:78). შესაბამისად, დამწერლობის ისტორიის ადრეულ ეტაპზე ენის თავისებურებები მხოლოდ მცირე ხარისხით განაპირობებდნენ დამწერლობის თავისებურებებს, რადგან იგი, ძირითადად, მეტყველების აზრობრივ მხარეს ასახავდა და არ გადმოსცემდა ენის ფონეტიკას. როდესაც დამწერლობამ დაიწყო ენის უფრო ზუსტი ასახვა, მის განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენდა ენათა გრამატიკული, ლექსიკური და ფონეტიკური თავისებურებები. საყურადღებოა, რომ, დამწერლობის ევოლუციის საერთოისტორიული კანონზომიერებების მიუხედავად, თანამედროვე სამყაროში უფრო და უფრო ფართო გავრცელებას პოულობს სამეცნიერო ნიშნების წმინდა იდეოგრაფიული სისტემები. ასევე არ არის აბსოლუტური კანონზომიერი კავშირები ენისა და დამწერლობის თავისებურებებს შორის, ზოგიერთ შემთხვევაში იგი ირღვევა ნასესხობებითა და სხვა სისტემების გავლენით. მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ „სინუსოიდის თეორიის“ მიხედვით, დამწერლობა მოძრაობს ერთადერთი მრუდის გასწვრივ (მარტივიდან რთულისაკენ და შემდეგ რთულიდან მარტივისაკენ), ამიტომ, თუკი იგი განვითარების რაღაც ეტაპზე შეიცვლება სემასიოგრაფიის მიმართულებით, ან იმ სისტემით, რომელსაც არ აქვს განსაზღვრული შესაბამისობა სალაპარაკო ენაში, ეს არ უნდა განვიხილოთ როგორც განვითარების პირუკუ პროცესი. მიუხედავად დამწერლობის ევოლუციის საერთო ისტორიული კანონზომიერებების არსებობისა, არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ესა თუ ის კონკრეტული დამწერლობის სისტემა არის ჩამორჩენილი ან მოწინავე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მიეკუთვნება მარცვლოვან, კონსონანტურ-ფონეტიკურ, ვოკალურ-ფონეტიკურ ან მორფემოგრაფიულ ტიპს (კოენი 1953:109-110). თითოეული ამ ტიპის დამწერლობის სისტემა შეიძლება იყოს რაციონალური, თუ იგი შეესაბამება ენის თავისებურებებს ან მისი გამოყენების პირობებს (გელები 1963:194-195).

ზოგიერთი ლინგვისტის აზრით, დამწერლობისაგან განსხვავებით, ენა არ არის შექმნილი ადამიანის მიერ, არამედ წარმოადგენს მისთვის თანდაყოლილ ბუნებრივ თვისებას. ფორმალისტური სკოლის წარმომადგენლებისათვის წინარე ენა არის ერთგვარი კონსტრუქცია, რომელსაც არ გააჩნია კავშირი რეალობასთან (ჩომსკი 1988). ფუნქციონალიზმი, ფორმალისმიისაგან განსხვავებით, არ აყალიბებს აპრიორულ დებულებებს, ფუნქციონალისტები ენობრივი მოვლენების ახსნას უამრავ სხვადასხვა ფაქტორზე დაყრდნობით ცდილობენ. მათი აზრით, საკომუნიკაციო სისტემის განვითარება უნდა განვიპირობებინა სამუშაო თუ საბრძოლო იარაღის დამზადების აუცილებლობას, თავად ენა კი არის სოციალური ურთიერთმოქმედების საშუალება (კიბრიკი 2005).

უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო საზოგადოებაში პოპულარული გახდა მოსაზრება მსოფლიო ერთიანი ენის შესახებ. ეს ერთგვარად ეხმიანება ნიკო მარის მიერ 1923-1934 წლებში შექმნილ „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“. ნ. მარი ხელალებით უარყოფდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ენათა ნათესაობას, ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას და თავად წინარე ენის იდეას. მისი აზრით, ენა არის ისტორიული ღირებულება, ანუ ცვალებადი კატეგორია. ენა კაცობრიობამ შექმნა შრომის პროცესში, განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში და ხელახლა შექმნის ცხოვრებისა და ყოფის ნამდვილად ახალი სოციალური ფორმის დადგომასთან ერთად ახალი აზროვნების შესაბამისად (მარი 1936:25). მსოფლიოს ყველა ენა წარმოადგენს ერთიანი გლოტოგენური პროცესის პროდუქტს. თავდაპირველად იყო მრავალი ენა და ისევე, როგორც კაცობრიობა კუსტარული, გათიშული საზოგადოებრივი ფორმებიდან და მეურნეობიდან მიდის საერთო მსოფლიო მეურნეობისაკენ და საერთო მსოფლიო საზოგადოებისაკენ, ასევე ენა პირველადი მრავალფეროვნებიდან გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს ერთიანი მსოფლიო ენისაკენ. ენა ხომ, თუკი იგი არ არის მკვდარი, ორგანულ კავშირშია საზოგადოებასთან, როგორც მისი ტექნიკური მიღწევების ქმნილება, ენაში ყოველგვარი ცვლილება შედეგია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებისა (მარი 1930; 1936:135, 370).

კითხვა მომავლის ერთადერთი ენის შესახებ არცთუ მთლად უაზროა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და უკანასკნელ ხანებში მას საკმაოდ ხშირად სვამენ. ჩვენ ახლა ვიმყოფებით იმ ეპოქაში, როდესაც ენათა რაოდენობა დედამიწაზე სწრაფად მცირდება. კითხვაზე პასუხი, თუ რა მოხდება მომავალში, რა ბედი ეწევათ ენებს, პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ საერთოდ რა ელის ჩვენს სამყაროს, ჩვენს ცივილიზაციას. ვფიქრობთ, ამ პრობლემის გასაღები იმაშია, თუ როგორ არის მოწყობილი თანამედროვე სამყარო და არა იმაში, თუ როგორ არის მოწყობილი ცალკეული ენა. სტრუქტურულად კაცობრიობის ნებისმიერ ენას აქვს ყველა წინაპირობა, გახდეს მსოფლიო, თუმცა მხოლოდ ერთი ენა მსოფლიოში – ეს, ალბათ, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში კაცობრიობამ შეიმუშავა კომუნიკაციის ორი ფორმა: წერილობითი და ზეპირი. ამასთან, ზეპირი ფორმა მიდრეკილია დიალოგისაკენ, იგი თავიდანვე მომენტალურია, ანუ იკარგება. წერილობითი ფორმის მეშვეობით ზეპირ მეტყველებას შეუძლია დროისა და სივრცის გადალახვა, მაგრამ წერილობითი ფორმისათვის დამახასიათებელია ტენდენცია მონოლოგისაკენ: ლიტერატურული ნაწარმოებები, წერილები, სამსახურებრივი ჩანაწერები (განმარტებები) და ა.შ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნიკის სრულყოფასთან ერთად რაღაც შეიცვალა, მოულოდნელად ყველა ენა აღმოჩნდა სრულიად ახლებური კომუნიკაციის პირობებში. ინტერნეტში – ჩატებში, ბლოგოსფეროში, სოციალურ ქსელებში მუდმივად მიმდინარეობს წერილობითი დიალოგი. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი მხრივ, ხდება წერილითი მეტყველების ექსპანსია, ხოლო, მეორე მხრივ, წერილითი მეტყველება იცვლება და იგი, ფაქტობრივად, ორალური ხდება. ზეპირი მეტყველების დროს ჩვენ ვიყენებთ ჟესტებს, ვილიმით ან პირიქით, ვიჭმუხნებით, ვიცვლით ინტონაციას, ანუ თანამოსაუბრეზე სხვადასხვა მეთოდით ვმოქმედებთ. წერილითი მეტყველებისას ამას მოკლებულნი ვართ, ამიტომ ინტერნეტში დაიწყეს შექმნა ფორმალური საშუალებების, რომლებიც ინტონაციის, ლიმილის და ა.შ. არარსებობას აკომპენსირებენ, ეს არის ყველასათვის ნაცნობი სიმბოლოები – „სმაილიკები“, გულები...

ტელეფონის გამოჩენამ საშუალება მისცა ზეპირ მეტყველებას, გადაელახა დიდი სივრცეები, მაგრამ ამან ვერ შეცვალა მისი არსი. კომპიუტერმა და სმარტფონმა წაშალეს ზღვარი წერილისა და ზეპირ მეტყველებას შორის, წარმოიქმნა კომუნიკაციის შუალედური ფორმა და იგი არის დიალოგური. ორი ტიპის ენისა და კომუნიკაციის ორი ფორმის მკაცრი დაპირისპირებიდან აღმოცენდა ახალი, რთული, კომბინირებული ფორმა.

გარდა ამისა, სოციალურ ქსელებში ტექსტების ხვედრითი წილი დროთა განმავლობაში თვალმისაცემად შეიკუმშა და ადგილი კლიპებს, ვიდეოებს, კოუბებს, ჯიფებს და ა.შ. დაუთმო: სწრაფია, მსჯელობა არ უნდა, უცბად დაგმუხტავს ემოციით (პოსტმანი 1985). დღეს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის პროცესში ვიზუალური (ხშირად – 3D) კომპონენტი ისეთივე აქტუალურია, როგორც შუა საუკუნეებში იყო. უდავოა, რომ კომპიუტერი გამოსახულების წარმოება-გადამუშავების იარაღია, გამომსახველობას პლატონური ძალა აქვს, იგი ცალკეულ იდეას საყოველთაოდ გარდასახავს. ვიზუალური კომუნიკაციის საშუალებით ადვილია დარწმუნების სტრატეგიების რეალიზება, რომლებიც აქვეითებენ კრიტიკული აზროვნების ძალას. ჩვენი ცივილიზაცია ორიენტირებული ხდება გამოსახულებებზე და შესაძლოა, წინ გველის მომავალი, სადაც უმრავლესობა მხოლოდ ვიზუალური ტელეკომუნიკაციებით ისარგებლებს.

## ლიტერატურა

- აიზენშტაინი 2005:** E. L. Eisenstein, *The Printing Revolution in Early Modern Europe*, Cambridge University Press.
- გამყრელიძე 1989:** თ. გამყრელიძე, *წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- გელბი 1963:** I. J. Gelb, *A Study of Writing*, Chicago-London (Second Edition).
- დერიდა 1972:** J. Derrida, "La pharmacie de Platon", *La dissémination*, Éditions du Seuil.
- ეკო 2000:** U. Eco, From Internet to Gutenberg, In: *Блесок – литература и други уметности*.
- ვიგოტსკი 2001:** Л. С. Выготский, *Избранные психологические исследования. Мышление и речь. Проблемы психологического развития ребенка* / Под ред. А. Н. Леонтьева и А. Р. Лурия, Изд-во АПН РСФСР, М.
- კაცნელსონი 2002:** С. Д. Кацнельсон, *Типология языка и речевое мышление*, Лингвистическое наследие XX века, Едиториал УРСС.
- კიბრიკი 2005:** А. Е. Кибрик, *Функционализм в лингвистике*, Лингвистическая типология, <http://www.krugosvet.ru>.
- კოენი 1953 :** M. Cohen, *L'écriture*, Paris.
- მარი 1930:** Н. Я. Марр, *Язык и письмо*, Известия, т. 6, Государственная академия истории материальной культуры.
- მარი 1936:** Н. Я. Марр, *Избранные работы*, т. II, Ленинград, ГСЭИ.
- მაკლუენი 1962:** M. McLuhan, *The Gutenberg Galaxy*, University of Toronto Press.
- მერლოკი, მიულერი 2012:** Matthew Murdoch & Treion Muller, *The Learning Explosion: 9 Rules to Ignite Your Virtual Classrooms*, MP3 CD – Audiobook, MP3 Audio, Unabridged, Franklin Covey.
- პლატონი 2016:** Πλάτων, *Φαῖδρος*, HardPress Publishing.
- პოსტმანი 1985:** N. Postman, *Amusing Ourselves to Death: Public Discourse in the Age of Show Business*, Viking Books.
- პულგრამი 1976:** E. Pulgram, The typologies of writing-systems, In: *Writing without letters*, Ed. E. Pulgram & W. Haas, 1-28, Manchester University Press, Manchester.
- შოპენჰაუერი 1988:** A. Schopenhauer, *Über Lesen und Bücher, Werke in fünf Bänden*, Bd. V, Kapitel XXIV, Haffmans Verlag, Zürich.
- ჩილდრესი 2008:** D. Childress, *Johannes Gutenberg and the Printing Press*, Twenty-First Century Books, Minneapolis.
- ჩომსკი 1988:** N. Chomsky, *Language and Politics*, Montreal, New York.

## **Writing as Φάρμακον**

### Summary

An introduction of a phonetic writing system and dissemination of new materials for writing were determinative steps for the development of writing culture in ancient Greece. This so-called “Media-Revolution” at an early stage was critically commented on. I would like to introduce in this context the most important critical theses from Plato’s “Phedrus”. This report also deals with the relationship between writing and language and thus with the indirect cognition of the world through them.

If we study Plato’s texts in general (the existence of which shows us that the writing system deserves to be a point of philosophical discussion), it could be concluded that: it seems that for Plato the political and social status of writing comes from the existing situation in society, which was in the transition phase from oral speech to writing culture. Plato did not want to assign absolute value to oral communication over writing system, but he recognized complete superiority of intuitive knowledge.

In the “Phedrus” Pharaon was instantiating an eternal fear: the fear that a new technological achievement could abolish or destroy something that we consider precious, fruitful, something that represents for us a value in itself, and a deeply spiritual one. In the criticism of new Media technologies is also mentioned how medium affects content, and thereby relationship between a sender and a receiver.

During its whole history, humanity has invented two forms of communication: written and oral, with oral form being inclined towards dialogue and it is momentary from the outset, i.e. it gets lost. Through written form, oral speech can transcend time and space but written form has monological tendencies.

Something changed with the perfection of mass-media and technologies, unexpectedly all languages found themselves in new communication conditions. With the emergence of telephone, oral speech gained an opportunity to overcome big space, but this could not change its essence. The Smartphone and the Computer erased the line between oral and written speech and created a middle form of communication, which is dialogical. Written speech is less emotional, which is especially apparent in dialogues. To compensate for the absence of smile, tone, voice..., the Internet started to create various formal means, such as well-known signs of Smiles, Hearts and so on.

Without a doubt, the computer is a tool for production and processing of images; images have, so to speak, a sort of Platonic power: they transform individuals into general ideas. Thus, by a purely visual communication it is easier to implement persuasive strategies that reduce our critical power. Our civilization is becoming more and more dependent on images and maybe we await the future where the majority will only use visual telecommunications.

თარგმანი

ელზარ სპირი

ენის ბგერითი მოღეღები<sup>1</sup>

ენათმეცნიერები მიიჩნევენ და, გარკვეულწილად, ახლაც ფიქრობენ, რომ ენის ფსიქოლოგია უფრო მეტად უკავშირდება გრამატიკულ თვისებებს, ბგერები და ფონეტიკური პროცესები კი მიეკუთვნება უხეშ ფიზიოლოგიურ სუბსტრატს. ამგვარად, ხანდახან გვესმის, რომ „გრემის კანონის“ სახელწოდებით ცნობილი ფონეტიკური პროცესები, როგორებიცაა ხმოვნის პალატალიზაცია მომდევნო *i* თუ *e* სხვა წინა რიგის ხმოვნის („უმლაუტი“) გავლენით ან ძველი ინდოევროპული ხშული თანხმოვნების გადაწევათა სერია რაგვარობის მიხედვით, სამეტყველო ორგანოებითა და ნერვული სისტემით შესრულებული უბრალო მექანიკური პროცესებია, რომლებსაც მართავს ნერვული სისტემა, გადაწევათა სიმრავლის სახით, შედარებით მარტივი სენსორულ-მოტორული ჩვევებით. ამ სტატიაში ჩემი მიზანია, მოკლედ, რამდენადაც შესაძლებელია, ვაჩვენო, რომ ამგვარი მარტივი, მექანიკური ტერმინებით შეუძლებელია, მართებულად გავიაზროთ სამეტყველო ბგერები და ბგერითი პროცესები.

ალბათ, სამეტყველო ბგერათა ფსიქოლოგიის საკითხის დასმის საუკეთესო გზაა რეალური სამეტყველო ბგერის შედარება ენობრივ კონტექსტში გამოუყენებელ იდენტურ ან მსგავს ბგერასთან. თითქმის მაშინვე გახდება ნათელი, რომ დიდად მცდარი შეხედულებაა სამეტყველო ბგერის არტიკულაციის მოტორულ ჩვევად მიჩნევა, რომელიც, უბრალოდ, გამიზნულია უშუალოდ მნიშვნელოვანი შედეგის განსახორციელებლად. ერთი შეხედვით, ერთმანეთთან ხშირად შედარებული მსგავსი ბგერების კარგი მაგალითია *wh* ისეთ სიტყვაში, როგორიცაა *when* „როდის“, როგორც ჩვეულებრივ წარმოთქვამენ ამერიკაში (ე.ი. ყრუ *w*, ან, ალბათ, უფრო ზუსტად გაანალიზებული – ასპირაცია + ყრუ *w* + მჟღერი *w* გლაიდი) და სანთლის ჩაქრობისას წარმოქმნილი ბგერა. ამჯერად დიდად არ გვანტერესებს, ეს ორი არტიკულაცია ნამდვილად იდენტურია თუ, სულ მცირე, ძალიან მსგავსი. დავუშვათ, რომ ტიპურად წარმოთქმული *wh* იდენტურია სანთლის ჩაქრობისას მოკუმული ბაგებიდან ამოსუნთქვით გამოდევნილი ჰაერის შედეგად წარმოქმნილი ბგერისა. შეიძლება, ვივარაუდოთ ორივე არტიკულაციისა და აღქმის ხარისხის იდენტურობა. ტოლფასია თუ არა ეს იდენტურობა ამ ორი პროცესის ფსიქოლოგიური იდენ-

<sup>1</sup> Linguistic Society of America, Sound Patterns in Language, Author(s): Edward Sapir, Source: Language, Vol. 1, No. 2 (Jun., 1925), pp. 37-51.

ტურობისა? რასაკვირველია, რომ არა. როგორ პედანტურ წვრილმანდაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ღირს განსხვავებათა მითითება.

1. სანთლის ჩამქრობი ბგერა არის პირდაპირი ფუნქციური აქტის ფიზიკური შედეგი, ჰაერნაკადის წარმოქმნის თავისებური მეთოდის საშუალებით სანთლის ჩაქრობა. რამდენადაც ლაპარაკია ნორმალურ ადამიანურ ინტერესზე, ეს ბგერა თვითონ ემსახურება, უბრალოდ, როგორც ჩაქრობის ან ჩაქრობის მცდელობის ნიშანს. შეგვიძლია, ოდნავ შევამოკლოთ ფაქტების ჩვენეული ჩანაწერი და ვთქვათ, რომ სანთლის ჩაქრობის ბგერის წარმოქმნა არის პირდაპირი ფუნქციური აქტი; მეორე მხრივ, wh ბგერის არტიკულაციას ისეთ სიტყვაში, როგორიცაა when „როდის“, არ აქვს პირდაპირი ფუნქციური ღირებულება, ის, უბრალოდ, მაკავშირებელია სიმბოლოს კონსტრუქციაში. წარმოთქმული ან აღქმული სიტყვა when, რომელიც, თავის მხრივ, ვარაუდობს ფუნქციას, თანაც მხოლოდ კონკრეტულ ენობრივ კონტექსტში აღქმულს სიმბოლურად, როგორიცაა წინადადების წარმოთქმა ან გაგონება, მაგალითად, When are you coming „როდის მოდიხარ“? მოკლედ, სანთლის ჩამქრობი wh ნიშნავს საქმეს; სამეტყველო ბგერა wh წარმოადგენს შენახულ პიესას, რომელიც, საბოლოოდ, მოქმედებს საქმეზე მიმითებელი თამაშის შესაბამისად. კიდევ უფრო მოკლედ, პირველი წარმოადგენს პრაქტიკას, მეორე – ხელოვნებას.

2. სანთლის ჩაქრობის ყოველი აქტი მეტ-ნაკლებად ფუნქციურად ეკვივალენტურია ყოველი სხვა მსგავსი აქტისა; ამგვარად, სანთლის ჩაქრობის wh არის, უწინარეს ყოვლისა, ცალკეული ფუნქციის აქტის ნიშანი. wh სამეტყველო ბგერას არ აქვს ცალკეულის თვისება (singleness), უფრო სწორად, ცალკეულობის ძირითადი მითითება. ის არის ინდიკატორი (counter) ფუნქციურ სიმბოლოთა მნიშვნელოვან რაოდენობაში, მაგალითად: when „როდის“, whiskey „ვისკი“, wheel „ბორბალი“. სანთლის ჩამქრობი ბგერათა რიგს აქვს ბუნებრივი ფუნქციური და კონტექსტური თანმიმდევრულობა. რეალურ მეტყველებაში გამოყენებულ wh ბგერათა სერიას არ გააჩნია ამგვარი თანმიმდევრულობა. მაგალითად, სერია – wh(en), wh(iskey), wh(eel) არაარსებითია.

3. ყოველ ტიპურ ადამიანურ რეაქციას აქვს ვარიაციათა კონკრეტული დიაპაზონი და, სიმართლე რომ ვთქვათ, ამგვარი რეაქციები გაიგება მხოლოდ როგორც ნორმისა თუ ტიპის მიხედვით განაწილებულ ვარიანტთა ერთობლიობა. სანთლის ჩამქრობი wh და სამეტყველო ბგერა wh წარმოადგენს ვარიანტთა სრულიად განსხვავებული ერთობლიობის ნორმებსა თუ ტიპებს.

პირველი შეეხება აკუსტიკურ თავისებურებებს. იმ ფაქტის გამო, რომ სანთლის ჩაქრობა არის წმინდა ფუნქციური აქტი, მისი ცვალებადობა შეზღუდულია მხოლოდ ფუნქციით. მაგრამ, ცხადია, რომ სანთლის ჩაქრობა შესაძლებელია მრავალნაირად: ვიღაცამ შეიძლება მოკუმოს ბაგეები ღიდად ან მცირედ; ქვედა ბაგე ან ზედა ბაგე, ან სულაც არცერთი არ გამოწიოს; შეიძლება, წარმოთქმა წმინდა

არ იყოს და თან ახლდეს სინქრონული არტიკულაციები, როგორებიცაა x-ს მსგავსი (ველარული სპირანტი) ან sh-ს მსგავსი ბგერები. ვერც ესენი და ვერც სხვა ვარიაციები ვერ ექცევიან რეაქციათა კლასში, რომელიც, საერთოდ, არსებითად განსხვავდება ტიპური სანთლის ჩაქრობის wh-სგან. wh-ს, როგორც სამეტყველო ბგერის, ვარიაცია გაცილებით მეტად შეზღუდულია. when აღიქმება როგორც აშკარად არაბუნებრივად წარმოთქმული, მაგალითად, wh ბგერით, რომელშიც ქვედა ბაგე გამოწეულია, ან wh ბგერით, რომელიც კონტამინირებული იყო sh ბგერასთან. ეს შეიძლება დავუშვათ მხოლოდ როგორც ხუმრობა ან მეტყველების ინდივიდუალური ნაკლი. მაგრამ wh ბგერის ცვალებადობა ენაში არა მარტო ნაკლებ ფართოა, ვიდრე სანთლის ჩაქრობაში, არამედ განსხვავებულია ტენდენციით. მეორე ბგერა, უპირატესად, ვარიირებს ზუსტი ლოკალური რივის (ან რიგების) ფარგლებში, პირველი კი, უპირატესად, სერიის ფარგლებში. ფსიქოლოგიურად when-ისა და მსგავსი სიტყვების wh უკავშირდება well-ისა და მსგავსი სიტყვების w-ს. არსებობს ასპირაციის შემცირებისა და ლაბიალურის გამჟღერების ძლიერი ტენდენცია. ვარიაციათა დიაპაზონი, მაშასადამე, მოქმედებს დაახლოებით hW-დან (W გამოიყენება ყრუ w-ს აღსანიშნავად) w-მდე. რა თქმა უნდა, სანთლის ჩაქრობის wh-ში არ არის წარმოდგენილი გამჟღერების ტენდენცია, რადგანაც ეს მოვლენა ეწინააღმდეგება რეაქციის სწორედ იმ მიზანს, რომელიც არის ძლიერი და თავისუფალი ჰაერნაკადის გამოშვება.

მეორე შეეხება ინტენსივობას. ნათელია, რომ ამ საკითხში ვარიაციათა ორი სერია შესამჩნევად განსხვავდება. სანთლის ჩამქრობი ბგერის ნორმალური ინტენსივობა უფრო დიდია, ვიდრე ენობრივი wh-სი; გარდა ამისა, ეს ინტენსივობა გაცილებით უფრო ცვალებადია, დამოკიდებულია შემბერველის კუნთოვან ტონუსზე, ჩასაქრობი ალის სიდიდესა და სხვა ფაქტორებზე. საერთო ჯამში, ნათელია, რომ ორი wh ბგერის მსგავსება სინამდვილეში ორი აბსოლუტურად დამოუკიდებელი სერიის ურთიერთგადაკვეთის შედეგია, როგორც ორი დამოუკიდებელი ხაზისა სივრცეში, რომლებსაც ერთი წერტილი აქვთ საერთო.

4. wh სამეტყველო ბგერას აქვს სხვა ბგერებთან დაკავშირების დიდი რაოდენობა სიმბოლურად მნიშვნელოვან ბგერათა ჯგუფებში, მაგალითად, wh-e-n, wh-i-s-k-ey, wh-ee-l. სანთლის ჩამქრობი ბგერა არ ასოცირდება იმ ბგერასთან, რომელთანაც ჩვეულებრივ აკავშირებენ.

5. ჩვენ ახლა მივადგებით განსხვავების ყველაზე მნიშვნელოვან წერტილს. სამეტყველო ბგერა wh ერთ-ერთია განსაზღვრულად შეზღუდულ ბგერათა რაოდენობიდან (მაგალითად, wh, s, t, l, i და ა.შ.), რომლებიც ერთმანეთისაგან თვისებრივად უფრო მეტად განსხვავდებიან, ვიდრე wh – სანთლის ჩამქრობი ეკვივალენტისაგან. მიუხედავად ამისა, მიეკუთვნებიან სიმბოლურად უტილიზებად ინდიკატორთა განსაზღვრულ სისტემას. ამ სისტემის თითოეული წევრი არა მარტო ხასიათდება განმასხვავებელი და ოდნავ ცვალებადი არტიკულაციითა და შესაბამისი აკუსტი-



კური ხაზით, არამედ, აგრეთვე, – და ეს არის გადამწყვეტი – ფსიქოლოგიური განკერძოებულობით სისტემის დანარჩენი წევრებისაგან. ენის ბგერებს შორის ფარდობითი ხარვეზები (relational gaps) ზუსტად ისეა საჭირო ამ ბგერათა ფსიქოლოგიური განსაზღვრისათვის, როგორც არტიკულაციები და აკუსტიკური ხატები, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება მათ განსასაზღვრად. ბგერა, რომელიც გაუცნობიერებლად არ აღიქმება სხვა ბგერებთან „განთავსებულად“<sup>2</sup>, აღარ არის მეტყველების ჭეშმარიტი ელემენტი, როგორც ფეხის აწევა არ არის საცეკვაო ილეთი, სანამ არ „განთავსდება“ სხვა მოძრაობებთან მიმართებით, რომლებიც გვეხმარებიან, რომ განვსაზღვროთ ცეკვა. თავისთავად ცხადია, სანთლის ჩამქრობი ბგერა არ ქმნის ბგერათა არცერთი ამგვარი სისტემის ნაწილს. იგი არც დაშორებულია და არც უკავშირდება სხვა ბგერებს, – დაუშვავთ, ზუზუნის (humming) და ყელის ჩაწმენდის ბგერათა წარმოთქმას, – რომლებიც ქმნიან მასთან ერთად აუცილებელ მაჩვენებლებს.

საკმარისად ნათელი უნდა იყოს ამ ერთი მაგალითიდან, – და, რა თქმა უნდა, არსებობს ბგერი ანალოგიური მაგალითი, როგორებიცაა m-სა და ზუზუნის ბგერის დაპირისპირება ან ცვალებადტემბრიანი ოხვრის ან კვნესის (groans) განუსაზღვრელი სერიის დაპირისპირება ხმოვანთა სიმრავლესთან – სამეტყველო ბგერის ცნება (notion) რამდენად ცუდად აიხსნება მარტივი სენსორულ-მოტორული ტერმინებით, და რამდენად კარგად ასოციაციებისა და მოდელების კომპლექსური ფსიქოლოგია არაპირდაპირ გამოხატული (implicit) უმარტივესი თანხმონის ან ხმოვნის გამონათქვამში. მაშინვე ცხადია, რომ ფონეტიკური პროცესების ფსიქოლოგია გაუგებარია, სანამ არ ამოიცნობა სამეტყველო ბგერების ზოგადი მოდელი. ამ მოდელს აქვს ორი ფაზა. განსაკუთრებული ძალისხმევა დაგვჭირდა იმ ბგერათა გასარკვევად, რომელთაც იზოლირებული სისტემა – ენობრივი ფორმა იყენებს. ეს ენობრივი ფორმა შეუძლებელს ხდის, რომ გავაიგივოთ ნებისმიერი მათგანი „სამეტყველო ორგანოებით“ წარმოქმნილ არაენობრივ ბგერასთან, როგორი დიდიც არ უნდა იყოს არტიკულაციური და აკუსტიკური მსგავსება ამ ორს შორის. ბგერის წარმოქმნის ორივე კლასის სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური ფონების (psychological backgrounds) გათვალისწინებით, ის შეიძლება სერიოზულად ეჭვქვეშაც კი დადგეს, სინამდვილეში არის თუ არა სამეტყველო ბგერის არტიკულაციის ინერვაცია ფიზიოლოგიური ფაქტის იგივე ტიპი, როგორიც „იდენტური“ ინერვაცია არტიკულაციებისა, რომელთაც არ აქვთ ენობრივი კონტექსტი. მაგრამ საკმარისი არ არის, რომ მოდელის მიხედვით წარმოიქმნას სამეტყველო ბგერები, „სამეტყველო ორგანოებით“ წარმოქმნილი სხვა ბგერების საპირისპიროდ. არსე-

<sup>2</sup> ამ სიტყვას, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო „ლოკალურ რივთან“ (place of articulation). შეიძლება, ვინმემ აღიქვას, მაგალითად, რომ A ბგერა უნდა გამოითქმოდეს B-დ, როგორც X უნდა გამოითქმოდეს Y-ად წარმოდგენის არქონის გარეშე, თუ როგორ და სად იწარმოება ნებისმიერი მათგანი.

ბობს ბგერის მოდელირების მეორე ფაზა, რომელიც უფრო ბუნდოვანია და რომელიც შესაბამისად უფრო დიდი მნიშვნელობის მქონეა ენათმეცნიერთათვის. ეს არის ენის ბგერითი სისტემის შიდა კონფიგურაცია, ბგერათა ინტუიციურად „განთავსება“ ერთმანეთთან მიმართებით. ამას ახლა უნდა მივხედეთ.

მეტყველების ფონეტიკურ ელემენტთა შესწავლის მექანიკური და სხვა იზოლირებული მეთოდები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ღირებულებისაა, მაგრამ ხანდახან მათ აქვთ სამეტყველო ბგერის ფსიქოლოგიის არსებითი ფაქტების გაბუნდოვანების არასასურველი ეფექტი. ხშირად გადაჭარბებულად ფასდება უმნიშვნელო ბგერითი განსხვავება, და ძალიან ხშირად ფონეტიკოსები ვერ აცნობიერებენ არა მარტო გარკვეული ბგერის არსებობას რომელიმე ენაში, არამედ იმის გარკვევას, რომ ბგერა ტიპური ფორმაა, ანუ ერთ-ერთი წერტილია თავის ბგერით მოდელში, თუ მხოლოდ ამგვარი ფორმის ვარიანტია. არსებობს ვარიაციის ორი ტიპი, რომლებიც ტენდენციას იჩენს სხვადასხვა წერტილის განსხვავებულობის ენის ფონეტიკურ მოდელში გაბუნდოვანებისკენ. ერთ-ერთი მათგანია ინდივიდუალური ვარიაცია. მართალია, რომ ვერცერთი ორი ინდივიდი ზუსტად ერთნაირად ვერ წარმოთქვამს, მაგრამ თანაბრად ჭეშმარიტია, რომ ისინი ისწრაფვიან ბგერათა ერთიმეორისაგან მსგავსი გარჩევისაკენ, რათა თუ A-ს მოდელის ბგერათა თვისებრივი განსხვავება B-ს მოდელისაგან აღქმადია დეტალური ანალიზისთვის, მაშინ ამ ორი მოდელის ელემენტებს შორის დამოკიდებულება არის იგივე. სხვა სიტყვებით, ეს მოდელები არის ანალოგიური მოდელები. A-ს s, მაგალითად, შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდეს B-ს s-სგან, მაგრამ თუ თითოეული ინდივიდი ინარჩუნებს თავის s-ს თანაბრად განსხვავებულად მოდელის ისეთი წერტილებისაგან, როგორებიცაა: th (think-ში „ფიქრობს“) და sh და თუ A-სა და B-ს s-ს დისტრიბუციებს შორის არის ურთიერთცალსახა შესაბამისობა, მაშინ წარმოთქმის განსხვავებულობას ენის ფონეტიკური ფსიქოლოგიისათვის აქვს მცირე მნიშვნელობა ან უმნიშვნელობა. შეგვიძლია, ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ. სიმბოლურად აღვნიშნოთ A-სა და B-ს წარმოთქმები s, th და sh ბგერებისა ამგვარად:

A:	th	s	sh
B:	th <sub>1</sub>	s <sub>1</sub>	sh <sub>1</sub>

ეს სქემა გამიზნულია იმ ფაქტის გამოსახატავად, რომ B-ს s წარმოადგენს ჩლიფინა (lisped) s-ს, რომელიც ინტერდენტალური th-ს იდენტური არ არის, მაგრამ რეალურად ახლოს დგას ამ ბგერასთან, ვიდრე A-ს s-სთან; მსგავსად, B-ს sh აკუსტიკურად, გარკვეულწილად, ახლოს არის A-ს s-თან, ვიდრე sh-სთან. რასაკვირველია, ვერ აღმოვაჩინებთ B-ს ფონეტიკურ მოდელს თავისი ბგერების იდენტურობით მათი უახლოეს ანალოგ ბგერებთან A-ს წარმოთქმაში, მაგალითად, შესატყვისობების დადგენით: th<sub>1</sub> = th, s<sub>1</sub> = s-ს ვარიანტი, sh<sub>1</sub> = s. თუ ჩვენ ვიზამთ ამას და, თუ ავიკვირებთ ბგერი ლინგვისტის მსგავსად, სავსებით შესაძლებელია ყვე-

ლა ენისათვის აბსოლუტური და უნივერსალური ფონეტიკური სისტემის გამოყენების სურვილით, მივიღებთ მოდელის ამგვარ ანალიზს:

A: th        s        sh  
                   ^  
 B: th<sub>1</sub>    s<sub>1</sub>    sh<sub>1</sub>    –

რომელიც იმდენად არასწორია ფსიქოლოგიურად, რამდენადაც ზუსტია „რეა-ლურად“ (objectively). რა თქმა უნდა, მოდელის ჭეშმარიტი ანალიზი არის:

A:        th        s        sh  
 B:        th<sub>1</sub>        s<sub>1</sub>        sh<sub>1</sub>

რეალური დამოკიდებულება ბგერებს შორის არის მხოლოდ პირველი მიახლოება ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებასთან (psychological relations), რომელიც წარმოადგენს ნამდვილ ფონეტიკურ მოდელს (true phonetic pattern). ობიექტურ განსხვავებათა ოდენობა: th-s, s-sh, th<sub>1</sub>-s<sub>1</sub>, s<sub>1</sub>-sh<sub>1</sub>, th-s<sub>1</sub>, s<sub>1</sub>-s, s-sh<sub>1</sub> და sh<sub>1</sub>-sh არ შეესაბამება th, s და sh ფონემათა ფსიქოლოგიურ დაშორებას ფონეტიკურ მოდელში, რომელიც საერთოა A-სა და B-სთვის.

ვარიაციის მეორე ტიპი საერთოა ენის ყველა ნორმალურად მოლაპარაკისათვის და დამოკიდებულია ფონეტიკურ პირობებზე, რომლებშიც ფუნდამენტური ბგერა<sup>3</sup> („მოდელის წერტილი“; “point of the pattern”) გვხვდება. ენათა უმრავლესობაში მოლაპარაკის მიერ აღქმულ „იმავე“ ბგერას აქვს, აღქმის თვალსაზრისით, განსხვავებული ფორმები შეპირობებულობის ცვალებადობის შესაბამისად. ამგვარად, (ამერიკულ) ინგლისურში აღქმის თვალსაზრისით a ხმოვანი სიგრძით განსხვავდება სიტყვებში: bad „ცუდი“ და bat „ღამურა“. ამ სიტყვებით ილუსტრირებული a ხმოვანი წარმოდგენილია როგორც გრძელი ან ნახევრად გრძელი მჟღერი თანხმოვნებისა და ყველა მყოვრის (continuant) წინ, მაგრამ მოკლეა ყოველ ხმოვნის წინ.

ფაქტობრივად, bad : bat ხმოვნური მონაცვლეობა კვანტიტატიურად პარალელურია ისეთი მონაცვლეობისა, როგორებიცაა: bead „მძივებით მორთვა“ : beat „მაგრად რტყმა“, fade „დაჭკნობა“ : fate „წინასწარ განსაზღვრა“. ამ მონაცვლეობებს მართავს მექანიკური გააზრებები, რომელთაც აქვთ მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ფონეტიკური მოდელისათვის. ისინი, შეიძლება ითქვას, თავიანთ თავს „უზრუნველყოფენ“, თუმცა ყოველთვის არ არის ადვილი, რომ დაარწმუნო ენის მფლობელები მათ ობიექტურ სინამდვილეში, როგორი მგრძნობიარეებიც არ უნდა იყვნენ უცხოელთა მეტყველებაში გაუცნობიერებელი წესის დარღვევის მიმართ. მეტისმეტად აუცილებელია არარსებობის გაგება იმიტომ, რომ რეალური განსხვა-

<sup>3</sup> ფაქტობრივად, იგულისხმება ფონემა (რედ.)

ვება (ძალზე უმნიშვნელოა მარტივი აღქმის თვალსაზრისით, რომ რაოდენობრივი მონაცვლეობები სიტყვებში bad და bat, bead და beat, fade და fate ენის დამახასიათებელი ფონეტიკური მოდელის გარეთ დგას,<sup>4</sup> არამედ აღიქმება ობიექტური განსხვავების უმნიშვნელობა სწორედ იმიტომ, რომ ის არ შეესატყვისება რამე მნიშვნელოვანს ფონეტიკური მოდელის შინაგან სტრუქტურაში. ამგვარ საკითხებში სპეციფიკურ ენობრივ ჩვევებზე ან განზოგადებულ ფონეტიკურ სისტემაზე დაფუძნებული მსგავსებისა თუ განსხვავების ობიექტური შეფასებები აბსოლუტურად მცდარია. ფაქტობრივად, ინგლისური ენის ხმოვანთა მექანიკური დამოკიდებულება bad : bat ბევრ ენაში საკმარისად მარკირებული იქნება, რათა გამოხატოს მოდელის განსხვავებული წერტილების დამოკიდებულება, ხოლო ინგლისური მოდელის დამოკიდებულება -t : -d, რომელიც, უდავოდ, რეალურია ჩვენთვის, სხვა ბევრ ენაში ან სრულებით არ არის რეალური, ან მხოლოდ მექანიკური, შეპირობებული დამოკიდებულებაა. ზემო ჩინუკში (Upper Chinook), მაგალითად, t : d არსებობს რეალურად (objectively), მაგრამ არა ფსიქოლოგიურად; შეიძლება, თქვან, მაგალითად, inat „გარდიგარდმო, სიგანეზე“, მაგრამ inad ხმოვანზე დაწყებულ სიტყვათა წინ, ხოლო ბოლოკიდური თანხმოვნის ორი ფორმა უეჭველად აღიქმება, რომ „ერთი და იგივე“ ბგერაა ზუსტად იმავე მნიშვნელობით (sense), რომელშიც bad-ისა და bat-ის ინგლისურ ხმოვნებს აღვიქვამთ იდენტურ ფონეტიკურ ელემენტებად. ზემო ჩინუკის d არსებობს მხოლოდ როგორც t-ს მექანიკური ვარიანტი; მაშასადამე, ფსიქოლოგიურად ეს მონაცვლეობა არ არის იგივე, რაც სანსკრიტული სანდჰის ვარიაცია -t : -d.

როგორც კი ხელს აღარ შეგვიძლია ინდივიდუალური ვარიაციები და უკვე განხილული შეპირობებული ვარიაციები, მივადგებით სამეტყველო ბგერათა ჭეშმარიტ მოდელს. ჩვენი ნათქვამის შემდეგ თითქმის თავისთავად ცხადია, რომ ორ ენას, A-სა და B-ს, შეიძლება ჰქონდეთ იდენტური ბგერები, მაგრამ სრულიად განსხვავებული ფონეტიკური მოდელები; ან მათ შეიძლება ჰქონდეთ ურთიერთშეუთავსებელი ფონეტიკური სისტემები არტიკულაციური და აკუსტიკური თვალსაზრისით, მაგრამ იდენტური ან მსგავსი მოდელები. ქვემოთ მოტანილი სქემის სახით წარმოდგენილი მაგალითები და ბოლოში დამატებული კომენტარები ამ ყველაფერს გასაგებს განდის. ბგერები, რომლებიც სათანადოდ არ მიეკუთვნებიან მოდელს ან, უფრო სწორად, წარმოადგენენ ვარიანტებს მოდელის წერტილების შიგნით, მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში. გრძელი ხმოვნები აღნიშნულია როგორც aː; ɪ არის sing-ის („მღერა“) ng; θ და ð არის ყრუ და მჟღერი ინტერდენტალური სპირანტები; x და ɣ არის ყრუ და მჟღერი გუტურალური სპირანტები; ʻ არის გლოტალური ხმოვი; ˘ აღნიშნავს ფშვინვიერ განხშვას; ε და ɔ არის ღია e და o.

<sup>4</sup> მაგალითად, არ არის ფსიქოლოგიურად პარალელური bid „ფასის შეთავაზება“ და bead „მძივებით გაწყობა“, fed „გამოკვება“ და fade „დაჭკნობა“ ტიპის თვისებრივ-რაოდენობრივი მონაცვლეობებისა, ან გერმანული Schlaf „ძილი“ და schlaff „უსუსტი“, ლათინური āra და ārā ტიპის რაოდენობრივი მონაცვლეობებისა.

	a	(ε)	(e)	i	u	(o)	(ɔ)
A:	(a')	(ε')	(e')	i'	u'	(o')	(ɔ')
	'	h	w	y	l	m	n (ŋ)
	p	t	k				
	p'	t'	k'				
	(b)	(d)	(g)				
	f	θ	s	x			
	(v)	(δ)	(z)	(γ)			
მაგრამ B:	a	ε	e	i	u	o	ɔ
	(a')	(ε')	(e')	(i')	(u')	(o')	(ɔ')
	(')	h	(w)	(y)	(l)	m	n η
	p	t	k				
	(p')	(t')	(k')				
	b	d	g				
	(f)	(θ)	s	(x)			
	v	δ	z	γ			

A-სა და B-სთვის ვივარაუდებთ განსაზღვრულ შეპირობებულ ვარიანტებს, რომელთა ყველა ტიპი შეიძლება უხვად ილუსტრირდეს რეალური ენებიდან.

A-სთვის:

1. ε გვხვდება მხოლოდ როგორც a-ს პალატალიზებული ფორმა, როცა მოსდევს y-ს ან i-ს. ბევრ ამერიკულ ენაში, მაგალითად, yε = ya.
2. ბოლოკიდური e იკარგება i-სთან მეზობლობაში. შდრ. ისეთ მექანიკურ მონაცვლეობებს (mechanical alternations), როგორცაა ესკიმოსური – e : -i-t.
3. ბოლოკიდური o იკარგება u-სთან მეზობლობაში. შდრ. მე-2 პუნქტს.
4. ɔ გვხვდება მხოლოდ როგორც a-ს ლაბიალიზებული ფორმა w-ს ან u-ს მომდევნოდ. შდრ. 1-ლ პუნქტს [იაპიში (Yahi), მაგალითად, wɔwi „სახლი“ რეალურად სწორია, მაგრამ ფსიქოლოგიურად მცდარი. ადვილად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ეს სიტყვა რეალურად არის wawi და რითმის „შთაბეჭდილებას“ ტოვებს ისეთ ფონეტიკურ ჯგუფებში, როგორებიცაა lawi და bawi; მოკლე ɔ ღია მარცვალში ანომალიაა, მაგრამ ɔ ტიპურია იანას (Yana) ყველა დიალექტისათვის, იაპის ჩათვლით].
5. ინდოევროპულის მსგავსად, η, უბრალოდ, მომდევნო k-სთან ასიმილირებული n არის.
6. b, d, g, v, z, δ, γ წარმოადგენენ p, t, k, f, s, θ, x ბევრათა მჟღერ ფორმებს, შესაბამისად, როდესაც ეს თანხმოვნები გვხვდება ხმოვნებს შორის მახვილის (accent) წინ (შდრ., ზემო ჩინუკი wa'pul „ღამე“ : wabu'lmax „ღამეები“). რადგანაც მჟღერი თანხმოვანი არ შეიძლება წარმოიქმნას სხვაგვარად, A ენის მოლაპარაკეები ვერ

აღიქვამენ მათ როგორც სპეციფიკურად განსხვავებულს ყრუ თანხმოვნებისაგან. ისინი მკვეთრად აღიქვამენ განსხვავებას p-სა და p'-ს შორის, როგორც ჩინური, ტაიკელმა, იანა და უამრავი სხვა ენა, მაგრამ ვერ განარჩევენ p : b მონაცვლეობას.

და B-სთვის:

1. გრძელი ხმოვნები შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ მაშინ, როცა მარცვალი ღია და მახვილიანია. ისეთ მონაცვლეობათა განსხვავება, როგორიცაა ma'la : u'-mala, აღიქმება მხოლოდ მახვილის მიხედვით. A ენაში ma'la და mala განსხვავდებიან ისე, როგორც ლათინური „ვაშლი“ და „ცული“ (მდებრ.).
2. ' არის არა ორგანული თანხმოვანი (organic consonant), არამედ ჩრდილოგერმანულის მსგავსი თავიკიდურ ხმოვნებზე ზემოქმედება, მამასადამე, 'a- აღიქმება, უბრალოდ, a-ად. მიუხედავად ამისა, A-ში, როგორიცაა სემიტური, ნუტკა, კაკიუტლი, ჰაიდა და მრავალი სხვა ენა, ამგვარი 'a-ს მსგავსი თავიკიდურები მიიჩნევა თანხმოვანი + ხმოვნის ჯგუფთა, როგორიცაა ma- ან sa-, ეკვივალენტურად. ეს არის მოდელთა განსხვავების ისეთი ტიპი, რომლის ნათლად წარმოჩენას გამოცდილი ლინგვისტებიც კი ყოველთვის წარმატებულად ვერ ახერხებენ.
3. w და y წარმოადგენენ მხოლოდ u-სა და i-ს ნახევარხმოვნურ განვითარებებს. შდრ. ფრანგული oui „პო“ და hier „აქ“. A-ში w და y ორგანულად განსხვავებული თანხმოვნებია. ამ შემთხვევაშიც ლინგვისტები შესასწავლი ენის ქცევის გამორკვევის ნაცვლად ხშირად ბრძალ მისდევენ თავიანთი ენის ფონეტიკურ აღქმას. მაგალითად, განსხვავება aua-სა და awa-ს შორის რეალურია გარკვეული ენებისათვის, სხვებისათვის – ილუზიური.
4. l წარმოიქმნება მხოლოდ როგორც n-ს დისიმილაციური ვარიანტი.
5. p', t', k' წარმოადგენენ p, t, k ბგერებს ფშინივიერი განხშვით, რაც B-ს ახასიათებს სიტყვის ბოლოს, მაგალითად, ap-a : ap'. ასეთი ტიპის მონაცვლეობა ფართოდ გავრცელებულია აბორიგენულ ამერიკაში. ეს არის ინგლისური ჩვევის საპირისპირო: tame „მოთვინიერება“ ასპირირებული t ბგერით (t'e'im), მაგრამ hate „სიძულვილი“ არასასპირირებული, ან ძალიან სუსტად ასპირირებული, განხშვით (he't).
6. მსგავსად, f, θ და x წარმოიქმნებიან ბოლოკიდური v, ð და γ ბგერების დაყრუებით; მაგალითად, av-a : af. ასევე მონაცვლეობენ აგრეთვე z და s, მაგრამ, ამას გარდა, არსებობს ჭეშმარიტი s. B-ს თვალსაზრისით, s იმგვარ ფონემებში როგორიცაა sa და asa სრულიად განსხვავებული ბგერაა, უფრო სწორად, წერტილი ფონეტიკურ მოდელში, რეალურად იდენტური as-იდან, რომელიც მონაცვლეობს az-a-სთან.<sup>5</sup>

<sup>5</sup> თუ B ოდესმე განივითარებს ორთოგრაფიას, სავარაუდოდ, ჩვევად იქცევა az-ის დაწერა წარმოთქმული as-ისთვის az-a : as ტიპის შემთხვევებში, მაგრამ as-ის დაწერა – as-a : as ტიპის შემთხვევებში. ფილოლოგებმა, რომლებიც არ არიან დარწმუნებულები ფონეტიკური მოდელის რეალურობაში ისე, როგორც აქ არის გაგებული, მაშინ უნდა „დაამტკიცონ“ შინაგანი მონაცემებით, რომ საწყისი (etimological) v, z, ð, γ ბგერების ცვლილება -f, -s, -θ, -x ბგერებად არ მომხდარა მანამ, სანამ მოცემული ენა გრაფიკულად არ ჩაიწერეს, რადგან სხვაგვარად „შეუძლებელი“ იქნება, აიხსნას, -s-ს დაიწერა -z-თი მა-



C:	a	ε	i		u
	a˙	ε˙			
	h	w	y	l	m n
	p	t	k	q	(ველარული k)
	b	d	g	g̥	(ველარული g)
	f	s	x	x̥	(ველარული x)
D:	ä	e	i		ü
	ä˙	e˙			
	h	v	j <sup>6</sup>	r	m n
	p˙	t˙	k˙	q˙	
	β <sup>7</sup>	δ	γ	γ̥	(ველარული γ)
	f	š	x̥ <sup>8</sup>	h	(ლარინგალური h)

C და D ენები ზედაპირულად გაცილებით ნაკლებად ჰგვანან ერთმანეთს თავიანთ, ბგერით, სისტემების მიხედვით, ვიდრე A და B, მაგრამ, ცხადია ერთი შეხედვისთანავე, რომ მათი მოდელები აგებულია გაცილებით უფრო მსგავსი თავისებურებებით. თუ ვივარაუდებდით საერთო წარმოშობას, შეიძლება დავეჭვებულებოდათ ზოგადი პრინციპების თანახმად, რომ მომიჯნავე ენებად მიჩნეულ A-სა და B-ს შორის ფონეტიკური მსგავსებები შეპირობებულია ისტორიული კონტაქტებით, მაგრამ მოდელთა უფრო ღრმა მსგავსება C-სა და D-ს შორის გენეტიკური ნათესაობის მაჩვენებელია. თავისთავად ცხადია, რეალური ენობრივი ისტორიის რთულ სამყაროში ხშირად ვერ ვპოულობთ ამგვარ ფაქიზ სქემაზე დაფუძნებულ ფონეტიკურ ფაქტებს, მაგრამ მიზანშეწონილი იყო სქემატიზება. ასე რომ, მოდელის კონცეფცია (pattern concept) შეიძლება უფრო მეტად ცხადი ყოფილიყო.

C-სა და D-ს მოდელთა შესწავლა აჩვენებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც მოკლედ მხოლოდ ირიბად შევეხეთ. ეს ახლა ნათლად უნდა ჩამოვაყალიბოთ. ჩვენ დავალაგეთ C-სა და D-ს ბგერები იმგვარად, რომ შემოგვეთავაზებინა ერთი სისტემის ნებისმიერი ბგერის „მიმართების“ ეკვივალენტურობა სხვა სისტემის რამდენიმე ბგერასთან. A-სა და B-ს სისტემათა შედარებისას ჩვენ არ ავკიდა ვალდებულება სპეციფიკურ ეკვივალენტურობებზე. მაგალითად, ჩვენ არ გვსურდა, მიგვენიშნებინა, რომ A-ს s იყო თუ არა „მიმართული“ იმგვარად როგორც B-სი, ეკავა თუ არა იგივე ფარდობითი ადგილი A-ს მოდელში, როგორც B-საში. მაგრამ ჩვენ ნამდვილად გვსურს, მაგალითად, მივანიშნოთ არა, უბრალოდ,

<sup>6</sup> როგორც ფრანგულ jour-ში „დღე“.

<sup>7</sup> ბილაბიალური v, როგორც ესპანურში.

<sup>8</sup> როგორც გერმანული ich-ში „მე“.



ის, რომ C-ს p შეესატყვისება D-ს p'-ს ან C-ს h – D-ს h-ს, რომლებიც ზოგადი ფონეტიკის საფუძველზე დასაშვებ ტენდენციას იჩენენ. მაგრამ, აგრეთვე, მაგალითად, C-ს w შეესატყვისება D-ს v-ს მაშინ, როცა C-ს b შეესატყვისება D-ს β-ს. ზოგადი პრინციპების თანახმად, მოდელთა ამ უკანასკნელის მსგავსი წყობები (alignments) მოულოდნელია, სხვა თუ არაფერი, რადგან ბილაბიალური β w-ს უფრო ჰგავს, ვიდრე დენტოლაბიალურ v-ს. მაშინ რატომ არ დავუშვათ, რომ β-მ დაიკავოს v-სთვის მიჩენილი პოზიცია? გარდა ამისა, D-ს j რატომ არ უნდა შეესაბამებოდეს C-ს y-ს, როდესაც ის, უბრალოდ, წარმოადგენს ž-ს მჟღერ ფორმას? უძჯობესი არ იქნება, რომ ადგილი მივუჩინოთ ž-სთან იმგვარად, როგორც b წარმოდგენილია p-სთან C-ს სისტემაში? როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა იყოს იდენტური მოცემული ენის ბგერითი მოდელის ინტუიციური წყობა მათი ბუნებრივი ფონეტიკური დალაგებისა და, თავისთავად ცხადია, ეს თითქმის საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ, მაგალითად, ხმოვნები ქმნიან როგორც ბუნებრივ, ისე მოდელურ ჯგუფს თანხმოვანთა საპირისპიროდ: ისეთი ხშული თანხმოვნები, როგორებიცაა p, t, k ქმნიან როგორც ბუნებრივ, ისე მოდელურ ჯგუფს საპირისპიროდ თანაბრად დაკავშირებულ b, d, ჯ ჯგუფისა (რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუკი ენას აქვს ხშული თანხმოვნების ეს ორი რიგი). და მაინც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, გამოვყოთ უცნაური, მაგრამ უდავო ფაქტი, რომ მოდელის წყობა არ საჭიროებს ზუსტ შესატყვისობას უფრო ცხად ფონეტიკურ წყობასთან. ეჭვგარეშეა, როგორი სარწმუნოც არ უნდა იყოს, ბგერათა მოდელირების ანალიზი დაფუძნებულია ბუნებრივ კლასიფიკაციებზე, ერთხელ დადგენილი მოდელის აღქმას შეიძლება ჰქონდეს ენობრივი რეალობა, თანაც ამგვარი კლასიფიკაციებისა, თუმცა, ალბათ, მთლიანად არასდროს არ შეესაბამება. ჩვენ აქ არ განვიხილავთ ისტორიულ მიზეზებს ამგვარი მოულოდნელი ფონეტიკური ცვლილებებისათვის. ფაქტია, რომ წმინდა დესკრიფციული თვალსაზრისიდანაც კი, აზრიანი გამონათქვამია, მაგალითად, რომ აუცილებელი არაა, ერთი ენობრივი მოდელის s ან w იყოს სხვა მოდელის s-ს ან w-ს იგივეობრივი.

დროა, გაეთავისუფლდეთ ფონეტიკური მეტაფიზიკის შესაძლო პასუხისმგებლობისაგან და პრობლემის წინაშე აღმოვჩნდეთ, „როგორ შეიძლება, რომ ბგერას მივუჩინოთ „ადგილი“ ფონეტიკურ მოდელში და, ამასთანავე, მისი ბუნებრივი კლასიფიკაცია იყოს ორგანულ და აკუსტიკურ საფუძველზე?“ პასუხი მარტივია. „ბგერის „ადგილი“ ინტუიციურად იძებნება (რომელიც აქ მიიჩნევა როგორც ნამდვილი „წერტილი მოდელში“ და არა უბრალო შეპირობებული ვარიანტი) ამგვარ სისტემაში მისი ფონეტიკური ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი აღქმის გამო, რომელიც ყველა სპეციფიკური ფონეტიკური დამოკიდებულებებიდან გამომდინარეობს (როგორებიცაა: პარალელიზმი, კონტრასტი, კომბინაცია, კომბინაციასთან შეუთავსებლობა და ა.შ.) დანარჩენი სხვა ბგერებისათვის“. ამ დამოკიდებულებამ შეიძლება მოიცვას ან არ მოიცვას მორფოლოგიური პროცესები (მაგალითად, ინგ-

ლისურში მორფოლოგიური მონაცვლეობების მოვლენა, როგორებიცაა: wife : wives „ცოლი“ : „ცოლები“, sheath : to sheathe „ქარქაში“ : „ქარქაშიში ჩაგება“, breath : to breathe „ამონასუნთქი“ : „სუნთქვა“, mouse : tomouse „თაგვი“ : „თაგვების ჭერა“ ხელს უწყობს f, θ, s ბგერების მოდელის ინტუიციური კავშირის თავიანთ მჟღერ კორელატებთან v, ბ, z, რომლებიც განსაკუთრებულად განსხვავებიან ანალოგიური თეორიული დამოკიდებულებისაგან p, t, k : b, d, g; ინგლისურში f უფრო ახლოსაა v-სთან, ვიდრე p b-სთან, მაგრამ გერმანულისათვის ეს ნამდვილად არ არის მართალი).

რამდენიმე მაგალითი ინგლისურ ბგერათა მოდელირების მიხედვით დაგვეხმა-რება, დავაფიქსიროთ ჩვენი შეხედულება. p, t და k ერთად მიეკუთვნებიან კოჰერენტულ სიმრავლეს, რადგან არსებობს ასევე სხვა მიზეზებიც: **1.** ისინი შეიძლება შეგვხვდეს თავკიდურ, შუა და ბლოკიდურ პოზიციაში; **2.** მათ შეიძლება წინ უძღოდეს s ყველა პოზიციაში (მაგალითად, spoon : cusp „კოვზი“ : „წვეტი“, star : hoist „ვარსკვლავი“ : „აწვევა“, scum : ask „ქაფი“ : „კითხვა“); **3.** მათ შეიძლება მოსდევდეს r თავკიდურ და შუა პოზიციებში; **4.** მათ შეიძლება წინ უძღოდეს s და მოსდევდეს r თავკიდურ და შუა პოზიციებში; **5.** თითოეულს აქვს მჟღერი შესატყვისი (b, d, g); **6.** ისეთი ბგერებისაგან განსხვავებით, როგორებიცაა f და θ, მათ არსებითად არ შეუძლიათ მონაცვლეობა თავიანთ მჟღერ შესატყვისებთან; **7.** არ იჩენენ მჭიდროდ დაკავშირების ტენდენციას როგორც ფონეტიკურად, ისევე მორფოლოგიურად შესატყვის სპირანტებთან (ინტუიციურად p : f და t : θ არ არის მართებული ინგლისურისათვის; შეადარეთ ძველი ირლანდიური და ებრაული t : θ, k : x, რომელთა ურთიერთდაკავშირებები ინტუიციურად აღიქმებოდა – ძველი ირლანდიური და ებრაული t და x წარმოადგენდნენ ბგერათა აბსოლუტურად სხვა ტიპებს ინგლისური t-სა და გერმანული x-საგან განსხვავებით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით). ესენი წარმოადგენენ დამოკიდებულებათა მხოლოდ მცირე ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს p, t, k ბგერების ასახვას თავიანთ ადგილზე ინგლისურის მოდელში.

მეორე მაგალითი არის sing-ის „მღერა“ η. მიუხედავად იმისა, თუ რას გვეუბნებიან ფონეტიკოსები ამ ბგერის შესახებ (b : m როგორც d : n როგორც g : η), შეუძლებელია, რომ ინგლისურად მოლაპარაკე მიაძიჭ პიროვნებას მთელი არსებით აღვაქმევინოთ, რომ ის მიეკუთვნება ერთადერთ რიგს m-სა და n-სთან ერთად. ფსიქოლოგიურად ის არ შეიძლება დაჯგუფდეს მათთან ერთად, რადგან, მათგან განსხვავებით, ის არ არის თავისუფლად მოძრავი თანხმომანი (არ არსებობს სიტყვები, რომლებიც იწყება η-თი). ის მაინც აღიქმება როგორც ηგ, როგორი მცირეც არ უნდა იყოს მსგავსება ჟღერადობის მიხედვით. დამოკიდებულება ant : and „ჭიანჭველა“ : „და“ = sink : sing „ჩაძირვა“ : „მღერა“ ფსიქოლოგიურად და, ამასთანავე, ისტორიულად მართებულია. მხოლოდ ორთოგრაფია სულაც არ არის მიზეზი η-ს „ηგ აღქმისათვის“. შემთხვევები, როგორებიცაა: -ηგ- finger-სა „თითი“

და anger-ში „სიბრაზე“, არ უარყოფს ამ აღქმის რეალურობას, რადგანაც ინგლისურში წარმოდგენილია -g- : -j-სა და -nd- : -nd-ს მოდელური ეკვივალენტურობა. ისეთი შემთხვევები, როგორიცაა singer -j- ბგერით გამოხატული, არის არა იმდენად -jგ- : -j- მოდელური განსხვავება, რომელიც არ გაიგება -nd : -n-ს ანალოგიურად (მაგალითად, window : winnow „ფანჯარა“ : „მარცვლეულის განიავება“), როგორც მედიალური ელემენტების ანალოგიური ინტერპრეტაცია მათი ბოლოკიდური ფორმის თვალსაზრისით (singer : sing „მომღერალი“ : „მღერა“ მსგავსად cutter : cut „ამომჭრელი/გამომჭრელი“ : „ჭრა“).<sup>9</sup>

რომ დავუბრუნდეთ ჩვენს ფონეტიკურ მოდელს C-სა და D-სათვის, ახლა უკეთესად გავიგებთ, რატომ არის შესაძლებელი, განვიხილოთ j სიბილანტის ნაკლებად დაკავშირება თავის ყრუ ორმასთან მოდელში, ვიდრე მჟღერი მყოვრების ისეთ სიმრავლესთან, როგორებიცაა v, r, m, n. შეიძლება აღმოვაჩინოთ, მაგალითად, რომ ორმასთან მონაცვლეობს j-სთან, მაგრამ წარმოდგენილია ორმასთან შემთხვევები, ანალოგიური f : β და x : γ შემთხვევებისა; ამდენად ava, aja, ara მონაცვლეობს au, ai, ar-თან; კომბინაციები, როგორებიცაა -aβd, -adg, -aγd, დასაშვებია, -ajd და -avd ტიპის კომბინაციები კი – შეუძლებელი; ამდენად v- და j-არის შესაძლო თავკიდურები r-, m- და n- ბგერათა მსგავსად, მაგრამ β-, δ-, γ-, γ- დაუშვებელია. ამგვარი და სხვა შესაძლო ბგერითი დამოკიდებულებების შედეგადად შეიძლება გამოიწვიოს აღქმა, რომ j მიეკუთვნება v, r, m, n ბგერებს; რომ ის უკავშირდება i-ს; და რომ მას საერთო არაფერი აქვს იმგვარ ორმასთან ორმასთან. სხვა სიტყვებით, ის „აღიქმება“ როგორც ბგერი სხვა ენის y და რადგან D-ში ის თავისთავად არ არის წარმოდგენილი, შეგვიძლია ვთქვათ კიდევაც, რომ j იკავებს „იმ ადგილს მოდელში“, რომელიც მიეკუთვნება y-ს სხვაგან.

ამ სტატიაში, არ მსურს, დაწვრილებით განვიხილო ენაში ბგერათა ცვლილებების ბუნებისა და ზოგად პრინციპის რთული და გადახლართული საკითხები. ყვე-

<sup>9</sup> ამასთან დაკავშირებით, თუ ჩვენი თეორია სწორია, ისეთი ფორმა, როგორიც არის singer „მომღერალი“, არ ამართლებს გაუცნობიერებელ ანალიზს აბსოლუტური მნიშვნელობის სიტყვაში sing „მღერა“ და ნახევრად დამოუკიდებელი მნიშვნელობის აგენსური ელემენტი -er, რომელიც დაერთვის არა აბსტრაქტიზირებულ რადიკალურ ელემენტს – ფუძეს, არამედ ნამდვილ სიტყვას. ამგვარად, sing: singer ფსიქოლოგიურად არ არის ანალოგიური ისეთი ლათინური ფორმებისა, როგორებიცაა can- : can-tor. როგორც ჩანს, შეიძლება, რომ ინგლისურის დაქინებით მტკიცება თავისი სრულმნიშვნელოვანი სიტყვების (significant words) აბსოლუტურობაზე ტენდენციას იჩენდეს იმავე დროს, რომ მიანიჭოს თავისი დერივაციულ სუფიქსთაგან ბევრს მერეული, გამოცოცხლებული სინამდვილე. მაგალითად, -er შეიძლება, თითქმის გაიგებოდეს როგორც „სიტყვა“, რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ როგორც კომპოზიტის მერეული ელემენტი, შდრ. -man ისეთ სიტყვებში როგორიცაა longshoreman „ნავსადგურის მტვირთავი“. როგორც პროფ. ლ. ბლუმფილდმა მიმითითა, აგენსური -er უპირისპირდება შედარებითი ხარისხის -er-ს, რომელიც უშვებს, რომ ზედსართავმა სახელმა შეინარჩუნოს თავისი რადიკალური ფორმა (radical form) -jგ-ში (მაგალითად, long „გრძელი“ -j-თი : longer „უფრო გრძელი“ -jგ-თი).

ლაფერი, რისი მითითებაც მსურს, აშკარად არსებითია იმის გასაგებად, როგორ ამოდელეს ბგერა, თუ ჩვენ უნდა გავიგოთ მისი ისტორია. რა თქმა უნდა, მართალია, რომ ბგერათა მექანიკურმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული შესწორებები ფონეტიკური მოდელისა და შეიძლება წარმოქმნას კიდევაც ახალი კონფიგურაციები მოდელის შიგნით (თანამედროვე ცენტრალურ ტიბეტურში, მაგალითად, ჩვენ გვაქვს b-, d-, g-: B<sup>‘</sup>-, D<sup>‘</sup>-, G<sup>‘</sup>-<sup>10</sup> მაშინ, როდესაც კლასიკურ ტიბეტურში გვაქვს შესატყვისობები mb-, nd-, ოგ- : b-, d-, g-; mb-, nd-, ოგ- მორფოლოგიურად უნდა გაანალიზდეს, როგორც ნაზალურ პრეფიქსს + b-, d-, g-). მაგრამ თანაბრად მართალია, რომ მოდელის აღქმა მოქმედებს როგორც დამაბრკოლებელი ან მასტიმულირებელი განსაზღვრული ბგერითი ცვლილებებისა და რომ არ არის დასაშვები, მოვიძიოთ უნივერსალურად მოქმედი ბგერითი ცვლილებები მსგავს არტიკულაციურ პირობებში. წარმოდგენილია განსაზღვრული ტიპური მექანიკური ტენდენციები (მაგალითად: nb > mb ან -az > -as ან tya > t̥sa), მაგრამ ბგერათა ცვალებადობის ამომწურავმა თეორიამ მუდმივად უნდა გამოთვალოს ბგერათა მიმართულება ჩვენეული მნიშვნელობით. მრავლის ნაცვლად მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ინგლისურში არ აღვიქვამთ, რომ θ უნდა შეგვხვდეს s-ს მეზობლობაში, ძალიან ახლოს რომ არ იყოს ბ-სთან. ესპანურში θ არ არის შორს s-სგან, მაგრამ სრულებით არ არის ახლოს ბ-სთან.<sup>11</sup> მაშასადამე, განა შემთხვევითობაზე მეტი არ არის, რომ არსად გერმანიკულში θ არ გადადის s-ში ან წარმოიქმნება s-სგან მაშინ, როცა ზოგიერთ ესპანურ დიალექტში, და ხშირად სხვაგანაც, θ გადადის s-ში (ათაბასკურში θ წარმოიქმნება s-სგან)? ინგლისურში θ→t ტენდენციას იჩენს, ისევე როგორც ბ→d, მაგრამ არასოდეს θ→s; ანალოგიურად, ძველი სკანდინავიური (Old Norse) θ გახდა t შვედურსა და დანიურში. ამგვარი ფაქტები არის შთამბეჭდავი. ისინი არ შეიძლება აიხსნას მარტივი მექანიკური პრინციპებით.

ფონეტიკური მოდელირება აგრეთვე აგვახსნევინებს იმას, თუ რატომ უჭირს ხალხს ზოგიერთი უცხო ბგერის წარმოთქმა, რომლებსაც ისინი ფლობენ თავიანთ ენაში. ამგვარად, ნუტკას ტომის ინდიელთა ინგლისური ო- ან l-ბგერიანი სიტყვის წარმოთქმისას მუდმივად ანაცვლებს n-ს თითოეულ ამ ბგერას. მიუხედავად ამისა, მას შეუძლია, წარმოთქვას როგორც ო, ასევე l. ის არ იყენებს ამ ბგერებს პროზაულ ტექსტში, მაგრამ ო ფართოდ გავრცელებულია საგალობლებში და l ხშირად ენაცვლება n-ს სიმღერებში. ო-ს სტილისტიკური ხასიათისა და n-l ეკვივალენტურობის აღქმა ხელს უშლის ნუტკას ტომის ინდიელს, სწორად „გაიგოს“ ინგლისური ო და l. აქაც ვხედავთ, რომ სამეტყველო ბგერა არის, უბრალოდ, არა

<sup>10</sup> B, D, G წარმოდგენენ შუალედურ ხშულებს, “tonlose medien”. ამ სერიაში მათ მოჰყვება ასპირაცია.

<sup>11</sup> უმნიშვნელო ობიექტური განსხვავებები ინგლისურ და ესპანურ θ-სა და ბ-ს შორის, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისად დიდი მათი განსხვავებულად მოდელირებისათვის. ამგვარი შეხედულება იქნებოდა საქმის თავდაყირა დაყენება.

არტიკულაციური ან აკუსტიკური ხატი, არამედ მასალა სიმბოლური გამონათქვამისათვის სათანადო ენობრივ კონტექსტში. ძალიან სასარგებლოა ჩვენი დამოკიდებულება j, ɲ და ts ინგლისური ბგერებისადმი. სამივე ბგერა ნაცნობია ჩვენთვის (მაგალითად: azure „ლაჟვარდი“, sing „მღერა“, hats „ქუდები“). არცერთი დასტურდება თავიკიდურ პოზიციაში. ყველა მცდელობა, რომ წარმოვთქვათ ისინი უცხოური სიტყვების თავიკიდურ პოზიციაში, არ რეაგირებს იმავენაირად. ɲa- და tsa-ბგერათა შეუძლებლობა მიაბიჭურად აღიქმება, მაგრამ არა – ja-, რომელსაც ადვილად ითვისებენ djɑ- ან ʃɑ- ბგერათა ჩანაცვლების გარეშე. რატომ ხდება ასე? ɲa- წარმოუდგენელია იმიტომ, რომ ინგლისურში არ დასტურდება mba-, nda-, ɲ(ɣ)a- სერიები. tsa- შეუძლებელია, რადგან ინგლისურში არ დასტურდება psa-, tsa-, ksa-სერიები; -ts ყოველთვის ანალიზდება მორფოლოგიურად -t + -s, ამგვარად, არავითარი აღქმა არ იქმნება ts-თვის, როგორც მარტივი ფონემისათვის, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მისი ფონეტიკური პარალელი tʃ (church-ის „ეკლესია“ ch) დასტურდება ყველა პოზიციაში.<sup>12</sup> მაგრამ ja-ს წარმოთქმა არ არის ძნელი ფრანგულის სწავლისას, რადგან მის არტიკულაციასა და პერცეფციას ვეუფლებით ჩვენი ფონეტიკური მოდელის ყოველდღიურ გამოყენებაზე მინიმუმებით. ეს ცხადია ამ ფორმულაზე თვალის ერთი გადავლებითაც:

-j-	-z-	-ɲ-	-v-
—	z-	ɲ-	v-

რომელსაც მხარს უჭერს:

-ʃ-	-s-	-θ-	-f-
ʃ-	s-	θ-	f-

ცხადი არაა, რომ ინგლისურად მოლაპარაკის მოდელს მისთვის თითქმის მანამდე უსწავლებია j, სანამ ინგლისურად მოლაპარაკეს ოდესმე არ გამოუყენებია ან სმენია რეალური j-?

ზოგიერთი ისეა დარწმუნებული სამეტყველო ბგერების შესწავლის წმინდაობიექტური მეთოდების ადეკვატურობაში, რომ თავიანთი დესკრიფციული გრამატიკების ძირითად ნაწილში ფონეტიკური დიაგრამის ჩასმაზე არც კი ყოყმანობს. ეს ენობრივი სტრუქტურის აღრევას იწვევს ენობრივი მოვლენების შესწავლის კონკრეტულ მეთოდთან. თუ გამართლებულია გრამატიკულ ნაშრომში ენის ვოკალური სისტემის აღწერა კიმოგრაფიული ჩანაწერების<sup>13</sup> საფუძველზე, მაშინ, აგ-

<sup>12</sup> s და ʃ რომც განვითარდნენ, ამკარად არ უნდა ველოდოთ -ts და -tʃ ბგერათა ანალოგიურ განვითარებას.

<sup>13</sup> თავისთავად ცხადია, ამგვარი ჩანაწერები მოთავსებულია ამკარად ექსპერიმენტული ფონეტიკისადმი მიძღვნილ კვლევებში.

რეთვე, მართებული იქნება მორფოლოგიაში ისტორიის ჩასმა იმის საჩვენებლად, რომ გარკვეული ხერხები ან შემთხვევები აღმოჩნდა გამოსადეგი. აგრეთვე მხატვარს შეიძლება ასევე შესაძლებლობა ჰქონდეს, გადაიტანოს თავის ტილოზე შეუსწორებელი პალიტრა! მთელი მიზანი და სული ამ სტატიისა იყო იმის ჩვენება, რომ, როგორი აუცილებელიც არ უნდა იყოს ინდუქციური ენათმეცნიერული კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე ფონეტიკური ერთეულების ანალიზი მათი ფიზიკური გამოვლინებების საშუალებით, ფონეტიკური ერთეულები თავისთავად არ წარმოადგენს ფიზიკურ მოვლენებს. ეს განხილვა ნამდვილად არის გამონათქვამის ნებისმიერი ტიპის გრძნობათა მონაცემების მხარდაჭერის აუცილებლობის სპეციალური ილუსტრაცია იმისათვის, რომ გავიგოთ ინტუიციურად აღქმული და გადაცემული ფორმები, რომლებიც მარტო აძლევენ მნიშვნელოვნებას ამგვარ გამონათქვამს.

*თარგმნა ზურაბ ბარათაშვილმა  
თარგმანი იბეჭდება ივანე ლეჟავას რედაქციით*

სახლი წიგნები

*Georgica* 38 (2017): 103-104

Bakar Gigineišvili 2016: *Kartuli enis istoriul-eŋimologiuri leksiŋoni (a - m)* (SMEA, “Vepxiŋtaosnis” aŋademiuri gamocemisa da “Kartuli enis tesaurusis” ŋomiŋeŋi [Umschlag: Sakartvelos Mecnierebata Erovnuli Aŋademiuri / National Academy of Sciences in Georgia, “Rustavelis ŋomiŋeŋi”]). Tbilisi: Sakartvelos Mecnierebata Erovnuli Aŋademiis ŋamba [389pp.]

Bakar Gigineišvili (1930-1997) war einer der großen georgischen Philologen und Sprachwissenschaftler, auf deren Solidität und umfassendes Wissen man sich immer verlassen konnte und kann. Er gehörte zu den immer selteneren Gelehrten, die eine breite Kompetenz auf zentralen Gebieten der Kartvelologie besitzen; er verfügte aufgrund umfangreicher Textarbeit (av 1960 bei Ilia Abulaŋe) über eine tiefe Kenntnis der altgeorgischen Sprache und – nach gründlicher Ausbildung in der kartvelischen vergleichenden Sprachwissenschaft bei hervorragenden Lehrern (T. Gamqreliŋe, Givi Mačavariani, & Gudava usw.) – ein sicheres Urteil über Fragen der historischen Phonologie, Morphologie und Etymologie.

Wir haben spätestens seit den etymologischen Wörterbüchern von G. Klimov, H. Fähnrich und Zurab Sarŋvelaŋe keinen Mangel an bequemer und ausgezeichneter Information über den rekonstruierten gemeinkartvelischen Wortschatz. Aber B. Gigineišvilis Wörterbuch ist in keiner Weise überflüssig, sondern bietet einen völlig anderen Typ von Etymologie, den man am ehesten mit den bekannten Werken von Alfred Ernout und Antoine Meillet (*Dictionnaire étymologique de la langue latine*, 1932) und Pierre Chantraine (*Dictionnaire étymologique de la langue grecque*, 1968-1974) vergleichen kann, deren Titel beide den Zusatz haben: “Histoire des mots”. Während die anderen etymologischen Wörterbücher an der Rekonstruktion gemeinkartvelischer Wurzeln interessiert sind (ähnlich wie J. Pokornys *Indogermanisches etymologisches Wörterbuch*), behandelt dieses Lexikon Wörter und ihre ältesten und teilweise späteren Bedeutungen. Deshalb werden auch Wörter vermerkt, deren Herkunft dem Verfasser nicht bekannt ist (z.B. *tanxa* ‘Betrag’). Hierher gehören auch Lehnübersetzungen (z.B. *tanxmovani* = griech. *sy’mphōnos*). In diesem Rahmen sind die georgischen Wörter nicht einfach Belege für bestimmte Wurzeln in den Kartvelsprachen, sondern sie haben ihre jeweils eigene Geschichte, zu der allerdings auch formale und semantische Konstrukte gehören, die durch den Vergleich mit den anderen Kartvelsprachen gewonnen sind, im Fall von Entlehnungen aus anderen Sprachen aber eine ganz andere Vorgeschichte haben. So springen zwei Eigenschaften sofort in die Augen: Erstens werden auch abgeleitete Wörter und ihre

Bildungsweise und Bedeutungsentwicklung behandelt, etwas was man bisher allenfalls in wenigen Fällen in großen Grammatiken findet (z.B. neben *tval-* ‘Auge’ auch *tvalsačino* ‘augenfällig, hervorragend’ usw.); dabei werden auch Bedeutungsentwicklungen expliziert, die in keiner Wortgeschichte fehlen dürfen (z.B. swanisch *šdul* (zu *tval-*): ‘satopure’ < ‘satvaltvalo’), sowie Bedeutungsparallelen aus anderen Sprachen (z.B. *tvla* ‘zählen, betrachten als’ wie deutsch *zählen, betrachten als*). Zweitens enthält das Wörterbuch zahllose Lehnwörter mit ihrer Herkunft aus dem Armenischen, Türkischen, Arabischen, Persischen usw., die übrigens nicht nur von kulturgeschichtlichem Interesse sind, sondern auch ältere Sprachzustände der Gebersprachen bezeugen, und nicht zuletzt deshalb, weil auf diese Weise der irrtümlichen Interpretation als “urkartwelisch” vorgebaut wird, wie sie oft bei dilettantischen Vergleichen des Georgischen mit Sprachen des Alten Orients bzw. des mediterranen Raums zu finden sind. Ein dritter Unterschied zu den anderen etymologischen Wörterbüchern ist, dass die Argumentation, die zu einer Rekonstruktion geführt hat, und die Probleme, die dabei zu berücksichtigen sind, reflektiert und nicht einfach vorausgesetzt werden. Diese Bedachtsamkeit fördert manches wichtige Detail zutage. Um ein simples Beispiel zu nennen: Dass *twis* ‘für’ und *twit* ‘selbst’ zu *tav-* ‘Kopf’ gehören, wird nicht einfach konstatiert, sondern es wird darauf aufmerksam gemacht, dass altgeorgisch *tav-* nicht zu den ablautenden Nomina gehört. Daraus kann man schließen, dass ein ursprünglich ablautendes *tav-/tv-* in seinen nicht-konkreten Bedeutungen schon im Altgeorgischen von nicht-ablautendem *tav-* ‘Kopf’ dissoziiert war, was für die Grammatikalisierungstheorie nicht ohne Interesse ist. - Die Herausgeberinnen haben Wert des Wörterbuchs durch ein Wortregister der verschiedenen Sprachen wesentlich erhöht.<sup>1</sup>

Mit einem Wort: Obwohl der Verfasser das Wörterbuch nicht hat vollenden können, hat er mit diesem Fragment ( - immerhin ungefähr die Hälfte des geplanten Werks!) ein gewaltiges, bewundernswertes und außerordentlich nützliches Werk hinterlassen. Übrigens ist es, wie bei allen wortgeschichtlich orientierten Wörterbüchern, ein Vergnügen, einzelne Artikel einfach zu lesen – was man nicht von jedem Wörterbuch sagen kann! Es ist ein Glück für die Kartvelologie, dass Tamar Gigineišvili (die Tochter des Verfassers) und Irma Alasania mit großer Energie dieses in seiner Art einzigartige georgische etymologische Wörterbuchs den Kartvelologen und den georgischen Laien zugänglich gemacht haben.

*Winfried Boeder*

---

<sup>1</sup> Eine kritische Anmerkung: Irritierend ist hier wie in manchen anderen georgischen Arbeiten die Transkription griechischer Wörter, z.B. *synteŋikos*, *sympōnia* mit falschem Akzent auf *y*. Es gibt m.E. nur drei Möglichkeiten: das griechische Alphabet oder eine Transkription in georgische Buchstaben oder eine der Transkriptionen in lateinischen Buchstaben, wie sie in der wissenschaftlichen Literatur üblich sind: *syn<sup>h</sup>etikós*, *symp<sup>h</sup>ōnia*.



ბაქარ გიგინეიშვილი 2016:

**ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა - მ)**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თეზაურუსის“ კომიტეტი, [გარეკანი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, „რუსთაველის კომიტეტი“], თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა, 389 გვ.

ბაქარ გიგინეიშვილი (1930-1997) იყო ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ფილოლოგი და ენათმეცნიერი, რომლის სოლიდურობასა და ფართო ცოდნას ყოველთვის შეიძლება დაყრდნობოდი. იგი მიეკუთვნებოდა იმ იშვიათ მეცნიერებს, რომლებიც ქართველოლოგიის უმთავრეს საკითხებს ღრმად ფლობდნენ. 1960 წლიდან ილია აბულაძის ხელმძღვანელობით ტექსტებზე მუშაობის შედეგად ბატონი ბაქარი დიდად გაიწაფა ძველ ქართულ ენაში. იმავედროულად, ქართველურ ენათა შედარებით ენათმეცნიერებაში მან საფუძვლიანი მომზადება გაიარა გამოჩენილ მეცნიერებთან – თამაზ გამყრელიძესთან, გივი მაჭავარიანსა და ტოგო გუდავასთან, რომლებიც იკვლევდნენ ისტორიული ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და ეტიმოლოგიის საკითხებს.

გიორგი კლიმოვის, ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ეტიმოლოგიური ლექსიკონები გვაწვდიან მოხერხებულსა და შესანიშნავ ინფორმაციას რეკონსტრუირებული საერთოქართველური სასიტყვეთის შესახებ. ამ მხრივ ნამდვილად ვერ დავიჩივლებთ კვლევის ნაკლებობაზე. მაგრამ ბაქარ გიგინეიშვილის ლექსიკონი სრულიადაც არ არის ზედმეტი: იგი გვთავაზობს სავსებით განსხვავებული ტიპის ეტიმოლოგიებს, რითაც ყველაზე მეტად უახლოვდება ალფრედ ერნოუტისა და ანტონ მეიეს ლათინური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს (*Dictionnaire étymologique de la langue latine*, 1932) და პიერ შანტრენის ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონს (*Dictionnaire étymologique de la langue grecque*, 1968-1974), რომელთაც სათაურის ქვეშ ერთნაირი მინაწერი აქვთ: *Histoire des mots* – სიტყვათა ისტორია. სხვა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში (მსგავსად იულიუს პოკორნის ინდოგერმანული ეტიმოლოგიური ლექსიკონისა – J. Pokorny, *Indogermanisches etymologisches Wörterbuch*, 1959-1969) დომინირებს საერთოქართველური ძირის რეკონსტრუქცია, ბაქარ გიგინეიშვილის ლექსიკონში კი სიტყვებთან მოცემულია მათი თავდაპირველი და ნაწილობრივ შემდეგში განვითარებული მნიშვნელობები. ამიტომაც აღნიშნულია ის სიტყვებიც, რომელთა წარმომავლობაც შემდგენლისათვის არ არის ცნობილი (მაგალითად, *თანხა*). ასეა კალკირებების შემთხვევაშიც (მაგალითად, სიტყვა *თანხმოვანი* ბერძნული *sy'mphōnos* -ის კალკია). ამ კონტექსტში ქართული სიტყვები არა მხოლოდ ადასტურებენ კონკრეტულ ძირებს ქართველურ ენებში, არამედ

აქვთ თავიანთი შესაბამისი ისტორიები, აგრეთვე შედიან ფორმალურსა და სემანტიკურ კონსტრუქციებში, რომლებიც ქართველურ ენებთან შედარების გზითა მოკვლეული; სხვა ენებიდან სიტყვათა სესხების შემთხვევაში კი ლექსიკურ ერთეულებს სულ სხვა წინარე ისტორია აღმოაჩნდებათ. ორი თავისებურება მაშინვე გვხვდება თვალში: პირველი, ესაა წარმოქმნილი სიტყვები, წარმოქმნის საშუალებები და სიტყვის მნიშვნელობის განვითარების საკითხთა დამუშავება, ის, რაც ყოველთვის ასახულია ფუნდამენტურ გრამატიკებში (მაგალითად, *თვალ-* სიტყვის გვერდით გვხვდება სიტყვა *თვალსაჩინო*, რასაც ახლავს სიტყვის მნიშვნელობის განვითარების ახსნა). ეს არ უნდა აკლდეს არცერთი სიტყვის ისტორიას (ამის მაგალითია სვანური *შღულ- 'სათოფური, სათვალთვალო'*, რომელიც ასევე 'თვალს' მიემართება). იმავე რიგისაა პარალელები სხვა ენებიდან: 'თვლა, მიჩნევა' და გერმანული *zählen, betrachten als* 'თვლა, მიჩნევა'. მეორეც, ლექსიკონი შეიცავს სომხური, თურქული, არაბული, სპარსული და სხვა ენებიდან ნასესხებ უამრავ სიტყვას. ეს ლექსიკური ერთეულები საინტერესოა არა მხოლოდ კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ ადასტურებენ ადრეულ ენობრივ კონტაქტებს დონორ ენებთან. და არც სულ მთლად ბოლოსაა სათქმელი ის, რომ ამ ლექსიკურ ერთეულთა ინტერპრეტაცია როგორც წინარექართველურისა, მცდარია. არადა არსებობს ამგვარი დილექტანტური შედარება ქართულისა ძველ აღმოსავლურ ანდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ენებთან. მესამე განსხვავება სხვა ეტიმოლოგიური ლექსიკონებისგან ის არის, რომ არგუმენტაცია, რომელსაც რეკონსტრუქციასთან მიყვავართ, და პრობლემები, რომლებიც გასათვალისწინებელია, აისახება და არ არის მარტივად სავარაუდო. ამგვარი განხილვა ითხოვს ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალის წარმოჩენას. ვასახელებთ უმარტივეს მაგალითს: დადგენილია, რომ *-თვის* და *თვით მომდინარეობს თავ-ისგან*; იმავედროულად, ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ ძველქართულიწერილი *თავ-ი* არ მიეკუთვნება კუმშვად სახელებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თავდაპირველადვე კუმშვადი *თავ-/თვ-* არაკონკრეტული მნიშვნელობით უკვე ძველ ქართულშივე არააბლაუტირებული *თავ-* ფორმისგან წარმომდგარი, რაც არ არის ინტერესმოკლებული გრამატიკალიზაციის თეორიისათვის. — ქალბატონმა გამომცემლებმა სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვათა ინდექსის დართვით დიდად აამაღლეს ლექსიკონის მნიშვნელობა.<sup>2</sup>

ერთი სიტყვით, ავტორმა ვერ შეძლო ლექსიკონის დასრულება, თუმცა მან ამ ფრაგმენტით (რაც დაგვემძილი საშუაოს თითქმის ნახევარია) ძალიან დიდი, გასა-

<sup>2</sup> ერთი კრიტიკული შენიშვნა: ამ ნაშრომშიც, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ქართულ პუბლიკაციაში, არასწორია ბერძნულ სიტყვათა ტრანსკრიფცია. მაგალითად, სიტყვებში: *syntefixos, sympōnia* შეცდომაა *y-*ზე მასვილი. ჩემი აზრით, სულ სამი შესაძლებლობაა: ბერძნული ანბანით გადმოცემა ან ტრანსკრიფცია ქართული ასოებით, ან ტრანსკრიფცია ლათინური ასოებით, რაც მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში: *synthetikós, symphōnia*.

ოცარი, განსაკუთრებულად სასარგებლო ნაშრომი დაგვიტოვა. სხვათა შორის, ისევე როგორც სიტყვათა ისტორიასა და წარმომავლობაზე ორიენტირებულ სხვა ლექსიკონებში, ერთი სიამოვნებაა ცალკეულ სიტყვათა მიმდებარე ტექსტების უბრალოდ წაკითხვა, რისი თქმაც შეუძლებელია ყოველ ლექსიკონზე! ეს ბედნიერებაა ქართველოლოგიისათვის, ეს ბედნიერება – თავისებური, უნიკალური ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონი – თამარ გიგინეიშვილმა (ავტორის ქალიშვილმა) და ირმა ალასანიამ დიდი ძალისხმევით მისაწვდომი გახადეს ქართველოლოგებისა და ქართული საზოგადოებისათვის.

*ვინფრიდ ბოდერი*  
*თარგმნა მარია ჯიქიამ*

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინი  
კომპ. უზრუნველყოფა

თამარ გაბელაია  
ნანა კაჭაბავა  
მარიამ ებრალიძე  
ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer  
Layout Designer

Tamar Gabelaia  
Nana Katchabava  
Mariam Ebralidze  
Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: 995(32) 225 14 32  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

